



N31 (530) 5/VIII-11/VIII-2010 ფასი 1 ლარი

ქართული პროზის საბანკური

გომი №23 გურამ ფანჯიქიძე

შეგიძლიათ შეიძინოთ
„გომი“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად
4 ლარი ღირს

შეიძლება გომი
კონსტანტინე გამსახურდიას

„უამრავი სასურაო
კონსტიუმი შევიძინეთ“ ...



„რატომთან ერთად
დასვენება კალიან
მიუვარს“ ...

ვინ დაესმარა
ირაკლი
ჩოლოყაშვილს
ცოლის
მოყვანაუბი

მაკა ზამბახიძის
საკურორტო რომანი



ღაბი ქორწილები ერთმანეთის
თაყვანისმცემლებს იწუნებენ

ვაკის პარკის ტერიტორიაზე
მოწყობილი სასაკლავო



ქართული სამხედროების საფლავზე
„ჩეკისტები“ საირფარეუოებს აგებდნენ



SOS! „ზუზის ბავშვები“

„9 წლის ბავშვს
130 მოგზანილოვა აქვს“ ...

ISSN 1987 - 5029



როგორ ვიზოვოთ მილიონი



კომპლექსი და
სამსოვნო-სამშენობლო
კომპანია

კომპლექსი -
ფაქტობრივი 92 (მთავარი)

ფაქტობრივი -
მთავარი მდებარეობა 53 (მთავარი 2010)

სახლი 4 (მთავარი 2011)

კომპლექსი -
სახლი 22 (მთავარი 2010)

500\$-დან

გეგმვა-პროექტი-მშენებლობა www.elitehouse.ge; e-mail: eh98@mail.ru
მის: თბილისი, ფაქტობრივი ქ. 92 ტელ: 91-53-77; 29-28-02; 899 34-23-05


6-დან 13 აგვისტომდე

ზღაპრების მისთვის წიგნი,
ფერადი და მგაზრდიანი
ჟურნალ „საბავშვო
კარუსელთან“
ერთად
“ჩემი საყვარელი ზღაპრების”
პირველი და მეორე წიგნი უკვე შეგიძლიათ
შეიძინოთ წიგნის
მაღაზიებში.

წიგნის ფასი
4, ლარი
(ჟურნალთან ერთად
5 ლარი)

საუხაეთასო საჩუქარი დიასახლისებს!

320 თანამედროვე კერძი!



ჩვენს
საქონელს
დაელოდეთ

ფასი: 29.99

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე
ტელ: 38 26 73; 38 26 74 www.elva.ge



საქართველოს შავროსიან ჭირისუფლად და რაინდად დარჩა

„არავის ვუმხელდი, მაგრამ ჩემს თავს ვუბნებოდი: „შენ ჰეი, მსოფლიოს უმცირეს მდინარის პირად შობილო ბიჭო, არ გაჯობონ დიდი მდინარეების პირად დაბადებულთა“...“

7



„ქაქუცას უნდა ვუბადლოდ, ცოლი რომ მყავს...“

„მას დიდი ხანია, ვიცნობ, ადრეც მყავდა „თვალსაწიერში“, მაგრამ ნინო გათხოვდა. მერე დიდხანს არ მინახავს, მაგრამ ერთხელაც, მარჯანიშვილის თეატრში, „ქაქუცა ჩოლოყაშვილის“ კასტინგზე მოვიდა.“

20



ცხოვრება

უამთხვევით გახსნილი მკვლელობა



„განსასჯელს ვიცნობდი, როგორც ლელა ჯავახიშვილს. შარშან, ნოემბერში, ვარკეთილში, მუმიას ბაღთან ვნახე. მითხრა, რომ ბინა იყო გასაყიდი, საბუთები ჰქონდა და თუ ვინმე გამოჩნდებოდა, დამერეკა. ახალგაზრდა ქალი ერთოთახიან ბინას ეძებდა და ისინი ერთმანეთს დავაკავშირე.“

28



- **მინიატიურები** 5
ფრანგები და ზანგები
- **ჭკალი მსოფლიო** 6
- **სახელმწიფო** 7
- **საზონი** 10
- **საზრდო** 14
- **ოქუპირებული ზონა** 15
- **რეპორტაჟი** 18
- **ავაღა** 20
ბალის ორკესტრის დირიჟორობით დაწყებული კარიერა
- **დედამიწვილები** 22
ღები ქორქიები დასვენება-გართობისათვის ვერ იცლიან
- **ქარიერა** 24
- **პარსკვლავები** 26
- **სენი** 28
„მათ მკურნალობას არც სახელმწიფო აფინანსებს და არც — სადაზღვევო კომპანიები“
- **კრიმინალი** 30
შემთხვევით გახსნილი მკვლელობა
- **სიზაუსია** 33
მილიონერი მამიკოს საიდუმლო ჩანაწერები ანუ ნუ შეიძლება ფულს!
- **პირია!** 35
ტურიზმი სვანურად ანუ „ექსტრემალური მოგზაურობის“ მთავარი სანახაობა
- **ნამდვილი აგაპი** 37
- **სხანა** 38

მეცნიელები

დაწუნებული სარკლოს, თაბანსირული უყვარებულებისა და აზარტული მოთამაშის აგაპი



— თუ შეიძლება, 2 ცალი სკლეროზი მომეცით, — დინჯად მიმართა გამყიდველს.
— ასეთი ტკბილეული ჩვენ არ გვაქვს!
— როგორ არა, ყოველდღე შემოვდივარ და 2 ცალი სკლეროზს ვყიდულობ! ახლა აღარ გაქვთ? — ეჭვი გამოთქვა მამაკაცმა...

74

27400

■ არჩევანი	40
ახალგაზრდა ილუზიონისტი, რომელსაც პოპულარობა არ სურს...	
■ ავტო	42
■ ისტორიის ლაბირინთები	44
1922-1924 წლების „ნითელი ტერორი“	
■ ტაქარი	47
■ საკითხავი ქალაქისათვის	49
■ ჯანმრთელობა	51
■ ჩემი სხოვრების გზა	54
მარიამ ლორთქიფანიძის „კნიაჟესკი ზამაშკები“ და საქართველოს დედის საპატიო ტიტული	
■ წარმატება	57
ქართველი გოგონას წარმატება და იმერული აქცენტით მოსაუბრე ამერიკელი	
■ თინეიჯერული პონტები	59
„ნაშობა“ ქალები და „დაცემა“ ბიჭები	
■ ჟანი	62
„მიშატელისტი“ გოგონას გაბედული განცხადებები	
■ წვეთი პოეზია	64
■ სახსოვარი	65
■ ჟანგასტიქური ღებეჭივი	66
რუსუდან ბერიძე. ინტერვიუ მიცვალებულთან (გაგრძელება)	
■ რომანი	70
სვეტა კვარაცხელია. რომანტიკა თუ დანაშაული?! (დასაწყისი)	
■ გზავნილები	74
■ ყველა ერთისათვის	78
■ მოგილი-ზასია	80
■ ასპარაზი	86
■ მუნდიალი	88
■ კოლეგა	91
■ ერულიტი	92
■ გასართობი	94
■ ასტროლოგია	96
■ სქანვორდი	97
■ საფირმო კროსვორდი	98

სამყარო



მზის დარტყმა და სითბური დარტყმა

კერძოდ, მათ ორგანიზმში თერმო-რეგულაციის სისტემა არ არის სრულყოფილი. ასევე რისკგუფში შედიან ადამიანები, რომლებიც არ არიან სიცხეს მიჩვეულნი, აწუხებთ სიმსუქნე, გულ-სისხლძარღვთა და ენდოკრინული სისტემის დაავადებები ან ალკოჰოლის ჭარბად მომხმარებლები არიან.

38

ადამიანი



მე — მარიაში

„დავიბადე ბათუმში, 1922 წლის 28 აგვისტოს, მარიამობა დღეს და ალბათ, ამან განსაზღვრა ჩემი სახელი. თუმცა მამაჩემის დედას, მართა თავდგირიძესაც მარიამი ერქვა. მთელი ცხოვრება მშობლების მადლობელი ვიყავი, ეს სახელი რომ დამარქვეს...“

54

ბიზლუსი



რომანტიკა თუ დანაშაული?

ნაძალადევად გავუღიძე. — ახლა კი, ჩემს მძლოლს ვთხოვ და წაგიყვანს. ხომ ჩვენთან რჩები? — ფილიპემ მოჩვენებითი თავაზიანობა გამოიჩინა. — არა, რას ამბობთ! მე მაქვს ლამის გასათევი... — არ დავუკონკრეტე. — ვისთან, დაქალბთან? — იღუმალი ღიმილი მესროლა.

64

ტაიმ-აუტი



ფილმი ჯანყის გურულ „მამეზა“

„ყველა დარჩია თავს სისონას შთამომავლად მიიჩნევს. დაე, ასე იყოს, მეც დავიბრალე. ხალხს სისონა ძალიან უყვარდა, რადგანაც მათ ეხმარებოდა...“

86

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამომდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათოვლით გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
 მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
 პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
 მენეჯერი: **მათე კვიციანი**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
 კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49
 ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
 რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

ფრანგები და ზანგები



შესავლის ნაცვლად მიშას უთქვამს, ზანგები სომ არ ვართო, —

მანდ ვიყავი მაშინ, მაგრამ ამაზე რომ ამბავი ამტყდარა, მას შემდეგ უკვე „გაგანა“ პარიზში ვარ და იმის მიუხედავად, რომ რასიზმში შემჩნეული აქამდე არ ვყოფილვარ, მაინც უნდა გითხრათ და ქართველმა „ზედემოკრატებმა“ თუნდაც ანათემას გადამცენ: საფრანგეთში და განსაკუთრებით, პარიზში, ძალიან ბევრი ზანგია!

ერთ ქართველ ადამიანს უფლებათა დამცველს უთქვამს (ასე ვადმომცეს), „ზანგი“ რა სიტყვაა, საერთოდ უნდა აიკრძალოსო! კი, ბატონო, მაგრამ მე როგორც მსმენია, ამერიკაშიც კი ამასთან დაკავშირებით, თვით კონგრესის გადაწყვეტილება გახდა საჭირო და სანამ ჩვენი მშობლიური პარლამენტი შესაბამის დადგენილებას მიიღებდეს (სხვა ყველაფერი მოგვარებული აქვთ), მოგვეცით უფლება მე და ჩვენს საყვარელ პრეზიდენტს, ჩვეულებრივად გამოვიყენოთ ჩვეულებრივი ქართული სიტყვა — „ზანგი“!

ვიღაცამ იქნებ თქვას, ტერმინს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რასიზმთან დამოკიდებულება და ტოლერანტობაო, მაგრამ აბა, ერთი, ზოგიერთ ორგანიზაციას ჰკითხეთ?! რომელს?... მაგალითად — „მრავალეროვან საქართველოს“. ეს ის კანტორაა, რომლის ხელმძღვანელსაც (ბ-ნი არნოლდ სტებანიანი) ღამე არ სძინავს იმაზე ფიქრით, — არიქა, „რომელიმენაირი“ უმცირესობის უფლება არ დაირღვეს ამ ჩემს... სამშობლოშიო!.. არადა, ისე აქვს თავი ამ საქმეზე გადადებული, რომ პირადი ინტერესები მთლიანად ამას შესწირა — თავად განსაჯეთ: რამდენიმე თვის წინ ვიღაცამ ისიც დაუნერა, რუსეთის სპეცსამსახურის აგენტი ხარო და მისი „უჩოტნი კარტოჩკაც“ გამოაქვეყნა! მერე რა?! გგონიათ, გაბრაზდა ან სასამართლოში უჩივლა? არა, ბატონო — ის პირადი შურაცხყოფა იყო და რა დროს პირადია, როდესაც აგერ, პრეზიდენტი საქვეყნოდ არცხვეს ბ-ნი არნოლდის სათაყვანებელი საქართველოს სახელს!



ახლა, მე რომ პრეზიდენტი და მისი ალხანა-ჩალხანები მიყვარს, ისეთი სიყვარული არ მოაკლდეს ზოგიერთ „უფლებადამცველს“, მიშას კი თავისი დამცველებიც ეყოფა, მაგრამ „ერთი თხისკენ და ერთიც მგლისკენო“ — ნათქვამია: რა არის, რა ალიაქოთი ატეხეთ?! სად მიშა და სად — რასიზმი?! სხვა თუ არაფერი, მისი და კონდოლიზა რაისის მეგობრობა გაიხსენეთ და „ბიძია თომას ქოხი“ დღემდე ჩემი საყვარელი ნაწარმოებიაო, — იფიცება (ვენაცვალე, ხიდებისა არ იყოს, ლიტერატურაშიც დახვეწილი გემოვნება აქვს)!

„ფროამერიკელი“ უნდა ვთქვათო — ზოგიერთმა ბრიყვმა! „აფროამერიკელი“ ამერიკელ ზანგებზე (დიახ, ზანგებზე) ითქმის და თუ ეს ზანგი საერთოდ არ არის ამერიკაში ნამყოფი და ნიგერიდან პირდაპირ საქართველოში მოხვდა, „აფრო“ — ჰო, მაგრამ „ამერიკელი“ რაღა შუაშია?! ჰო, ნიგერიაზე გამახსენდა: ქართულად „საზანგეთს“ ნიშნავს და იქ მცხოვრებ 70 მილიონ ადამიანს სულაც არ „უტყდება“ და რა ვქნათ — აკრძალოთ ამ ქვეყნის სახელის ხსენება და მის მაგივრად, „საფროამერიკანეთი“ ვთქვათ ხოლმე?... ანდა, მის მეზობლად რომ სახელმწიფოა, იმას საერთოდ ნიგერი („ზანგი“) ჰქვია, მაგრამ არიან ტვბილად — არც მიშა ჰყავთ

და არც არნოლდა... (ეგპ, უნდა ნახვიდე კაცი ნიგერში და აღარ ჩამოხვიდე...)

სხვათა შორის, ამ საკითხით საგანგებოდ დავინტერესდი (ისე, ყოფით დონეზე) და სასტუმროს ღამის მორიგეს კარგა ხანს ვე-საუბრე — ერთი ჩვეულებრივი ფრანგულ-ტოლერანტული კაცია, ასე, ორმოციოდე წლისა, და ასეთი რამ მიაბო: ჩემი და მარსელის ერთ-ერთი ღამის კლუბში ქორეოგრაფად მუშაობს და გავაფხულზე ახალ პროგრამას რომ აკეთებდა, ცხრა ახალი მოცეკვავე დასჭირდა; აუცილებლად ქერები უნდოდა და რამდენიმე შავკვრემანსაც (თეთრკანიანს) უარი უთხრა და ორ ზანგსაცო. იმათ არაფერი უთქვამთ, ზანგებმა კი, ორივემ იჩივლა — გვჩაგრავენიო!

ის კაცი არაფერს ამტკიცებს და ყველასთან მეგობრობს, მაგრამ ამ ყველაფერს იმასაც თუ დავამატებთ, რომ ამერიკაში ზანგს თუ ზანგს დაუძახებ, რასიზმისთვის დაგაბატიმრებენ, ხოლო ზანგი თუ, მაგალითად „თეთრ ღორს“ გინოდებს, ეს რასიზმად არ ჩაითვლება, მივიღებთ იმას, რომ დღეს რასობრივი დისკრიმინაცია რაღაც გაუკუღმარებულ ხასიათს იღებს — „უკუღმა, ასინეთა, უკუღმა...“ (და კიდევ — ეს ფრანგი, ამ თავის თავისუფალ საფრანგეთში, ამ ამბავს ჩურჩულით მიყვებოდა).

ისე, ზოგიერთი ქართველის გამკვირვებია — სააკაშვილის ამ გამონათქვამზე უარესი ვერაფერი გაგიგიათ? ბოლო-ბოლო, თქვენ მიშა მართლა საქართველო ხომ არ გგონიათ? მე პირიქით — ყოველივე „უცხოა“ და „საუცხოოა“ მიმართ ქართველების გადამეტებული თაყვანისცემა მადარდებს, თორემ მანქანების ყოფილ ბაზრობასთან, დილოში, ჩვენებურები მხოლოდ იმიტომ დადიან ერთ-ერთ ავტოსამრეცხაოზე, რომ იქ ზანგები(!) მუშაობენ! მე კი სწორედაც, პრინციპულად არ დავდივარ იქ, იმის მიუხედავად, რომ ჩემს სახლთან ყველა სხვა ავტოსამრეცხაოზე ახლოსაა! რა გგონიათ — რატომ? რასისტი ვარ? არა, ბატონო! არ იციან მანქანის რეცხვა და მხოლოდ იმის გამო, რომ ზოგიერთი არნოლდასავით „ზეტოლერანტი“ არა ვარ, მაგათ არ დავაფხაჩნიებ მანქანას.

P.S. ზემოთ „სხვადასხვანაირი“ უმცირესობა ვახსენე და როგორც ვიცი, აგვისტოს ბოლოს ჩვენი „ფერად-ფერადებიც“ აპირებენ გააქტიურებას — ალ-ლუმებით და მთელი ამბით. კისერი უტეხიათ (დიახ, კისერი უტეხიათ, წადით და მიჩივლეთ), მაგრამ ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება არ შეიძლება, რომ დავაფიქსირო? ჰა, „არნოლდებო“?..

სხვათა შორის, ამ „ფერადი ტოლერანტობის“ შედეგიც აგერ არის, პარიზში — სიყვარულისა და ქალური სილამაზის მსოფლიო დედაქალაქის მერი, უკვე მრავალი წელია, ბერტრან და ლა ნუი, აქაური პედერასტების კერა გახლავთო. რა უჭირს მერე, არაფერი, სომ? რა ვიცი, რა ვიცი...

P.P.S. ახლა არ მითხრათ, „პედერასტიც“ აკრძალული ტერმინიაო...

პროვოკატორი



ამოსნულია სიბრძნის სიღრმე

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ასაკის მატებასთან ერთად, ადამიანი უფრო ჭკვიანი და გონიერი ხდება, რადგან ტვინი მთელი ძალით ამუშავებს ინყებს. ამასთან, ინტელექტუალური აქტივობის პიკი 50-70 წლის ასაკში დგება. ასეთია მკვლევარ ბარბარა სტოუმის მუშაობის სენსაციური შედეგები, იტყობინება გაზეთი The Daily Mail.

ტრადიციულად მიიჩნეოდა, რომ ასაკის მატებასთან ერთად, ადამიანის ტვინის მუშაობა თანდათან ქვეითდება, რადგან ნეირონები — თავის ტვინის უჯრედები ნელ-ნელა კვდომას იწყებს და სიცოცხლის ბოლოს ადამიანი ნეირონების 30%-ს კარგავს. მაგრამ ბოლო გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ეს ასე სულაც არ არის: თავის ტვინის უჯრედები არ კვდება. შესაძლოა, მათ შორის კავშირი განედეს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი მათ არ ამუშავებს.



გარდა ამისა, ასაკის მატებასთან ერთად, თავის ტვინში მიეღინის რაოდენობა იზრდება. ეს არის ნივთიერება, რომელიც ნეირონებს უფრო სწრაფად მოძრაობას აიძულებს. ამის ხარჯზე ტვინის საერთო ინტელექტუალური ძალა საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, 3000%-ით იზრდება. მიეღინის წარმოქმნის პიკი კი 60 წლისა და შემდგომ ასაკში დგება.

და კიდევ — თუ 50 წლამდე ადამიანის თავის ტვინის ნახევარსფეროებს შორის „შრომის დანაწილების“ პრინციპი მოქმედებს და თითოეული მათგანი მკაცრად განსაზღვრულ ფუნქციებს ას-

რულებს, 50 წლის შემდეგ ადამიანს ტვინის ორივე ნახევარსფეროს ერთდროულად გამოყენება შეუძლია. ეს კი მას მნიშვნელოვნად უფრო რთული ამოცანების გადაჭრის საშუალებას აძლევს.

ასევე თავს იჩენს ცხოვრებისეული გამოცდილება. ასაკოვანი ადამიანის ტვინზე უჩვეულო, ან ემოციური ინფორმაცია უფრო ნაკლებ გავლენას ახდენს, ვიდრე ახალგაზრდა ადამიანის ტვინზე. როგორც კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა დილიპ ჯეისტიმა განაცხადა, „იმ ადამიანის ტვინი, რომელსაც მრავალწლიანი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს, ნაკლებად იმპულსური და მეტად რაციონალურია“. მეცნიერის აზრით, სწორედ ეს არის სიბრძნე.

აღსანიშნავია, რომ ინტელექტუალური აქტივობის პიკს თავისი უარყოფითი მხარეებიც აქვს. ინფორმაციის უზარმაზარი რაოდენობის გამო, რომელიც მრავალი წლის მანძილზე გროვდება, ოპერატიული მესხიერება ძალიან იტვირთება, რაც დავიწყებასა და გონებაგაფანტულობას იწვევს, — აღნიშნავენ ნეიროქირურგები.

წყალქვეშა მდინარე ზღვის ფსკერზე

ინგლისის ქალაქ ლიდსის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფი იუწყება, რომ შავი ზღვის ფსკერზე მსოფლიოში ერთადერთი წყალქვეშა მდინარე აღმოაჩინეს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მდინარის სიგრძე 37 საზღვაო მილია (1 მ — 1800 მ), სიგანე კი — ნახევარ მილზე ცოტათი მეტი. დინების სიჩქარე დაახლოებით, 7,5 კმ/სთ-ია. სიგრძის გათვალისწინებით, მდინარე საკმაოდ წყალუხვია — 22 ათასი კუბური მეტრი წამში. შედარებისთვის დავძენთ — ეს მდინარე ხმელეთზე რომ ყოფილიყო, ამ მაჩვენებლით მსოფლიოში მეექვსე იქნებოდა.



წყლის დინება მარილიანი, მარმარილოს ზღვიდან ბოსფორის სრუტის გავლით, ნაკლებად მარილიან, შავ ზღვაში მიემართება. ამიტომ მდინარის წყალი მარილის საკმაოდ მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა.

ინგლისელმა მეცნიერებმა წყალქვეშა ავტომატიზებული აპარატის დახმარებით დაადგინეს, რომ მდინარის სიღრმე ზოგიერთ ადგილას 35 მეტრს აღწევს. მათი თქმით, მდინარეს ჩქერები და ჩანჩქერებიც აქვს.

ათი ფილმი, რომლის ყურებისას მამაკაცები ტირიან



BBC News Magazine-მა იმ 10 ფილმის რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელთა ყურების დროს მამაკაცები ტირიან.

რეიტინგი ტელემაყურებელთა გამოკითხვის შედეგადაა შედგენილი. იდეა ფილმის — „სათამაშოების ისტორია 3“ — განხილვის დროს გაჩნდა. ათეული ასე გამოიყურება:

1. „ბეჭდების მბრძანებელი — მეფის დაბრუნება“ — მამაკაცები ხშირად ტირიან ფილმის ფინალური სცენის ყურებისას, როდესაც პერსონაჟები ერთმანეთს ეთხოვებიან.

2. „გაქცევა შოუშენკიდან“ დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ახალგაზრდა კაცებზე — მათ ცხოვრებაში ისეთივე ერთგული მეგობრის ყოლა სურთ, როგორც ამ ფილმშია ნაჩვენებ.

3. მულტფილმი „ზემოთ“ — მისი ყურების დროს ცრემლების შეკავება ძლიერი სქესის წარმომადგენლებსაც უჭირთ.

4. „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“ — თავისი ტრაგიკული დასასრულით მამაკაცებში დიდ ემოციას იწვევს.

5. „მარლი და მე“ — ზოგიერთ მამაკაცს ამ ფილმის გახსენების დროსაც კი თვალებზე ცრემლი ადგება; ფილმი ძალღის თავგადასავალს გადმოგვცემს.

6. „ჩემპიონის“ ერთ-ერთი ჩვენების დროს თურმე მთელი დარბაზი ტიროდა, თუმცა ახალგაზრდა ჯარისკაცებით იყო სავსე.

7. „ჩანაწერების წიგნი“ არაერთ მამაკაცს ქეთონი დაანებინა.

8. „ბები“ თურმე განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთის მამაკაცებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

9. „მისი ოცნების ველი“ — ეს არის ფილმი, რომლის ყურებაც მამაკაცებს არასდროს ჰბეზრდებათ.

10. „ცეცხლოვანი ეტლები“ ასაკოვან მამაკაცებსაც კი ჩამოაგორებინებს ლოყაზე ცრემლს.



ქვეყანა

საკონსტიტუციო ცვლილებები ანუ საპარლამენტო მმართველობის იდეა და პრეზიდენტის უფლებული კალაუფლება

„ჩვენ ერთი ძლიერი წინამძღოლი გვჭირდება...“

სათუნა ბახტურიძე

ოპოზიცია შესაძლოა, უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდეს. ოპოზიციონერი ლიდერების ერთი ნაწილი იმედოვნებს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები საპროტესტო აქციების საბაზი გახდება. ახალი პროექტის მიხედვით, ქვეყანას მართავს პარლამენტი, პრეზიდენტის ძალაუფლება მნიშვნელოვნად შეიზღუდება, აღმასრულებელი ხელისუფალი კი

პრემიერ-მინისტრი იქნება, რომელსაც პარლამენტი გააკონტროლებს...

პოლიტიკური ექსპერტების გარკვეული ნაწილი საკონსტიტუციო ცვლილებებს წინაგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს; ზოგადად საპარლამენტო მმართველობის იდეას ოპოზიციონერ ლიდერთა ნაწილიც იწონებს, მაგრამ მიიჩნევს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სააკაშვილი კონსტიტუციას საკუთარ თავზე ირგებს. „რეალურად, კომისიის შექმნის მთავარი მიზანი „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ქვეყნის

მართვის სადავეების შენარჩუნება გახლდათ. ქვეყნის მთავარ კანონში შეტანილ ცვლილებებს შესაძლოა, მიხეილ სააკაშვილის გაბრუნება ან პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევა მოჰყვეს, რაც საზოგადოების გაღიზიანებას გამოიწვევს“, — აღნიშნავს პეტრე მამრადე. რამდენად საფუძვლიანია ოპოზიციონერთა ნაწილის იმედი, რომ ახალი კონსტიტუციით უკმაყოფილო ხალხი ქუჩაში გამოვა და საერთოდ, რამდენად ინფორმირებულია საზოგადოება ამ ცვლილებების შესახებ, — ამის გარკვევას რიგით მოქალაქეებთან საუბრისას შევეცადე.

ქვეყნის და ქვეყნი შეიღებების!
 უფრო ხელმძღვანელობს ქვეყნი და ქვეყნი შეიღების!

ბიზნის №23
 2010 წლის მაგისტრის

წყების ფასი 3 ლარი!
 5-დან - 12 აგვისტომდე!

ქვეყნი და ქვეყნი შეიღების!

- №1 ბიზნის შეიღების
- №2 ბიზნის შეიღების
- №3 ბიზნის შეიღების
- №4 ბიზნის შეიღების
- №5 ბიზნის შეიღების
- №6 ბიზნის შეიღების
- №7 ბიზნის შეიღების
- №8 ბიზნის შეიღების
- №9 ბიზნის შეიღების
- №10 ბიზნის შეიღების
- №11 ბიზნის შეიღების
- №12 ბიზნის შეიღების
- №13 ბიზნის შეიღების
- №14 ბიზნის შეიღების
- №15 ბიზნის შეიღების
- №16 ბიზნის შეიღების
- №17 ბიზნის შეიღების
- №18 ბიზნის შეიღების
- №19 ბიზნის შეიღების
- №20 ბიზნის შეიღების
- №21 ბიზნის შეიღების
- №22 ბიზნის შეიღების
- №23 ბიზნის შეიღების
- №24 ბიზნის შეიღების
- №25 ბიზნის შეიღების
- №26 ბიზნის შეიღების
- №27 ბიზნის შეიღების
- №28 ბიზნის შეიღების
- №29 ბიზნის შეიღების
- №30 ბიზნის შეიღების
- №31 ბიზნის შეიღების
- №32 ბიზნის შეიღების
- №33 ბიზნის შეიღების
- №34 ბიზნის შეიღების
- №35 ბიზნის შეიღების
- №36 ბიზნის შეიღების
- №37 ბიზნის შეიღების
- №38 ბიზნის შეიღების
- №39 ბიზნის შეიღების
- №40 ბიზნის შეიღების
- №41 ბიზნის შეიღების
- №42 ბიზნის შეიღების
- №43 ბიზნის შეიღების
- №44 ბიზნის შეიღების
- №45 ბიზნის შეიღების
- №46 ბიზნის შეიღების
- №47 ბიზნის შეიღების
- №48 ბიზნის შეიღების
- №49 ბიზნის შეიღების
- №50 ბიზნის შეიღების
- №51 ბიზნის შეიღების
- №52 ბიზნის შეიღების
- №53 ბიზნის შეიღების
- №54 ბიზნის შეიღების
- №55 ბიზნის შეიღების
- №56 ბიზნის შეიღების
- №57 ბიზნის შეიღების
- №58 ბიზნის შეიღების
- №59 ბიზნის შეიღების
- №60 ბიზნის შეიღების
- №61 ბიზნის შეიღების
- №62 ბიზნის შეიღების
- №63 ბიზნის შეიღების
- №64 ბიზნის შეიღების
- №65 ბიზნის შეიღების
- №66 ბიზნის შეიღების
- №67 ბიზნის შეიღების
- №68 ბიზნის შეიღების
- №69 ბიზნის შეიღების
- №70 ბიზნის შეიღების
- №71 ბიზნის შეიღების
- №72 ბიზნის შეიღების
- №73 ბიზნის შეიღების
- №74 ბიზნის შეიღების
- №75 ბიზნის შეიღების
- №76 ბიზნის შეიღების
- №77 ბიზნის შეიღების
- №78 ბიზნის შეიღების
- №79 ბიზნის შეიღების
- №80 ბიზნის შეიღების
- №81 ბიზნის შეიღების
- №82 ბიზნის შეიღების
- №83 ბიზნის შეიღების
- №84 ბიზნის შეიღების
- №85 ბიზნის შეიღების
- №86 ბიზნის შეიღების
- №87 ბიზნის შეიღების
- №88 ბიზნის შეიღების
- №89 ბიზნის შეიღების
- №90 ბიზნის შეიღების
- №91 ბიზნის შეიღების
- №92 ბიზნის შეიღების
- №93 ბიზნის შეიღების
- №94 ბიზნის შეიღების
- №95 ბიზნის შეიღების
- №96 ბიზნის შეიღების
- №97 ბიზნის შეიღების
- №98 ბიზნის შეიღების
- №99 ბიზნის შეიღების
- №100 ბიზნის შეიღების

ქვეყნი და ქვეყნი შეიღების!



ბარინა ლაცაზიძე, პედაგოგი:

— ნამდვილად არ ვიცი, კონკრეტულად რა ცვლილებები შედის კონსტიტუციაში. როგორც გავიგე, საპარლამენტო მმართველობაზე უნდა გადავიდეთ. ეს ძალიან კარგი მოდელია, მაგრამ იმედი არა მაქვს, რომ პრემიერ-მინისტრს პარლამენტი რეალურად გააკონტროლებს. ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფალი თუ ისევ ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს მიიღებს, მაშინ რა აზრი აქვს, ამ ადამიანს პრეზიდენტს დავარქმევთ, პრემიერ-მინისტრს თუ პარლამენტის თავმჯდომარეს?

— რატომ გგონიათ, რომ პარლამენტი პრემიერ-მინისტრს ვერ გააკონტროლებს?

— ვერ კი არა, არ გააკონტროლებს! პარლამენტს დღესაც ბევრი რამის უფლება აქვს, ბოლოს და ბოლოს, კანონის ჩაგდება შეუძლია, მაგრამ ამ ორგანოში ხელისუფლების მიერ შეტანილი კანონპროექტის ჩავარდნის შესახებ არასდროს არაფერი გამოიხატა. ასეთი პარლამენტის ხელში რა აზრი აქვს, საპრეზიდენტო მმართველობა იქნება თუ საპარლამენტო? დღეს საპარლამენტო ოპოზიცია უსუსურია, არანაირი გავლენა არა აქვს, მმართველი გუნდის წარმომადგენელი პარლამენტარები კი პრემიერ-მინისტრს ისევე დემორჩილებიან, როგორც დღეს პრეზიდენტს ემორჩილებიან.

— პარლამენტის შემადგენლობა არჩევნებზე სომ შეიცვლება?

— კი, მაგრამ უმრავლესობაში ისევ მმართველი გუნდი მოვა.

— ასე რატომ ფიქრობთ?

— რა, ვინმე სხვანაირად ფიქრობს? არ მჯერა, რომ ამ ქვეყანაში სამართლიანი არჩევნები ჩატარდება.

— პრემიერ-მინისტრის პოსტზე ვის ხილვას ისურვებდით?

— მე ეს ძალიანაც არ მინდა, მაგრამ მგონია, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტზეც სააკაშვილს ვიხილავთ. ისე, ისიც კი არ ვიცი, ვინ შეიძლება, ვისურვო — შესაფერის კანდიდატს ვერ ვხედავ.

ირაკლი მსხუშუა, ისტორიკოსი:

— მე მგონია, რომ „საპარლამენტო მოდელი“ ქვეყანაში ზედმეტ არეულობას, გაურკვეველობას გამოიწვევს და პოლიტიკური კრიზისების წყარო გახდება.

— ოპოზიციამ საპროტესტო აქციებისკენ რომ მოგინდოთ, ქუჩაში გახვალთ?

— არა, „საპარლამენტო მოდელზე“ გადასვლა დღეს უკვე ძალზე რეალურია და პროტესტის გამოხატვა გვიანია. ესეც რომ არ იყოს, ოპოზიცია თავად გამოდიოდა ამგვარი მოდელის ინციტაციით და ახლა ვეღარ იტყვის, — აღარ გვინდაო. ერთი სიტყვით, მატარებელი უკვე დაძრულია... ოპოზიცია ტყუილად ელოდა სააკაშვილის პრეზიდენტობის ვადის გასვლას — უკვე ცხადია, რომ ის ისევ ხელისუფლებაში დარჩება...

— თქვენც ელოდით მისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვას?

— რაღა დაგიმალოთ და, ველოდი.

მურა სარაღიძე, ეკონომისტი:

— საკონსტიტუციო ცვლილებების შემ-

დეგ თუ პრემიერ-მინისტრის პოსტზე სააკაშვილი მოგვევლინება, ის დაამტკიცებს, რომ პუტინის მონაფე... რაც შეეხება საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლას, არა მგონია, ქართველები ამისთვის მზად ვიყნეთ. ვფიქრობ, ისევ დიდ შეცდომას ვუშვებთ.

— რას გულისხმობთ?

— ჩვენი ქვეყანა ძალიან ბევრი საფრთხის წინაშე დგას, კონფლიქტური რეგიონებიც გვაქვს. ჩემი აზრით, ერთი მტკიცე ხელია საჭირო. გარდა ამისა, არ მესმის, როგორ გაიზრდება დემოკრატიის ხარისხი საპარლამენტო მოდელში. დღევანდელ კონსტიტუციაში საკმარისია რამდენიმე ცვლილება და სახელისუფლებო შტოებს შორის ბალანსი აღდგენილი იქნება. როგორც ჩანს, აქ ბალანსი და დემოკრატია არაფერ შუაშია, ვიღაცები ხელისუფლებას ვერ ელევიან.

ლალა ბაჟაღი, იურისტი:

— სამწუხაროდ, ახალ პროექტს არ გავცნობივარ და არც ტელევიზორებიდან მომისმენია ამ თემაზე მსჯელობა ან დისკუსია. ისე, საპარლამენტო მმართველობის იდეა ძალიან მომწონს. უპირობო მმართველი, რაც უნდა განათლებული და ცივილიზებული იყოს, მანაც ავტოკრატია ხდება. ჯობია, რამდენიმე საშუალო დონის „ტენის“ მიიღოს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, ვიდრე ერთმა ძალიან ჭკვიანმა. სხვათა შორის, ძალიან მივიჩნევ, რომ ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, როგორც კონსტიტუციის შეცვლა, საჯარო მსჯელობისა და დებატების გარეშე იღებენ. იმედი მაქვს, პრემიერ-მინისტრის პოსტზე სააკაშვილს არ ვიხილავ. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ მისი სანინააღმდეგო მაქვს რაიმე, უბრალოდ არ მინდა, ჩემი ქვეყანა საბჭოური სივრცეში დაბრუნდეს — იმ პერიოდში სომ გენერალური მდივნები პოსტზე კვდებოდნენ.

ბანანა ბულიაშვილი, ფილოლოგი:

— საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ ზოგადი ინფორმაცია მაქვს. ვიცი, რომ საპრეზიდენტო მოდელი საპარლამენტო მმართველობით უნდა შეიცვალოს, რაც ჩემი აზრით, ქვეყანას სასიკეთოდ წაადგება. ქვეყანას რომ პარლამენტის კონტროლქვეშ მყოფი პრემიერ-მინისტრი მართავს, ძალიან კარგია, მაგრამ საინტერესოა, რა მექანიზმები ექნება პარლამენტს პრემიერ-მინისტრის გასაკონტროლებლად? სურთოდ, ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი მაქვს და კარგი იქნება, თუ პრესა და ტელევიზია ამ თემას მეტ დროს დაუთმობს.

ინო სადღუაშვილი, მოლარე:

— ჩემი აზრით, საქართველოში საპარლამენტო მმართველობა ვერ გაამართლებს. ჩვენი ხასიათიდან გამომდინარე, ერთმანეთის აზრის გაზიარება და კონსენსუსის მიღწევა ძალიან გვიჭირს. ოპოზიციამ უზარმაზარი საპროტესტო აქციები უშედეგოდ იმიტომ დაასრულა, რომ შეთანხმება ვერ მოახერხეს. ქართველი ხალხი საკუთარ შეცდომებზე ვერაფერს სწავლობს და ალბათ, ერთმანეთის აზრის გათვალისწინებასაც ვერასდროს ვისწავლით. ჩვენ ერთი ძლიერი წინამძღოლი გვჭირდება. ეს ხელისუფლება, ოპოზიციისგან განსხვავებით, იმიტომაცა წარმატებული, რომ ერთპიროვნული მმართველი ჰყავს.

— ფიქრობთ, რომ ხელისუფლება წარმატებულია?

— ოპოზიციასთან ბრძოლაში ნამდვილად წარმატებულია. მან მოწინააღმდეგე ისეთ „ნოკაუტში“ ჩააგდო, რომ ხმას დღემდე ვერ იღებს. ასე მგონია, ქვეყანაში ოპოზიცია საერთოდ აღარ არსებობს.

ბურამ გოგოპირვილი, მუშა:

— კონსტიტუცია რომ იცვლება, ვიცი, მაგრამ როგორ იცვლება, ეს ნამდვილად არ ვიცი.

— მმართველობის ფორმა უნდა შეიცვალოს, პრეზიდენტის ნაცვლად ქვეყანას პარლამენტი მართავს...

— რას ამბობთ, შვილო, ყველა ერთად გაგიჟდით თუ რა ხდება? ამ პარლამენტმა ქვეყანა როგორ უნდა მართოს? მე პარლამენტის შერობას უსაქმურების „ბირჟას“ ვუძახი. დაიქცევა ქვეყანა და ეგ იქნება!

— თუ პრემიერ-მინისტრი ისევ სააკაშვილი იქნება?..

— მაგ შემთხვევაში, კიდევ არა უშავს.

— მაგრამ მას ისეთივე ძალაუფლება აღარ ექნება, როგორც დღეს აქვს ანუ მის გადაწყვეტილებებს პარლამენტი გააკონტროლებს.

— მეტი არაა ჩემი მტერი, ეგ ვინმემ გააკონტროლოს; აქეთ გააკონტროლებს პარლამენტსაც და სხვა უწყებებსაც. მოიცა, ჯერ სამინისტროების შემოვლა დაამთავროს და მათათვისაც მოიცლის. ამხელა ხელფასებს იღებენ, მაგრამ მაგათი გაკეთებული საქმე არ მინახავს. როგორც ვიცი, პარლამენტი საკანონმდებლო ორგანოა, არადა, რამდენი ისეთი პარლამენტარი გყავს, რომელსაც კანონის მიღება კი არა, მისი ნაკითხვაც არ შეუძლია. ჰგონიათ, რომ მათი უფქცია მხოლოდ ხმის მისაცემ პულტზე ხელის დაჭერაა.

ბულიკო მამაბულაშვილი, ადვოკატი:

— ამ საკონსტიტუციო ცვლილებებით აღშფოთებული ვარ. ე.ი. მთავრობასთან „გაყრა“ პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება. მათ „საქორწინო კონტრაქტში“ ისეთი ცვლილება შეიტანეს, რომ ვეღარასოდეს მოვიცილებთ.

— ფიქრობთ, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტს სააკაშვილი დააკავებს?

— დიას, ასე ვფიქრობ! რა, ვინმეს ჰგონია, ამერიკაში წავა ლექციების წასაკითხად? ძალიან არ მომწონს, როცა სახელმწიფო წყობას კონკრეტული პიროვნება ირგებს. სააკაშვილმა ხელ რომ თქვას, — საპარლამენტო მმართველობამ არ გაამართლა და აბა, ჰე, ცხვრებო, ისევ საპრეზიდენტოზე გადავიდეთო, თავისი „ქვეყნდომები“ ისე დაუთმობენ, კითხვასაც არ დაუსვამენ.

ბელა ჩაუიძე, ბანკირი:

— არ მესმის, რა საჭიროა „საპარლამენტო მოდელზე“ გადასვლა, როცა ეს ცვლილება მანაც ფორმალური იქნება?! თუ მართლა დემოკრატიის გაძლიერება გვინდოდა, პრეზიდენტისთვის შეგვეზღუდა უფლებები... ასეთ შემთხვევაში, ოპოზიციაც აღარ იტყვია, — სააკაშვილი კონსტიტუციას საკუთარ თავზე ირგებსო. ■



გაქვინი ხეხინი
 ზე სანანქანი

შინაშინა
 სანანქანი

სანანქანი
 სანანქანი
 სანანქანი



სანანქანი
 სანანქანი

ყოველ სანანქანი 1 CD

სანანქანი სანანქანი და სანანქანი
 ყოველ სანანქანი

The
Shin

სანანქანი „სანანქანი“
 სანანქანი სანანქანი სანანქანი



სანანქანი -ის **LIVE** სანანქანი
 სანანქანი, სანანქანი სანანქანი 20 სანანქანი



კინოგადაღების გამო ჩაუღილი მოგზაურობა იტალიაში

და საკურორტო რომანი, რომლის არასოდეს გავიწყდება

მოგესვენებათ, თბილისში როგორი სიციხეა და ვინც სამსახურიდან თავის დაღწევა მოახერხა, უკვე დასასვენებლად იმყოფება. გამოინაკლისები არც ჩვენი ვარსკვლავები არიან, რომელთაც ტელეფონით დაგუჯავშირდი და დასვენებაზე ვესაუბრე.

ნათია შივიძა



პირველად, მსახიობ **ლელა მუხრან-შვილს** დაუჯავშირდი და გამოკვირდა, როცა შევიტყვე — მას ჯერჯერობით თბილისიდან არ გაუღწევია...

— **ლელა, სხვა ცნობილი ადამიანებისგან განსხვავებით, შენ ჯერ ისევ ქალაქში იმყოფები. უკვე მოასწარ დასვენება თუ უახლოეს პერიოდში უნდა გაემგზავრო სადმე?**

— სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ დამისვენია, რადგან დეტექტიური სერიალის გადაღებები არ დასრულებულა და როდემდე გაგრძელდება, ისიც არ ვიცი. ამიტომ, წინასწარ ვერ ვგეგმავ, როდის წავალ დასასვენებლად. შესაძლოა, აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში წავიდე სადმე. ეს გადაღებებზე დამოკიდებულია. ისე კი დიდი სიამოვნებით დავისვენებდი, რადგან მიმაჩნია, რომ აგვისტოს დასაწყისში ადამიანები შრომისუნარიანები აღარ არიან და ჩვენს საქმეს ხარისხიანად ვეღარც ვაკეთებთ.

— **საერთოდ, უპირატესობას ზღვას ანიჭებ თუ მთას?**

— ორივე მიყვარს. თუ მეგობრებთან ერთად ვარ მთაში და კარგად ვერთობი, ამას რა სჯობს?! უბრალოდ, წელს ალბათ ცოტა ხანს მომიწევს დასვენება, ამიტომ ზღვაზე წავალ, რომ სასექტემბროდ ენერჯია მოვიკრიბო და მუშაობას დასვენებული შევუდგე. წყალი მიყვარს ძალიან და ამიტომ, ამ შემთხვევაში, უპირატესობას ზღვას მივანიჭებ.

— **საზაფხულო გარდერობის განახლებაზე უკვე იზრუნე?**

— არა, ჯერჯერობით არაფერი შეიძინა და ალბათ ვერც მოვასწრებ საზაფხულო შოპინგს. ყოფილა შემთხვევა, რომ მუშაობა დამისრულებია და იმავე საღამოს წავსულვარ დასასვენებლად. შესაბამისად, არაფერი მიყიდია. მგონი, წელსაც ასე მომიწევს, თუმცა შოპინგი ძალიან მიყვარს და ახალი ტანსაცმლის შეძენა მსიამოვნებს.

— **რომელი ზაფხული და დასვენება დაგამსახვრდა ყველაზე მეტად?**

— რა ვიცი, ვერ გამოვყოფ, რადგან უფრო წყნარი დასვენების მომხრე ვარ. მართალია, დასასვენებლად ყოველთვის მეგობრებთან ერთად მივდივარ, მაგრამ მხოლოდ ზღვაზე გავდივართ — ხმაურიან კლუბებსა და რესტორნებს ძალზე იშვიათად ვსტუმრობთ. დასამსახვრებელი ალბათ სტუდენტობის დროინდელი დასვენებები უფროა, რადგან მაშინ დილის 8 საათზე შევდიოდით სახლში, კლუბებში ვერთობოდით.

— **საზღვარგარეთ თუ ყოფილ-არ დასასვენებლად?**

— არა. წელს მინდოდა იტალიაში წასვლა, მაგრამ სამწუხაროდ, საელჩოში საბუთების შეტანა დამავიანდა, ამიტომ ამჯერადაც ვერ წავალ.

— **საკურორტო რომანებზე რა აზრის ხარ?**

— დადებითი აზრის ნამდვილად არა ვარ, რადგან არასერიოზული ურთიერთობები არ მიყვარს. მსგავსი რამ არასოდეს მქონია. თინეიჯერობის დროსაც კი ამ საკითხზე სერიოზულად ვფიქრობდი და კურორტებზე არავისთან ვაბამდი ფლირტს...

მამა ზამზახიძე:

— დასასვენებლად ჯერჯერობით ვერ მივდივარ, რადგან შესაძლოა, კონცერტები დაიგეგმოს, რომლებშიც მონაწილეობა უნდა მივიღო. ამიტომ მირჩევნია, თბილისში ვიყო. დედაჩემი და ჩემი შვილი ვანში არიან წასული და შაბათ-კვირას მე და ჩემი მეუღლე ჩავდივართ ხოლმე მათთან. ასე დასვენება არ გამოდის, მაგრამ განტვირთვის კარგი საშუალებაა. ისე, მანამდეც მე და ვახო ბათუმში ვიყავით. მართალია, იქ სულ 4 დღე გაჩერდით, მაგრამ მაინც კარგად დავისვენეთ.

— **როგორც მიგხვდი, უპირატესობას**

ზღვაზე დასვენებას ანიჭებ.

— რა თქმა უნდა. ზღვაზე ბავშვობიდან ვგიჟდები, რადგან წყალიც მიყვარს და გარუჯვაც. მთაში ყოფნა მალე მბეზრდება, იქ უფრო მონყენილობაა. თუ მეგობრებთან ერთად ვარ და კარგად ვერთობი, კიდევ შეიძლება, ცოტა ხანს გაჩერდე, მაგრამ იქაც მოვებინი ხოლმე ადგილს, სადაც გარუჯვა შეიძლება და მთაშიც ვირუჯები. ამიტომ, ჯობია, ზღვაზე წავიდე.

— **შენთვის ყველაზე დასამსახვრებელი რომელი ზაფხული იყო?**


— „იორმალაზე“ რომ ვიყავი, ის ზაფხული განსაკუთრებული იყო, რადგან უამრავი მოულოდნელი რამ მოხდა. თბილისში დაბრუნების შემდეგ ომი კი დაიწყო, მაგრამ სწორედ მაშინ გავიცანი ვახო და ის ზაფხული არასოდეს დამავიწყდება.

— **საზაფხულოდ ახალი სამოსის შექმნას თუ ახერხებ სოლომე?**

— ამისთვის ზაფხული ნამდვილად არ მჭირდება. საერთოდ, შოპინგი ძალიან მიყვარს და სულ რაღაცას ვყიდულობ. ახლაც ძალიან ლამაზი საშემოდგომო გამოსასვლელი მანსური ვიყიდე. საერთოდ, თქვენც შეამჩნევდით ალბათ, რომ ჩაცმულობის კლასიკური სტილი მაქვს და ამიტომ გამოსასვლელი ტანსაცმლის შექმნა ყველაზე მეტად მიყვარს.

— **დასასვენებლად როცა მიდინარ, რატისგანაც ისვენებ სოლომე?**

— (იციის). არა, პირიქით, რატი საერთოდ, არაფერში მიშლის ხელს. მასთან ერთად დასვენება ძალიან მიყვარს, რადგან





ქობულატი 2010

— „თუხთუხისა“ და ხალხმრავლობის საჯონი

დასასვენებელ-ტურისტული სეზონი ქობულეთში, წინა წლებთან შედარებით, როცა ომის შემდგომი ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებდა, აშკარად ხალხმრავლობით გამოირჩევა. თუკი ადრე სეზონი 15-20 ივლისიდან იწყებოდა, ხოლო დამსვენებელთა დიდი ტალღა 1-ელი აგვისტოდან გორდებოდა, ახლა მათი „შემოტევა“ ივნისსა და ივლისის დასაწყისიდანვე იგრძნობოდა. ეს კი, როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობენ, ქობულეთის აქტიური რეკლამირებითა და ქალაქსადმი ინტერესის ზრდითაა განპირობებული.

თავითა დაღაჯალი

სულ მართობს და მამხიარულებს. ზღვაზე რომ მივდიოდით მე და ვახო, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ მე და ჩემი ქმარი ვიყავით, რატის მაინც შეეთავაზე ჩვენთან ერთად წამოსვლა, მაგრამ ვერ მოახერხა. მერე სამივე, თურქეთში წასვლას ვგეგმავდით, მაგრამ არ გამოგვივიდა.

— ისე, საზღვარგარეთ თუ დაგისვენა?

— არა. საზღვარგარეთ მხოლოდ გასტროლებზე ვყოფილვარ.

— საკურორტო რომანებზე რა აზრის ხარ?

— ძალიან მსიბლავს მსგავსი ამბების მოსმენა. როცა გასათხოვარი ვიყავი, ასეთ სიტუაციაში არ აღმოვჩნდილვარ, მაგრამ სხვები რომ მიყვებიან თავიანთ თავგადასავალს, სიამოვნებით ვუსმენ. ისე, შეიძლება, ჩემი და ვახოს სიყვარულსაც საკურორტო რომანი დაერქვას, რადგან იურმალიდან ჩამოსვლის შემდეგ, ცხვარიჭამიაში ვისვენებდი და ვახოც სწორედ იქ გავიცანი. მერე ხშირად მაკითხავდა და ასე დაიწყო ჩვენი „სიყვარულობა“, რომელიც ოჯახის შექმნით დაგვირგვინდა. მგონია, რომ თუ საკურორტო ფლირტი ოჯახის შექმნით არ დაგვირგვინდება, იმ ადამიანებს ეს ამბავი ცუდად მაინც არ გაახსენდებათ; კარგი დასამხსოვრებელია და არა მგონია, ეს ვინმეს დაავინყდეს...

წინი ძარსკალაძე:

— დასასვენებლად უკვე ვიყავი და ორიოდე დღის წინ დავბრუნდი თბილისში. ჩემი ბავშვობის მეგობარს კვარიათში აქვს სახლი, რომელსაც ივნისში 12 დღით ვესტუმრე, ამჯერად კი იქ მხოლოდ 5 დღე დავყავი. კიდევ წავალ თუ არა სადმე დასასვენებლად, ნამდვილად არ ვიცი. ჯერჯერობით არაფერი დამიგეგმავს.

— რადგან მთელი ზაფხული კვარიათში გაგიტარებია, ალბათ უპირატესობას ზღვას ანიჭებ.

— ზღვა ძალიან მიყვარს, მაგრამ დასვენება მთაში მიჩვენია, თანაც ზამთარში, გუდაურში ყოფნას არაფერი სჯობს.

— რომელიმე ზაფხული გამოირჩეულად თუ დაგამახსოვრდა?

— როგორ არა — 2007 წლის ზაფხული. დედასთან ერთად, ჯერ პარიზში გავემგზავრე, სადაც ბიძა და ბიძაშვილები დამხვდნენ, მერე კი თურქეთში გადავინაცვლე. კარგად გავერთეთ და კარგადც დავისვენეთ, ამიტომ ეს ზაფხული არასოდეს დამავინწყდება.

ბევრია უცხოელი დამსვენებელი — აზერბაიჯანელები, უკრაინელები, თურქები, რუსები და ირანელებიც კი. ბუნებრივია, სომხები ჭარბობენ. ზღვისა და ათასგვარი გასართობის გარდა, ისინი პატრულის მუშაობით არიან მოხიბლულნი. მათგან შევიტყვე — თურქეთ-ერთ-ერთი ქართული დელეგაციისთვის სომხეთში, სადაც ჯერ კიდევ ძველი „გაიშნიკები“ დადიან, რამდენიმე „საჩვენებელი“ საპატრულო მანქანა გამოუყვანიათ და უთქვამთ, — აი, ჩვენც შევიძინეთ თქვენსაირიო...

პატრულისა და პოლიციელების რაოდენობა პარკებსა და გზებზე აშკარად თვალში საცემია, თუმცა პატარ-პატარა თაღლითობებსა და ჩხუბებს აქა-იქ მაინც გადაწყდებით, რის აღმოფხვრაზეც ადგილობრივი ბუნგალოების დაცვის თანამშრომლებიც ზრუნავენ.

სეზონისათვის მზადება, ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, უპირველეს ყოვლისა, ქალაქის მუნიციპალიტეტს ევალება. თბილისში ხშირად გაიგონებდით, რომ ქობულეთში გზები და ქუჩები გადათხრილია და ხალხს გადაადგილება უჭირს, რაც სიმართლეს მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება: სამანქანო გზის ის მეოთხედი, რომელიც წყალკანალის რეაბილიტაციის გამო იყო გადათხრილი, უკვე მინითაა ამოვსებული და ტრანსპორტი ჩვეულებრივად მოძრაობს. დანარჩენი სამუშაოები ზაფხულის სეზონის დასრულების შემდეგ გაგრძელდება.

ქალაქის გან-

ვითარებასა და ამ სფეროში არსებულ თუ დაგეგმილ სიახლეებზე სასაუბროდ, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, **მამია ხარაზს** ვესტუმრე.

— მოსახლეობასა და ტურისტებს ბოდიშს ვუხდით იმ მცირედი დისკომფორტის გამო, რომელიც წყალკანალის რეაბილიტაციის გამო ექმნებათ. მაგრამ არც ისეთი საგანგაშო სიტუაციაა, როგორც ზოგს ეჩვენება. სამაგიეროდ, კარგი საქმე კეთდება, რადგან ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით, ბევრი გეგმა გვაქვს. ქალაქის წყალგაყვანილობა პირველად, გასული საუკუნის 50-იან წლებში გაკეთდა, მას შემდეგ მხოლოდ მცირედი სამუშაოები ტარდებოდა და ძირითადი ქსელი მწყობრიდან იყო გამოსული.

— გამორცხველიანებაც დაიწყება?

— დიახ. თანხა, რომელიც სარემონტო სამუშაოებისათვის იხარჯება, მთლიანად მსოფლიო ბანკის გრანტს წარმოადგენს და გამრიცხველიანებასაც ითვალისწინებს. ვინც ქობულეთის წყალს მოიხმარს, მას მრიცხველი უფასოდ დაუმონტაჟდება (ლაპარაკია კერძო დასახლებებზე და არა — კომერ-

ფხესაცემლის მაღაზია „ტორალი“ გთავაზობთ

100%-იანი მასანური 14 ივლისიდან სიასლე!

ქალის, მამაკაცის და ბავშვის

ფხესაცემილების ფართო არჩევანს, ხელმისაწვდომ ფასაში, 30 ლარიდან.

მის ძეგლზე ნაგებობის გამზ.№92 (მისანთან) ტელ 77 65 82; 858 68 55 48



ციულ სექტორზე). წყლის გადასახადი სემეკის (მარეგულირებელი კომისიის) მიერ იქნება დადგენილი.

— **თუ იცით, რამდენად ხელმისაწვდომი იქნება წყლის ტარიფი? სეზონზე დამსვენებელი დიდი რაოდენობით წყალს მოიხმარს და შესაძლოა, ეს ბინის ღირებულებაზე აისახოს.**

— გეთანხმებით, შესაძლებელია, მაგრამ თუკი მოსახლე ბევრ წყალს მოიხმარს, ის თავისთავად, რაღაცას აკეთებს, — დამსვენებლები ჰყავს და ე.ი. შემოსავალიც აქვს, ამიტომ გადახდა არ გაუჭიდება. არიან ისეთებიც, რომლებიც სახლს არ აქირავენ, წყალსაც ნაკლებს ხარჯავენ და ორივე კატეგორიას თანაბარი გადასახადი რომ ჰქონდეს, არ იქნება მართებული.

— **ახლა სხვა „სეზონურ“ საკითხებსაც შევხვით: თუ იზღუდება კაფე-ბარებში ხმამაღალი მუსიკა 12 საათის შემდეგ?**

მხოლოდ ერთკლომეტრიანი ნაპირსამაგრი ზოლის გაკეთებას 2 მლნ ლარი სჭირდება



— იმ ადგილებში, რომლებიც მოსახლეობასთან ძალიან ახლოსაა, იზღუდება. ვისაც გართობა სურს, იმ ღამის კლუბებს მიაშურებენ, რომლებიც ცოტა მოშორებითაა და არც არავის აწუხებს. გეგმაში გვაქვს, ცალკე ტერიტორია გამოვყოთ და იქ ახალი კლუბები მოვანყობთ, დილაზე გართობის მოყვარულთათვის.

— **როგორც ვიცო, ცენტრალური ავტომაგისტრალი უკანა ქუჩაზე გადააქვთ. როდისთვისაა ეს დაგეგმილი?**

— ავტობანის მშენებლობის საკითხი, ტენდერების შედეგებიც და ა.შ. სექტემბრისთვის გაირკვევა. ამას ცენტრალური ხელისუფლება წყვეტს და არა — ადგილობრივი. ავტობანის მშენებლობის დასრულების შემდეგ, ყველა სატვირთო და ტრანზიტული მანქანა ქალაქისგან მოშორებით ივლის.

გამგობაში ვიზიტისას ქობულეთის ცენტრალური პარკის დერეფტორს, **თხავა პაპუნაიშვილსაც** შევხვდი.

— ბათუმის ბულვარში საქანელებ-

ის დემონტაჟი გაკეთდა და სანამ ახალ ატრაქციონებს შევიძინებთ, ისინი ქობულეთის ცენტრალურ პარკში მოვათავსეთ. იმედი გვაქვს, ახლებსაც შევიძინებთ, რაც მომავალი წლის ბიუჯეტშია გათვალისწინებული.

— **რა პრობლემებია დღესდღეობით და როგორ ზრუნავთ მათ მოგვარებაზე?**

— პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, პლაჟთან ჩასასვლელ ზოლზე ნაპირსამაგრი სამუშაოებია ჩასატარებელი. ის გაზონი, რომელზეც ხალხი სეირნობს, ნახევრად წაღებული აქვს ზღვას. გარემოს დაცვის მინისტრი დაგვიბრდა, რომ სექტემბრიდან ამ პრობლემას მოგვიგვარებენ.

— **დაახლოებით რა ჯდება ამ სამუშაოების ჩატარება?**

— მხოლოდ ერთკლომეტრიანი ნაპირსამაგრი ზოლის გაკეთებას 2 მლნ ლარი სჭირდება. ზღვამ რომ არ ჩარეცხოს, ღრმად უნდა იყოს, 18 საფეხური ჩადის მიწაში.

— **ყოველწლიურად რა თანებია გამოყოფილი პარკისთვის და რას მოხმარდა ეს თანხა?**

— წელს დაახლოებით 130 ათასი ლარი მოგვცეს მთლიანად, მწვანე ზოლისთვის. სკვერებში, პარკებში — ყველგან მერხები დაიდგა და შეიღება, ასევე — მოაჯირები. ალვადგინეთ მინისტადიონები. კორპუსებს შორის ავტოფარეხებს ვიღებთ და მათ ადგილას სკვერები, ატრაქციონები კეთდება. დიდ პრობლემას წარმოადგენს ჩვენთვის თამარ მეფის ქუჩის სანაპირო ზოლი, რომელსაც მიხედა უნდა; იქ გასაკეთებელი სამუშაოს საკითხი სექტემბრიდან გადაწყდება. მთავრობა შეგვიბრდა, რომ ბათუმის დამთავრების შემდეგ, ქობულეთის პარკის მთლიანი რეკონსტრუქცია ჩატარდება.

— **პარკში არსებული ბუნგალოები და სხვა ობიექტები რის მიხედვით იხდიან თანხას?**

— სწრაფი კვების, ნაყინის, მზესუმზირისა და სხვა წვრილმანების სარეალიზაციო ობიექტები თანხას ფართობის მიხედვით იხდიან, მნიშვნელობა აქვს აგრეთვე პლაჟთან სიახლოვეს... ბოლოს, ერთი სიახლის შესახებ მოგახსენებთ: არაბმა შეიხმა საქართველოს 10 ათასი ძირი ფინიკის პალმა აჩუქა, რომელიც ძირითადად, სანაპირო ზოლის ქალაქებს დაურიგდება. ქობულეთისთვის 1000 ცალი მოგვცეს და 15 აგვისტომდე დაირგება.

ატრაქციონების უმეტესობაზე ხალხმრავლობა შეინიშნება, მაგრამ ისეთებიც არის, რომლებსაც ბავშვები შედარებით ნაკლებად ეტანებიან.

ბიორგი სალვაში, ატრაქციონის თანამშრომელი:

— ეს ატრაქციონი ნაქირავებია. მეპატრონეს გამგობასთან აქვს დადებული ხელშეკრულება, მე ხელფასზე ვმუშაობ.

— **ხალხი ბევრია?**

— არა. როგორც ჩანს, ბევრი მინც მატერიალურ სიღუხჭირეს განიცდის, თუმცა საფასური ძვირი არ არის — 1 ლარიდან, როგორც „ციცინათელაშია“.

— **შემოსავალი რამდენად ფარავს ხარჯებს?**

— შესაძლოა, ამ სეზონზე ხარჯი და შემოსავალი თანაბარი იყოს, მოგება — ნაკლებად. საქანელაზე 20 ბავშვი ეტევა, მაგრამ 2-3 რომ დაჯდება, მხოლოდ დენის ფულს თუ ფარავს. დღეში დაახლოებით 25-30 ლარი გამოდის. იმედა, აგვისტო ნაყოფიერი იქნება.

— **ბავშვებისთვის უფასო საპრობლემები რატომ აღარ არის?**

— ისინი რომ იყოს, მერე იქ გაერთობიან და ჩვენთან აღარავინ მოვა... შუაგულ პარკში, ჯერჯერობით უწყლო შადრევანთან ერთი მსატვარიც შევნიშნე და გავესაუბრე.

ზურა მანჩიბაძე, მსატვარი:

— **ყველა, ვინც პარკში რაიმე საქმიანობას ეწევა, ფართობისთვის თანხას იხდის; თქვენს შემთხვევაში როგორაა?**

— მე ეს არ მეხება.

— **როგორია შემოსავალი?**

— დღეს მაგალითად, 1 ნახატი დავხატე, გუშინ — 3. თითქმის 3 კვირაა, აქ ვარ და ბინისა და კვების ხარჯებს თუ ვისტუმრებ, მეტს ვერ გამოვიმუშავე, არადა, ჩემს ზურგს უკან ოჯახია. 15 წელია, თბილისში ვცხოვრობ, საერთოდ კი ქუთაისელი ვარ.

— **თბილისში რას საქმიანობთ?**

— ბინების რემონტებს ვაკეთებ. აჭარაში სეზონზე ვცდილობ, ჩემი ხელოვნება გამოვიყენო. სამწუხაროდ, მსურველი არც ისე ბევრია. 10 ლარად ვხატავ, მაგრამ თუ შევატყვე, ადამიანს ხელოვნება ესმის, აფასებს და ძალიან უნდა, რომ რამე დაუხატო, ფული კი არა აქვს, 5 ლარსაც ვჯერდები.

— **კარიკატურებს ხატავთ თუ პორტრეტებს?**

— ძირითადად, კარიკატურებს, რადგან მას ნაკლები დრო სჭირდება. პორტრეტისთვის თვითონ უნდა იყოს ადამიანი განწყობილი. რაც უფრო დადებითი აურა წამოვა, მით უკეთესად დავხატავ.



ԳՆԱԿԱՆ ԿՈՒՐՏԱԿԱՆ ԳՆԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ “ԱՐՔԻՎԱԳՐԸ ԱՇԽԱՏ՝ ԳՆԱԿԱՆ ԿՈՒՐՏԱԿԱՆ ԳՆԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ”

Գրքի հեղինակը՝ Մանուկ Գրիգորյանը և Մանուկ Գրիգորյանը
ԲՈՒՅՈՒՆ Ի

Ե
Ղ
Ր
Ն
Ե
Ր

Գրքի 16 շքանշաններ 91 ցանկում

Գրքի 51 կտրուկը կարելի է կարգադրել 15 օրում



Գրքի հեղինակը՝ Մանուկ Գրիգորյանը և Մանուկ Գրիգորյանը Գրքի հեղինակը՝ Մանուկ Գրիգորյանը և Մանուկ Գրիգորյանը Գրքի հեղինակը՝ Մանուկ Գրիգորյանը և Մանուկ Գրիգորյանը




სისოცხლის ბოლოვდა საქართველოს შავჩოხიან ჭირისუფლად და რაინდად დარჩა

სამხედრო კარიერაზე ოცნებობდა; თურმე პროსიის გენშტაბის აკადემიაში სწავლა სურდა, მაგრამ... მწერალი გახდა. თანაც — ძალიან დიდი... მომავალი სუთშაბათიდან, 3 კვირის განმავლობაში, ჟურნალ „გზასთან“ ერთად, „ქართული პროზის საგანძურის“ 24-ე, 25-ე და 26-ე ტომებად ქართველების უსაყვარლესი კლასიკოსის, კონსტანტინე გამსახურდიას ტრილოგიას — „მთვარის მოტაცებას“ მიიღებთ.

ირმა ხარშილაძე

თავის 70 წლის იუბილეზე კონსტანტინე გამსახურდიას განუცხადებია: „მე დავიბადე მსოფლიოს უმცირეს და უმოკლეს მდინარის პირას. მას ჰქვია სახელად ზანა. მე მომიხდა რამდენიმე უნივერსიტეტში სწავლა ლენინგრადში, კენიგსბერგში, ლაიპციგში, მიუნხენში, პარიზში, ბოლოს ბერლინში. ყველგან და ყოველთვის მე მიხდებოდა გაჯიბრება გერმანელებთან, ებრაელებთან, პოლონელებთან, ამერიკელებთან და ფრანგებთან. არავის ვუშხელდი, მაგრამ ჩემს თავს ვეუბნებოდი: „შენ ჰეი, მსოფლიოს უმცირეს მდინარის პირად შობილი ბიჭო, არ გაჯობონ დიდი მდინარეების პირად დაბადებულთა“...

ბერლინის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მოიპოვა. მონაწილეობდა ევროპაში ჩამოყალიბებული „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ მუშაობაში. 1918 წლიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბერლინის საელჩოში ატაშე გახლდათ. ჰამბურგში 3000-მდე ტყვედ-



ოფილი ქართველი შვერიბა და სამშობლოში წამოიყვანა მის მიერვე დაქირავებულ ხომალდ „ქრისტიანითი“, თან მედიკამენტები და პირველი რადიოდანადგარი ჩამოიტანა.

მრავალგზის იყო რეპრესირებული საბჭოთა რეჟიმის დროს, ეროვნული მოღვაწეობისათვის. 6 თვე სიკვდილმისჯილთა საკანშიც იჯდა და 14 დღე იშიმშილა. შემდეგ გადასახლეს სოლოვკის კუნძულებზე, სადაც 3 წელი დაყო, ყოველდღე სიკვდილს ელოდა, მაგრამ მაინც არ გატყდა...

6 წლიდან აჩვევდა თურმე მამა ვაჟაცობას — უბელო ცხენზე შეაგდებდა და მათრახს გადაუჭერდა ხოლმე. ერთხელ კიდევ, ფეხშიშველ დედას გელათში წაუყვანია. გაოცებული შეჰყურებდა ტაძარს და დავითის ფრესკას. ასე გაუცნია პატარა კონსტანტინეს თავისი მომავალი ტეტრალოგიის — „დავით აღმაშენებლის“ მთავარი გმირი. პორტრეტით გაუცნია ილია ჭავჭავაძეც. ბევრი უცდია, ცოცხალი ენახა, მაგრამ ვერაფრით მოუხერხებია; მისი მკვლელობის ამბავი რომ შეუტყვია, ფიცი დაუდვია და მთელი სიცოცხლე კიდევ უბრძოლია ილიას მკვლელების წინააღმდეგ...

კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალების შემდეგ მერაბ კოსტავას თავის „გამოსათხოვარში“ მოუყოლია: 20-იანი წლების თბილისის ქუჩებში კონსტანტინე და მისი მეგობრები შავი ჩოხით დადიოდნენ ეროვნული გლოვისა და პროტესტის ნიშნად. სერგო ორჯონიკიძეს მუქარით შემოუთვლია, — შავი ჩოხით სიარულს თავი დაანებებო, — კონსტანტინეს კი უპასუხია: ჩემს ჩოხასთან შენ რა გესაქმება, ჩემი ქამარი შენ ხომ არ გიჭერს წელზეო!.. ამის შემდეგაც ხშირად ჩაუქროლებდა ხოლმე, ცხენზე ამხედრებული, შავჩოხიანი კონსტანტინე ცეკვას შენობას. სხვები აიძულეს თურმე, შავი ჩოხით აღარ ევლოთ, კონსტანტინე



გამსახურდია კი სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს შავჩოხიან ჭირისუფლად და რაინდად დარჩა...

ალბათ ბევრს გახსოვთ მწერლის რომანების — „დიდოსტატის მარჯვენისა“ და „მთვარის მოტაცების“ მიხედვით გადაღებული ამავე სახელწოდების ფილმები. „შორენა ჩამოვიდა



კედლიდან, სატაური ფარჩის კაბა ეცვა შავი, ოქროსფერი თმები გადმოღვრილიყვნენ მხრებზე, მოდიოდა ყაყაოების ველზე, თავთუხის თაველებს ესროდა უტას... სილამაზეს თუ არ ვიგულისხმებთ, სრულიად არ ჰგავდა გამსახურდიასეულ შორენას ქალბატონი ლალი ბადურაშვილი, მაგრამ კოლონკელიძის მხოლოდშობილი ასულის როლი სწორედ მას ერგო.

ფილმისთვის მსახიობების შერჩევა რომ დაუნყიათ, რეჟისორ ვახტანგ ტაბლიაშვილს ქალბატონი ლალი მეუღლესთან ერთად სადილად „ივერიაში“ მიუწვევია — გადამღები ჯგუფი შეეკრიბათ და ბატონი კონსტანტინე და მისი მეუღლე, ქალბატონი მირანდაც იქ ყოფილან. ლალი ბადურაშვილი იხსენებს: „სუფრასთან მხოლოდ ორი ქალი ვისხედით. კვლავ ფილმზე ლაპარაკობდნენ. უცებ ბატონმა კონსტანტინემ თქვა: შორენას ნუ ეძებთ, შორენა აქ ზისო. ჩემთვის ისეთი მოულოდნელი იყო, მივუბრუნდი და, ჩემდა სამარცხ-



როგორ ცხოვრობენ დევნილები საკუთარი სახლ-კარიდან ერთი ხელის გაწვდენაზე

„აფხაზეთში ჯერ კიდევ 1990-იანი წლებია...“

„აქედან ვხედავ და ვგრძნობ, როგორ ამოდის და ჩადის მზე ჩემს ეზოში... ზოგჯერ მგონია, რომ ჩემი სოფლის ძაღლების ყფაც მესმის და მაშინ იქ ვარ მთელი გულითა და სულით. თითქოს იქ მიღამდებოდა და — პირიქით... ამას წინათ მესაზღვრე ბიჭებს ვთხოვე, — იქ, გაღმა დურბინდით გადაამახედეთ-მეთქი. — იქ თქვენთვის საინტერესოს ვერაფერს ნახავთ, ბაბუო... ვიცი, რომ ჩემი სახლისგან მხოლოდ კედლები და საკვამური დარჩა, მაგრამ რა ვქნა, გული ვერ ისვენებს, მაინც მინდა, სიკვდილამდე ერთხელ მაინც ვნახო ჩემი ნასახლარი. მე-ზობლებმა მითხრეს, უკანა მხარე გადარჩენილია, რუსებმა გადასურეს და იქ სამზარეულო აქვთ მოწყობილი“, — მიაშობს თვალცრემლიანი, ჯოხს დაყრდნობილი მოხუცი. იმ ხელით, რომლითაც მზეს იჩრდილავდა, თვალებში ჩამდგარი ცრემლებს ინმენდს და გაბზარული ხმით დასძენს: ანაკლიის ზღვაში აფხაზეთის ცა ირეკლებაო...

ლალი პაპასკირი

ზღვისპირეთში ჩასახლებული დევნილების ნაწილს მინის ნაკვეთი აქვს. იქ ფიცრულიც ჩაუდგამთ და იქვე მოყვანილი ბოსტნეული თავის სარჩენად ჰყოფნით. დანარჩენები გარე ვაჭრობით არიან დაკავებული. ეს საქმე, როგორც დანარჩენ საქართველოში, აქაც სარფიანია. განსაკუთრებით, ზაფხულში, როცა მთელი ანაკლიის ნაპირი (იქაურობას პლაჟი ჯერჯერობით არ შეიძლება დაერქვას) სავსეა დამსვენებლებითა და... ნაკვეთი... ეს ერთი შეხედვითაც თვალში მოგხვდება, ვინაიდან სადაც ქართველია, იქვე ნაგავიც ყრია... გასარუჯად გამოფენილ ხალხს თავის მართლებაც არ უჭირს: ურნები არ არის და აბა, ნაგავს სახლში ხომ არ წავივებთო...

82 წლის ზურა ანაკლიაში უკვე 16 წელია, ცხოვრობს, სახლიც აქვს და ეზოც. საკუთარი ხელით აშენებულ ფიცრულში აფხაზეთის სახლიდან ჩუმად წამოღებული კარი ჩამოკიდა... შვილ-

იშვილები ანაკლიაში დაიბადნენ და გაიზარდნენ. მოხუცმა გულისტკივილით დასძინა, — უკან დაბრუნების სურვილი მაინცდამაინც არა აქვთო. შვილები მუშაობენ. ზუგდიდში სურსათის მაღაზია აქვთ და შემოსავალი, ასეა თუ ისე, ჰყოფნით, მაგრამ მოხუცმა ოთხ კედელშია ვერ გაძლო, წლების განმავლობაში დაგროვილი ფულით მინის ნაკვეთი იყიდა და მუშაობას გულს აყოლებს.

— ამ სოფელში უამრავი ჩემნაირი ცხოვრობს... არ მინდა, ის სტატუსი ვახსენო, რომელსაც უკვე წლებია, გვეძახიან. საღამოობით მეზობლები მიწდორში ვიკრიბებით და ნარდს ვთამაშობთ. მე საუკეთესო მოთამაშეს მიწოდებენ, — არ ვიცი, სპეციალურად აგებენ ეს ოხრები, გული რომ არ დამწყვიტონ, თუ მართლა არ იციან თამაში... გაზაფხულზე რომელიღაც ამერიკული ორგანიზაცია გვეტუმრა რამდენჯერმე. ერთი თანამშრომელი ჰყავთ, რა ჰქვია?.. (მოხუცი ჩვენ გარშემო შემოკრებილ ადგილობრივებს

ვინოდ, ასე მივმართე: ბატონო კონია, თქვენი შორენა ზღვისფერთვალე-ბა და ოქროსფერთმიანია, მე კი სრულიად განესხვავებები მისგან-მეთქი. უცნაურად შემომხედა და... კონია არ ვარ, მე კონსტანტინე ვარო, — შემისწორა. ეს ცხოვრებაში არ მავიწყდება. მერე კი დააყოლა: ფილმი მაინც შავ-თეთრია, ფერი არ გამოჩნდება. ლალიში არის ის, რაც შორენაში მთავარია — იგი მთლიანად ბიბლიურიანო. ასე შემაფასა და ამით ძალიან ვამაყობ. სხვათა შორის, მერეც ეკითხებოდნენ ბატონ კონსტანტინეს, — მაინცდამაინც ლალი რატომ აირჩიე? — და უკვე გაბრაზებით პასუხობდა: იმიტომ, რომ ამ თანამედროვე თხებს არ ჰგავსო“.

თვითონ გადაღებებს არ ესწრებოდა თურმე, მხოლოდ გადაღებულ მასალას ეცნობოდა გზადაგზა. საკუთარი ხელით რომ აჭმევდა და არავის ანდობდა, იმ შვილის გადაღების ნებაც დაურთავს, — შორენას რომ ნებებოდა დასდევს, ბატონი კონსტანტინეს შეველია. ქალბატონი ლალი 10 დღის განმავლობაში დადიოდა თურმე კოლხურ კოშკში და აჭმევდა ნებიერას, რომ შეეჩვია. ძალიან კმაყოფილი ყოფილა, პერსონაჟები ფილმში მისი ტექსტით რომ ლაპარაკობდნენ, არადა, ზოგიერთი კინომცოდნე სწორედ ამის გამო ედავებოდა ვანტანგ ტაბლიაშვილს...

გამასახურდიას ამაღლებული, ოდნავ არქაული, ლექსივით მწყობრი სამწერლო ენა და სტილი ბევრმა შეიყვარა. ამიტომაც ასწავლიდნენ ლექსივით ზეპირად „დიდოსტატის მარჯვენიდან“ ნაწყვეტებს...

აკაკი ბაქრაძე გამსახურდიას იმ ადამიანს ამსგავსებდა, შინ რომ პური მიჰქონდა და უკან ქოფაკი მისდევდა, ამიტომ იძულებული იყო, დროდადრო ნაგაზისთვის პურის ნატეხი გადაეგდო. ასე უყრდა მწერალი საბჭოთა ხელისუფლებას თავის ნაწარმოებებს: „ბელადს“, „ვაზის ყვავილობას“, ნარკვევებს, რომ დაწერილიყო „დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“...

კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებები ძალიან ბევრ ენაზეა თარგმნილი, იმავდროულად თვითონ გახლდათ შესანიშნავი მთარგმნელი დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“, გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნება-ნის“ და სხვა მრავალი ნაწარმოების...

გამორჩეულად დიდ მწერალს თავისი 80 წლის იუბილეზე უთქვამს: არც დიდხანს სიცოცხლე ვარგებულაო და უკანასკნელ განსასვენებლადაც გამორჩეული ადგილი შეირჩია: საკუთარი სახლის, კოლხური კოშკის ეზო.

სიხლე! ავეჯის მაღაზია „ლუი XV“ გთავაზობთ:

ტყავის და ხავერდის ბალბიურ საძეულეებს დაბალ ფასეაში

200-დან 2000- ლარამდე

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 149/2 (მ. ბავშვთა)

ტელ: 77 65 82; 858 68 55 48



მიუბრუნდა. — იოჰანიო, — უპასუხეს, მაგრამ ხელი ჩაიქნია. — ავტ.) მე იონას ვეძახი და მშვენივრად ვსაუბრობო... ამას წინათ ნარდის თამაში ვასწავლე და გახარებული იყო. ახლა არყის გამოხდა უნდა ვასწავლო: იმ დღეს მომისწრო, რომ ვხდიდი და მისი თარჯიმნის წვალების მიუხედავად, მაინც ვერაფერი გაიგო... მერე კი სინანულით მითხრა, — რა ჭკვიანი და მშრომელი ხალხი ხართ ეს ქართველები და ცოტა უკეთესი ეკონომიკა რატომ არ გაქვთო?... მერე თვითონვე გამცა პასუხი, — დამოუკიდებლად არსებობის ძალიან მოკლე პერიოდი გაქვთო. ეს კაცი აფხაზეთშიც ხშირად დადის და სულ მეუბნება, თქვენ ბევრად წინ ხართ, ვიდრე ისინი და კარგა ხანს ვერ დაგწვევიანო. ამას რომ ვამბობ, ბევრს უაზროდ ოპტიმისტი ვგონივარ და ჩემს იმედიან განწყობილებზე ეცინებათ, — 200 წელს იცოცხლებო... შვილი იმ ომს შევწირე, ჩემი ახალგაზრდობის ნაწილები დავკარგე და ყველაფერი ნულიდან დავიწყე, მაგრამ ცხოვრებას იმედით ვაგრძელებ, იმედი რომ დავკარგო, მოკვდები...

მარტო ცხოვრება არ გიჭირთ?

— იონამაც ეს მკითხა, მაგრამ მარტო თითქმის არა ვარ — მთელი დღე ხალხი ტრიალებს ჩემთან. ღამე კი მძინავს მარტო, მაგრამ შევეჩვიე, ბაბუ. დავწვები და ათას რამეზე ვფიქრობ — ომზე, მშვიდობაზე, სიცოცხლეზე, შერიგებაზე, რომელიც გარდაუვალია... თავი როგორღაც გამაქვს. კვირაში ერთხელ, მორიგეობით, შვილები მაკითხავენ. გარდა ამისა, სტუმრებიც მყავს, ზოგი უცნობი, ზოგი — ნაცნობი... ანაკლიაში უამრავი რამე კეთდება, პოდა, ქუჩაში გავდივარ და მიუშებს ველაპარაკები. მეზობლებმა მითხრეს, 7 აგვისტოს პრეზიდენტი უნდა გვესტუმროს და იმიტომაც ჩქარობენ გზების მოწესრიგებასო. უნდა ვნახო ჩვენი პრეზიდენტი.

რატომ? რამე უნდა უთხრათ?

— კი... თუ მიმიშვეს იქამდე, ვეტყვი. ვიცი, რომ ხალხი უყვარს და ხალხსაც უყვარს, ამიტომაც ჩემს გულიანკვილის გაფუზიარებ... პენსიისა და დახმარების მომატებაზე ლაპარაკით არ შევანყენ თავს, ვეტყვი, რომ რასაც აკეთებს, ისე გააგრძელოს და აფხაზები თვითონ შეგვეხვეწებინან, თქვენთან გვინდაო... ჩვენ ვიცით ერთმანეთის ხასიათი. ძალიან კი მალავენ და ასაიდუმლოებენ, მაგრამ ჩვენამდე მოვიდა ხმები, რომ თითქმის მშვიდები არიან. ამას წინათ ერთ აფხაზს ველაპარაკე,



ნი რამის წამოღება შეძელი, ერთი პარკიც წამოიღე, რა, ჩაყარე ეს ნაგავი და სადმე კუთხეში დადე! გახედეთ, აქაურობა რას ჰგავს...

თქვენს შვილიშვილებს აფხაზეთის დაბრუნების სურვილი თუ აქვთ?

— აქ დაბადდენ და იზრდებიან. რომ გითხრათ, ჩემსავით იმის იმედით ათენალებენ-მეთქი, არ ვიქნები მართალი, მაგრამ როცა ჩემი იქაური მეზობელი სახლის ამბებს მიყვებოდა, შვილიშვილმა მითხრა, — აქ სასახლე რომ ავაშენოთ, ბაბუ, იქ მაინც დავბრუნდებიო.

ლინა, 45 წლის:

— სანამ ადმინისტრაციულ საზღვარზე კონტროლს გაამკაცრებდნენ, ჩემს სახლში გადავდიოდი. იქ ჩემი დედამთილი მარტო ცხოვრობს. დედა აფხაზი ჰყავდა, აფხაზური ენა იცის. თუმცა ახლა ამას უკვე არაფრად აგაძებენ — ამას მაშინ ჰქონდა მნიშვნელობა, როცა იქაურების ბატონ-პატრონი აფხაზები იყვნენ, ახლა ისინი რუსების ყმები არიან, ჩვენი ხალხი ვინ გამოდის, არ ვიცი... იქ რომ გადავდიოდი, რამდენიმე დღე ვრჩებოდი, ხან თხილს ვაგროვებდი, ხან სიმინდის ალებში ვეხმარებოდი... იქიდან ბოსტნეული, სიმინდი, თხილი, ციტრუსი და რძის ნაწარმი გადმოქონდა და ოჯახს ვე-

მარებოდი. მეუღლე წლების წინ გარდამცვალა და ობლებს მარტო ვზრდი. როცა გალში მივდიოდი, აქედან ქალები მიმყავდა, რომლებიც დღეში 10 ლარად იქაურების თხილის პლანტაციაში მუშაობდნენ. ახლა ამის გაკეთებას ვერაფერ ბედავს: ძალიან დაიძაბა სიტუაცია. რუსებს უთქვამთ, — ისეთი უცნაური ხალხი ხართ ეს ქართველები და აფხაზები, რომ არც მტრობა იცით და არც მოყვრობა; რახან ერთმანეთის მოყვრობა არ გჭირდებათ, მტრობას ჩვენ გასწავლითო... ახლა მინის გადასახადი გააძვირეს. იცით ალბათ, რომ ადრე თხილის შემოსავალსაც გვიბერავდნენ, ახლა უფრო გაძვირეს — ანუ, თუ ადრე შემოსავლის მეხუთედი მიჰქონდათ, ბოლო დროს მეოთხედი მიაკეთ. ბალაფის ბრძანებაა — „საქართველოს საზღვარი“ მკაცრად გაკონტროლდეს და თუ ენ. მესაზღვრეებს სადმე გადავეყარეთ, პირწმინდად „გაგავსუფთავებენ“. მსგავსი შემთხვევა რამდენჯერმე მქონია და ერთ დღესაც თვეში სამჯერ სიკვდილისთვის თვალეში ყურება მომბეზრდა. ახლა აფხაზეთში გადასასვლელად 3-დღიან „სტუმრის სტატუსს“ ვინერ, რომელიც 6 ლარი ღირს და ისე ჩავდივარ. დევნილები მას „პროპუსკს“ ვეძახით. ბოლოს რომ ვიყავი

ჩასული, ჩემს დედამთილს საჭმელი გადანახული ჰქონდა, — საცოდავი რუსი ბიჭები უნდა მოვიდნენ და ვაჭამოო. გადავირიე, — რას ამბობ, ვინ რუსი ბიჭები-მეთქი? — ცოდვები არიან, შვილო, აბა, რა, ამას წინათ მოვიდნენ და მითხრეს, — „ბაბუშკა“, რამე გვაჭამე, 1 კვირაა, მარტო „პერლოკვაზე“ ვართო. თუ არ აჭამა, მოჰპარავენ ან წაართმევენ და ისევ ტაბილი ენით ჯობია მათთან საუბარი... ჩვენს ქუჩაზე უკვე დანგრეულია რამდენიმე ქართველის ცარიელი სახლი — ხელს გვიშლისო, უთქვამთ. სოფლის ცენტრში მდებარე სასაფლაოს ბედიც გაურკვეველია: ამბობენ, მას დახურავენ და მალალ გალავანს შემოავლებენო... თუმცა გავრცელდა კიდევ ერთი ვერსია, რომლის თანახმადაც, მათ უკვე მიმართეს მოსახლეობას მოთხოვნით, — მიცვალებულები სხვა ადგილას გადასვენეთო. არ ვიცი, თავიანთი საქმისა თვითონ იციან, მაგრამ დაუცველობის სიძლიერეში ყოველდღიურად უფრო მწვავედება, ადგილობრივები ჰაერში გამოკიდებული რჩებიან და მათი ნანილი ამას შეგუებულია: თუ ჭკვიანად იქნები, არაფერს გერჩიანო. მეტს რაღას უნდა გერჩოდნენ, დალოცვილო? შესს სახლში ისინი არიან უფროსები!



ნოღარი, 43 წლის:

— ოჯახი აქეთ მყავს, მაგრამ ენ-გურს გაღმა მოხუცი მშობლები მყავს და ვერ ვტოვებ. ამიტომ, უფრო იქით მიწევს ყოფნა. ბოლო დროს ჩვენი და აფხაზების ცხოვრების პირობები ძალიან გაუარესდა. რუსები დროებით მოსულეს და ცოტა ხნით გამჩერებლებს არ ჰგვანან — ყველაფერს მკვიდრად და საფუძვლიანად აშენებენ. კი ხვდებიან აფხაზები, მაგრამ არაფერი რომ აღარ გამოუვათ, ესეც იციან. საქართველოს მთელი მსოფლიო იცნობს, პლანეტაზე ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი — ამერიკის სახელმწიფო მისი აშკარა პარტნიორია და მაინც არ დაინდო რუსეთმა და ჩვენ ერთ დღეში რომ ჩაგვყლაპოს, ხმის ამომღებიც არავინ გამოჩნდება.

— აფხაზები შეიარაღებულ დაპირისპირებას არ გამოორცხავენ?

— იქ უკვე დაწყებულია შეიარაღებული დაპირისპირება, ოღონდ ამას მასობრივი სახე არა აქვს. თუმცა დროდადრო, რუსი ჯარისკაცების დახოცვა ლამის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. როცა უფრო ხმაურიანი შეტაკება ხდება, სეპარატისტული ხელისუფლება ყველაფერს ქართულ სპეცსამსახურებს აბრალებს. ეს მათთვის საუკეთესო ახსნაა, თუმცა თავადაც კარგად იციან, თუ რა ხდება სინამდვილეში... რაც შეეხება ღია დაპირისპირებას: აფხაზები ხშირად ამბობენ, რომ რუსეთი ზღვისპირა რეგიონში „ჩეჩნეთს გაიმეორებს“, მაგრამ აფხაზებს არც შეიარაღება აქვთ ისეთი, რომ თუნდაც რამდენიმე დღე პარტინაზული ბრძოლები აწარმოონ, და არც გამბედაობა, რომ ამ რისკზე წავიდნენ. მთელი აფხაზეთი საკვება რუსული სამხედრო ნაწილებით და 2 საათი სრულიად საკმარისი იქნება იქ „ნესრიგის დასამყარებლად“... რუსი ტურისტები 1990-იან წლებში არ ტოვებდნენ იქაურობას და საკუთარი თვალთ მინახავს, როგორ ირუჯებოდნენ პლაჟზე, გვაშების გვერდით, ახლა კი მით უმეტეს აღარსად წავლენ... უკვე ღიად ლაპარაკობენ, — რად უნდა ამ ნახევრად ველურ ხალხს ასეთი ადგილი? უჩვენოდ მაინც ვერაფერში გამოიყენებსო!.. აფხაზები ჯერჯერობით დუმან, — ქართველების წინააღმდეგ ბრძოლისას რუსები დაგვეხმარნენ, მაგრამ რუსების წინააღმდეგ ქართველებს ველარ დავისმართ და არც არაფერი გამოვა. ჯერჯერობით დინებას მიჰყვებიან... არავინ დაიჯეროს, რომ აფხაზეთი ააყვავებს და ააღორძინებს რუსებმა, იქ ჯერ კიდევ 1990-იანი წლებია — ომის შემდგომ დარჩენილი ორმოები გზებზე, მოუწესრიგებელი კომუნიკაციები და წარმოუდგენელი სიძვირე...

ფრთხილად — ზღვა მსხვერპლს ითხოვსო!..

ზღვისპირა ქალაქებში დამსვენებელთა სიმრავლეა. ურეკის მცხოვრებლები ამბობენ, რომ ამდენი დამსვენებელი არასდროს ახსოვთ. აქ ზღვა ღრმა არ არის, მაგრამ ამბობენ, — საჭიროა სიფრთხილე, რადგან ზღვის ფსკერში ჭებია და ფეხი თუ ჩაგივარდა, იქიდან თავის დაღწევა ძნელიაო. მოისმენთ ასეთ ფრაზასაც: მიქცევა დაიწყო, ზღვა მსხვერპლს ითხოვს და ამის შემდეგ დაწყნარდებაო...

თბა სურსილაა

ეს ფრაზა ამ დღეებშიც ისმოდა: მსხვერპლი იპოვა, საწყალი გოგო წაიყვანა და ზღვაც დამშვიდდაო. 18 წლის თეონა ხოზრევანიძე 30 ივლისს ზღვაში დაიხრჩო, მისი ცხედარი მაშველებმა მეორე დღით იპოვეს. ყველა შეძრა გარდაცვლილის დედისა და ახლობლების განწირულმა მოთქმა-გოდებამ. თეონა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ხაჟალიას მკვიდრი იყო. ის სანაპიროზე სიმინდით ვაჭრობდა. დაღლილმა და სიცხისგან შეწუხებულმა გაგრილება გადაწყვიტა. იმ ადგილას ბანაობდა, სადაც ზღვას მდინარე უერთდება და მაშველები არ დგანან. თეონა ხოზრევანიძე მეთევზეებმა შენიშნეს, დახმარება სცადეს, მაშველებიც გამოიძახეს, მაგრამ გადარჩენა ვერავინ შეძლო. ახალგაზრდა ქალს პატარა შვილი დარჩა: „გაიგეთ, ხალხნო, ჩვენი მესიმიინდე გოგონა რომ დაიხრჩო? საწყალი გოგო წვალობდა. ყველას გვიჭირს, შვილო, თორემ ვის უხარია ამ პაპანაქება სიცხეში სიმინდის და პროდუქტების წინ და უკან ტარება?! რა ვქნათ, სხვა გამოსავალი არ არის და პურის ფული შეგვაქვს სახლში... თეონა 15 წლის გათხოვდა, ოჯახი ჰყავდა, პატარა დარჩა, უჭირდა, სოფლიდან დადიოდა სავაჭროდ. ეტყობა, დასცხა და გაგრილება გადაწყვიტა. გული გვეწვის ყველას. ნაპირზე იპოვეს ვედრო, რამდენიმე ტარო სიმინდი ჰქონდა დარჩენილი და 12 ლარი ნავაჭრი“, — გვითხრა ერთ-ერთმა მოვაჭრემ...

ურეკში სკუტერები ნაპირთან ახლოს დადიან, ამის გამო დამსვენებლები წუხან. შარშან რამდენიმე შემთხვევა იყო, როცა სკუტერმა ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. კიდევ ერთი უბედური შემთხვევა ურეკში უკვე 2 აგვისტოს მოხდა. ამჯერად 3 წლის ბეთქილ ქურას-



ბედინას, რომელიც ნაპირიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით ბანაობდა, სკუტერი შეეჯახა. დაშავებული მამაკაცი სასწრაფოდ, ბათუმის პირველ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მას თავის ქალის ტრავმა აქვს. ექიმები მისი სიცოცხლის გადარჩენას ცდილობენ.

2 აგვისტოს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ აჭარისწყალში, მდინარე ჭოროხმა თურქეთის მოქალაქე, 23 წლის სელიმ ბაქირჯი გაიტაცა. როგორც ირკვევა, თურქეთიდან ჩამოსული სპეციალური ჯგუფი წყლის სიღრმეს იკვლევდა; დინებამ ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი გაიტაცა. ამბობენ, რომ მან ცურვა არ იცოდა.

1-ელ აგვისტოს კი უბედური შემთხვევა თბილისში, გლდანის ტბაში მოხდა. წყალში საბანაოდ, 11 წლის ჯონი ჯიქიძე შევიდა. ბიჭუნა წყალში იხრჩობოდა, შვილიშვილის საშველად 73 წლის როინ ხატიაშვილი შევიდა ტბაში და თავად დაიღუპა. ბიჭუნა თვითმხილველებმა ამოიყვანეს და იაშვილის კლინიკაში მკურნალობს. ექიმების თქმით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. სავარაუდოდ, ბაბუის გარდაცვალების მიზეზი გულის შეტევა იყო.





ზაფხული კახეთში: იდუმალი ქვაბის სროლა, ატმის მოსავალი და პიცა მწვადის ნაცვლად



სამსახურიდან რედაქტორს ორი დღით გავეთავისუფლე და თბილისის სვატს გავერიდე. გეზი კახეთისკენ, ჩემი დედუღეთისკენ ავიღე. დედა გურჯაანის რაიონის სოფელ კალაურიდანაა და შესაბამისად, მეც მთელი ბავშვობა იქ მაქვს გატარებული. ამიტომაც კახეთი განსაკუთრებულად მიყვარს. მით უფრო, ასეთ დროს, როცა კახელები მოსავალს იღებენ და აბინავებენ.

ნათია ჟივიძა

სოფლის ბირჟას გავცდი თუ არა, ძახილი მომესმა: „კორექსონდენტო ნათია, როგორა ბრძანდებით?“ უკან მივიხედე და სოფლის ცნობილი ექიმი (მიცვალებულებს ბალზამირებას უკეთებს) მიშა დავინახე. ჩემმა ბიძაშვილმა მიაძახა, — ეს „კორექსონდენტო“ საიდანღა მოიტანეო?..

— მაი, მე სახელით აღარავე მომმართავს, ყველა „მიშა ექიმს“ მეძახის და უნდა მეწყინოს?!. — იკითხა გაოცებულმა. მიშა დავამშვიდე და ვუთხარი, რომ არაფერიც არ მწყენია და მოსავლის ამბავი ვკითხე.

— მე, გენაცვალე, მარტო ატამი მაქვს. მოსავალ არ ვუჩივით, არა უშავდა რა. აი, დღეი დავკრიფე და ახლა ამი თბილისში გავყიდი, — მომახსენა ექიმმა. წარმატებები ვუსურვე და ჩვენი უბნისკენ გავეშურე.

საერთოდ, ჯანიაანთ უბანი (ძირითადად, ჯანიაშვილები ცხოვრობენ) მხიარული, სიმღერის ნიჭით დაჯილდოებული და ხმაურიანი ადამიანებით გამ-

ოირჩევა, მაგრამ ისეთი სიწყნარე დამხვდა, ლამის გული გამისკდა. ბიძაჩემის ოჯახშიც მხოლოდ ბიძაშვილი იყო; ჩვენებიც და უბნის სხვა მცხოვრებლებიც „ბოლოზე“ (ანუ სოფლის ბოლოს), „ატამში არიანო“, — მითხრა და მაშინვე სოფლის ამბების მოყოლა დაიწყო. უცნაური რამ მიაბო: თურმე კვირაცხოველში (იმ დასახლებას ჰქვია, სადაც კვირაცხოველის სალოცავია) რამდენიმე ლამის განმავლობაში ვიღაც გაურკვეველი პიროვნება ქვებს ისროდა, ამ უბანში აბსოლუტურად ყველა სახლის ფანჯარა ჩაამსვრია და ადამიანებისთვის ზიანის მიყენებასაც არ ერიდებოდა. ბევრ კალაურელს გაუტყდა თავი და სხეულის სხვა ადგილებიც დაუზიანდა. რასაკვირველია, იქაურმა მცხოვრებლებმა პატრული გამოიძახეს, მათ კი თბილისიდან სპეცრაზმის ხუთეული მოიწვიეს და რამდენიმე ლამით, კვირაცხოველის მიმდებარე ტერიტორიაზე განალაგეს. პირველივე ღამეს, ქვების სროლა კვლავ დაიწყო, მაგრამ მაინც ვერავინ გაარკვია, თუ ვინ ან საიდან ისროდა ქვებს...

ამ ამბავს გაოგნებული სახით ვისმენდი, როცა ჩემს მოსაზრებულად, მიშა ექიმის ცოლი, თამრიკო ბიცოლა შემობრძანდა. თბილი მოკითხვის შემდეგ, თამრიკომ ცოტა ნაწყენი კილოთი მითხრა: — ჩვენზე რომ წერ და ამ კახელებ რო გვაშაყირებ, არა გრცხვენია?! აქ არა ხარ გაზრდილი?

— რატომ გაშაყირებთ, რა დაგწერე ტყუილი?

— არა, შვილო, ყველაფერი სიმართლე ეწერა, მაგრამ ეგრე საქვეყნოდ უნდა მოგვჭრა თავი?!

— ახლა იმასაც დაგწერ, რომ ჩემი სიმართლის თქმა არ მოგწონს...

— უი, დადუნდი! — მითხრა და ხელი ისე ჩაიქნია, მივხვდი, გულისხმობდა, — შენთან ლაპარაკს აზრი არა აქვსო.

სალამომდე უბანში არც ერთი კაცი რომ არ გამოჩნდა, ბიძაშვილს ვთხოვე, ბირჟაზე გამომყევი, იქნებ, ვინმე ვნახო; მაინტერესებს, მოსავლის ამბავი როგორ არის-მეთქი. ვინმე კი არა, ნახევარი სოფლის კაცები იქ იქნებიან, რადგან ატამს

იქ ყიდიან, მეორე ნახევარს კი დაკრეფილი ატამი თბილისში მიაქვს და იქ ყიდისო, — „გამანათლა“ ნათიამ. მართლაც, ბირჟაზე უამრავი მამაკაცი შეკრებილიყო და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. იქვე, გამგებობის შენობის გვერდით საკმაოდ მსხვილშრიფტიანი აბრა შეენიშნე, წარწერით: „სანაპიროს ცოცხალი ლუდი“. „სანაპიროსი“ — გასაგებია, „ცოცხალიც“ გამიგია, ოღონდ — თევზი, მაგრამ ეს „ცოცხალი ლუდი“ რას ნიშნავს, მაინც ვერ მივხვდი...

სამწუხაროდ, კალაურელებს ლუდის დასაღვებად არ ეცალათ და ბარი ცარიელი იყო. გლეხებს მივუახლოვედი, ვუთხარი, რომ ყურნალისტი ვარ და საუბარი მინდოდა. ერთმანეთს ჩუმად რაღაც გადაულაპარაკეს. მერე შევებში შემოსილ კაცს მიმართეს: მოდი, ბიჯო, შენ დეელაპარაკე — ცოტა დალაგებულად ილაპარაკებო. მას უარი არ უთქვამს. მომიხლოვდა და მკითხა:

— რა განიტერესებს, გენაცვალე?

— პირველ რიგში, თქვენი ვინაობა მაინტერესებს. გაგვეცანიო, ვინ ბრძანდებით?


— მე ტაჰამატაი მეძახიან, აბა, რა ვიცი... ეს სახელგამოცვლით არის. ადრე ფეხბურთელი იყო ასეთი, რომელიც ძალიან მიყვარდა და მას მერე ასე მეძახიან. მე სხვა სახელ არა ვიღებ, მაგრამ თუ გინდა, ჩაინერე, პასპორტით გიორგი პაპოშვილი ვარ.

— ბატონო გიორგი, წელს როგორი მოსავალი გაქვთ?

— ვენახი მაქ ერთი გექტარი საფერავი, ატამი მაქ, სიმინდი მიდგა... რავი, ყველაფერი მიდგა... ახლა ატმოზა და ეგე, მეც ატამს ვყიდი.

— ძვირი გიჯდებათ ატმის მოვლა-მოყვანა?

— მა რაა! გასხვლი 15 დღე სჭირდება. ერთ მუშახელ კაცს კი დღეში 15 ლარი უნდა გადაუხადო. თქვენ დაითვა-



მაი, მე სახელით აღარავე მომმართავს, ყველა „მიშა ექიმს“ მეძახის და უნდა მეწყინოს?!



ლეთ, რამდენსაც ვიხდი. მერე იმ ატამ წამლობაც ხომ უნდა? ექვსლარ-ნახევარი კილოგრამი შაბი ღირს. იმაი დაახლოებით ერთი ტონა სითხე სჭირდება. იქ, კირიც უნდა, მოხვნაც უნდა. შსამ-ქიმიკატებით თუ არ მოამარაგებ, ცუდი იქნება და ვერ გაყიდი. ამიტომ, ატმი მოყვანა ძვირი ჯდება.

— უკვე დამნივებულ ატამს რამდენად ყიდით?

— წელს სიცივე და წვიმა იყო და მოსავალი გაფუჭდა. აბა რა, ესლაც გაყიდე ეგე, 4 ლარი მომცეს ფედრაში და ფასი არი ეგა?! საშუალება არა გვაქ, რომ თბილისში წავიდე, ამომაქ და ბირჟაზე ვყიდი. აქ კიდევ, იმდენი ვართ, კარგად როგორ გაყიდი?! დილას აქეთ აქა ვსხედვართ.

— ატმის ბიზნესი თქვენს ოჯახისთვის ერთადერთი შემოსავლის წყაროა?

— ჰო, შემოსავლის წყარო ატამი და ვენახია. ბოსტნეულს ვკრეფამ კიდევ ჩემთვინა. სხვა არაფერი. როგორც გაზაფხულდება, სულ ჩემს მამულეებში ვარ. თუ არ გავაკეთებ და არ მოვუვლი, სულ გაოხრდება. ვინ გააკეთებს?!

ბატონ გიორგისთან საუბრის შემდეგ სხვა გლეხებს მივუბრუნდი და მათაც ვთხოვე კომენტარი.

— სიმონ, სიმონ, მოდი აბა, აქა! — ერთ-ერთმა, ვილაც ხანში შესულ მამაკაცს დაუძახა. სიმონაც მამინვე მოვიდა ჩვენთან, მაგრამ როგორც კი გაიგო, ყურნალისტი ვარ და მისგან ინტერვიუს ჩანერა მსურს, გაიქცა და მომძახა, — მაგი დრო მაქ ესლა მე?! ამ დროს ერთი კაცი მომიხლოვდა და იდუმალი ხმით მითხრა: — მაგაი ფულ თუ არ მისცემ, იგრე არ დაგელაპარაკებო.

— ინტერვიუში ფული უნდა გადავუხადო? — გამიკვირდა.

— მაი, უფულოდ არაფერ აკეთებს და...

ამასობაში იქ მყოფმა ჩემმა ნათესავმა, რეზომ კიდევ ერთი კაცი — ოთარა მოიყვანა და უთხრა, ამ ყურნალისტს შენთან ინტერვიუს ჩანერა უნდაო.

— მთავრობის წევრებმა ასე გვი-

თხრე, ვისაც ვენახები დაზღვეული აქვს, ყველა მიიღებთ ფულსაო, — მომახსენა ოთარამ.

— აბა, კალაურში დაზღვეული ვენახი ვისა აქვს? — ლოგიკური კითხვა დასვა იქვე მყოფმა ახალგაზრდამ.

— დაზღვეული — არა, ჩემი ფეხები!.. — ჩაიბურტყუნა ოთარამ. რეზომ მისი ნათქვამით აღშფოთდა და იდუმალი ხმით უთხრა:

ეგე, 4 ლარი მომცეს ვედრაში და ფასი არი ეგა?!. საშუალება არა გვაქ, რომ თბილისში წავიდე, ამომაქ და ბირჟაზე ვყიდი

— ფეხები არ ახსენო, ბიჯო, ცოტა კულტურულად ილაპარაკე, მიკროფონში იწერს, გაიგე?!

მიკროფონის ხსენებაზე ოთარა მომიბრუნდა და მითხრა, რომ ორი რომანი ჰქონია დანერილი და სურს, მისი ნამუშევრები ჩვენს ყურნალში დაიბეჭდოს. თუ არ მოგწონებთ და უკან დამიბრუნებთ, არ მენყინება, ოღონდ ხელნაწერი და თუ იკადრებთ, გამიხარდებაო, — მითხრა დარცხვენით. დავპირდი, რომ მის ნამუშევრებს აუცილებლად გავეცნობოდი, თუმცა რატომღაც, აღარ მომიტანა.

ბირჟიდან ჯანიანთ უბანში სიცილ-სიცილით ჩავედი და დიდი კაკლის ძირში რამდენიმე მამაკაცი შევნიშნე, რომელიც დომინოს თამაშით ირთობდნენ თავს. მაშინვე მათთან მივედი. მივესალმე და მოსავლის ამბით დავინტერესდი:

— მოსავალია — „ნავალამ“! — მიბასუხა ჯანიანთ უბნის ერთ-ერთმა კოლორიტმა, ნოდარამ.

— „ნავალამ“ რას ნიშნავს? — ვიკითხე.

— მაი, ეგ არ იცი, გო? კალაურში გაიზარდე და ეგ არ უნდა იცოდე?! — აღშფოთდა ნოდარა. — „ნავალამ“ მა-

გარი სიტყვა და ნიშნავ, რომ მოსავალია „დო ყელა“, ბევრი, რა!

— მაინც რამდენი ლარის მოსავალს ელოდები?

— ეჰ, ჩემი მოსავლით 10.000 ლარიც ამილია.

— მაგდენი ფული იშოვე ერთ სეზონზე?

— ეგ ბევრია, გო?!. 6 სულზე 1.500

ლარი გამოდის. ოჯახში ექვსნი ვართ. ერთი ადამიანისთვის 1.500 ლარი ბევრია?

— წელს ამდენი რატომ არ გაქვს, დაგესტყვა?

— არა. ჩემი ატამი სეტყვია გადაურჩა. ვისაც სოფელთან ახლო ჰქონდა ნარგავები, იმაი დაესტყვა. მე კი ბოლოზე მაქ.

— ახლა ატამს რამდენად ყიდით?

— დღეი უცბად ჩავარდა ატმი ფასი. აქამდე ადგილზე ლარ-ნახევრად ვყიდიდი, დღეი კიდევ, ლარად გაყიდი. იმედია, უფრო არ გაიფარდება. — ნოდარა თამაშში ისე იყო ჩართული, აშკარად არ სიამოვნებდა ჩემს შეკითხვებზე პასუხის გაცემა, ამიტომ თავი დავანებე.

შინისკენ მიმავალს, პუჭურაანთ თემურა შემომხვდა, რომელმაც გადამწყვიტა, რომ კალაურში ჩემი სტუმრობა კვირაცხოველში მიმდინარე მოვლენების შედეგი იყო და მკითხა: ქვები სროლის საყურებლად ჩამოხველ? მაიცა ერთი ნახევარი საათიც, ჯერ ადრეა; ცოტა კიდევ შებინდდეს და მერე ავიდეთ სეირის საყურებლად, ოღონდ თავში თუ რამე მოგხვდა, არ გაგიკვირდესო, — „დამამშვიდა“ ბოლოს.

სეირის საყურებლად წასვლაზე უარი ვუთხარი და შინისკენ გავწიე. ჩემს ბიძაშვილს ჩემს პატივსაცემად, პიცა გამოეცხო; სუფრაც გაემალა და უბნის გოგობიჭებთან ერთად, ჩემს მოსვლას ელოდა. პიცის დაგემოვნების შემდეგ, საყვედური გამოვთქვი: — კახეთში ჩამოსვლა იმიტომ მიხარია, რომ მეგონა, აქ მწვადს შევჭამდი, თქვენ კიდევ, პიცა დამახვედრეთ; პიცა თბილისში არ მეყოფა-მეთქი?! მეზობელმა ნატომ მამინვე მოსწრებული პასუხი დამიბრუნა:

— აბა, გენაცვალე, შენ ორი დღით ჩამოხველ, ჩვენ კიდევ მწვადი მესამე დღეი ვიცით. რალას ვიზამდი?! ყველას დავემშვიდობე და ვუთხარი, რომ მომავალში მათ ვ დღით ვესტუმრებთ, რათა კახური მწვადი მივირთვა. მიშა ექიმის მეუღლემ მომძახა, — ნათია, გენაცვალე, რომ წამოხვალ, ღორი ხორცი წამაილე და ნალამი ჩვენა გვაქო!..





სახსე

ბაღის ორკესტრის დირიჟორობით დაწყებული კარიერა



თათა დაღუბლი

— ერთი ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი, ზომიერად ცელქი. მახსოვს, საბავშვო ბაღში სიარული არ მიყვარდა, რადგან დღისით გვაძინებდნენ ხოლმე; არადა, რამდენიმეს „ჩანყობილი“ ჰქონდა და არ ეძინა, მერე მეც ამ ხერხს მივმართე (ილიმის). მუსიკა ყოველთვის მაინტერესებდა. ბაღში პატარა ორკესტრი გვქონდა, სახელწოდებით — „თაიგული“, სადაც დასარტყამ ინსტრუმენტებზე ბავშვები უკრავდნენ, ფორტეპიანოზე — მასწავლებელი, მე კი რატომღაც, დირიჟორობა დამავალეს. მერე ისე მოხდა, რომ „რკინიგზელთა სახლში“ კონცერტი გვქონდა, რომელსაც ტელევიზიაც იღებდა. პირველად პუბლიკის წინაშე მაშინ წარვდექი. სცენაზე გასვლის წინ გამაფრთხილეს, — როცა მუსიკა დასრულდება, მოტრიალდი და მადლობის ნიშნად, მაყურებელს თავი დაუკარიო. მე კი შემრცხვა და პირდაპირ კულისებში გავჯარდი. სამწუხაროდ, ეს ჩანანერი აღარ არსებობს, თორემ ამ გადასახედიდან სახალისო იქნებოდა.

— სკოლის პერიოდი როგორ გასწავლეთ?

— კომუნისტურმა სკოლამ მაინცდამაინც ვერ მოშლიდა. ნულ კლასში კალი-

„ქაქუცას უნდა ვუბადლოდე, სკოლი რომ გყავს...“

საზოგადოება ირბალი ჩოლოყაშვილს, როგორც მსახიობს, ისე იცნობს, მაგრამ მას მრავალმხრივი განათლება აქვს მიღებული — გარდა იმისა, რომ სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე უკრავს, მშვენიერი დირიჟორიც გახლავთ. ყველაფერთან ერთად, მას ჰიპერმენეჯერობაც ეხერხება და იყო დრო, როცა პატიმრების გართობაზეც ზრუნავდა.

გრაფია დაბინუნეს და ორიანებს მიწერდნენ. თავიდან კარგი მეგონა, მერე კი, როცა გავიგე, რომ ცუდი ნიშანი იყო, ნერვები მომეშალა, დავითრგუნე. ვცდილობდი, მაღალი ნიშანი მიმელო, მაგრამ არ გამოდიოდა. ამის მერე მასწავლებლებთან „ცივი ომი“ გამოვაცხადე — რასაც ვსწავლობდი, იმასაც აღარ ვყვებოდი და ვიტყუებოდი, არ ვიცი-მეთქი, თუმცა მათ ჩემს ცოდნას პერიოდულად ვუმტკიცებდი... ერთ დღეს პიონერები გაგვაფრთხილეს: ხვალ კომისია მოდის და ყველამ თეთრი პერანგი ჩაიცვითო. ავდექი და მეორე დღეს შავი პერანგით მივედი (ილიმის). რა თქმა უნდა, იმ დღეს სახლში გამაბრუნეს. იძულებით ვისწავლე გამრავლების ტაბულა, ჰოდა, ამიტომაც დამავიწყდა — ახლა არ ვიცი. რაც ერთმეზა, მაგალითად: ექსჯერ რვა — ორმოცდარვა — ეგ მახსოვს, დანარჩენს კალკულატორის მეშვეობით ვანგარიშობ (იციანის).. მოსწავლე ვიყავი, როცა „მართვეში“ შემიყვანეს, სადაც სკოლისგან განსხვავებით, დიდი ხალისით დავდიოდი. კონცერტები ძირითადად, ფილარმონიასა და ოპერის თეატრში გვქონდა. 7 წელი ფორტეპიანოზე დავკრავს ვსწავლობდი, შემდეგ კი ნიჭიერთა ათწლეულში გადავედი ანუ მუშველა — როგორც იქნა, სკოლას მოვცილდი და იქ წავედი, სადაც „ბევრი“ მუსიკა იყო. ამ პერიოდში ჰობოიზე დავკრავს სურვილი გამიჩნდა — ჩასაბერი ინსტრუმენტი ჩემთვის სიახლე გახლდათ და გამიტაცა. კამერულ ანსამბლებში, ორკესტრში ვუკრავდი. ამ სასწავლებელში სიარული მეხალისებოდა, მიუხედავად იმისა, რომ იქ ფიზიკის სწავლასაც გვთხოვდნენ. სხვათა შორის, გასტროლების გამო ათწლეულსაც ვაცდენდი ხოლმე...

— როგორც ვიცი, თქვენ სტუდენტობის პერიოდი გასული საუკუნის

90-იან წლებში მიმდინარე მოვლენებს დაემთხვა...

— დიას, ჩემი სტუდენტობის დროს დაიწყო ეროვნული მოძრაობა ანუ თვითგამორკვევის პერიოდი დადგა. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ თურმე, გარდა მუსიკისა, ამქვეყნად სხვა ფასეულობებიც არსებობს; ჩემი დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დასაწყისი იყო. ქუჩაში ქაქუცა ჩოლოყაშვილის სურათები იყო გამოფენილი, მის სახელს გაყვიროდნენ — ისეთი რამ ვიგრძენი, რაც მანამდე არ განმიცდია. 1990 წელს თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარე და ყველა მოვლენა ჩემ თვალწინ, ჩემი უშუალო მონაწილეობით ხდებოდა. მე ჭოლას ჯგუფში ვიყავი. პედაგოგებს ვეხვეწებოდი ხოლმე, — ლექციებიდან ცოტა ხნით გამათავისუფლეთ, საქმე მაქვს-მეთქი, სინამდვილეში კი მთავრობის სახლთან მივდიოდი, პრეზიდენტის გამოსვლას ვუსმენდი და შემდეგ უკანვე, ინსტიტუტში ვბრუნდებოდი. მალე ქვეყანაში საშინელი ამბები დატრიალდა და პირველად ვიგრძენი პესიმისმი, უსამართლობის განცდა დამეუფლა...

— სტუდენტობისას სპექტაკლებში თუ მონაწილეობდით?

— ლევან ნულაძის მიერ დადგმულ „აჩრდილებში“ ალფრედს ვთამაშობდი. საერთოდ, ასეა, როცა დამწყები მსახიობი სცენაზე პირველად გადის, უკვე ჰგონია, რომ ჩამოყალიბებული მსახიობია. მეც ასე დამემართა და I-II-კურსელებს ზემოდან ვუყურებდი (იციანის); მეორე ნამუშევარი უფრო მნიშვნელოვანი იყო, რადგან სენლენჯერის ნაწარმოების — „თამაში ჭვავის ყანაში“ — მიხედვით დადგმულ სპექტაკლში მთავარ როლს ვასრულებდი... ლევანის მადლობელი ვარ, რადგან რაც ვიცი, მის-



გან ვისწავლე. ის ისეთ როლზე არ დამ-
ამტკიცებს, რომელსაც ვერ ვითამაშებ. მისი
წყალობით ჩემი ადგილი მაქვს „სარდაფ-
შიც“ და მარჯანიშვილის თეატრშიც. 2
წელი ჯარში ვიყავი, ოღონდ იქ ისე ვცხოვ-
რობდი, როგორც ჩვეულებრივი მსახიო-
ბი — შს სამინისტროს თეატრში ვიყავი
მიმაგრებული.

**როგორი სპექტაკლები იდგ-
მებოდა შს სამინისტროს თეატრში?**

— სხვათა შორის, იქ კარგი გამოც-
დილება მივიღე. თუმცა, იმ პერიოდში
სამთავრობო სტრუქტურებთან ურთიერ-
ობა არანაირად არ მხიბლავდა, რადგან
იმ ხელისუფლებასთან მინევდა თანამშრო-
ლობა, რომელიც სისხლის ღვრით, ძალის
გამოყენებით მოვიდა. მოკლედ, უკანონო-
ბა კანონობდა... შს სამინისტროს თეატრ-
ში მუშაობა საინტერესო იყო იმ მხრივ,
რომ კოლონიებში სიარული და იქ
სპექტაკლების გამართვა გვინევდა. მაგალ-
ითად, ქსნის კოლონიაში „დარისპანის
გასაჭირი“ ვუჩვენებ. ერთხელ ერთმა პატი-
მარმა ხუმრობით მკითხა — ბილეთი რა
ღირსობა? და მ-მანეთიანს მანუვდიდა. გაშე-
ცინა. მითხრა: რა გაცინებს? მე რომ აქ ჩავე-
ცი, მაშინ მ მანეთი ფული იყო (იკინის).

**როდის მიხვდით, რომ პოპუ-
ლარული იყავით?**

— „სარდაფში“ მუშაობისას. სხვათა
შორის, იმ პერიოდში რეკლამებში გადა-
მიღეს (გიორგი ებრაღიძის რეჟისორო-
ბით) და ჩემს პოპულარობას გარკვეულ-
წილად, ამანაც შეუწყო ხელი. ვიგრძენი,
რომ ქუჩაში თვალს მყოფებდნენ, ვილა-
ცებთ ჭორობდნენ, გოგონები ერთმანეთს
თვალელები რაღაცას ანიშებდნენ...

**და თქვენც, რა თქმა უნდა,
ეს ყველაფერი მოგწონდათ, არა?**

— კი და მეც „გაფთაბუნდი“ (იკინის)...
„სარდაფში“ მუშაობის პირველი 3-5 წე-
ლინადი ძალიან აქტიური იყო, ყოველ-
დღე სპექტაკლები გვქონდა, თანაც —
ანშლაგებით. 1997 წელს, როცა ლევანმა
მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მიმ-
ინვია, დიდ სცენაზე თამაშის გამოცდილე-
ბაც მივიღე და მიხვდი, რომ „სარდაფის-
გან“ განსხვავებით, აქ ყველაფერს გააბტი-
ბენ, რადგან მყურებელი სცენასთან ახ-
ლოს არ ზის... რატომღაც, ლევანი თითქ-
მის ყოველთვის, შეყვარე-
ბული მამაკაცის და დადებ-
ითი პერსონაჟების როლს
მაძლევს, არადა, უარყოფი-
თი ადამიანის განსახიერე-
ბაც ძალიან საინტერესოა.
მარჯანიშვილის თეატრში
პირველად სპექტაკლ „და-
უსრულებელ სიზმარში“
ვმონაწილეობდი. ის სპექ-
ტაკლი ჩემთვის მართლაც,
დაუფინყარი იყო. ამ თეატრ-
ში ძალიან კარგად შემს-
ვდნენ და ბევრი მეგობარ-
იც შევიძინე.

**პირველად რო-
მელ მხატვრულ ფილმ-
ში მიგიწვიეს?**

— მასხოვს, მოსწავლე


ვიყავი. შუა გაკვეთილზე 2 კაცი შე-
მოვიდა, ყველანი შეგვათვალაიერეს
და ბოლოს, მაინცდამაინც მე დამ-
ადვეს ხელი, — ეს არისო! — არა
ვარ მე-მეთქი, — ვუთხრებ. —
როგორ არა, შენ ხარ, ხვალ მშო-
ბელს მოიყვანი. გადავირიე, — რა
დავაშავე-მეთქი? თურმე კინოსტუ-
დიიდან იყვნენ. იმ კაცებმა მე და
ჩემი კლასელი გოგონა შეგვარჩიეს.
ფილმს „ყვითელი ჩიტი“ ერქვა, 1-2
ეპიზოდში გადამიღეს... რომ გი-
თხრათ, კინოროლებით განებივრე-
ბული ვარ-მეთქი, მოგატყუებთ. ის
კი არა, თავად კინოც ვერ ანებივრებს
საკუთარ თავს (იკინის). თუმცა,
ბოლო დროს რაღაც წინსვლა შეიძინევა,
ნორმალურ ფილმებს იღებენ და ღირს,
რომ იმუშაო.

**სერიალებში მონაწილეობა
საინტერესოა თქვენთვის?**

— „მტვრის გემო“ ის სერიალია, რომ-
ლის გადაღებებზე სიარული მსიამოვნებ-
და. ვგრძნობდი, რომ ჩემი ადგილი იქ
იყო და ამისათვის მინდა, დიდი მადლობა
გადავუხადო დათო ჯანელიძეს, რომელ-
მაც ერთ-ერთი მთავარი როლი მანდო.
მომწონდა „ცხელ ძაღლში“ თამაშიც. ეს
სერიალები ჩემთვის იმითაც იყო საინ-
ტერესო, რომ ერთში პოლიციელს ვსა-
ხიერებდი, მეორეში — კრიმინალს.

**როგორც მასხოვს, კულტურ-
ისა და ხელოვნების სახელმწიფო
უნივერსიტეტშიც სწავლობდით.**

— სადირიჟოროზე ვსწავლობდი. არ
ვიცი, ამისკენ ორკესტრმა „თაიგულმა“ მიბი-
ძგა თუ სხვა რამემ, მაგრამ თეატრალური
ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სხვა
პროფესიის დაუფლების სურვილიც გამ-
იჩნდა. სხვათა შორის, თეატრალურში მე-
ორად ფაკულტეტზე, ვოკალზე ჩავაბარე
და ბატონ ზურაბ ანჯაფვარიძესთან 2-წლიანი
კურსი გავიარე. ამავე პერიოდში ჩამოვაყ-
ალიბეთ ანსამბლი „ლაშარი“. პარალე-
ლურად, „რუსთავი 2“-ში სერიალებს ვახ-
მოვანებდი. კულტურის ინსტიტუტში სა-
გუნდოზე ჩავაბარე, მაგრამ რადგანაც
ორკესტრში ვმუშაობდი და ჩასაბერ ინ-
სტრუმენტებზე ვუკრავდი, ჩემთვის უფრო
საინტერესო სიმფონიური ორკესტრის დი-



**როგორც იქნა,
ნინო იოსელიანი
გამოჩნდა ჩემს
ცხოვრებაში და
დავექორწინდი**

რიჟორობა იყო. მართალია, ინსტიტუტში
ამას არ ასწავლიდნენ, მაგრამ მე ისეთი
პედაგოგი შემხვდა — ავთო რევიშვილი
(ის ზაქარია ფალიაშვილის ძმის — ვახ-
ტანგის მოსწავლე იყო), რომელმაც ძალიან
ბევრი რამ იცოდა. ინსტიტუტის დამთავრე-
ბის შემდეგ მიხვდი, რომ რაღაც კონკრე-
ტული ნაბიჯების გადადგმა შემეძლო და
ოპერის თეატრში რამდენიმე კერძო
პროექტი გავაკეთე, ვიდირიჟოროე...

**თქვენი სამსახიობო სააგენ-
ტო რას ემსახურება?**

— ჩემი სააგენტო — „არტ-ათელი“
მეგობრებმა, მსახიობებმა ერთად ჩამოვაყ-
ალიბეთ. ის მიზნად ისახავს მსახიობების
ინტერესების დაცვასა და მათ დასაქმებას.
ჩვენ კოლეგებს შეძლებისდაგვარად ვსაქ-
მებთ. გვაქვს ინტერნეტბაზა, სადაც მათი
მონაცემებია შეყვანილი. მოკლედ, ბოლო 5
წლის განმავლობაში პიარმენეჯერის პრო-
ფესიითაც დამიგროვდა გამოცდილება და
რამდენიმე კომპანიასთანაც ვთანამშრო-
ლობ.

**სულ რამდენ ინსტრუმენტზე
უკრავთ?**

— მაგას დაკვრა არ ჰქვია (იკინის).
ჰობოი, საყვირი, საქსოფონი და კლარნე-
ტი — სხვა ინსტრუმენტი არ მაქვს.

**თქვენს ოჯახზე რას გვე-
ტყვი?**

— ძირითადად მივადექით, არა (ილი-
მის)? როგორც იქნა, ნინო იოსელიანი
გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში და დავექორ-
წინდით.

ერთმანეთი სად გაიცანით?

— მას დიდი ხანია,
ვიცნობ, ადრეც მყავდა
„თვალსანიერში“, მაგრამ
ნინო გათხოვდა (იკინის).
მერე დიდხანს არ მი-
ნახავს, მაგრამ ერთხ-
ელაც, მარჯანიშვილის
თეატრში, „ქაქუცა ჩო-
ლოყაშვილის“ კასტინგ-
ზე მოვიდა. მოკლედ, ქა-
ქუცას უნდა ვუმადლო-
დეთ, რომ ერთმანეთი
გავიცანი. ბოლშევიკე-
ბი რომ არ შემოსუ-
ლიყვნენ და ქაქუცა გმი-
რი არ გამხდარიყო,
დღეს ისევ უცოლო ვიქ-
ნებოდი. დიდი მადლო-
ბა ქაქუცას (იკინის)..





ჩვენი რესპონდენტები პროფესიით სტომატოლოგები არიან, თუმცა ამჟამად მოდის ბიზნესში საქმიანობენ და პარალელურად, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის სახეები არიან. მათ მეგობრებიც კი საერთო ჰყავთ — სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ. მაგრამ ხასიათში ერთი განსხვავება მაინც აქვთ — სხვადასხვა ტიპის ვაჟები მოსწონთ. დასვენებასა და უამრავ საინტერესო საკითხზე სასაუბროდ, ლიკა და ანი ქორძიებს ვწვდით.

ნათია ჟივიკა

— საუბარი თქვენი საქმიანობით დაიწყოთ. ანი, უკვე დაასრულეთ გადაცემის — „დაამარცხე ვარსკვლავი“ — ჩანერა?

— არა, ჩანერას დაასლოებით, აგვისტოს დასაწყისში დავასრულეთ, მაგრამ გადაცემა ეთერში აგვისტოს ბოლომდე გავა. „დაამარცხე ვარსკვლავი“ სეზონური გადაცემაა, შესაბამისად, სექტემბრიდან ეთერში აღარ გავალთ. მეორე სეზონი სავარაუდოდ, იანვრიდან დაიწყება, მაგრამ ოქტომბრიდან გადაცემებს წინასწარ ჩავენერო.

— ლიკა, როგორც ვიცო, „რუსთავი 2“-ის ეთერში ჯერჯერობით არც შენი საქმიანობა დასრულებულია...

— მართალი ხარ. „დილა მშვიდობისა, საქართველო“ ეთერში ივლისის ბოლომდე გადიოდა. პირდაპირ ეთერში მთელი აგვისტოს განმავლობაში აღარ ვიქნები. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დავისვენებ, რადგან სხვა უამრავი საქმე მაქვს გასაკეთებელი. კიდევ კარგი, როგორც იქნა, გამოცდები ჩავაბარე და სამეცადინო აღარ მაქვს. მთელი აგვისტოს განმავლობაში უამრავი სარეკლამო რგოლის გადაღება, რამდენიმე ჩვენება და ფოტოსესია მექნება. სამაგიეროდ, სექტემბერში საკუთარი თავისთვის 10 დღეს გამოვყოფ და ანისთან ერთად დასასვენებლად გავემგზავრები.

— როგორც ვიცო, ორივენი სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობთ.

ანი:

— მე უკვე დიპლომიანი სტომატოლოგი ვარ. წელს დავამთავრე უნივერსიტეტი. ლიკა კი სწავლას გაისად დაასრულებს.

— იშვიათია, დები ასე მეგო-



ბრობდენ ერთმანეთთან...

— კი, ჩვენ ერთ ბაღში, ერთ სკოლაში და ერთ ინსტიტუტში ვსწავლობდით. ჩვენი ოჯახის წევრები საერთოდ, მეგობრულები არიან და ჩვენც ასე გავგზარდეს. მე და ლიკას ერთმანეთზე ძვირფასი არავინ გვყავს და ამიტომაც დავდექით ასეთი კარგი მეგობრები.

ლიკა:

— ოჰ, რა თამამი განცხადებაა (იცინის)!.. მე და ანის მეგობრებიც საერთო გვყავს.

ანი:

— გარდა ამისა, ერთმანეთზე აბსოლუტურად ყველაფერი ვიცით, გამონაკლისების გარეშე, და ჩვენთვის ერთმანეთის აზრი ძალზე მნიშვნელოვანია.

— ერთმა დამ მეორის თაყვანისმცემელი რომ დაიწუნოს, და მის აზრს გაიზარებს?

— რა თქმა უნდა! ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ლიკას აზრი ჩემს ახალ თაყვანისმცემელზე.

ლიკა:

— ოღონდ ბიჭების მიმართ ჩვენი გემოვნება აბსოლუტურად განსხვავებულია.

ანი:

— მართალია. მიუხედავად იმისა, რომ არც გარეგნობით და არც მენტალურად ერთი და იგივე ტიპები

დები ქორძიები დასვენება-გართობისთვის პერ ისლიან

„ძალიან პატარები ვიყავით, ტელევიზიაში მუშაობა რომ დავინწყით“

არ მოგვწონს, ჩემთვის მაინც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ლიკას ჩემი რჩეულის მიმართ დადებითი განწყობილება ჰქონდეს. სხვა შემთხვევაში, ის ბიჭი არ შემიყვარდება.

— ისეთი შემთხვევა თუ ყოფილა, რომელიმე ბიჭი მოგწონებოდა და შენს დას ის დაუნუნებოდა?

— უამრავჯერ. როგორც კი ლიკა შეატყობს, რომელიმე თაყვანისმცემლის მისამართით მეც გარკვეული სიმპათია მიჩნდება (სიყვარულზე არ არის ლაპარაკი, რადგან ასეთი შემთხვევა არ ყოფილა), ლიკა სულ მსაყვედურობს, რომ მთელ ყურადღებას იმ ბიჭს ვუთმობ და საკუთარი და აღარ მახსოვს. ეს დიდი სისულელეა. ჩემს ცხოვრებაში ლიკას ადგილს ვერავინ დაიკავებს, რადგან ის და არის და სხვანაირად მიყვარს, შეყვარებული კი სხვანაირად მეყვარება.

ლიკა:

— მართალს ამბობს. ბუნებით ძალზე ეგოისტი ადამიანი ვარ. სულ იმაზე ვფიქრობ — მის ცხოვრებაში სერიოზული გრძნობა რომ გაჩნდება, ანი მე ყურადღებას აღარ მომიქცევს.

ანი:

— იცი, რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა, რომ დილით გაგვიღვიძია, ჯერ ძილიდან ბოლომდე გამოსულიც არ ვყოფილვარ, რომ ლიკას უკითხავს: რომ გათხოვდები, შენი ქმარი და შვილი უფრო გეყვარება, თუ მეო?.. შენ რა შუაში ხარ, ლიკა? შენ ყოველთვის მეყვარები. ქმარსა და შვილს კი ჩემს გულში სხვა ადგილი ექნება.

— შენ არ ეჭვიანობ ხოლმე ლიკას თაყვანისმცემლებზე?

— საერთოდ, არა. ამ შემთხვევაში, აბსოლუტურად სალად ვაზროვნებ. თუ ვინმე შეუყვარდება, მე რატომ უნდა „გადავყვარდე“?! ყველას ხომ თავისი ადგილი აქვს... იცი, რატომ



არის ასე? მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შორის მხოლოდ ერთი წელია სხვაობა, ლიკა სულ ჩემზე დამოკიდებული იყო. ჰოდა, ალბათ ჰგონია, ჩემი სახით, მშობელს, მეგობარსა და დას ერთად დაკარგავს...

ლიკა:

— ანის სულ ვუბნები, — შენ კარგად უნდა გათხოვდე და რომ გათხოვდები, მეც თან უნდა წამიყვანო-მეთქი. მერე მეც კი გათხოვდები, მაგრამ გათხოვებამდე ანის „მზითევი“ ვიქნები.

— **ამჟამად რომელიმე თქვენგანი სერიოზულ გრძობას თუ უპყრია?**

— ჯერჯერობით არა. მთელი ზამთარი ყველა ინტერვიუში ვამბობდი, სწავლას რომ მოვრჩები, ზაფხულში პირადი ცხოვრებისთვისაც მოვიცლი-მეთქი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ზაფხულშიც არანაკლებ დაკავებული ვარ, შესაბამისად, არც ახლა მცალია პირადი ცხოვრების ასანყოფნა. სექტემბერში — ვნახოთ.

— **ანი, აგვისტოში დაგეგმილ ჩვენებებში შენც მიიღებ მონაწილეობას?**

— ერთ-ერთ გაზეთში, როგორც ყოფილი მოდელი, ისე მომიხსენიეს და ვერ მივხვდი, რატომ. ვინ გადანყვითა, რომ მოდელიობას თავი დავანებე?! როცა რაიმე ჩვენებაა და მცალია, ყოველთვის ვმონაწილეობ. საერთოდ, ფოტოებსა და რეკლამებზე უფრო ინტენსიურად ვმუშაობდი, ვიდრე — ჩვენებებისთვის, მაგრამ თავისუფალ დროს პოდიუმზე უარს ნამდვილად, არ ვამბობ. უბრალოდ, ტელევიზიაში იმდენად ვარ დაკავებული, რომ გამოცდებისთვისაც კი ველარ ვიცლიდი და ამის გამო დამატებითი სემესტრის ალება მომიხდა...

— **შენი ძირითადი პროფესიით მუშაობას თუ აპირებ?**

— ბევრად უფრო მომწონს ის საქმიანობა, რითაც ამჟამად ვარ დაკავებული. მგონია, რომ უფრო, შემოქმედი ადამიანი ვარ. სტომატოლოგიაც ძალიან მომწონს, მაგრამ ჯერჯერობით რეზიდენტურის კურსის გავლას არ ვაპირებ. ამას მაშინ გავაკეთებ, როცა ჩემი პროფესიით მუშაობას გადავწყვეტ.

— **წარმომიდგენია, შენი პაციენტი მამაკაცის რეაქცია, როცა სტომატოლოგის ამბულაში დაგინახავს...**

— ჰო, ეს მეც მაინტერესებს.

— **ტელევიზიასთან პირველი შეხება როდის გქონდა?**

ლიკა:

— ძალიან პატარები ვიყავით, ტელევიზიაში მუშაობა რომ დავიწყეთ. გახსოვთ ალბათ, არსებობდა ტელეკომპანია „202“, სადაც მეც და ანიც მუსიკალური გადაცემის წამყვ-

ანები ვიყავით.

ანი:

— საერთოდ, ჩვენს ცხოვრებაში დაგეგმილად არაფერი ხდება. არც ერთი არ ვართ ისეთი ტიპი, ვინმესთან რომ მივა და ეტყვის, — ამის გაკეთება შემიძლია და ხომ არ გვეცადო?... ლიკას დაურევს და ჰკითხეს, — ხომ არ გინდა, კასტინგი გაიარო? მივიდა „რუსთავი 2“-ში, გაიარა შესარჩევი ტური და აიყვანეს. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ჩემს შემთხვევაშიც ზუსტად ასე მოხდა. დამირევს და მივედი.

— **რამდენად ადვილია თქვენთვის ეს საქმიანობა?**

ლიკა:

— პირადად მე, პირდაპირ ეთერში მუშაობა ძალიან მომწონს. სულ ვამბობ, არავის გაუკვირდეს, თუ ერთხელაც კოსმოსში გავფრინდები... ყოველი დღე საოცარი მაქვს. ჩემს ცხოვრებაში სულ რაღაც ახალი ხდება, ახალ რამეს ვიგონებ და ა.შ. საერთოდ, ძალზე ცვალებადი ხასიათი მაქვს. ჩემი ცხოვრება მოულოდნელობებით არის სავსე. ერთხელაც, სახლში რომ მივედი და დედას ვუთხარი, რომ „რუსთავი 2“-ზე მუშაობას ვინწყებდი, შოკში ჩავარდა... რაც შეეხება გადაცემას, თავიდან ძალიან გამიჭირდა, რადგან ჩემთვის დილით ადრე გაღვიძება კატასტროფა იყო, მაგრამ ახლა შაბათ-კვირასაც კი დილის 6 საათზე მეღვიძება.

— **ამინდის პროგნოზის წამყვანობიდან ცოტა უფრო სერიოზული რუბრიკის წამყვანობაზე გადართვას ხომ არ აპირებ?**

— ამნუთას ეს საქმიანობა ჩემთვის საუკეთესოა, რადგან დილის

ეთერის დამთავრებისთანავე ჩემი ლექციების დაწყების დროა. ხანდახან ინსტიტუტში ვაგვიანებ კიდეც. ლექციების შემდეგ კი ან სავარჯიშოდ მივდივარ, ან სააგენტოში, ან რომელიმე კონცერტს უნდა გავუძღვე და ა.შ. მოკლედ, ახლა იდეალური რეჟიმი მაქვს. სწავლას რომ დავამთავრებ, მერე ვნახოთ, რას ვიზამ.

ანი:

— რაც შემეხება მე, არაჩვეულებრივ ჯგუფთან ერთად მიწვეს მუშაობა. ესენი „კომედი შოუს“, „ვანოს შოუსა“ და „ქლაბ შოუს“ ბიჭები არიან. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხიარულ „ოჯახში“ ერთადერთი გოგო ვარ. ბიჭებმა კარგად მიმიღეს, ზავივით მივიღიან და ზრუნავენ ჩემზე. მოკლედ, მათთან კარგი სიტუაციაა. ამასთანავე, გადაცემაზე მუშაობაც ძალიან მომწონს, რადგან მხიარულია და არა „დამგრუხველი“. მიხარია სამსახურში მისვლა.

— **როგორც უკვე თქვით, დასვენებას სექტემბერში აპირებთ. სადა გაემგზავრებით?**

— ჯერჯერობით, თურქეთში გამგზავრებაზე ვფიქრობთ. მანამდე თუ რაიმეს უფრო საინტერესოს მოვიფიქრებთ, შესაძლოა, გემები შევცვალოთ.

— **დასვენება ზღვაზე უფრო მეტად გიყვარ?**

— ვერც კი წარმომიდგენია, თუ არის შესაძლებელი, ადამიანმა ზღვის გარდა, სხვაგან დაისვენოს.

ლიკა:

— პირადად მე, ერთი ოცნება მაქვს: მინდა, რომელიმე სოფელში მქონდეს სახლი, სადაც უშველებელი საწოლი იქნება და იქ არ იარსებებს



ანი



ლიკა



არანაირი კომუნიკაციის საშუალება. მინდა, იმ სახლში ერთი კვირის განმავლობაში მეძინოს და კოკისპირულად წვიმდეს, რომ გარეთ გასვლის სურვილი არ გამიჩნდეს. იქ მარტო უნდა ვიყო. ანც კი არ მინდა, იმ ერთი კვირის განმავლობაში გვერდით მყავდეს.

ანი:

— სხვათა შორის, როცა დრო მაქვს, მსგავს დასვენებას ვინცოხ ხოლმე. თებერვალში მე და ჩემი ბიძაშვილი, ნინო ბათუმში წავედით. ვვარჯიშობდით, ვჭამდით, გვეძინა და ვსეირნობდით. ორივეს ერთი მობილური გვექონდა, რომლის ნომერიც მხოლოდ ოჯახის წევრებმა იცოდნენ... არაჩვეულებრივად დავისვენეთ. კარგად გამოვიძინეთ, ბევრიც ვივარჯიშეთ, კარგ ფორმაშიც ჩავდექით და ზღვის სანაპიროზეც ვისეირნეთ. მოგესხენებათ, ადამიანს ზღვის ტალღების ყურება რა დადებითი ენერჯითაც ავსებს. იქიდან ისეთი მოზღვავებული ენერჯით დავბრუნდი, ვ წელი რომ არ დავისვენო, მუშაობის განწყობილება მაინც მექნება.

— დასასვენებლად გამგზავრების წინ, გარდერობის განახლებაზე თუ ზრუნავთ?

ლიკა:

— ეს ჩვენი სუსტი წერტილია.

ანი:

— იმის გამო, რომ ყოველთვის ზღვაზე ვისვენებთ, უამრავი საცურაო კოსტიუმი და პარეო შევიძინეთ. იმდენია, ალბათ ყოველდღე ახალ-ახალი უნდა ჩავიცვათ. ამდენი იმიტომ ვიყიდეთ, რომ ზღვაზე ჩემი ჩაცმულობა მხოლოდ „კუპალიკითა“ და პარეოთი შემოიფარგლებას.

ლიკა:

— ანის არაჩვეულებრივი მხედველობა აქვს. მალაზიაში რომ შედის, უამრავ ტანსაცმელში, სადღაც მიკუნჭულში თავისთვის სასურველ სამოსს დაინახავს და ყიდულობს. ამ მხრივ, მე რთულად მაქვს საქმე. ცხვირსახოციც რომ მქონდეს საყიდელი, შემეძლია, ერთი თვის განმავლობაში ვიარო, ვარჩიო, ვიფიქრო, ხოლო ყიდვას რომ გადავწყვეტ, უკვე გაყიდული მხდდება. ამიტომ, რამეზე რომ ვიტყვი, მგონი, მომწონს-მეთქი, ანი მაშინვე ყიდულობს, რომ მე ბევრი აღარ ვიბოდიხლო.

— მართალია, ბიჭებთან დაკავშირებით განსხვავებული გემოვნება გაქვთ, მაგრამ სამოსი თუ მოგწონთ ერთნაირი? ერთმანეთის ტანსაცმელს იცვამთ?

ანი:

— როგორ არა?! სულ ერთმანეთის ტანსაცმელი გვაცვია. ამაზე ნამდვილად არ ვჩხუბობთ.

„მანსანკანური“ წარმატებები, მცდარი ფრაზეოლოგია აშინდის პრობნოზში და დასვენება პარკატილში

„ტელედიპუტა“ წამყვანი ვინ — ზაბალ წულუპიძე ყველა სათვის კარგადაა ცნობილი. თუმცა რადიოს მოყვარულები მისი სახალისო „ეთერებით“ დიდი ხნის წინათაც ვტკებოდით. ვინის საქმიანობა ყოველთვის მრავალფეროვანი და ხალისით სავსე იყო. ჟურნალისტიკის ფაკულტეტის უდიპლომო სტუდენტი დღეს „მხიარული ამპლუის“ წამყვანია და თავისი კარიერის შესახებ გვესაუბრება.

თამთა დაღუპული

— ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი, მაგრამ ალბათ იყო რაღაცები, რაც სხვებისგან გამომარჩევდა და ასევე მათ — ჩემგან. ხშირად უთქვამთ ჩემთვის, — პოპულარობა მუდან თან გდევდა, ბავშვობიდანო.

— რთი იქცევი ყურადღებას?

— ძალით არაფერს ვაკეთებდი, უბრალოდ, აურა იყო ალბათ ასეთი ჩემ გარშემო. მუსიკაზე დავდიოდი, როგორც მაშინდელი ბავშვების უმეტესობა, ვინც ქუჩაში არ იდგა და კურტკების წართმევით არ იყო დაკავებული (იციან). ცურვაში მეორე თანრიგი მაქვს, მაგრამ ახლა არაფერში მადგება, დიდი ხანია, აღარ მიცურავია და არც ზღვაში შევდივარ ხოლმე დიდი სიხარულით. ფარიკაობაზე დავდიოდი და სიმღერაზე, რამდენიმე ადგილას — მუსიკალური სკოლის კლასიკურ გუნდში, ჩემს სკოლაში ფოლკლორული ანსამბლი „საირმულა“ იყო (ცხონებული კოტე მშვიდობაძე გახლდათ ჩვენი ხელმძღვანელი); მოსწავლეთა სასახლეშიც დავდიოდი, თემურ ქეჭიშვილთან „დარიალში“. ასე რომ, ერთდროულად ვ გუნდში ვიყავი. დიდი სკოლა იყო ეს ჩემთვის. „საირმულაში“ პირველ ხმას ვსწავლობდი, „დარიალში“ — მეორეს, შემდეგ გავცვალე და ამ პერიოდში ორ ხმას ერთდროულად ვსწავლობდი.

— კონცერტებზე ხშირად გამოდიოდი? ვლილოები თუ მიგლია?

— მაშინ ყოველწლიურად ტარდებოდა სასკოლო ოლიმპიადა. სიგელი და მედალი ჩემს ძმასაც აქვს მიღებული და მეც, რესპუბლიკის მასშტაბით, პირველი ადგილი დავიკავე. სკოლაში ბოლო პერიოდში უკვე „მხიარულთა და საზრიანთა კლუბში“ ვიყავი.

— როგორ სწავლობდი სკოლაში?

— სწავლას პრინციპში, ნაკლებად ვე-



ტანებოდი — მე ხომ გაუნათლებელი ვარ (იციან). ისეთ საგნებს ვსწავლობდი, რომლებიც მომწონდა. გეოგრაფია მიყვარდა, ტექნიკურ საგნებს საშინლად ვერ ვიტანდი და ბოლოს, სულ სიმღერ-სიმღერით ჩავაბარე, — ამაში დამინერეს ნიშნები (იციან). ქართული ლიტერატურა მიყვარდა. ჩვენს სკოლაში ბევრი ნიჭიერი ადამიანი აღიზარდა, ტყეილად კი არ იყო პირველი ექსპერიმენტული! მე და პრეზიდენტს ბავშვობაში ერთი დამრიგებელი გვყავდა.

— ჟურნალისტიკაზე სად ჩააბარე?

— ფასიან სასწავლებელში — „ლეგია და კომპანია“; შემდეგ კი ტექნიკურ უნივერსიტეტში გადავედი, იქაც ფასიანზე, რომელიც ფინანსური პრობლემების გამო ვერ დავამთავრე. სხვათა შორის, იქ რამდენიმე ლექტორში ფულის კეთებისკენ სწრაფვას ნავწყდი. აქედან გამომდინარე, მეც ინდიფერენტული ვიყავი მათ მიმართ. შენი დაწერილი რომ არის საკურსო და დავინუნებენ იმის გამო, რომ ლექტორისთვის არ გაქვს ფული მიცემული, ეს ნამდვილად სანწყენია და მეც ხელი ავიღე სწავლაზე...

— ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი ამაზე პროტესტს არ გამოთქვამდი?

— ერთხელ ხუმრობით გამოვთქვი პროტესტი წინა სასწავლებელში... საერთოდ, სტუდენტობის პერიოდი ძალიან აქტიურად გავატარე, კულტურულ საქმიანობაში ვიყავი ჩართული — მაგალითად, შოთაობაზე ვარძიაში ვიყავით წასული. არ დამავიწყდება, ძალიან მაგარი დღე იყო, შოთაობა მიმყავდა.



— თუ გახსოვს, პირველად რა გადაცემა წაიყვანე?

— რაც მახსენდება, ეს იყო თეატრი-სტუდია „ბერიკეტი“ გოგი თოდუას დაბადების დღე. პატარა დასმა იუბილე მოვუწყვეთ და მე და მსახიობ ნათია მეტრეველს მიგვყავდა. სხვათა შორის, მე და ლევან ჯავახიშვილი ერთად მიგვიღეს „ბერიკეტი“, 2-3 წელი ვიარე იქ. „ბურატინოში“ ვითამაშე... ჩემთვის მაინც განსაკუთრებული იყო „მან-სან-კანი“. XI-X კლასში ვიყავი, როცა აღმოვჩნდი 30-ე სკოლის გუნდში. ერთ-ერთი სცენარისტიც ვიყავი. შემდეგ, სკოლების ნაკრებში ამიყვანეს, რომელიც საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებად გადაიქცა. „დინამო“ ერქვა. ჩემი თაობის „მანსანკანელები“ არიან: გოჩა თანდარაშვილი, ნიკა ქავთარაძე, მიშა მშვილდაძე, ზვიო ბლიაძე. ირაკლი კაკაბაძეს ვამზადებდი ადრე — ასეთი პერიოდიც იყო (იციან)... ტექნიკურ უნივერსიტეტში სამთო გეოლოგიის ფაკულტეტის გუნდი — „მშურლები“ იყო და ვესმარებოდი. ისინი ჩემპიონებიც გახდნენ. ჩემი სკოლის გუნდს „ისტერია“ ერქვა, მერე იყო „ლიმილის ბიჭები“ და „დინამო“.

— „მანსანკანის“ დროინდელი რაიმე სახალისო ამბავი გაიხსენა?

— ერთხელ სოსო თოლორაიამ გადამრია. სოჭში ვიმყოფებოდით. მოკლედ, დისკოთეკა სანამ დაიწყებოდა, ადრე უნდა ჩასულიყავი, რომ მაგიდა „დაგებრონა“, რაც ყველას ეზარებოდა. ჩვენთან ერთად, ტაშკენტელი „მანსანკანელები“ იყვნენ და მე, მოხალისე, შემთხვევით, მათი დროით ჩავედი ქვემოთ ანუ — 4 საათით ადრე. მაშინ „ცუდი ბიჭი“ ვიყავი და სიგარეტს ვწნოდი, გამითავდა და დავრეკე ნომერში. ვკითხულობ, რომელი ხარ-მეთქი? იქიდან მესმის პასუხი, — ზაალი ვარო... გული გამისკდა, სადაც სივრცეში დავარგული მეგონა ჩემი თავი და ვეღარ გავიგე, სად ვიყავი (იციან)... თურმე სოსო ყოფილა, მერე კი მიხვდა, რომ მე ვიყავი და, — უი, უი, სოსო ვარო, — მითხრა. მაგრამ მანამდე ჩემი დამემართა... გარდა სასიყვარულო თავგადასასვლისა, ასეთი რამეებიც გვემართებოდა ხოლმე...

— საზღვარგარეთ რომელ ქვეყნებში გქონდათ გასულითი კონცერტები?

— ბავშვობაში ერთხელ, ამერიკაში ვარ ნამყოფი. ქართული კულტურის დღეები ტარდებოდა 1991 წელს. აქ რომ გაგანია მიტინგები და მსგავსი ამბები იყო, ანსამბლი „დარიალი“ წავედით. ვისაც ეს პერიოდი ახსოვს, კარგად მიხვდება, თუ რა ძნელი იყო მაშინ აშშ-ში წასვლა. ძალიან ლამაზი 2 კვირა გავატარეთ ატლანტასა და ნიუ-იორკში. ვფიქრობ, საქართველო ვასახელებ. იქ ნუგზარ რუხაძე გავიცანი. ბატონი გელა ჩარკვიანი იყო ჩვენთან ერთად, კიდევ, დათო არჩვაძე, რომელიც მაშინ 12 წლის იყო, მე კი — 14-ის.

— რადიოში როდის დაიწყე მუშაობა?

— 1996 წლის 5 სექტემბერს. რა დამავინყებს ამ დღეს?! ფრედი მერკურის დაბადებიდან 50 წელი სრულდებოდა და ლამის

ეთერში თითქმის ზეპირად წავიყვანე 4-საათიანი გადაცემა ჯგუფ „ქუინზე“. ჩემი პირველი გადაცემის ჩანაწერი რომ მოვისმინე, გავვიღე, — ეს ვინ არის, გაათრეთ თქვენ-მეთქი (იციან)!

— როგორ მოხვედი „საქართველოს ხმაში“?

— სრულიად შემთხვევით. აქ ჩემი მეგობარი მუშაობდა. გვინდოდა, რაიმე სატელევიზიო პროექტი გავგვეთქინა; მისი მოფიქრებისა და წერის პროცესში ვიყავით, იქაურ თანამშრომლებს დავუახლოვდით. მასსოვს, იმ პერიოდში საინფორმაციო გამოცემა ანუკა ქინკლაძეს მიჰყავდა. უეცრად ვაკანსია გაჩნდა რადიოში და გასაუბრება გავიარე. ჯაშუმი ჩავიჭერი — არც მაშინ მიყვარდა და არც ახლა. ახლა იტყვიან, ჯაშუმი არ უყვარს, ვაიმე, რა დონეაო (იციან)!.. კოლტრენიც მოსმენილი მაქვს და მაილს დევსიც და იმდენად გენიოსები არიან, რომ დავილაღე. მიმე მოსასმენია ჩემთვის.

— რა სტილის მუსიკას უშვებდი ეთერში? „საქართველოს ხმის“ ფორმატი ცოტა განსხვავებულია შენ გემოვნებისგან...

— პირველი რამდენიმე ეთერის დროს დავაჯანგე ანტენები (იციან) — მიძიმე როკს ვუშვებდი — და მერე ავრძალეს. ზოგჯერ რუსული ესტრადის გამოცემა მიხდებოდა და რუსულ როკს ვაძლერებდი, თუმცა ხანდახან ლუბა უსპენსკაიას ვასმენებდი ხალხს (იციან). „საქართველოს ხმიდან“ წამოსვლის შემდეგ, ისევ „მსკ“... ტექნიკური უნივერსიტეტის „მედიკალური“ ვიყავი და ჩემს ფაკულტეტზეც, ჰუმანიტარები ორჯერ ჩემპიონებიც გავხდით. კაპელაშიც დავდიოდი და სტუდენტური კულტურულ ღონისძიებებშიც აქტიურად ვმონაწილეობდი. რალაც პერიოდი, რადიო „უნივერსიტი“ ვიყავი, სადაც ფაქტობრივად მიმანიშნეს, რომ უნდა წავსულიყავი — ჩემი საავტორო გადაცემის ყველა „ქუდი“ და „ტიხარი“ წაშლილი დამხვდა... ამის შემდეგ იყო „მწვანე ტალა“, ბოლოს კი — მხიარული რადიო 100.3. ნიკა ქავთარაძემ დამირეკა და რომ მივედი, იქ ძალიან ბევრი იუმორისტი დამხვდა. მაშინ ერთ-ერთ დაბადების დღის ცენტრში ვმუშაობდი, ბავშვებს ვართობდი. თვალებს არ ვუჯერებდი, ამდენი „კავენსიკი“ რომ დამხვდა — ირაკლი კაკაბაძე, გიორგი ჯანელიძე, ზვიო... დიხჯი მუსიკალური რედაქტორი იყო, კაბუ ჩვენთან მუშაობდა და ა.შ. მაგარ რალაცებს აკეთებდნენ. მერე მენეჯმენტმა მოიკოჭლა და...

— როგორ გასამრჯელო გქონდა?

— 20 ლარიდან დავიწყე მუშაობა და ზოგჯერ მაგასაც გვამაღლიდნენ (იციან). თან, ძალიან სასაცილო სტუდია და ძველი აპარატურა გვეყოდა, ახლანდელი მერისი შენობაში ვიყავით.

— რადიოში გაცნობილ გოგონებს ხედებოდი ხოლმე?

— აბა, რა! ძირითადად, რადიოში მოდიოდნენ. ფან-კლუბები გვქონდა, დაბადების დღის ტორტები მოჰქონდათ. ბევრი ერთგული რადიომსმენელი მყავდა

და მათთან ახლაც ვემგობრობ. ძალიან კარგი პერიოდი იყო, დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი კიდევ.

— სიმღერის — „ო, რა კაია“ პაროდია, რომელსაც შენ ასრულებდი, ვისი დანერული იყო?

— ჩვენებს, „კავენსიკების“, ვინც ჩამოვთვალე. ენ. „ცუდი ათული“ იყო ყოველკვირას და ჩვენი მსმენელების დანუნებული ქართული სიმღერების ათეული დგებოდა; პირველ ადგილზე რომელიც გადიოდა, მისი პაროდია კეთდებოდა. „ო, რა კაია“-ს პაროდია პოპულარული იყო. ტექსტის დანერაში მონაწილეობა არ მიმიღია, ვასრულებდი და „ბექებს“ ნიკა ქავთარაძე და თამუნა ლეკვიშვილი „მადლევდნენ“.

— კიდევ რამდენი სიმღერა გაქვს ჩანერული?

— 12-13... რამდენიმე რადიოში გავაკეთეთ. მაქვს დუეტი ია ჩანტლაძესთან. საახალწლო სიმღერები „მზის“ კოლექტივთან და ჩემს ძმებთან ერთად; „იოლის“ სიმღერა, რომელსაც მათ ღონისძიებებზე ვმღეროდი. ახლა ვაპირებ, ჩვენყო სიმღერა „შენ ამამღერე“, რომელსაც ბორჯომში კონცერტზე შევასრულე. ქალაქური სიმღერა, ჩქარი ტაში და მთელი ამბავი (იციან).

— ტელევიზიაში როდის დაიწყე მუშაობა და საერთოდ, როგორ მოხვედი იქ?

— ჯერ კიდევ რადიოში ვმუშაობდი, როცა „მზიდან“ დამირეკეს, ანონსებისა და პრომოუშენის თანამშრომლები აჰყავდა და CV-ს გარდა, ჩემი დივეტი გავაცანი სიტყვიერად. რალაც პერიოდი გავიდა და დამირეკეს. მერე ჩემი ძმაც მიიღეს. დიდი ხანი ვიმუშავე. „ბასტი-ბუბუს“ გადაცემა მიმყავდა, რომელიც ძალიან მომწონდა. მათ რამდენიმე ღონისძიებებზეც გამოვედი, ბოლოს მეფეც კი ვითამაშე საახალწლო მიუზიკლში — „მეფის გაუცინარი ასული“. შემდეგ მთელი ანონსების ჯგუფი „იმედში“ გადმოვბარგდით. 5-6 წლის გადმოსული რომ ვიყავი, „იმედის დილაში“ ამინდის პროგნოზის წამყვანი მამაკაცი დასჭირდათ და „მოსამზადებელი“ პერიოდი ვერც გავიარე, ისე დამსვენე ეთერში.

— თითქოს ადვილი წააყვანია ამინდის პროგნოზი...

— ყველა ამას ამბობს, მაგრამ რამე რომ შეგეშალოს, სირცხვილია. მაგალითად, ყოფილა შემთხვევა, ფრაზეოლოგია შემშლია. ერთხელ ვთქვი, — მცირე წვიმა წამოვი, მაგრამ უნაღვეოდ-მეთქი (იციან)... არადა, ვგულსხმობდი — ინვიმებს, მაგრამ ღრუბელი გაიფანტებამეთქი... თუმცა ჩემი წაყვანილი ამინდის პროგნოზები მაინც ყველაზე განსხვავებული იყო — სტუმრები მოდიოდნენ, ლუმელი მედგა, მათთან ერთად ჩაის ვსვამდი და, რაც მთავარია, ეს სტუმრები იყვნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები — მომღერლები, მოცეკვავეები, პოეტები, მხატვრები, სპორტსმენები და ა.შ. სტუმრების ვინაობას ყოველთვის წინადღეს ვიგებდი. ერთხელაც, რომ ვნახე ანონსი, არავინ ენერა და ვიფიქრე, ალბათ სტუმრის გარეშე უნდა წავიყვანო-

მეთქი... აივანზე იყო მოწყობილი ჩვენი სტუდია. ავედი და ვხედავ, განათება და 2-2 სკამი და მიკროფონია დაყენებული — აშკარად სასტუმროდ იყო მომზადებული. ძალიან მინდოდა, ეს სტუმარი ოთარ რამიშვილი ყოფილიყო. რომ შევედი და სწორედ ის დავინახე მეუღლესთან ერთად, ძალიან გამიხარდა (ილიმის)... მერე მზარეული გავხდი. სულ მოდიოდნენ ხოლმე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი მზარეულები. იქაც საინტერესო სტუმრები მყავდა.

— როგორია „იმედის დილის“ შიდა სამზარეულო?

— ძალიან გემრიელია (იციანის). გადასარევი კოლექტივია, კარგი რომ არ იყოს, ასეთ რეიტინგულ გადაცემას ვერ მივიღებდით.

— საზაფხულოდ რა გეგმები გაქვს?

— რაჭაში მინდა წასვლა, მაგრამ ეს ფინანსებზე და მოკიდებული. ვნახოთ... „იმედის დილა“ ისვენებს, ჯერჯერობით „უმშუშევი“ ვარ და ჩემით მიწევს სახსრების მოძიება, ამიტომ, თუ რამე ვიპოვე, აუცილებლად წავალ, ძალიან მომინება რაჭა. შემდეგი სეზონის „დილაში“ როგორი სიტუაცია იქნება, არ ვიცი... თუ არ წავედი, ვარკეთილში დავისვენებ, სუფთა ჰაერზე (იციანის).

— ბათუმში არ მიდიხარ?

— მეუბნებიან ხოლმე მეგობრები, — შენ ჩამოდი და დანარჩენი ჩვენ ვიცითო, — მაგრამ ეგრე, დაძახებულზე, მაინც ვერ წავალ. თუ რაიმე საინტერესო ჩატარდება, წავალ.

— ცოლის მოყვანას არ აპირებ?

— არა, რატომ?! (იციანის) ოჯახში კი მიკვირებენ, მაგრამ... ვილაც ხომ უნდა მოვიყვანო? ნესეს ან საზამთროს ხომ არ მოვიყვანო?! ცოცხალი ადამიანი უნდა იყოს და კარგია, თუ ქალი იქნება (იციანის)... ვილაცები რომ გამოჩნდებიან ჰორიზონტზე, მერე ისევ იკარგებიან, — მე შენი ღირსი არა ვარო, — და მსგავსი ტექსტებით. ვერ ვასწრებ ხოლმე, მითხოვდებიან. ახლა არავინაა ისეთი, ვინც მიყვარს...



როგორ ვიშოვოთ მილიონი - წარმატებულ ქალბატონთა რჩევები

ისინი არც ზღაპრული ქონების მემკვიდრენი ყოფილან და არც ფერია გახლდათ მათი ნათლია. ერთმა მათგანმა მხოლოდ შოკოლადის ორცხობილას რეცეპტი იცოდა, მეორე კი სასკოლო თემებში ფანტაზიას გასაქანს აძლევდა და მაღალი მოდის სამყაროს დაპყრობაზე ოცნებობდა. თითოეულმა მათგანმა მიზნისკენ მიმავალ გზაზე წარმატების საკუთარი პრინციპი შეიმუშავა და მართლაც, ახლა ორივე წარმატებული ბიზნესმენი გახლავთ.



მიუჩია პრადა

გასული საუკუნის მიწურულს მარიო პრადა ჩინებულ სამგზავრო ჩანთებს ყიდდა. საქმე მემკვიდრეობით მისმა ქალიშვილმა, ლუიზამ მიიღო, მაგრამ ამით პატარა კომპანიაში არაფერი შეცვლილა. 1979 წელს ოჯახურ ბიზნესს მარიოს უმცროსი შვილიშვილი — დინჯი, სერიოზული, სამყაროს შეცვლაზე შეოცნებე მიუჩია ჩაუდგა სათავეში. გოგონამ, რომელიც მუდამ მოკრძალებულ, სადა სამოსს ანიჭებდა უპირატესობას, პოლიტიკოლოგის დოქტორის ხარისხი მიიღო, პოლიტიკური მოღვაწეობისთვის ემზადებოდა, მაგრამ ყველაფერზე უარის თქმა მოუხდა — უარი თქვა ოცნებაზე, სამომავლო გეგმებზე, კარიერაზე, რადგანაც ოჯახური ბიზნესი კრახის მიჯნაზე იყო. 29 წლის პოლიტიკოლოგს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა უნდა მოეხერხებინა ამ ჩანთებისთვის... ერთხელ, როდესაც სასონარკვეთილი დანებებას აპირებდა, საკუთარი სისუსტის გამო სამინლად შერცხვა და საქმეს ენერგიულად მოჰკიდა ხელი. უმოკლეს დროში ბაზარი შეისწავლა, კონკურენტთა სუსტი წერტილები მოიძია და მსოფლიოს ისეთი ჩანთები შესთავაზა, რომელსაც ნაკლს ვერავინ უპოვიდა. ამასთან, დიზაინერული განათლების უქონლობის მიუხედავად, მოდელების შექმნა თავად იკისრა.

ხუთი წლის შემდეგ მიუჩიამ ტანსაცმლის კოლექციის შექმნა გადაწყვიტა და 1989 წელს მისი კოლექცია პრეტ-ა-პორტეს ჩვენების „პიტად“ იქცა. მიუჩიამ გაბედულად შეაბიჯა მოდის სამყაროში, სადაც საუკეთესო ადგილები გიგანტურ ბრენდებს შორის უკვე გადაწინააღმდეგებული იყო.

ის არც მოდურ ტენდენციათა დინების წინააღმდეგ წასვლას შეუშინდა და იმ სეზონში გამეფებულ ჭრელ ფერებს შორის მხოლოდ პრადას კოლექცია გამოირჩეოდა მუქი ტონებით. საუკუნის დასაწყისში პრადამ სათვალეები, აქსესუარები და პარფიუმერიაც გამოუშვა.

მიუჩია პრადას წარმატების საიდუმლო ცოდნისა და ახალი უნარების შექმნის დაუოკებელი წყურვილია. „დიდ წარმატებას ვერასდროს მიიღწევთ, თუ მხოლოდ იმას აკეთებთ, რაც ერთხელ ისწავლეთ... საკუთარი თავის მიმართ საოცრად მომთხოვნი ვარ. მოდელს ათჯერ მაინც გადავაკეთებ ხოლმე და თითოეულზე მანამ ვიმუშავებ, ვიდრე იდეალურ შედეგს არ მივაღწევ“, — ამბობს დიზაინერი.

ნატალია ვოლიანოვა

დღეს ამ რუსი კონკიას შესახებ ყველამ ყველაფერი იცის — ნიჟინი-ნოვგოროდელი გოგონა 11 წლის ასაკიდან შრომობდა, ბოსტნეულს ყიდდა, კაბებს კი ძველი ფარდებისგან იკერავდა. ერთხელ ნატალია სამოდელიო სააგენტოს აგენტმა ქუჩაში დაინახა და... 17 წლის ასაკში გოგონა უკვე პარიზში იყო... ყოველწლიურად ათასობით გოგონა ლამობს სამოდელიო ოლიმპის დაპყრობას, მაგრამ საუკეთესო მოდელთა წუსხას ახალი სახელები იშვიათად ემატება. დღეისათვის ნატალია ვოლიანოვა „მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი მოდელის“ ტიტულს ატარებს, ყველაზე მასშტაბურ





და მნიშვნელოვან სარეკლამო კამპანიებში მონაწილეობს და ქველმოქმედებას ეწევა.

მოდელის წარმატების ფორმულა ასეთია: იმისათვის, რომ პრინცესად გადაიქცე, შენს შინაგან კონკიას უნდა გამოეთხოვო; იმ შემთხვევაში კი, თუ ბავშვობაში იღბალმა ზურგი შეგაქცია, მტყიცედ უნდა გნამდეს, რომ ყველაფერ საუკეთესოს იმსახურებ; უნდა გჯეროდეს, რომ ულამაზესი ხარ; უნდა გნამდეს, რომ პარიზს დაიპყრობ მაშინაც კი, როდესაც მშობლიური ქალაქის გარდა, არაფერი გინახავს და მხოლოდ ოცნებაში გიმოგზაურია!



განთქმული Disney Channel-ის პოპულარობა კი 5-ჯერ გაიზარდა. ქალი, რომელმაც ბავშვობის ოცნება აისრულა, სრულიად დარწმუნებულია, რომ წარუმატებლობის მთავარი მიზეზი — ჩვენი გონებაზე მულდუდულოების გამართლების მცდელობაა და ამ მოსაზრების დასამტკიცებლად, ინტერვიუებში ხშირად ახსენებს პირველი აფროამერიკელი მილიონერი ქალის — სარა უოკერის ამბავს, რომელიც ბავშვობაში მისი შთაგონების წყარო იყო.

სარა ობოლი გახლდათ და თავს შაქრის ღერწმის მოსავლის ალებით ირჩენდა. ადრე გათხოვდა და მალევე დაქვრივდა. მარტოხელა დედა დღისით სამრეცხაოში მუშაობდა, საღამოობით კი სკოლაში დადიოდა და წერა-კითხვას სწავლობდა. ერთხელ, როდესაც სამსახურის შემდეგ ურჩი თმის მოწესრიგებას ცდილობდა, ის მოიფიქრა, რამაც შემდგომ მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი — სარამ აფროამერიკელ ქალთა უხეში, ხუჭუჭა თმის გასასწორებელი საცხი გამოიგონა. ამ საცხს მთელ ქალაქში დაატარებდა და თავისდა უნებურად, ცხოვრების ახალ სტილს ავრცელებდა.

XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ფემინისტები ქალთა უფლებების დასაცავად მხოლოდ ემზადებოდნენ, სარა უოკერს უკვე საკუთარი ფაბრიკა და სკოლა ჰქონდა. იგი ცნობილი ადამიანი გახდა და ინტერვიუს მიცემაზე სიამოვნებით თანხმდებოდა, მხოლოდ ერთი პირობით — იგი ჟურნალისტებს მუდამ აფრთხილებდა: „იმის თქმა არ გაბედოთ, რომ ჩემი რასისა და სქესის ადამიანისთვის წარმატების მიღწევა შეუძლებელია. შეხედეთ ჩემს სახლს — ასეთი სახლი იმისთვის ავაშენე, რომ ყველამ დაინახოს — მიუღწევლი არაფერია!!!“

დები ფილდსი

მსოფლიოში უამრავი საკონდიტრო ამზადებს გემრიელ ორცხობილასა და შესანიშნავ შოკოლადს, მაგრამ მათ შორის გამოირჩეული, ყველაზე წარმატებული საკონდიტრო კომპანია და ახალი ნამცხვრების ბაზრის მსოფლიო ლიდერი Mrs. Fields Cookies-ის მალაზიათა ქსელია.

20 წლის დები ფილდსს არც განათლება ჰქონდა, არც ფული და არც — გამოცდილება. ახალგაზრდა, უმუშევარი დედა უმუშევართა დახმარებით ცხოვრობდა — ასეთები მრავლად არიან, მაგრამ ისინი მდგომარეობის გაუმჯობესებას ვერ ახერხებენ. დებში პრაქტიკულად, არაფერი იცოდა. ერთადერთი, რაც ებოდა — შოკოლადიანი ორცხობილას საკუთარი რეცეპტი იყო. მას ბევრი ტყუილ-მართალის თქმა მოუხდა იმისათვის, რომ ბანკისგან კრედიტი მიეღო და პატარა მალაზია გაეხსნა. „კომპანია არაფრისგან შექმენი — მხოლოდ ერთი რეცეპტი და ოცნება მქონდა. ჩემი ბიზნესგეგმა მარტივი იყო: იმდენად გემრიელი ორცხობილა უნდა დამემზადებინა, რომ მთელ მსოფლიოს შეჰყვარებოდა“. 22 წლის ასაკში გოგონა მილიონერი გახდა.

დამწყებ ბიზნესმენ ქალებს დები ფილდსი ასეთ რჩევას აძლევს: „აუცილებლად სცადეთ. ყველაზე საშინელი ჩავარდნა ისაა, როდესაც ადამიანს საქმის წამოწყების ეშინია. როგორც კი მიხვდებით, რომ რალაცის კეთება ყველაფერზე მეტად მოგწონთ, ამ საქმეში საუკეთესო გახდით!“

ანა ვინტურა

მოდის სამყაროში არანაკლებ სასტიკი კანონები მოქმედებს, ვიდრე დიდ ბიზნესში. აქ ცნობილი, მდიდარი ადამიანები ბატონობენ და ახალბედებისთვის ადგილს არ ტოვებენ. რა არის საჭირო იმისათვის, რომ მსოფლიოს მოდის კანონები უკარნახო? ყველაზე გავლენიანი ქალთა ჟურნალის — ნიუ-იორკის Vogue-ს რედაქტორის ამის თაობაზე საკუთარი მოსაზრება აქვს.

ანა ვინტურას არც უმაღლესი განათლება ჰქონდა, არც სუპერმოდელის გარეგნობით გამოირჩეოდა და დიდძალი მემკვიდრეობაც არ მიუღია. 10 წლის იყო, როდესაც სასკოლო თხზულებაში დაწერა, რომ ჟურნალ Vogue-ს რედაქტორი

გახდებოდა. მოგვიანებით, სკოლა საერთოდ მიატოვა და სწავლა მოდის კურსებზე განაგრძო. კოლეჯში არ შევიდა და პირდაპირ ერთ-ერთ ქალთა ჟურნალის რედაქციას მიაშურა. 30 წლის იყო, როდესაც ბრიტანული Vogue-ს კრეატიულ დირექტორად დანიშნეს, ხოლო 1988 წელს გამოცემის — ნიუ-იორკის ვერსიის მთავარი რედაქტორის კაბინეტში დაბინავდა... დღეს ანა ვინტური მოდის სამყაროში ყველაზე გავლენიანი ადამიანია. ყოფილმა ასისტენტმა, ლორენ ვისბერგერმა სწორედ მასზე დაწერა ცნობილი ბესტსელერი — „ემმაკი ატარებს პრადას“. ეს ქალბატონი სხვებს საკუთარ აზრებს ახვევს თავს, თავად კი სხვისი გავლენის ქვეშ არასდროს ექცევა. ამბობენ, რომ ვინტურა გარედან რკინის, შიგნიდან კი ტიტანისგანაა ჩამოსხმული და ცხადია, მდგომარეობიდან მისი გამოყვანა შეუძლებელია. ამასთან, მოდური ჟურნალის მთავარი რედაქტორი კომპიუტერული სიზუსტით მუშაობს და ამაში უმკაცრესი თვითდისციპლინა ეხმარება. მგალითად, ანა მუდამ 5:45 საათზე იღვიძებს, დასაძინებლად კი 22 საათზე წვება და ამ გრაფიკს ქვეყნიერების დასასრულიც ვერ შეაცვლევინებს.

ენ სუინი და სარა უოკერი

ენ სუინი Fortune-სა და Forbes-ის ყველაზე წარმატებულ საქმიან ქალთა რეიტინგების უცვლელი წევრია, ყველაფერი კი მულტიფილმების სიყვარულით დაიწყო... უმრავლესობისთვის დისნეის სამყარო მხოლოდ ბავშვობის სასიამოვნო მოგონებაა, ზოგიერთისთვის კი სამყაროს იდეალური მოდელი და იმის რწმენა, რომ კარგი მულტიფილმი ბავშვს ჩამოყალიბებაში ეხმარება. ენ სუინი პედაგოგთა ოჯახში დაიბადა და ამერიკის ერთ პატარა ქალაქში გაიზარდა. ბევრი რა აკლდა, მაგრამ ბავშვური, დისნეისათვის დამახასიათებელი რწმენა ასაზრდოებდა — რწმენა იმისა, რომ შეუძლებელი არაფერია!

კოლეჯის დამთავრების შემდეგ საბავშვო ტელეარხზე ასისტენტად დაიწყო მუშაობა. ენიმ ჯერ Nickelodeon-სა და FOX-ში იმუშავა, შემდეგ კი დისნეის ოჯახის წევრი გახდა. მისი ხელმძღვანელობით გაიხსნა 24-საათიანი საბავშვო ტელეარხი, სახელ-



რუბრიკა მოამზადა ნატო მანჯავიძემ



ცხოვრება

„შუშის ბავშვები“ — დაავადება მრავლობითი მოზახილოზით

„მათი მკურნალობას არც სახელმწიფო აფინანსებს და არც სადაზღვევო კომპანიები“

ამ დაავადების მქონე ბავშვებს სხვაგვარად, „შუშის ბავშვებს“ უწოდებენ. გენეტიკური დაავადების პირველი მახასიათებელი, რომელსაც სამედიცინო ტერმინოლოგიით, არასრული ოსტეოგენეზი ეწოდება, ძვლების მომატებული მტკრევადობაა. ექიმებმა ეს დაავადება ჯერ კიდევ 3 საუკუნის წინ აღწერეს, მაგრამ მისგან განკურნების შესაძლებლობა მხოლოდ რამდენიმე წლის წინ გაჩნდა.

ივა ტუხიაშვილი

საქართველოში ექიმებმა 32 „შუშის ბავშვი“ გამოავლინეს და გარკვეული დროის განმავლობაში სახელმწიფო მათი მკურნალობის კურსს ანაზღაურებდა, მოგვიანებით კი „შუშის ბავშვებს“ სახელმწიფო დაფინანსება შეუწყვიტეს და ყველა პოლისიანი პაციენტი კერძო სადაზღვევო კომპანიებში გადაანაწილეს, სადაზღვევო კომპანიები კი თერაპიული მკურნალობის დაფინანსებაზე უარს აცხადებენ. არადა, ასეთი მკურნალობა „შუშის ბავშვებისთვის“ სასიცოცხლოდ აუცილებელია.

რამდენიმე თვის წინ, სანდრა რულოვისის პატრონაჟით, შეიქმნა „ალიანსი იშვიათი დაავადებებისთვის“ და გაჩნდა იმედი, რომ ამ ორგანიზაციის წყალობით, „შუშის ბავშვების“ სამკურნალოდ საჭირო დაფინანსების ალტერნატიული წყარო გაჩნდებოდა. აქვე დავაზუსტებთ — ერთი პაციენტის მკურნალობა წელი-

წადში დაახლოებით, 3 ათასი ლარი ჯდება, მაგრამ ამ სენით შეპყრობილი ბავშვების უმეტესობა გაჭირვებული ოჯახებიდანაა და ცხადია, მათ ამ თანხის გადახდა არ შეუძლიათ.

არადა, ჩვენ ირგვლივ რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი არსებობს იმისა, თუ რა შედეგებით მთავრდება ეს დაავადება მკურნალობის გარეშე. ექიმებმა მოგვანოდეს სოფელ ლიას მკვიდრის, 40 წლის მამაკაცის ფოტო, სადაც ის

თანატოლთან ერთად არის გადაღებული. ბავშვობიდან დღემდე მას 23 მოტეხილობა აქვს გადატანილი ე.წ. ლულოვან ძვლებზე. ამ ფოტოზე აღბეჭდვის მომენტში მისი სიმაღლე 94 სანტიმეტრს აღწევდა, წონა — 28 კილოგრამს. „შუშის დაავადებით“ შეპყრობილმა კაცმა მხოლოდ 49 წელი იცხოვრა.

არასრული ოსტეოგენეზით დაავადებულმა ტატიანამ, რომლის სიმაღლე 115 სანტიმეტრია, 2 შვილი გააჩინა. გოგონა მასავით, „შუშის ბავშვია“, ბიჭი კი — სრულიად ჯანმრთელი. ტატიანა 14 წლის ასაკამდე სანოლს იყო მიჯაჭვული, მაგრამ სურვილმა, სხვებივით ეცხოვრა, ტკივილი და მოტეხილობის შიში დააძლევინა... რა თქმა უნდა, უამრავი მაგალითი არსებობს იმისა, რომ ასეთი ადამიანები, მძიმე სენისა და ფიზიკური პათოლოგიების მიუხედავად,

ცხოვრობენ, ქმნიან ოჯახს, ჰყავთ შვილები, მაგრამ როდესაც არსებობს „შუშის ბავშვების“ მსხვერვისგან გადარჩენის შანსი, ყველა შესაძლებლობა უნდა იყოს გამოყენებული.

თამარ ჭილაძე, პედიატრი, მედიცინის დოქტორი:

— ამ დაავადების სხვადასხვა ფორმა არსებობს. მყავს ერთი პაციენტი, რომელიც ცემინების ან სანოლში ნაშთადომისას ერთდროულად 2-3 მოტეხილობას იღებდა. ეს

ბავშვობიდან დღემდე მას 23 მოტეხილობა აქვს გადატანილი





ბავშვი ახლა უკვე 9 წლისაა და დაახლოებით 120-130 მოტეხილობა აქვს გადატანილი!.. 10-15 მოტეხილობაზე ნაკლები არც ერთ ჩემს პაციენტს არ ჰქონია. 2004 წელს ბელგიაში გახლდით, სტაჟირებაზე და როცა იქიდან დავბრუნდი, პოსტ-საბჭოთა სივრცეში პირველად, „შუშის ბავშვების“ მკურნალობის ახალი, ეფექტიანი მეთოდი საქართველოში დაინერგა. ამ ბავშვებს ჰოსპიტალიზაცია 4 თვეში ერთხელ ესაჭიროებათ; ზედიზედ 3 დღე მიმდინარეობს თერაპიული კურსი, 3-4-საათიანი უწყვეტი გადასხმით. თბილისის ტრავმატოლოგიური კლინიკის ბაზაზე, „შუშის ბავშვების“ სამკურნალოდ ყველა პირობა არსებობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც სახელმწიფო პროგრამა მათ მკურნალობას აღარ ითვალისწინებს, ეს ბავშვები ფაქტობრივად, ინვალიდობისთვის არიან განწირული. მკურნალობა მათ გარდატეხის ასაკამდე უნდა ჩაუტარდეთ — ასეთ შემთხვევაში მიეცემა შესაძლებლობა, ნორმალური ცხოვრებით იცხოვრონ. ვცდილობთ, მკურნალობის კურსით მოტეხილობათა რაოდენობა შევამციროთ და ბავშვებს მივცეთ შანსი, გაიზარდონ, განვითარდნენ. მახსოვს, „შუშის ბავშვების“ მკურნალობა რომ დავიწყებ, მშობლებმა მომიყვანეს ბიჭი, რომელიც ძვლების სიმეფის გამო, ვერ დადიოდა. ახლა უკვე 15 წლისაა და მკურნალობის სრული კურსის შედეგად, სხვა თანატოლებივით ცხოვრობს. დაახლოებით 10% დაგვრჩა, ვისაც დაფინანსების შეწყვეტის გამო ვეღარ ვმკურნალობთ. არადა, ყველა პაციენტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახიდანაა. კერძო სადაზღვევო კომპანიებში, რომლებმაც სახელმწიფო პოლისის მქონე პაციენტების დაფინანსება იკისრეს, მეუბნებიან, რომ მხოლოდ ქირურგიულ მკურნალობას აფინანსებენ. „შუშის ბავშვებს“ თერაპიული მკურნალობის კურსი სჭირდებათ, რადგან მათი სიცოცხლე სწორედ რომ მედიკამენტების დროულ მიღებაზე დამოკიდებული. მერწმუნეთ, ამ პაციენტების მკურნალობა სახელმწიფოს გაცილებით იაფი დაუჯდება, ვიდრე მათი შენახვა მომავალში, რადგან მკურნალობის გარეშე, ეს ბავშვები პოტენციური ინვალიდები არიან.

— მაინც, რა ჯდება „შუშის ბავშვის“ მკურნალობა?

— თითოეული ბავშვის მკურნალობას წელიწადში დაახლოებით, 3 ათასი ლარი სჭირდება. ნამდვილად არ არის ისეთი თანხა, რომ ისინი განკურნების შესაძლებლო-

ბის გარეშე დავტოვოთ. ერთი ჩემი პაციენტი ბიჭუნა 5 წლის გახლდათ, როდესაც პირველად კახეთში, საგარეჯოში ვნახე. თბილისში მის ჩამოყვანაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, რადგან ბავშვი სანოლშიც კი ვერ იცვლიდა გვერდს, მხოლოდ თავს ამოძრავებდა. მკურნალობის შემდეგ, სკოლაში ინვალიდის სავარძლით დადის. რაც მთავარია, შეუძლია, თავად მართოს სავარძელი, ჯდება და ეს შედეგიც დიდი ბედნიერებაა მისი ოჯახისთვის.

— როგორც ვხვდებით, 5 წლის ასაკში „შუშის ბავშვის“ მკურნალობა დაგვიანებულია, არა?

— ასეთი ბავშვის მკურნალობას რაც უფრო ადრეული ასაკიდან დავიწყებთ, შედეგიც მით უფრო სრულყოფილი იქნება. ეს გენეტიკური დაავადებაა და ხშირ შემთხვევაში, მშობლებმა იციან, თუ რა სჭირს მათ შვილს. საუბედუროდ, ხშირად მშობლები ასეთი შვილის არსებობასაც კი მაღავენ. მყავდა ერთი პაციენტი, რომლის დედაც მიმტკიცებდა, რომ გენეტიკაში არასრული ოსტეოგენეზი არავის ჰქონია. ამ დაავადების მქონე ადამიანებს ძალიან დამახასიათებელი თვალის ცისფერი სკლერა (გარსი) აქვთ. როდესაც პაციენტის ბებია ვნახე, მივხვდი, რომ შვილიშვილს დაავადება სწორედ მისგან ერგო, მეგვიდრეობით. კახეთში მცხოვრები „შუშის ბავშვის“, ირაკლის (მის გვარს ეთიკური მოსაზრებით არ ვასახელებ) არსებობის შესახებ თავად შევიტყვე და მის მშობლებს რომ დაუფუკავშირდი, თავიდან შვილის ავადმყოფობა კატეგორიულად უარყვეს. ირაკლის უფროსი და ჰყავს, ამიტომ მშობლებმა „თადარიგი დაიჭირეს“: ასეთი ძმის ყოლამ გოგოს ოჯახის შექმნაში ხელი არ შეუშალოს... მოგვიანებით კი თავად დამირეკეს. მიხვდნენ, რომ მკურნალობის ახალი მეთოდის წყალობით, ბავშვის გადარჩენის შანსი გაჩნდა. ახლა სამეგრელოდან ერთი პაციენტი მყავს, რომელიც ორივე ბარძაყის მოტეხილობით დაიბადა. ველოდებით, როდის შეუსრულდება ერთი წელი, რადგან ძვლის სიმკვრივის განსაზღვრა ჩვენთან წლამდე არ ხდება, უცხოეთში კი „შუშის ბავშვების“ მკურნალობას 3 თვის ასაკიდან იწყებენ. არასრული ოსტეოგენეზის მსუბუქი ფორმების დროს დაავადება ბავშვებში 2-5 წლის ასაკიდან ვლინდება, მძიმე ფორმის შემთხვევაში კი ბავშვი

იბადება მოტეხილობით ან პირველსავე საათებში იღებს მოტეხილობას. „შუშის ბავშვებისთვის“ დამახასიათებელია ქარვისებრი კბილები, სმენის პათოლოგია, ზრდაში ჩამორჩენა, კიდურების დეფორმაციები. მკურნალობის პროცესში, ყოველი გადასხმის შემდეგ, ძვალზე ჩნდება დამახასიათებელი ხაზები — თითქოს მას ლითონის კონსტრუქციის მსგავსად ვამაგრებთ. ვიზუალურად — რენტგენის სურათზე



ამ ბავშვებს ჰოსპიტალიზაცია 4 თვეში ერთხელ ესაჭიროებათ

შეგიძლიათ დაინახოთ და დათვალოთ, თერაპიის რამდენი კურსი ჩაუტარდა პაციენტს. თითოეული ასეთი ხაზი ამაგრებს ძვალს და ზრდის მის მინერალურ სიმკვრივეს, ყოველი განმეორებითი მოტეხილობა კი ამძიმებს დაავადებას; რაც უფრო მეტია მოტეხილობა, მით მეტია ძვლის დეფორმაციის განვითარების საშიშროება. დეფორმირებულ ძვალზე კი სიმძიმის ცენტრის თანაბრად გადანაწილება აღარ ხდება, რაც კიდევ უფრო ზრდის ახალი მოტეხილობის ალბათობას. „შუშის ბავშვებს“ ხშირად ანუხებთ გაუსაძლისი ტკივილი. დაავადების მძიმე ფორმების დროს, ტკივილი არა მხოლოდ მოტეხილობის შემთხვევაში, არამედ მოტეხილობათა შორის პერიოდშიც აღენიშნებათ. მკურნალობის ორი კურსის შემდეგ კი ტკივილი ფაქტობრივად, უამდებათ. დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ ყოველ მომდევნო თაობაში გენეტიკური დაავადება სულ უფრო მძიმე ფორმით ვლინდება.

ზემთხვევით გახსნილი მკვლელობა

„ჩემი ფეხით რომ არ მივსულიყავი, ეს საქმე შეამჩიებოდა“

თბა სურსილაპა

„მარია აზამაცევას ბავშვობიდან ვიცნობდი, ბიძაჩემის საყვარელი იყო... დეიდა მარია ჩემთან მეგობრობდა. ბიძას სოფელში ჩამოჰყავდა... ძალიან სუფთა, კულტურული ქალი იყო, მაგრამ უხასიათო. საქართველოში ნათესავი არავინ ჰყავდა... მისი სიკვდილი არ მინდოდა“, — ამ სიტყვებით დაიწყო თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩვენების მიცემა განსასჯელმა, 54 წლის ვენერა ობოლაშვილმა, რომელიც ანგარებით, მოხუცის განზრახ მკვლელობისთვის გაასამართლეს. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ვენერა ობოლაშვილს ძალოვნები 3 ადამიანის მკვლელობაში ადანაშაულებდნენ. ამასთან, მას ყალბი დოკუმენტების დამზადება გამოეყენება და თაღლითობაც ედება ბრალად. შს სამინისტროს განმარტებით, ვენერა ობოლაშვილი მარტოხელა ადამიანებთან კონტაქტში შედიოდა, მათი ნდობის მოპოვებას ახერხებდა და ქონების დასაფლავებლად მკვლელობასაც არ ერიდებოდა. ძალოვნებმა პოზიციის გასამყარებლად ობოლაშვილის აღიარებითი ჩვენებებიც გაავრცელეს. ის დეტალურად ჰყვებოდა, თუ როგორ გადაადგო (25 წლის წინ) მატარებლის ვაგონიდან პირველი მუხლზე — 1941 წელს დაბადებული იური იურკინი, შემდეგ კი მისი ბინა 4.000 დოლარად გაყიდა; ობოლაშვილმა კიდევ ერთი მამაკაცის მკვლელობა აღიარა. ის აცხადებდა, რომ ანატოლი კალინკასთან არაოფიციალურ ქორწინებაში იყო და ამ გზით კალინკას გაყიდული ბინის თანხა, 50 ათასი დოლარი მიითვისა. ძალოვანთა მიერ გავრცელებულ ჩვენებებში ბრალდებული ჰყვებოდა, თუ როგორ გადაადგო ხიდიდან მტკვარში ანატოლი კალინკა და ძალოვნებს შემთხვევის ადგილიც კი უჩვენა. ფაქტია, ეს აღიარებითი ჩვენებები საზოგადოებამ ტელევიზიით მოისმინა, მაგრამ მიუხედავად ამისა, პროკურატურას ვენერა ობოლაშვილისთვის კალინკასა და იურკინის მკვლელობისთვის ბრალი არ წაუყენებია — ამდენი წლის შემდეგ სამართალდამცავებს მტკიცებულებების მოპოვება გაუჭირდათ და ამ ნაწილში ბრალი ამიტომაც ვერ წაუყენეს. ამ ორი ეპიზოდის ირგვლივ ოფიციალურად საქმე ცალკე წარმოებდა გამოიყო, თუმცა ფაქტია, ამ საქმეებს პერსპექტივა აღარ აქვს. განსასჯელმა ობოლაშვილმა



სასამართლოზე წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენების გამოქვეყნებაზე უარი თქვა. ის აცხადებს, რომ ჩვენება ცემანამების შედეგად ჩამოართვეს და ეს ყველაფერი სიბართლეს არ შეესაბამება. ბრალდებულმა თავისი ჩვენება ამ სიტყვებით განაგრძო (სტილი დაცულია): „არც ერთ მეზობელთან კარგი ურთიერთობა არ ჰქონია. ერთ დღეს, სოფელში, სტუმრად ჩამოვიდა, მეზობელზე გაბრაზებული იყო. თქვა, — მოვისმინე, როგორ თქვა ჩემზე, მარტოხელა და მისი სიკვდილის მერე მისი ბინა მე დამჩრებო. ამ ბინას გავყიდი, იმათი ყურება არ მინდა, სხვაგან ეზოიანი სახლი უნდა ვიყიდო და იქ ვიფუფუსუებო. გაყიდვაში დახმარება მთხოვა. დაგამწვიდე, დახმარებას დავპირდი. 22 ათას დოლარს ერთ თეთრსაც ვერ დავაკლებო. 2009 წლის აგვისტო იყო, მაკლერებს ტელეფონის ნომერი მივეცი. მალე მყიდველიც გამოჩნდა, ახალგაზრდა ბიჭი. მარიას ისე გაუხარდა, სუფრის გაშლა დაიწყო. სანამ ამ ბიჭს შევხვდი და მასთან ერთად სახლში დავბრუნდი, მაგიდა გამოილი დაგვახვედრა, ცოტა დაღვევაც მოესწრო, კარგ ხასიათზე იყო. ბიჭმა ბინა დაათვალიერა, სარემონტოა და ეს ბინა 20 ათას დოლარზე მეტი არ ღირს. თუ მომყიდით, ამ ფულს ახლავე დაგიტოვებთ, ბინა მერე გადავაფორმოთო. ასე რომ გვენდობოდა, გამივიკრდა და მარიას ვუთხარი, მაგ ფასში მიეცა. თქვენ არ დამიჯერებთ, უცებ ჩემ წინ სულ სხვა ადამიანი გაჩნდა — სამინლად გაბრაზებულმა ჩანგალი ჩამარტყა, ეს ჩემი სახლიაო. უცნოს თვალწინ შეურაცხყოფა მომაყენა. ბიჭთან შემრცხვა და მოვუბოდიშე. ის ისევ იდგა და ბუზღუნებდა, — ეს როგორ გამიბედევო?! ბიჭი რომ ჩავაცვილე, მან მითხრა, სადაო ბინა არ მინდაო. თან მირჩია, სახლში არ შევსულიყავი და

მთვრალისთვის თავი ამერიდებინა. 15-20 წუთი ეზოში, სკამზე ვიჯექი, ვფიქრობდი, რა გამეკეთებინა. ბოლოს მაინც, ბინაში ასვლა გადავწყვიტე — მთვრალი იყო და ვიფიქრე, რამე არ გაეფუჭებინა. რომ მივედი, გააფთრებული მეცა, შენ კიდევ მოხვედი? შე „სუკა“, „სუკა“, ახლა პოლიციაში დავრეკავო და თეფში მესროლა. გამოვიჩინე. თეფში დაიმსხვრა. უცებ კოლიდორი გამოირბინა და თან, ამბობდა, ახლა მეზობლებს, პოლიციას დავუძახებო. რა დაგიმავე, ქალო, თუ არ გინდა გაყიდე, მე დაგაძალე? — ვკითხე. მომანყევლა და ლიმონათი სახეზე შემასხა. რომ ველარ გაუჩრე, „კასინკა“ ეკეთა და იმით დავაჯანჯლარე. სახეში შემომაფურთხა, მეც დაფუჯიკავე, კარადას სახე მიართყა და ნაიქცა. ავიყვანე და საწოლზე დავანვინე, თან ვკოცნიდი, რას მიკეთებ-მეთქი?! ის მაინც მაგინებდა. არ გაჩრდები, „მამოჩქა“? — ვუთხარი. მან ისევ გააგრძელა ლანძღვა... როგორ მოვუჭირე და გავეუდე იმ „კასინკით“, არ მახსოვს. გაჩუმება მინდოდა, პირზე რომ ვაფარებდი, მაინც ყვიროდა. არ მიფიქრია, რომ მოკვდებოდა. ის ჩუმად იწვა, ხმას არ იღებდა. ტელევიზორის თავზე პატარა სარკე იდო, ის ტუჩზე ორჯერ დავადე — არ დაიორთქლა. მიხვდი, მკვდარი იყო. ძალიან შემეცოდა, დავტიროდი, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, ვისთვის მიმემართა. მოკუნტული ვიდექი, გაშტერებული, ნიკაპი მიკანკალებდა, ყურში ვილაცა ჩამმხობოდა: დაგიჭრენ, დაგიჭრენ... ძალიან ბოროტი ქალი იყო, აგვისტოს ომი რომ დაიწყო, გაუხარდა... არ ვამბობ, რომ კარგად მოვიქეცი, მაგრამ არც ის იყო კარგი ადამიანი... მერე მიცვალებული ტახტზე დავავაჯინე. მე სამზარეულოში გავტე და მაგიდა ავალაგე, ყველაფერი პარკში ჩავყარე... ხელები გულზე გადავუჯვარედი და თავისი კაბის ქამრით შევკარი. არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი... აივანზე, კარადაში სხვადასხვა ნივთი ჰქონდა, იქიდან თოკები გამოვიღე. ვფიქრობდი, ამას შევკრავდი და ძია კოლიას დავამარხინებდი (ვენერა ობოლაშვილს მოხუც კოლია იაშინთან ხელი ოფიციალურად მონერელი აქვს და ის ვენერას სახლში, კანეთში ცხოვრობს. —ავტ.) მერე გადავიფიქრე, შენემინდა, არ გახმარებულყო. პატარა, კოსტა ქალი იყო, თოკით შევკარი... ამის შემდეგ ვარკეთილის მეტროსთან გავედი, იქ დიდი ზომის ჭრელი ჩანთა ვიყიდე. ვიფიქრე,



სახლიდან სასაფლაოზე გამეტანა ან სადმე წამელო. მაღალი ჩანთა იყო, მოკუნტული ჩავსვი. ჩანთა თავისუფლად დაიკეტა. მერე აზრი შევიცვალე, რადგან მიჭვივდი, საფლავს ვერ ამოვთხრიდი. მინდოდა, სადმე სანაგვესთან დამეგდო — ესეც გადავიფიქრე. ბოლოს წყალში ჩაგდება გადაწყვიტე. ისევ მეტროსთან წავედი, ტაქსის მძღოლს ვუთხარი, მდგმურს დარჩენილი ნივთები უნდა გავუტანო, სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე-მეთქი. 5 ლარი მოითხოვა. როცა დავბრუნდი, მეზობელი შემხვდა და იკითხა, მარია სად არისო? ვუპასუხე, რომ ჩემთან იყო, სოფელში. ბინის კარი ჩაკვტივ. ჩანთა გამოვიტანე — რომ ავნიე, მემძიმა, ამიტომ ხელში ავიტატე. მძღოლმა დიდი ჩანთით რომ დამინახა, მომეშველა. უი, რა მძიმა, რა გიდეგსო? — მანქანის მოტორია-მეთქი. ტაქსი „უშვას“ ქარხანასთან გავაჩერებინე. მანქანა როგორც კი დაიძრა, ჩანთა უცებ ავიტატე — მძიმი იყო, მაგრამ ჩქარა მივიღიდი და მიცვალეული იქვე, საკანალიზაციო არხში ჩავაცურე. 5 წუთი ვიდევი და ვფიქრობდი, ეს რა გავაკეთე-მეთქი? ისე ვტიროდი, ცრემლებს ვერ ვიკავებდი... ისევ მის სახლში დავბრუნდი. სანთელი ავანთე და პატიება ვთხოვე. ჩემი შეილებ-ისთვის ბებიასავით იყო. როცა შევიღმა გაიგო, რომ მისი მკვლელობისთვის დამაკავეს, სახეში შემაფურთხა... ღამე იმ ბინაში მეძინა და მის ბალიში ვეფერებოდი, ამით პატიებას ვთხოვდი. მეორე დღით სოფელში წავედი და ორი კვირა იქ ვიყავი. ვერ ვისვენებდი. მინდოდა, ორმოცი აღმენიშნა, მაგრამ ფული არ მქონდა... მის ბინაში დავბრუნდი, მისი ტანსაცმელები გამოვყარე, მინდოდა გადამეყარა; გამოლაგების დროს 200 ლარი ვიპოვე. ვიფიქრე, 40-ისთვის გამოვიყენებდი. გამახსენდა, სამხარეულოში, ჭიქაში ოქროს კბილებს ინახავდა. რამდენჯერ მომცა ეს კბილები და უკან გამომართვა. ბოლოს მითხრა, რომ ჩემი ვაჟისთვის ბეჭდის გაკეთება უნდოდა. ეს კბილები ლომბარდში ჩავაბარე, 120 დოლარი მომცეს. ისიც გამახსენდა, პენსია ასაღები ჰქონდა და ახლა ამას ვფიქრობდი, როგორ ამელო. ვარკეთილის მეტროსთან მუხსუმზირას მოხუცი ყიდდა. ვუთხარი, დედა ვერ ჩამომყავს, ავადაა, პენსია ასაღები მაქვს და ხომ ვერ ჩამომყავს, რალაცას გაჩქებ-მეთქი. ჩამომყავ. ერთი თვის პენსია და სამი თვის კრედიტი ავიღე. ამ ქალს 40 ლარი ვაჩუქე და გახარებული წავიდა. მერე ისევ წავედი სოფელში, ბინაში მისვლა მეჯავრებოდა. „სოფელში ვარ, მალე მოვალ“ — ასეთი შინაარსისი წერილი დავტოვე, რომ მეზობლებს არ ეეჭვიანათ. 17 ოქტომბერს 40 უწევდა, პროდუქტები წავიღე სოფელში. სანთელ-საკმეველი მოვატარე, პატიება ვთხოვე და მეზობლებს გაშლილ სუფრაზე დავუძახე. რა ხდებაო? — მკითხეს. სიმართლეს

ხომ ვერ ვიტყვოდი და სურვილების ასრულების დღეა-მეთქი. მე ხომ ვიცოდი, რა სუფრა მქონდა...“

ამის შემდეგ განსასჯელმა დეტალურად ისაუბრა იმაზე, თუ როგორ მოახერხა ბინის გაყიდვა და ნოტარიუსის მოტყუება (სტილი დაცულია):

„ამის შემდეგ ბინის გაყიდვა გადაწყვიტე. ვიფიქრე, ამას გაყიდვი, მოვშორდები იქაურობას და ვინაა მომანგნებ-მეთქი? მაკურს დახმარება ვთხოვე. ეჭვი რომ არ შეეტანათ, იქიდან ნივთები წელნელა გამოვზიდე და ჩემი დედამთილის სახლში მივიტანე. ვუთხარი, ახლობელმა ბინა გაყიდა-მეთქი. მალე მყიდველი გამოჩნდა. შეუთანხმდით, მაგრამ ახლა მარია საიდან მომეყვანა, არადა, ბინა გადასაფორმებელი იყო. ისევ იმ მოხუცისკენ გამინა გულმა, მაგრამ „სემინკას“ აღარ ყიდა. ამ დროს მოპირდაპირე მხარეს მოხუცი შევნიშნე, რომელიც მარიას ძალიან ჰგავდა. უცებ მისკენ გავიქციე, კინაღამ მანქანა დამეჯახა. მას ახალგაზრდა გოგოსთან ერთად ჩანთები მიჰქონდა. გამოველაპარაკე. მითხრეს, რომ ასე წვალობდნენ, ვაჭრობდნენ. ვიბეჭე 300 დოლარი მქონდა — ჩემმა უფროსმა ვაჟმა უცხოეთიდან გამომიგზავნა. 100-დოლარიანი მოხუცს მივეცი, გჩუქნი-მეთქი. გაგიუდნენ, ერთმანეთს უყურებდნენ. შევიღმა მითხრა, დედაჩემს დოლარი არ უნახავსო. კიდევ გინდათ? — ვკითხე. იფიქრეს, გიჟიანო. ხვალ 8 საათზე თუ მოხვალთ, 100-დოლარიანი კიდევ მოგცემ-მეთქი. ვუთხარი: დედამთილი ცუდად მყავს. ის ძალიან გგავს შენ. ბინას ვყიდი, ბე აღებული მაქვს, ის ვერ ჩამომყავს, უკან უფრო მეტი ფულის დაბრუნება მიწევს, პოდა, ნოტარიუსთან გამომეყვი-მეთქი. დამთანხმდა. თან მარიას პასპორტი გავატანე, — ივარჯიშე და ხელმოწერა მიაშვავსე-მეთქი. მეორე დღით ჩემზე ადრე მოვიდნენ. ნოტარიუსთან მივედი. მან ვერაფერი გაიგო, მოხუცი ისე ჰგავდა... ბოლოს, როცა დამიჭირეს და ის ქალი ნახეს, გამომიბეჭელი გაგიჟდა, — ასეთი მსგავსება არ მინახავს, „კაკუბუნნიკი“ ხომ არ ხარო?.. ბინა გადავუფორმე, ფული ჩანთაში ჩავედი და „ბაბუშკას“ ნოტარიუსიდან გამოვატანინე. 100-დოლარიანი კიდევ მივეცი. გახარებული წავიდა და მითხრა, ყოველთვის მზად ვიქნები, თუ დაგჭირდებიო... ბოლოს ავეჯმა დამლუბა. რად მინდოდა, რა ჯანდაბისთვის, ყველაფერი ხომ შემრჩებოდა?“ — თქვა განსასჯელმა და ამის შემდეგ იმაზე ილაპარაკა, თუ როგორ გაება ძალოვანთა მახეში: — „მყიდველებმა გამაბრაზეს, ძალიან კარგ ავეჯს 300 დოლარად ვაძლევდი და 100 დოლარად მოინდომეს. გადავწყვიტე, იმათთვის არ დამეტოვებინა და წამოსაღებად მივედი. ბინაში ინსპექტორი და გამომიბეჭელი მოვიდნენ, მე-

ზობლები მარიას ავეჯის გატანის უფლებას არ მძლევდნენ. საბუთები წესრიგში რომ ნახეს, მყიდველს ურჩიეს, პოლიციამი მისულიყო და რეგისტრაცია გაველო. მან არ იცოდა, პოლიცია სად იყო და გავყვი. იქ ჩემი ფეხით რომ არ მივსულიყავი, ვერავინ დამიჭერდა არც არც არაფერი გაირკვეოდა. გამომკითხეს, რა ვიცოდი მარიაზე. ვუთხარი, სოფელშია და თუ გინდათ, მოვიყვან-მეთქი. მართლაც მოვიყვანდი იმ ქალს, რომელიც მხოლოდ მასზე მაღალი იყო, მაგრამ შემეშინდა, მეზობლებთან არ დაეპირისპირებინათ და მათ არ ამოეცნოთ; ვერ გაგრისკე... მერე თავი ველარ შევიკავე და მარიას მკვლელობა ვაღიარე. ქვეყანოფიციის პოლიციის უფროსმა საშინლად მცემა — ასე მიიღეს ჩემგან ის აღიარებითი ჩვენებები. დანარჩენი, რაც ვთქვი, ტყუილია.“

ვენერა ობოლაშვილს ყალბი დოკუმენტის დამზადებაც ედება ბრალად. როგორც გაირკვა, მან ქორწინების მოწმობა გააყალბა. ბრალდებულმა სასამართლოს ასეთი განმარტება მისცა (სტილი დაცულია): „ჩემს ქორწინების მოწმობას აცეტონი დაესხა და დათხაბნილი იყო. ჩემი კლასელი, მზია მთავრიშვილი 7 თვე ჩემთან ცხოვრობდა. მითხრა: ეს გადავაკეთოთ და ჩემი და აკოფის სახელები ჩავწეროთ. დედაჩემს მინდა ვუჩვენო, რომ აკოფი ჩემი ქმარია (კაცი ხელს არ უწერდა და ამიტომ უნდოდა), შენ კი ახალი აიღეო. კარგი, დაგაქორწინებ-მეთქი და ეს ხუმრობით გავაკეთე.“

ალსანიშნავია, რომ მზია მთავრიშვილი მოხუც აკოფ ბაბაიანს ქონების მიღების მიზნით უვლიდა და როგორც გაირკვა, ქორწინების მოწმობაში სწორედ მათი სახელები და გვარები იყო ჩაწერილი. ამ ნაწილში ამჟამად თაღლითობისთვის გასამართლებული პატიმარი, ვენერას მეგობარი — მზია მთავრიშვილიც დაიკითხა. მან განმარტა, რომ ეს უბრალოდ, ხუმრობით შედგენილი დოკუმენტი იყო (სტილი დაცულია): „აკოფას ბინის გამო ვუვლიდი. მინდოდა ხელი მომწერა, მაგრამ არ მინერდა, ამას ვწეროვო. მის ლელას შეჭვივლე. 2007 წელს მომიტანა მოწმობა და სიცილით მითხრა, —



მსჯავრდადებული ვენერა ობოლაშვილი



აი, გაიხარე, შენ და აკოფა დაგაქორწინეთო. ვიცოდი, რომ ეს ყალბი იყო, მაგრამ მაინც ვინახავდი, არსად გამომიყენებია. აკოფას ბინა მინდობილობით გადავიფორმე. რამდენიმე დღე დაკარგული იყო, რომ დაბრუნდა, მითხრა, რუსეთში ვიყავიო და მინდობილობა მომიტანა, ჩემი შვილის სახელზე... რამდენიმე დღე არ ვყოფილვარ მასთან, რადგან ვიჩხუბეთ. როცა მივედი, გარდაცვლილი დამხვდა; დავასაფლავე და ქელეხიც გავუკეთე. მეორე დღესვე მისი ბინა იპოთეკით დავტვირთე და მერე 30 ათას დოლარად გავყიდე. ქორწინების მოწმობა არსად გამომიყენებია“.

ცნობილია, რომ ვენერა ობოლაშვილს ნაცნობები სხვადასხვა სახელითა და გვარით იცნობდნენ. სახელმწიფო ბრალმძებელმა ლევან ბაჩიაშვილმა მას ამ ფაქტთან დაკავშირებით განმარტება მოსთხოვა. ობოლაშვილს არც ამის ახსნა გასჭირვებია (სტილი დაცულია): „ლელას ბავშვობიდან მეძახდნენ. არაბული ჩემი წინაპრები იყვნენ. მთის ვაჟკაცი ხალხი მომწონს და არაბული ამიტომ დავირქვი. რაც შეეხება ლელა გარეჯელს, ეს ჩემი ფსევდონიმაა, რადგან საგარეჯოელი ვარ, ხოლო ჯავახიშვილი ბებია მყავდა და ზოგჯერ, მის გვარს ვამბობდი“.

საქმის მასალებით ჩანს, რომ მოხუცი ქალის ცხედარი წყაღობა მეორე დღესვე გამოირიყა და ის, როგორც უბატონო მიცვალებული, ისე დაიკრძალა. პროკურორი ლევან ბაჩიაშვილი იმითაც დაინტერესდა, თუ სად წაიღო მან ბინის ფული. „წერილ-წერილი ვალები მქონდა — ის გავისტუმრე; მერე „აუდი“ ვიყიდე, 6,300 დოლარი კი დაკავებისას, სახლში მქონდა, დანარჩენი დაიხარჯა“, — განმარტა განსასჯელმა.

მის ჩვენებას წინ საქმის არსებითი სასამართლო განხილვა უსწრებდა. პროცესზე მოწმეები დაიკითხნენ. მოკლული აზამაჯევას ბინის მყიდველმა, ლელა ლონიაშვილმა განმარტა, რომ ეჭვი არაფერში შეუტანია; დაიკითხა ნოტარიუსი ნარგიზი მინდიაშვილიც, რომლის მოტყუება განსასჯელმა და მისმა თანხლებმა პირებმა უბრობლემოდ შეძლეს. მინდიაშვილი ამბობს, რომ მის წინ მდგარ ქალბატონსა და პასპორტის ფოტოზე გამოსახულ ქალს შორის საოცარი მსგავსება იყო. მონზე ნარგიზი მინდიაშვილის ჩვენებიდან (სტილი დაცულია): „მხარეებს ნასყიდობის ხელშეკრულების დადება სურდათ. მიყიდველს, ახალგაზრდა ქალს მამაკაცი ახლდა, გამყიდველს — მოხუც ქალბატონს კი ორი ქალი, მათ შორის ერთი განსასჯელი გახლდათ. გამყიდველი რუსულენოვანი იყო, ამიტომ დოკუმენტი თარჯიმნის თანდასწრებით გაფორმდა. მხარეებს პირობები გავაცანი. არ მევალებოდა, მაგრამ მოხუცს ისიც ვუთხარი, — ბინას რომ ყიდიო, ქუჩაში არ დარჩეთ-მეთქი. —

ნალკაში სოფელი მაქვს და იქ მივედივარო. გამყიდველის და მყიდველის პირადობის მოწმობები სამოქალაქო რეესტრში გადავამოწმე და ეჭვის შეტანის არანაირი საფუძველი არ არსებობდა. ამის შემდეგ მხარეებმა ხელი მოაწერეს ნასყიდობას. თანხის გადაცემა ჩემ თვალწინ მოხდა. განსასჯელი ძალიან აქტიურობდა, ფულსაც ხელი მოჰკიდა. მივუთითე, რომ თანხა გამყიდველს უნდა აეღო. მოხუცმა მითხრა, — არა აქვს მნიშვნელობა, ვინდობი, ის ბანკში შეიტანსო. ბინა 20 ათას დოლარად გაიყიდა. მოხუცის პირადობის მოწმობა 10 წლის წინ იყო გაცემული, ფოტოზე საოცარი მსგავსება იყო... რამდენიმე დღის შემდეგ ბინის მყიდველმა დამირეკა და მითხრა, რომ ბინის მეპატრონე მოკლული იყო და ჩემთან სხვა ქალი მოიყვანეს. არ დავიჯერე. მეგონა, რომ ის ქალი, რომელიც ჩემთან იყო, ფულის აღების შემდეგ მოკლეს“.

მოსამართლემ განსასჯელს მონმისთვის კითხვის დასმის უფლება მისცა: „კითხვა არა მაქვს, უბრალოდ, ქალბატონ ნარგიზის მინდა, ბოდიში მოვუხადო. მოხუცებს შორის იმხელა მსგავსება იყო, ის ეჭვს ვერ შეიტანდა, საფუძველი არ იყო. ნოტარიუსს ნურაფერში დაადანაშაულებთ“.

დაიკითხა მაკლერი ზურაბ ჭიაბერაშვილიც, რომლის დახმარებითაც განსასჯელმა ბინა გაყიდა. როგორც გაირკვა, მაკლერს განსასჯელთან ორნოლიანი ნაცნობობა აკავშირებდა, თუმცა ობოლაშვილი სხვა სახელითა და გვარით გაეცნო. ჭიაბერაშვილის ჩვენებიდან (სტილი დაცულია): „განსასჯელს ვიცნობდი, როგორც ლელა ჯავახიშვილს. შარშან, ნოემბერში, ვარკეთილში, მუშის ბაღთან ვნახე. მითხრა, რომ ბინა იყო გასაყიდი, საბუთები ჰქონდა და თუ ვინმე გამოჩნდებოდა, დამერეკა. ახალგაზრდა ქალი ერთოთახიან ბინას ეძებდა და ისინი ერთმანეთს დავაკავშირე. ნოტარიუსთანაც ვახლდი, მარჯანიშვილზე, თუმცა შიგნით არ შევსულვარ. იქ იყო მოხუცი ქალიც, რომელსაც ახალგაზრდა ქალი ახლდა. ბინა გადაიფორმეს და მყიდველმა 500 დოლარი გადაამხადა. რაც შეეხება ლელას, მისთვის არაფერი გამომირთმევიდა — ის ჩემი რაიონელი იყო, მასთან ფულზე ლაპარაკიც არ მქონია. შემდეგ ტელევიზიით გავიგე, რომ ქალი დიდი ხნით ადრე იყო მოკლული“.

სასამართლოს ჩვენება მონზე გია ალავიძემაც მისცა. სხვებისგან განსხვავებით, მისი ჩვენება ბრალდების შემცველი იყო. ის ირწმუნება, რომ განსასჯელმა კაცის მოკვლა შესთავაზა (სტილი დაცულია): „ლელა ჩემი მეგობრის დის, მზიას კლასელია. 15-20 წელია, ვიცნობ... ჩემი მეორე მეუღლე ყავაზე მკითხაო და ლელა ჩვენთან ხშირად მოდიოდა. დაკავებამდე ერთი თვით ადრე, ნოემბრის ბოლოს ლელა

ჩემს სადარბაზოსთან შემხვდა, მე სამსახურში მივდიოდი. მითხრა, — ერთი მოხუცი კაცია, თავეში რამე ჩაარტყი, მოკალი, მე ბინა დამრჩება, გავყიდი და შენ 200 დოლარს მოგცემო. — რას ამბობ, ცხოვრებაში ქათამი არ დამიკლავს და კაცს როგორ მოგვლავ-მეთქი?.. სხვა დროს ჩემთვის ასეთი რამ არ უთქვამს. ვიფიქრე, რადგან ნასამართლევი ვარ, იმიტომ შემომთავაზა-მეთქი — მძლოლი ვარ, ავარია მომიხდა, ამიტომ 18 თვე ციხეში გავატარე... გამიკვირდა, მაგრამ ვიფიქრე: ამხელა ქალია და ალბათ, „დაუბერა“-მეთქი“.

მონმის ჩვენება განსასჯელმა გააპროტესტა (სტილი დაცულია): „რატომ არ იძახი იმას, რომ პოლიციაში გცემეს და იმის მერე ლაპარაკობ ასე? მე მაგას არც ვიკადრებდი. გჯერათ, მოსამართლე, რომ სადარბაზოსთან დავდგებოდი და ამას ვიტყვოდი? ეს მე არ გითხარი. ის შენი მზია იყო, შენი ბავშვობის შეყვარებული და იმან გითხრა: მოკალი კაცი, 100 დოლარს მოგცემ და შარვალ-კოსტუმსაც გიყიდისო...“

მოსამართლემ მონზე ალავიძის წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება გამოაქვეყნა, აღმოჩნდა, რომ განსხვავება იყო: ძიებაში ის ამბობდა, რომ ლელამ კაცის მკვლელობა დააკვებამდე ერთი წლით ადრე შესთავაზა, ამჯერად კი აცხადებდა, — ეს საუბარი ერთი თვით ადრე შედგაო...“

სასამართლო სხდომებს ვენერა ობოლაშვილის ქალ-ვაჟიც ესწრებოდა. როგორც შევიტყვეთ, ის ოფიციალურად სამჯერ იყო დაქორწინებული და სამი შვილის დედაა. მისი უფროსი ვაჟი უცხოეთში ცხოვრობს. რაც შეეხება ქალ-ვაჟ მახარაშვილებს, ისინი ბებინასთან, მამის დედასთან, ვარკეთილში ცხოვრობენ. ვენერა ობოლაშვილი ბავშვების მამას 13 წლის წინ დაშორდა. მისი ყოფილი მეუღლე 4 წლის წინ გარდაიცვალა. ობოლაშვილს შვილებთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა და მათზე ზრუნავდა. ქალიშვილი ხშირად სტუმრობდა დედას. მან სასამართლოს მონმის სტატუსით ჩვენება უკვე მისცა. ახალგაზრდა გოგოსთვის ტელევიზიით მოსმენილი ბრალდება და დედის აღიარებითი ჩვენება შოკისმომგვრელი იყო.

ობოლაშვილს ერთ-ერთ ბრალდებად თაღლითობა ედება. დაზარალებულის სტატუსით საქმეში ბანკი ჩაერთო და 327 ლარის ანაზღაურება მოითხოვა. საპროცესო შეთანხმებაზე განსასჯელი თანხმობას არ აცხადებს. მისი თქმით, მკვლელობა ანგარებით არ ჩაუტენია, ეს ალელეგებულმა გააკეთა. სასამართლომ ვენერა ობოლაშვილი წარდგენილ ბრალდებებში დამნაშავედ ცნო და სასჯელთა შეკრებითობის პრინციპით, საბოლოოდ, 23 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსჯა.



მილიონარი მაშინვე საიდუმლო ჩანაწერები

ანუ ნუ შაიქულაბთ ფულს!

მარი ჯაფარიძე

ძვირფასო მკითხველებო, მალაზიებში დადიხართ? უცნაური კითხვაა, არა? რა თქმა უნდა, დადიხართ და ალბათ, ხშირად შესწრებისხართ იმას, რასაც მე... ერთსა და იმავე მალაზიაში შესულს ხშირად მომისმენია სიტყვები: „იყოს, არ მინდა“...

ამ დროს ხმაში სიამაყე იგრძნობა... თითქოს, ფრაზის ავტორი გამყიდველს ზემოდანაც კი უყურებს... საინტერესოა, რა არ უნდა? აა, თურმე ხურდა არ უნდა... 5, 10, ხანდახან 20 თეთრიც კი. რატომღაც იმ ადამიანებით დავინტერესდი, ვინც უარს ამბობს ხურდაზე.

მათი კოლექტიური პორტრეტი ასეთია: ძირითადად, მამაკაცები; ასაკი — სხვადასხვა, თუმცა მოხუცები, როგორც წესი, ფულს ქარს არ ატანენ; გარეგნობა — მოუწესრიგებელი; ტანისამოსი — შელახული; თმა — ვარცხნილობის გარეშე. სამაგიეროდ, გამყიდველს ამაყად უყურებს, როცა წარმოთქვამს: „ხურდა არ მინდა“. არწივისებური, მეტყველი მზერა აქვს ამ დროს... ამაყი და ცოტა შეურაცხყოფელიც. „ჰმ... ხურდა? ეს „კაპიკები“ ჩემთვის არაფერს წარმოადგენს“. თითქოს ნაწყენიც კი რჩება, გამყიდველმა ქალმა ხურდის დაბრუნება რომ აკადრა.

როგორც კი მალაზიაში შესული გავიგონებ — „ხურდა არ მინდა“, მაშინვე ინტერესით ვაკვირდები ხოლმე, ვინაა ამ ფრაზის ავტორი. ჩემი დაკვირვების შედეგი მრავლისმეტყველია: რაც უფრო მალალია ადამიანის მატერიალური კეთილდღეობის დონე, მით მეტად „სერიოზულად“ ურთიერთობს ფულთან; იმ „კაპიკებთანაც“ კი, რომელსაც ზოგიერთი მამაკაცი ფულად არ მიიჩნევს. მალაზიასთან ახალთახალი „მერსედესი“ ჩერდება, კარგად ჩაცმული მამაკაცი სუპერმარკეტში შედის — ხელზე ოქროს საათი, ოქროსჩარჩოიანი სათვალე, 1.000 დოლარად ნაყიდი ჰალსტუხი... 150 ლარის ნავაჭრით სალაროსთან მორჩილად დგას და მოლარის მიერ მითვლილ თითოეულ თეთრს აკურათულად აკრეფს, მადლობას გადაიხდის და გადის.

სამაგიეროდ, მალაზიის გვერდით მდებარე მშენებლობიდან გაჯით მოთხუბნილი მამაკაცი 3 ლარად და 80 თეთრად არაყს შეიძენს, მოლარეს 4 ლარს მიაწვდის და — „ხურდა არ მინდა“, — ამაყად ეტყვის. გულუხვობას გამოიჩენს და ახალგაზრდა მოლარეს 20 თეთრით „გამადიდრებს“.



მგონია, რომ არც ერთ სხვა ქვეყანაში ფულის მიმართ ასეთ აგდებულ დამოკიდებულებას არ იჩენენ. გამყიდველისთვის ხურდის დატოვება უპირატესობის შეგრძნებას მხოლოდ იმ ადამიანებში იწვევს, რომლებიც „სამშუალო კლასის“ ზღვარს ქვემოთ იმყოფებიან.

ამ ამბავმა ძველი ნაცნობი, ნინო, უფრო სწორად, ერთ ადამიანთან ნინოს შეხვედრა გამახსენა. სხვათა შორის, ის ახლა შტატებში ცხოვრობს.. თუმცა სჯობს, თავიდან დავინყო:

ამბავი შორეულ 1941 წელს დაიწყო. ნინოს ბაბუა ჯარში გაიწვიეს. მათე ბაბუამ პირჯვარი გადაიწერა, ატირებულ ცოლსა და აბლავლებულ შვილებს გადაეხვია და ფრონტზე წავიდა. როგორც ათასობით საბჭო-

თა ჯარისკაცი, ისიც ტყვედ აიყვანეს. გერმანიის ნახევარი ფეხით მოიარა, მძიმე ფიზიკური შრომა უწევდა — ქვის სამტებლოებში მუშაობდა. სიკვდილისთვისაც ხშირად ჩაუხედავს თვალებში. რამდენჯერმე გაქცევაც სცადა, მაგრამ დაიჭირეს და უკან დააბრუნეს. საკონცენტრაციო ბანაკში მყოფმა ძლივს მიაღწია ცოცხალმა მანამდე, სანამ მოკავშირეთა არმია გერმანიაში შეიჭრებოდა. ის ამერიკელებმა გაათავისუფლეს. მათე ბაბუა ჭკვიანი კაცი იყო და მიხვდა, რომ თუ სამშობლოში დაბრუნდებოდა, შესაძლოა, უარეს პირობებში აღმოჩენილიყო, ვიდრე საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნისას და გადანწყობა, უკან აღარ დაბრუნებულყო — დაკრა ფეხი და ამერიკაში გადაიხვეწა. სწორედ იქ დაიწყო წარმატებისკენ ნაბიჯნაბიჯ სვლა. რად აღარ მუშაობდა — ჭურჭლის მრეცხავად, ტაქსის მძღოლად, კინოოპერატორად, სასკოლო ავტობუსის მძღოლად... შემდეგ ტეხასის შტატში გადავიდა. როგორ დაიწყო ბიზნესი მათე ბაბუამ, ამის შესახებ არავინ არაფერი იცის. ფაქტია, რომ ამერიკაში გადასვლიდან 23 წლის შემდეგ ის მილიონერი გახდა და ტეხასის უმდიდრეს ადამიანთა სიაში მეხუთე ადგილიც დაიმკვიდრა. აი, ასეთია ბალდათელი ბიჭის ახდენილი, ამერიკული ოცნება.

წლები გადიოდა. მათეს მიერ უპატრონოდ „დაყრილი“ შვილები გაიზარდნენ. ისინი თავს მშვენივრად გრძნობდნენ. ერთი მაუდკამოვლის ფაბრიკაში ინჟინრად მუშაობდა, მეორე — ტაქსის მძღოლი იყო. „საბჭოთა საზომით“, ორივე პროფესია ხელსაყრელი და სარფიანი გახლდათ. და აი, ერთ მშვენიერ დღეს ძმებმა შორეული და საშინელი (იქ ხომ ყველა პისტოლეტით დადიოდა) ტეხასიდან წერილი მიიღეს. მამა ვრცელი მოკითხვის შემდეგ თავისი მდგომარეობის შესახებ ყვებოდა; შვილებს სთხოვდა, ავადმყოფი მამის მოსანახულებლად ჩასულიყვნენ. სწორედ ამ წერილით შეიტყო ოჯახმა, რომ მათე ცოცხალი იყო, საკუთარი ბიზნესიც ჰქონდა და საბანკო ანგარიშზე — რამდენიმე მილიონიც, მაგრამ უცხო მხარეში მემკვიდრე



არ ჰყავდა. შვილებს დედასთან მოკითხვას აბარებდა და პატივებს სთხოვდა, რადგან მამინ, შორეულ 1945-ში სხვა გზა არ ჰქონდა, ახლა კი ოდესღაც საყვარელი ქალის თვალებში ჩახედვის რცხვენოდა.

მოკლედ, მამა თავის შვილებს ტეხასში ინვევდა. ერთმა, რომელიც ფაბრიკაში ინჟინრად მუშაობდა, კეფა მოიქექა და უარი თქვა, რადგან კარგად იცოდა, მისი გამგზავრება ბევრ სირთულესთან იქნებოდა დაკავშირებული, მეორემ კი ხელი ჩაიქნია და გასამგზავრებლად მზადება დაიწყო. ყალბი საბუთების საშუალებით, როგორც ებრაელი, ჯერ ისრაელში გაემგზავრა, იქიდან — ამერიკაში. თვითმფრინავში ასვლამდე, ატირებულ ცოლსა და აბლაღებულ 5 წლის ნინოს გადაეხვია და გასასვლელისკენ გაემართა...

მის შესახებ ამბავი მხოლოდ 29 წლის შემდეგ, შვილის სახელზე გამოგზავნილი წერილით შეიტყვეს. ყოფილი საბჭოთა ტაქსისტი, ახლა კი წარმატებული ბიზნესმენი მამაკაცი შვილს აუწყებდა, რომ საქართველოში მის სანახავად ჩამოსვლას აპირებდა.

მილიონერი მამის დაბრუნებამ და მასთან შესვედრის შესაძლებლობამ ნინოს წყნა გადაავიწყა. გახარებულმა დამირეკა და ახალი ამბავი მიუწყო:

— მამაჩემი ჩამოდის!

— არ მჯერა, — ეჭვი შევიტანე მის ნათქვამში.

— კი, გეფიცები, მართლა ჩამოდის.

— კი, მაგრამ ამდენი წელია, არ გახსენებხარ, არც შენ და არც ცხოვრებული დედაშენი და ახლა რა დაემართა? გაახსენდა, რომ შვილი ჰყავს?

— არ ვიცი, რა დაემართა, მაგრამ უნდა დაემართა.

— რაში უნდა დაგეხმარო? — მართლა ძალიან გამიკვირდა. — თვითმფრინავი არ მყავს, რომ გავუგზავნო და სხვა რა შემიძლია? მამაშენის ნაჩუქარი მილიონის დახარჯვაში კი მოგეხმარები, დიდი სიახლოვნებით.

— ხუმრობის დროა, ქალო?! საოცრება ხდება, ნამდვილი სასწაული — მამაჩემი ჩამოდის! — სასწონარკვეთილი ხმა ჰქონდა.

— საოცრება და სასწაული ის იქნება, მამაჩემმა რომ შემომითვალოს, მოვდივარ და დამხვდით. მკვდრეთით აღმდგარი ადამიანის ხილვა ნამდვილად სასწაული იქნება, მაგრამ მამაშენს აქამდეც უნდა გახსენებოდი, — ხმაში ბრაზი შემერია.

— დამეხმარები, ხომ? — ფარხმალს არ ყრიდა ნინო.

— კი, აბა რას ვიზამ, მაგრამ რა მევალება?

როგორც აღმოჩნდა, ნინოს სახლისა და თავის მონესრიგებაში უნდა დაეხმარებოდი. სასწრაფოდ ჩავატარეთ გენერალური „უბორკა“, ნინომ ნასესხები ფულით მშრალ ხიდთან რამდენიმე სურათიც კი შეიძინა. კედელი ძლივს გავხვრიტეთ და ტილოები ჩამოვკვიდეთ. უამრავი მალაზია მოვიარეთ და ძლივს შევარჩიეთ ისეთი ტანისამოსი, მილიონერი მამიკოს შვილს რომ შეეფერება. წინააღმდეგ უამრავი პროდუქტი შევიძინეთ და ბლომად სტუმრებიც დავვატირეთ.

როგორც იქნა, დადგა „დრო სანეტარო“ და მამიკო თვითმფრინავის ტრაპიდან „მოეხსენით“.

მე და ნინო ღიმილით გავეშურეთ მისკენ. ორივე შეგვათვალევდა. მიგზვდი, დაიძაბა, რადგან არ უნდოდა, იაღლიში მოსვლოდა და შვილი ვერ ეცნო. როგორც იქნა, გაირკვა, ვინ ვინ იყო. ნინოც და მისი მილიონერი მამაც ჩემს „ნავაროჩენი“ „ოპელიჩში“ (საგანგებოდ გარეცხილსა და გასუფთავებულში) ჩავსვი და დავიძარი. თავიდან კი მეუხერხულებოდა, ამ მილიონერ კაცს როგორ ვაკადრო ჩემი მანქანით მგზავრობა, თვითონ ქალაქშიც კი ალბათ ვერტმფრენით გადაადგილდება-მეთქი, მაგრამ მერე ვიფიქრე, — დაე, ნახოს, როგორ ვცხოვრობთ აქ უბრალო ადამიანები-მეთქი და გულზე მომეშვა.

მეორე დღეს, სტუმრების მოსვლამდე ბაზარში უნდა წავსულიყავით, ხილისა და რაღაც წვრილმანების საყიდლად. ბიძია ზაურმა ჩვენთან ერთად წამოსვლის სურვილი გამოთქვა. ნინო საჭირო პროდუქტს ყიდულობდა, ფულს იხდიდა, მამაშენის კი უკან დაჰყვებოდა და მომცრო ბლოკნოტში რაღაცებს იწერდა. რამდენჯერმე გავაპარე თვალი, მაინტერესებდა, რას ინიშნავდა, მაგრამ ვერაფრის დიდებით ვერ მოვახერხე ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება.

— რას იწერს მამაშენი? — ჩურჩულით ვკითხე ნინოს.

— არ ვიცი, ალბათ ამერიკაში ასეა მიღებული, ყველაფერი უნდა ჩაინეროს, — ჩურჩულითვე მიპასუხა და მხრები აიჩქრა.

— სურდა არ მინდა, — რამდენჯერმე თქვა ნინომ და შევნიშნე, რომ ამ დროს მამაშენის უცნაურად ილიმოდა და სახეზე უკმაყოფილება ესახებოდა...

მოსალამოვდა და სტუმრები მოვიდნენ. ნინოს მეგობრები გაცოცხლებული უყურებდნენ ზაურს და ალბათ ჩემსავით არ სჯეროდათ მითი იმის შესახებ, რომ ეს სადად ჩაცმული ადამიანი მილიონერი იყო. ის დანარჩენ იქ მყოფ მოკვდავთაგან მხოლოდ მაჯაზე შებმული ოქროს

საათით გამოირჩეოდა. ბატონი ზაური მთელი საღამოს განმავლობაში თითქმის ჩუმად იყო, სტუმრებს აკვირდებოდა და მხოლოდ მამინილებდა ხმას, თუ ვინმე მოკრძალებით რაიმეს ჰკითხავდა; ნვეულების ბოლოს კი ფეხზე წამოდგა, ჭიქა მოიმარჯვა და მშვიდი ხმით დაიწყო:

— იცით, როდესაც აქეთ მოვფრინავდი, ვფიქრობდი, — ნეტავ როგორ ცხოვრობს ჩემი შვილი-მეთქი? მაინტერესებდა, მართლა ისე ცუდადაა ყველაფერი, როგორც ეს ოკეანის გაღმიდან ჩანს? მე მგონი, 1 დღის განმავლობაში ყველაფერს მივხვდი, — ჯიბიდან ის ბლოკნოტი ამოიღო, რომელშიც „საიდუმლო“ ჩანაწერებს აკეთებდა. — აი, აქ ჩამოწერილი მაქვს იმ პროდუქტის სია, რომელიც ჩემმა შვილმა დღეს დილით ბაზარში იყიდა. ჩემი აზრით, ეს ასტრონომიული თანხაა, ჩემი საზომით — ძალზე დიდი ხარჯია. გარდა ამისა, როგორც მიგზვდი, ჩემი ჩამოსვლისთვის ნინო წინასწარ მოემზადა, — ზაურმა კედლებს მოავლო თვალი. — როგორც ვხედავ, მდიდრულად ცხოვრობთ და ალბათ ყველანი ისეთივე მდიდრები ხართ, როგორც ჩემი შვილი. კიდევ ერთმა ფაქტმა გამაოცა — აღმოჩნდა, რომ ჩემი შვილი ისეთი მდიდარი ყოფილა, ბაზარში გამყიდველებს ხურდასაც კი არ ართმევს, — ისე მოგზავლო თვალი, თითქოს რაღაც ახალი თქვა. ყველანი გაოგნებული ვუყურებდით — დიდი ამბავი, ხურდა თუ არ გამოართვა!.. ტეხასელმა მილიონერმა კი განაგრძო:

— ასე რომ, ჩემო ძვირფასებო, სანამ ფულთან ასეთ დამოკიდებულებას შეინარჩუნებთ, მანამდე კარგად ვერ იცხოვრებთ. თვალში ნაცარს შეაყრით სხვებს, არ გამოართმევთ ხურდას გამყიდველს, ყველაფერში სამჯერ მეტს გადაიხდით იმისათვის, რომ „სხვებზე ნაკლები“ არ გამოჩნდეთ. ჩემთვის საკმარისი იქნებოდა პატარა ვახშამი და ისეთი კერძები, როგორსაც თქვენ ყოველდღე მიირთმევთ. არ არის აუცილებელი, ამ ძვირფასი ჭურჭლიდან მივირთვა (მომეჩვენა, რომ ზაური მიხვდა, ნინოს ძვირად ღირებული სერვიზი და დანაჩანგალი ნათხოვარი რომ ჰქონდა). მე ფულს გაცილებით დელიკატურად ვექცევი. რაღა თქმა უნდა, ჩემს ჩამოსვლასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს ავანაზულაურად, მაგრამ მინდა გითხარათ, რომ ფულს ქარს არასოდეს გავატან, რადგან მე ის არ მძულს.

ბატონი ზაურის ნათქვამმა ჩემზე (ალბათ იქ მყოფებზეც) დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თავიდან გოგნებული ვიყავი ამ „წუნურაქი“ მილიონერის ნათქვამითა და საქციელით,



მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ სიმა-
რთლეს ამბობდა. უბრალოდ, ცოტა
გადააჭარბა (ესეც ჩემი სუბიექტური
აზრია).

ამ ამბიდან 4 წელია გასული.
ნინო მამამ ამერიკაში წაიყვანა.
ერთხელ მან ტელეფონით საუბრი-
სას მითხრა:

— მარ, გახსოვს მამაჩემის „რეჩი“
სუფრასთან? აქ მივხვდი, რომ ის
მართლაც ამბობდა. ახლა გავიგე იმ
მდიდარი ადამიანების „კონცეფცია“,
რომლებიც თითოეულ „კაპიკს“ ითვ-
ლიან.

ინტერნეტფორუმები სავსეა მო-
წოდებებით — გაჭირვებული ქვეყ-
ნების მოშიშშილე ბავშვებს დავეხ-
მაროთ. ვინ წერს ამ ფორუმებზე?
ის ადამიანები, ვისაც ცოტა ფული
აქვს; ისინი, ვინც ტანისამოსს საფირ-
მო მაღაზიებში არ ყიდულობენ;
ვისთვისაც კარაქიანი პური დელიკა-
ტესს წარმოადგენს. ვინ აძლევს ქუ-
ჩაში მათხოვარს ფულს? — ის ად-
ამიანები, ვისაც ხელფასიდან ხელ-
ფასამდე თავი ძლივს გააქვთ. ვინ
უტოვებს გამყიდველს ხურდას? —
ის, ვისაც შესაძლოა, ხვალ ავტო-
ბუსით მგზავრობისთვის ფული არ
ჰქონდეს. ვისგან შეიძლება გაიგონო
ფრაზა — „ნ ლარი ხომ ფული არ
არის“? როგორც უნდა გაგიკვირდ-
ეთ — ლარიანი ადამიანებისგან.

ეს ყველაფერი ერთმა შემთხვევამ
გამახსენა: ამას წინათ მაღაზიასთან
გავჩერდი. მანქანიდან გამოსულს
10-თეთრიანი დამივარდა და მანქა-
ნის ქვეშ შეგორდა. სიმართლე
გითხრათ, დახრა და ქვეშ შეძრომა
დამიუხარა, ხელი ჩავიქნიე და მაღა-
ზიაში შევედი. გამოსვლისას ჩემ წინ
მიმავალი მამაკაცი შევნიშნე, რომელ-
მაც საკმაოდ ძვირად ღირებული
ფესხაცმლით მიიპყრო ყურადღება;
ასევე საკმაოდ ძვირად ღირებული
„ბეემეს“ მარკის მანქანასთან მივი-
და და კარი გამოაღო, მაგრამ ვი-
დრე ჩაჯდებოდა, ხურდა ფული
დაუცვივდა. მამაკაცი დაიხარა და
ყველა მონეტა სათითაოდ აკრიფა,
შემდეგ მანქანაში ჩაჯდა, ცოტა წინ
გასწია, ისევ გადმოვიდა და ქვეშ
შეგორებული მონეტებიც „აკენკა“. ამ
ყველაფერს გაცემული ვადენებ-
დი თვალს და ნინოსა და მამამისის
ამბავიც სწორედ მაშინ გამახსენდა.
ჩემი მანქანაც ცოტა წინ გავწიე,
გადავედი და მის ქვეშ შეგორებუ-
ლი 10-თეთრიანი ავიღე. მივხვდი,
რომ სწორედ ეს იყო ფულთან სწორი
დამოკიდებულება. თანაც, თქვენ წარ-
მოიდგინეთ, რომ როდესაც მამაკა-
ცი ხურდის ასაკრფევად დაიხარა,
„გვირგვინი“ არ დავარდნია.

ყველას გამდიდრებას გისურვებთ!

ტურიზმი სვანურად ანუ „ექსტრემალური მოგზაურობის“ მთავარი სანახაობა

ეს ამბავი ერთმა სვანმა
კაცმა მიაშრო. მონათხრობი
კურიოზულია, თუმცა მაშინ
ამ შემთხვევას მთლად კური-
ოზს ვერ დაარქმევდა კაცი...

მარინა ბაგუნაშვილი

ამბავი, რომელიც ახლა
უნდა მოგიყვებო, 90-იან წლებ-
ში მოხდა და იქაურები კარგა
ხანს მალავდნენ, ბოლოს მაინც
„გამოჟონა“ მომხდარმა და
როცა მძიმე პერიოდმა გადაი-
არა, ყველასთვის გახმაურდა.

ცნობილია, რომ უცხოეთში
მცხოვრები ადამიანი სხვადასხ-
ვა ქვეყნის დასათვალიერებლად,
ძირითადად, სიბერის ჟამს
იცლის. ჰოდა, თქვენ ხართ ჩემი
ბატონი, საქართველოს სანახავად
გერმანიიდან საკმაოდ დიდი ტურ-
ისტული ჯგუფი ჩამოვიდა. უცხო-
ელებს ყოველთვის იზიდავს ველური
ბუნება, ექსტრემალური ექსკურსიე-
ბი და ამ 60-70 წლის ხალხმაც
აიჩემა: გაგებული გვაქვს, რომ თქვე-
ნი კუთხეებიდან სვანეთი განსაკუთრე-
ბულია თავისი მთებით, კოშკებით
და გვინდა, იქ გავემგზავროთო. ცოტა
კი შეიშუმუნენ ქართველები: რთუ-
ლი დროა, აფხაზეთი ახალი დაკარ-
გულია, ღამით გავლა თბილისშიც
საშიშია, ყველას იარაღი უჭირავს
ხელში, დღე ისე არ ჩაივლის, ვინმეს
არ ესროლონ, არ მოკლან ან არ
დაჭრან... როგორც იტყვიან, ასეთ
შემთხვევაში, ძალი პატრონს ვერ
ცნობს, მაგრამ სტუმრებს უარი მაინც
ვერ შეჰკადრეს — ეს ხომ ქართუ-
ლი სტუმართმოყვარეობის შეურაცხ-
ყოფა იქნებოდა — და „ექსტრემალ-
ხანდაზმულ ტურისტებს“ სვანეთის
დასალაშქრავად კომფორტული მიკ-
როავტობუსი გამოუყვეს.

მართლაც, გერმანელებზე დიდი
შთაბეჭდილება მოახდინა სვანეთის
გოლიათმა მთებმა, აქაფებულმა ენ-
გურმა, კოშკებმა... მერე სვანურმა
ფოლკლორულმა ჯგუფმა „ლილემ“
იმღერა, ცეკვაც შეასრულა და სტუმ-
რებს ალტაცებისგან ჯერ სუნთქვა
შეეკრათ, მერე კი ატირდნენ, — ეს
რა ნიჭიერი, მუსიკალური და თბილი
ხალხი ყოფილხართ; ვერც აცნო-
ბიერებთ, ღმერთების სამფლობელო-



ში რომ ცხოვრობთო. მოკლედ, მოგ-
ზაურობის დასასრულს მშვიდობი-
ანი პირი უჩანდა... ყოველ შემთხ-
ვევაში, ასე ეგონა თბილისიდან
გამოყოლილ მეგზურს. ჯგუფს ადგი-
ლობრივი მკვიდრიც ახლდა, მეს-
ტიელი ეთნოგრაფი, რომელსაც ყვე-
ლაფრის მიუხედავად, დაძაბულობა
ეტყობოდა და მისი წინათგმობა
გამართლდა კიდევც...

მესტიიდან გამოსულ ავტობუსს
გზაზე კბილებამდე შეიარაღებული
ორი ყაჩაღი გადაუდგა — ერთი
მაღალი, მეორე დაბალი. ორივეს
შავი ბუნდუნა ჰქონდა პირზე აფარე-
ბული, მხოლოდ თვალები უჩანდა.
ისინი მძლოლს იარაღს უმიზნებდ-
ნენ და სვანურად უყვიროდნენ, —
კარი გავიღე, თორემ ყველას დაგხო-
ცავთო! სხვა გზა არ იყო და გაფი-
თრებულმა მძლოლმა ყაჩაღებს კარი
გაუღო. თბილისელ და მესტიელ
მეგზურებს სახეზე ფერი არ ედოთ,
მხოლოდ ტურისტები გამოიყურე-
ბოდნენ მშვიდად და მეტიც, ხალი-
სიანი ცნობისმოყვარეობით უმზერდ-
ნენ მთელ ამ სანახაობას. ყაჩაღები
ავტობუსში ამოვიდნენ და მძლოლს
უბრძანეს, გზიდან გადაეხვია. როცა
დაინტერესებულმა ტურისტებმა
იკითხეს, — რა ხდებაო? სვანმა
ეთნოგრაფმა სიმწრის ოფლი მოინ-
მინდა, ენა პირში ძლივს მოაბრუნა
და ნაძალადევად იხუმრა: სვანები
სიურპრიზს გვიმზადებენო...

ერთსაათიანი ექსტრემალური



მგზავრობის შემდეგ ერთ ულამაზეს ტბას მიადგნენ. ყაჩაღებმა ყველანი ძირს ჩამოსვეს, მწკრივში განალაგეს და სათითაოდ ჩამოუარეს. გერმანელებს რაც კი ძვირად ღირებულ ნივთები და ფული ჰქონდათ, ყველაფერი წაართვეს, თუმცა ამას წართმევა არ ეთქმოდა — ყაჩაღების გასაოცრად, ტურისტები თავად იხსნიდნენ სამკაულებს, ჩანთიდან და ჯიბიდან ფულს იღებდნენ და პირახვეულებს საკუთარი ნებით, ღიმილით აძლევდნენ. ყაჩაღებმა ყველაფერი „მოხვეტეს“ და თვალის დასამხამებში გაუჩინარდნენ.

გერმანელები ტბის შემოგარენის დათვალიერებას შეუდგნენ, თავზარდაცემულ ქართველ მეგზურებს კი სთხოვეს: აქ ორი დღე გავერდეთ, კარვებს გავშლით და ბუნების სილამაზით დავტკბებითო, მაგრამ მასპინძლებს რა „ეკარვებოდათ“?! ტურისტების თხოვნაზე ხელები გაასავსავეს... გზად ლამის ტვინი გაეპურღათ ფიქრისგან, არ იცოდნენ, რა გაეკეთებინათ ან ვისთვის მიემართათ, რომ „საერთაშორისო სირცხვილი“ თავიდან აეცილებინათ... მართალია, მთელმა მსოფლიომ იცოდა ჯერ ცხინვალისა და მერე აფხაზეთის დაკარგვის ამბავი, მაგრამ ადრე თუ გვიან, ქვეყანა ხომ უნდა დამდგარიყო ფეხზე? ხომ უნდა დაწყებულიყო შენება? ტურიზმი კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო გახლდათ, რომელიც ქვეყნის შენებას შეუწყობდა ხელს. ხელისუფლება კრიმინოგენურ სიტუაციას მინიმუმამდე თუ არ დაიყვანდა, აღორძინებასა და აყვავებაზე ფიქრიც ზედმეტი იქნებოდა...

თბილისში ჩასვლისთანავე, გერმანელების ქართველმა მეგზურებმა მომხდარი შინაგან საქმეთა სამინისტროს აცნობეს. ამბავი მაშინდელი პრეზიდენტის ყურამდეც მივიდა და „ზემო-ქვემო ეშელონებში“ დაიძრა საქმე. ჩვენი გერმანელები კი აზრზეც არ იყვნენ, თუ რა ორომტრიალი იყო მათ ირგვლივ ატეხილი; ამჯერად კახეთს ათვალერებდნენ. ისინი მშვიდად ელოდნენ სვანეთში მომზადებული „სიურპრიზის“ დასასრულს...

ოთხ დღეში საქმე გაიხსნა და სვანი ყაჩაღების ვინაობაც დადგინდა. სამართალდამცველები ყაჩაღებს მათთან „თანამშრომლობისთვის“ თავისუფლებას და ფულად ჯილდოსაც კი დაჰპირდნენ. მოლაპარაკებამ შედეგი გამოიღო და ექსტრემალ გერმანელებს აეროპორტში, გამგზავრების წინ ფული და ყველა ნივთი უკლებლივ დაუბრუნეს.

ტურისტები ერთობ კმაყოფილი დარჩნენ სვანეთში მოგზაურობით, განსაკუთრებით კი იმ სანახაობით აღფრთოვანდნენ, რომელიც მათ ორმა „დაქირავებულმა მსახიობმა“ მოუწყო. გერმანელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს „ექსტრემალური სანახაობა“ სვანეთში მოგზაურობის ერთ-ერთ მთავარ „ატრიბუტს“ წარმოადგენდა. მასპინძლებიც დუმდნენ და ქება-დიდებად დაღვრილ სტუმრებს ღიმილით თავს უქნევდნენ.

საქმის ასეთი შემობრუნებით ქართველებიც კმაყოფილები იყვნენ. ხუმრობა ხომ არაა, ქვეყანა საერთაშორისო სკანდალს გადაურჩა და საქართველოს კარი ტურისტებისთვის კვლავ ფართოდ იყო გაღებული.

არ გასულა ერთი თვე, რომ სპორტის, კულტურისა და ტურიზმის დეპარტამენტს კვლავ აცნობეს, გერმანიიდან დიდი ჯგუფია ჩამოსული და სვანეთში წასვლა უნდათო. რა უნდა ექნათ? ამჯერად, გიდან ერთად, ტურისტებს გადაცემული ორი პოლიციელი გააყოლეს. სვანეთით აღფრთოვანებული გერმანელები 3 დღის შემდეგ თბილისისკენ რომ დაიძრნენ, ერთ-ერთმა მათგანმა შუა გზაზე გაკვირვებით იკითხა: კი, მაგრამ სად არის ის ორი „ყაჩაღი“, რომელსაც ჩვენი „გადარცვა“ ევალებათ? თურმე, წინა ჯგუფს მოუყოლია ნაცნობებისთვის, თუ რა ეგზოტიკური სანახაობა მოუწყვეს სვანებმა და „დადგმული ეპიზოდით“ „ადრეულ სვანეთში როგორ

ამოგზაურეს“, თან ულამაზესი ტბა უჩვენეს, „წართმეული“ ნივთები კი გამგზავრების წინ დაუბრუნეს; მეორე ჯგუფის ტურისტები აშკარად იმედგაცრუებულნი და უკმაყოფილონი ჩანდნენ. სხვა გზა არ იყო, ისევ უნდა ეცრუათ მასპინძლებს, — ის „მსახიობები“ სანახაობის გასამართავად ახლა სხვაგან არიან წასულეები; ჰოდა, ცოტას თუ მოიცდით, დავუკავშირდებით და ჩამოგიყვანთო. გერმანელებიც სიხარულით დათანხმდნენ. კვლავ დატრიალდა შინაგან საქმეთა სამინისტრო, მოძებნეს ის ორი ყაჩაღი: ერთი მაღალი, მეორე — დაბალი, უთხრეს, რომ ამ ტურისტული ჯგუფის „დაყაჩაღება“ ევალებოდათ; ამჯერად სცენა მართლაც, დადგმული იქნებოდა, სანაცვლოდ კი კვლავ ფულად პრემიას დაჰპირდნენ... რაღა ბევრი გავაგრძელოთ და, ისევ დატრიალდა „კარუსელი“; ყაჩაღებმა პირი კვლავ შავი ბუნდებით აიხვიეს, თოფები მოიმარჯვეს და მიკროავტობუსს წინ გადაუდგნენ. მერე მძღოლი ისევ „იდუმალი“ ტბისკენ წაიყვანეს, როგორც მაშინ... გერმანელები გაბრწყინებული თვალებით უტყქერდნენ ამ „საოცარ ტურისტულ სანახაობას“. ტბასთან ჩამოსულები გაოგნებულნი მისჩერებოდნენ ბუნების იშვიათ სილამაზეს და „მძარცველებს“ უკლებლივ ჩააბარეს ყველაფერი, რაც კი ებადათ. ის კი არა, ერთ-ერთმა ექსტრემალმა ტურისტმა მაღალ მძარცველს უთხრა: როგორც მითხრეს, თქვენ მაშინ უფრო აგრესიული იყავით, ახლა ალბათ, დაღლილი ხართო... როცა გიღმა სვანს გერმანელის ნათქვამი გადაუთარგმნა, მძარცველმა მოულოდნელობისგან ნერწყვი ძლივს გადაყლაპა. გადაწყვიტა, კარგად შეესრულებინა დაკისრებული მოვალეობა და ცოტა „გაბრაზებულიყო“.

ჰოდა, მან ისე „წყვიტა“ აბეზარ გერმანელს ყბაში, რომ ტურისტს კარგა ხანს ჰქონდა ცალი მხარე განითლებული. თუმცა, ისტიბარს მაინც არ იტებს და ყაჩაღს ცერა თითით აჩვენებდა, — მაგარი ხარო... ასე დამთავრდა მეორე ექსკურსია სვანეთში...

ექსტრემალურ-ეგზოტიკური სანახაობის მოყვარული ტურისტები კიდევ ჩამოვიდნენ საქართველოში, მაგრამ მასპინძლებმა დასაწყისშივე დაიზღვიეს თავი: „ის“ სერვისი აღარ გვაქვს და ნულარ მოითხოვთო. რაც შეეხება მაღალსა და დაბალ ყაჩაღებს, ისინი სვანეთში აღარ გამოჩენილან.





იმერლებში ჩასიძენული ყახელი...

ინგა ჯაყელი

იმერელი კაცის მარიფათზე ვის არ სმენია — გაძვრება, გამოძვრება და არაფრისგან ტახტს დადგამს, ქვას წვეწვს გამოადენს და თუნდაც იმისთვის აანცობს ცხოვრებას — დადგეს მერე და ცხოვრების ბოლომდე იტრაბახოს...

იმერელ კაცს რომ ტრაბახი უყვარს, ეს ყველამ იცის და ამიტომ, მართალსაც რომ ამბობდეს, ნახევარსაც არ უჯერებენ სხვა კუთხის შვილები, თუმცა არც ბრაზობენ:

— გაუშვი, ილაპარაკოს, ჩვენი რა მიდის!..

ბიკენტიც იმერელია. სოფელში ხომ უკეთესი მაცხოვრებელი არაა და პირდაპირ „ზაგრანიციდან“ ჩამოტანილი ავეჯითა აქვს სასახლე სავსე, ერთი რესტორანი ქუთაისში აქვს და მეორე — თბილისში, არადა, სიტყვით რაც უნდა თქვას, გული „ჩალუსკუმბული“ აქვს, რადგან ღმერთმა არც შრომისმოყვარება დაუფასა და არც — სიკეთე: ამ ქონების საპატრონოდ მემკვიდრე არ მისცა, ერთი გოგოს იმედზე დატოვა. თან გოგოცაა და გოგოც: იცოცხლე, ნიჭიერია ციცი — ორი უმადლესიც დაამთავრა და ასპირანტურაც, უბრალო სამსახური რომ იკმარა და მამის დახმარებით რამდენიმე ავთიაქი გახსნა რაიონშიც და სოფლებშიც, ქუთაისშიც გაიწია ბიზნესის გასაფართოებლად... საკუთარი ფულით „ჯიპიც“ იყიდა და მსუბუქი — „პეუოც“, მაგრამ რად გინდა: მისი ცხვირ-პირის პატრონს, ალფისი ნაჯახს რომ მიუგავს, ქონების ხატორითაც არავინ შეხედა და 30 წლის ასაკში კიდევ გაუთხოვარი დადიოდა.

გაგეჟდა ბიკენტი, სულ კედელს ურტყა თავი, თუმცა სახალხოდ მაინც არ აღიარა თავისი „გაჭირვება“, პირიქით, ძველბურად აგრძელებდა ტრაბახს:

— იმდენი მთხოველი გყავს, დევილუბე, ველარ ირჩევს უკეთესს ჩემი გოგო... —

ზოგი ეგებოდა ანკვებს და ქონების ხატორით, ციციწოს სანახავად, კილომეტრებს გადიოდნენ თბილისელი თუ ქუთაისელი სასიძოები:

— ვინ იცის, იქნება ჩვენი ბედია! — მაგრამ შეხედავდნენ მის წაგრძელებულ ტუჩ-კბილს, ცხენივით ნაფოტა კბილებს და ისე იპარებოდნენ უკან, გაშლილ სუფრამდეც აღარ მიდიოდნენ...

ერთი გაბრიყვდა მხოლოდ — კახელი ვახტანგა, რომელსაც სმა-ჭამა დიდად შესარგი იმდენად უყვარდა, დედ-მამასაც კი ერჩივნა, მაშინ როცა თითის განძრევა ეზარებოდა და ფხიც რომ წამოეკრა, შინ შემის ნაპობსაც არ შეიტანდა. ინვა ზამთარ-ზაფხულ პაპის დატოვებულ ტახტზე და ძუძუსმწოველი ბაღლივით გასძახოდა დედას: — სადილს რად აგვიანებო?!

უთმინა სიბერეშეპარულმა მამამ, უთმინა და ერთხელაც ნაჯახით გამოუდგა უსაქმურს:

— ნადი და ვინც უსაქმური აგიტანოს, იმას შეეკედლე, მე არც გულს შეგაჭმევინებ და არც — სიმწრით მონეულ ჭირნახულს...

— დამადლებული არც რამე მინდა! — ვახტანგამ — ერთადერთი საგარეო „კასტუმი“ გადმოიღო, დედას წინა დღის აღებული პენსია „ესესხა“ და თბილისში ქალაქელ ბიძაშვილს მიადგა, რომელიც ბიკენტის რესტორანში მზარეულად მუშაობდა — მან კარგად იცოდა, ვახტანგას გაკეთებული საქმე რა ზღაპარიც იყო, ამიტომ პირდაპირ მიახალა:

— წვრილშვილის პატრონი ვარ, დიდხანს ვერ შევძლებ ტახტზე წამოწოლილი შეგინახო, ერთი გზაა — „ჩემი ხაზინის“ — ბიკენტის მახინჯი დედასერთა შეირთეო. თუ არხეინი ცხოვრება გინდა, ცოტა რამეზე თვალი უნდა დახუჭო...

— რას ამბობ, ბიჭო, ქალის სიმახინჯეზე თვალის დახუჭვა როგორ იქნება, მაგას სჯობია, „პოლკთან ნაწოლი“ იყოს, თუნდაც „ტანკადავილი“ ის ჩემისა! — გაპროტესტება სცადა ვახტანგამ, მაგრამ... კარგა ხნის ფიქრის შემდეგ, დათანხმდა: ნავიდეო, ვნახოთ, რა იცი, იქნებ არც ისე მახინჯიაო!..

ვახტანგას გარეგნობა არ დაენუნებოდა, მაგრამ ენა ჰქონდა ისეთი მყრალი, გინების ჩემპიონატი რომ ჩაეტარებინათ, კახელებშიც კი ვერავის იპოვიდნენ მის დამმარცხებელს: ყველას და ყველაფერს აგინებდა განურჩევლად — ფეხსაცმელსაც კი, როცა თამსის შეკვრა გაუჭირდებოდა და ღიპსაც, რომელიც დახრას უშლიდა...

მოკლედ, ჩაისვა ვახტანგა ბიკენტიამ თავის „ნივამი“ და წინასწარ დარეკა რაიონში, — სასიძო მომყავსო, სუფრა გაშლილი რომ დაეჭედებინათ...

ერთი დავალებაც გაცა — ციციწო მანამ არ უნდა გამოჩენილიყო, სანამ კაცს ღვინო არ მოეკიდებოდა...

— ღვინო მაქვს, ღვინის უნახავს გაგხდის! — დაიწყო ტრაბახი ბიკენტი.

— კახელ კაცს ღვინით მაკვირვებ, შე დედამინგრეულო! — წამოსცადა გინება ვახტანგას და „დაიკვნესა“ უკან შეყუჟულმა ბიძაშვილმა: ჰო, კაი, კაი, შე ჩემის გადანგრეულო, კახელის გინება ლოცვა და გამრავლებაა! — უკან აღარ დაიხია და ბიძაშვილს ხელი აუქნია...

ბიკენტიმ ესეც ჩაყლაპა, გაიკრიჭა კიდეცაც:

— ეჰ, ნეტავ, გინებით ქალი ორსულდებოდეს, თვარა, ისე კაი ბიჭი ხარ, ჩემი ერთადერთი გოგოს გინებასაც არ დაგიშლიდი...

— ერთი შენცა ყოფილხარ! — ტვინ-

თან (თუ ჰქონდა!) თითი დაიტრიალა ვახსომ, რომელსაც ეზოშივე ეცა იმერული ხაჭაპურების სუნი და მის სანახავად შეკრებილ მეზობლებს სიტყვა რომ გაუგრძელებდა, უხეშად შეანწყვეტინა ლაქლაქი: — კაცო, თუ ჩემთვის გინდათ ეგ სუფრა, დროზე დამსვით, სანამ კუჭი არ ამომბრუნებია და დევივით არ მიმიღწე-მომიღწენია აქაურობა, ერთი თქვენი დედებიც...

ბიკენტის ხატორით მეზობლებმაც მოითმინეს და სუფრის გაშლაც დააჩქარეს, მერე ჭამაც დაავიწყდათ, ვახტანგას ყბის ქნევას რომ უყურეს, შემინდნენ კიდეცაც:

— გინდა, ამის მადას დაუქცევია ბიკენტისა ოჯახი და გინდა — ციციწოს გაუთხოვრობას! — მაგრამ ბიკენტიც ასე არ ფიქრობდა: ერთი-ორი შვილიშვილი მალისოსო და მერე მე ვიცი მისი „პატივისცემაო!“ — თავისი ხელით შეუგზავნა შვილი საძინებელში ნახევრად უგონოდ მყოფ ვახტანგას, რომელმაც ორი ჩაფი ღვინო მაინც ჩახეთქა...

გამოფხიზლებულზე კი ციციწოს ცხვირ-პირის დანახვისას, კიდევ უფრო „დახვენა“ თავისი გინება და კახური ლექსიკონი, თითქოს მადაც დაკარგა თავიდან, მაგრამ... ისე „გემრიელი“ მოეჩვენა ბიკენტისა ქონება და არაბული ტახტი, მარმარილოთი მოპირკეთებული ბუხრის წინ დადგმული, ორ წელიწადში სამი თავისნაირი მუტრუკი გააჩენინა ციციწოს, რომლებიც პირველ სიტყვას ენის ამოდგმისთანავე — „დედას“ კი არ იძახდნენ, პირდაპირ გინებაზე გადადიოდნენ...

ბიკენტიც კი ჩვეულებისამებრ ტრაბახით იკლებდა ნაცნობსა თუ უცნობს:

— ერთმა კახელმა რომ გამხეთქა გულზე, მაი არაფერი, სამი ხომ გახეთქავს სხვას ღვინჭიპაზე ჩემი ოჯახიდან გასული! — ენას უჩლექდა შვილიშვილებს და მესამე რესტორანი მოსკოვის ცენტრში გახსნა ცოტა ხნის წინ:


— მამა არ უვარგათ და მე მაინც დავუტოვებ ქონებას!..

— ერთი შენი პატრონი ქვეყანაც! — იგინება ისევ იმერლებში ჩასიძენული ვახტანგა, რომელსაც კი დაუპირა ერთი პირობა ბიკენტიამ, მაგრამ ციციწო ჩაუვარდა მუხლებში:

— ეს „ვაჟკაცი“ კაცი რომ გამო-მაცალო, ბარემ ცოცხლად დამმარხე! — და ისიც გაამხილა, რომ მეოთხე ბავშვზე იყო ორსულად და სხვა არაღადარ-ჩენოდა ბიკენტის, ისევ ტრაბახით აყრიდა თვალში ნაცარს სხვებსაც და საკუთარ თავსაც:

— სხვებზე თუ ამონყვეტილი კი არაა ჩემი ოჯახი, ვმრავლდებით მტრების ჯინაზე, მალე თელილი სოფელ-ქალაქი ჩვენი იქნება...

პრინციპში, სადღაც მართალიცაა... ■



სამყარო

გამოვნიანი მუსიკის დაფიქსირება საქართველოში და ერთფეროვან კონსერტივზე „მარიაჟის“ გამო მისული ახალგაზრდობა

Blues Factory-ის ლიდერების — მამუკა ჩხლაძის (გიტარისტი) და ალექსანდრე წულუკიძის (რიტმ-გიტარისტი) გარდა, მუსიკალური ჯგუფის ძველი წევრები ახლებით შეიცვალნენ. ესენი არიან: ირაკლი ნონაშვილი (ვოკალისტი), დავით გოშაძე (ბასგიტარისტი) და ტარიელ მელქაძე (დრამერი, რომელსაც პროტესტის მიუხედავად, ჯგუფის წევრები ტარიელ ონიანს ეძახიან). „ტარიელ ონიანმა“ ინტერვიუზე მოსვლა ვერ მოახერხა, თუმცა მეგობრებმა გამოცდილი მუსიკოსის მიმართ საქებარი სიტყვები არ დაიშურეს.

ამ ცოტა ხნის წინ კონცერტი — „ბლუზის ჩრდილში“ ჩატარდა, რომელშიც, რა თქმა უნდა, Blues Factory-ც მონაწილეობდა.

ეთო ყორღანაშვილი

ალექსანდრე წულუკიძე:

— კონცერტი სახელწოდებით — „ბლუზის ჩრდილში“ (რომელშიც 3 ჯგუფი ვმონაწილეობდით) ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა და როგორც ყოველთვის, წარმატებით ჩაიარა. საერთოდ, Blues Factory-ს კონცერტებზე ყოველთვის საოცრება ხდება!..

მამუკა ჩხლაძე:

— საქართველოში ყველა სტილის მუსიკას დამსახურების მიხედვით უნდა სცენ პატივი.

ალექსანდრე:

— ნებისმიერი მიმართულების

მუსიკას თანაბარი დრო უნდა ეთმობოდეს, თუნდაც — საეთერო სივრცეში. ჩვენი სენი ისაა, რომ რაღაცას ამოვიჩემებთ და ხოტბას ვასხამთ. წინათ ამბობდნენ ხოლმე, უთო რომ ჩართო, დუტას ხმა ისმისო.

— ამას იმით ამართლებდნენ, რომ ქართულ ტელევიზორებში პროფესიონალი ტელეწამყვანების ნაკლებობაა. **მამუკა:**

— პრინციპში, მართალია.

— თქვენს შემთხვევაში როგორაა საქმე?

— „ბლუზის ჩრდილში“ კარგი კონცერტი იყო, მაგრამ ასეთი ხშირად

უნდა ტარდებოდეს. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ერთფეროვან სიმღერებს „მიუსხდებიან“ და არის ერთი ამბავი! ახალგაზრდობას მუსიკალური გემოვნება რომ ჩამოუყალიბდეს, არჩევანის საშუალება უნდა ჰქონდეს. ყველა სტილის მუსიკას თუ შევთავაზებთ, კარგს და ცუდს, გემოვნებიანს და უგემოვნოს გაარჩევენ. აქ კი მხოლოდ ერთი ჯგუფის კონცერტები ტარდება, სადაც ბევრი მხოლოდ „მარიაჟის“ გამო მიდის.

ალექსანდრე:

— კარგი მუსიკის დეფიციტია. მინდა, აღვნიშნო, რომ ჩვენს საღამოზე უამრავი გოგონა და ბიჭი მოვიდა. ბლუზს ნებისმიერი ასაკის მსმენელი ჰყავს: ახალგაზრდა, ხანში შესული... ფაქტობრივად, ბლუზი როკის, ჯაზის ფესვია... **მამუკა:**

— ბლუზი როკის იდეა ანუ როკ-მუსიკაში გემოვნების ჩამოყალიბება ბლუზიდან იწყება.

ალექსანდრე:

— ზოგს ჰგონია, რომ ბლუზი 3 აკორდია და მორჩა. არაფერი შეეშალოთ! შეიძლება, იმ 3 აკორდში ისეთი იმპროვიზაცია მოხდეს, რომ!..

— „ბლუზის ჩრდილში“ რა რეპერტუარი წარმოადგინეთ?

მამუკა:

— ბლუზის ერთ-ერთი პირველი (მსოფლიოს მასშტაბით) ვარსკვლავის — Stivie Riv Vaughan-ის — „ბლოკი“, მსოფლიოს კლასიკოსი მუსიკოსების ნაწარმოებები, 70-იანი წლების როკმუსიკის ცნობილი ჰიტები ანუ ისეთი სიმღერები, რომელთა მოსმენა დღესაც სასიამოვნოა!

— საკუთარი რეპერტუარი თუ გაქვთ?

— საკუთარი რეპერტუარის შექმნაც გვინდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ





ჭემმარიტ, ცოცხალ მუსიკას უსმინეთ და არა — „მაიმუნობას“!

ინტენსიურად მუშაობს. Blues Factory-ს მუსიკალური სტილი მისთვის ახალი ხილი არ ყოფილა.

— ირაკლი, წინათ სად მღეროდი?

ირაპალი ნონაშვილი:

— ბატონ მამუკას მოსწავლესთან — ლაშა ჩანქელიანთან ვმღეროდი. ჩვენი მუსიკალური ჯგუფი — Next Station გვექონდა. შეიძლება, ითქვას, რომ Blues Factory-ში შემთხვევით მოვხვდი (იცინის).

— შემთხვევით — როგორ?

— Next Station-თან (ეს ჯგუფი ახლაც არსებობს, უბრალოდ, სექტემბრამდე ვისვენებთ) „როკკლუბში“ ვმღეროდი, სადაც ახალშექმნილ როკბენდებს საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება ეძლეოდათ. Blues Factory-მ სწორედ იქ შემიშნა და თავისთან მიმიწვია... აღმოჩნდა, რომ ჩემი გამოცდილება საკმარისი არ ყოფილა. საკუთარ თავზე ინტენსიური მუშაობა მჭირდებოდა და მეც ვმუშაობ...

— ბატონო მამუკა, წინათ მითხ-

ვერჯერობით, ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთგაგება ბლუზის კლასიკური ნაწარმოებების შესრულებისას უნდა ჩამოყალიბდეს. საკუთარი მუსიკის შექმნა უბრალო საქმე არაა. მომხრე ვარ, რომ ამაში მთელი ჯგუფი მონაწილეობდეს, რასაც მუსიკოსების ურთიერთგაგება სჭირდება. სიმღერა პროფესიონალურ დონეზე მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აუღერდება.

— როგორც ვხედავ, ჯგუფში ახალი წევრები გყავთ. Blues Factory-ს ძველი შემადგენლობა რატომ დიშალა?

— ცხოვრება „ჭირვეულია“. როგორც ყოველთვის, ჯგუფში პრობლემური საკითხები წარმოიშვა. ვისაც Blues Factory-სთან მუშაობის გაგრძელება სურდა, დარჩა და მუშაობს. დანარჩენები საკუთარ პრეტენზიებს თავად მიხედავენ. ასე თუ ისე, მინდა, რომ ჯგუფში მეტი ახალგაზრდა იყოს. მსურს, ახალგაზრდებში გემოვნებიანი მუსიკის ხიბლი ჩამოყალიბდეს. საქართველოში ნიჭიერი ადამიანები არიან. მით უმეტეს — მომავალი თაობა, რომელსაც სწორი მიმართულება უნდა მივცეთ.

— ჯგუფის ახალმა წევრებმა თქვენთან მუშაობას ადვილად აუღეს ალლო?

ალექსანდრე:

— ისინი კასტინგის შედეგად შევარჩიეთ. ბატონი დავით გოშაძე გენიალური მუსიკოსია. ის ისე ძალიან მოგვეწონა, რომ მე და მამუკამ ერთმანეთს გადავხედეთ და ... YES (იცინის)! დავითი ნიჭიერებასთან ერთად, შრომისმოყვარეც გახლავთ. ეს კი ძალიან კარგი და საჭირო თვისებაა.

დავით გოშაძე:

— საერთოდ, ნებისმიერი მუსიკის „გაკეთება“ რთულია. მთავარია, „მუსიკალური ურთიერთგაგება“. მუშაობა მიაღვიღდება, რადგან ისეთი დიდი გამოცდილების მქონე ხალხთან მოვხვდი, როგორც მამუკა ჩიხლაძე და ალექსანდრე წულუკიძე არიან. უპირველეს ყოვლისა, დაკვრა ჩემთვის სასიამოვნოა, ასეთ შემთხვევაში კი პრობლემები მარტივად იჭრება.

ალექსანდრე:

— ვოკალისტს — ირაკლი ნონაშვილს რაც შეეხება, ის საკუთარ თავზე



არით, რომ თქვენი ცნობილი ჯგუფი — „მძიმე ჯვარი“ არ დაშლილა. „მძიმე ჯვარში“ რა ხდება?

მამუკა:

— ჯერჯერობით — არაფერი. ჯგუფი „გაჩერებულია“. მისი წევრები ისევ ვმეგობრობთ, პერიოდულად ვიკრიბებით და მსმენელს თავს ვახსენებთ.

— ალექსანდრე, როგორ ფიქრობთ, Blues Factory ისეთივე პოპულარული გახდება, როგორც წლების წინ The Generales-ი (რომლის გიტარისტიც იყავით) იყო?

— რა თქმა უნდა! მაშინ ცოტა გრძელი თმა მქონდა. მე და აჩიკო The Generales-ში ერთად ვიყავით. აჩიკოს ბებია რომ დამინახა, იყვირა: ვაიმე, სტალინი გაცოცხლებულაო! ნიშადურით ასულიერებდნენ. მერე, სანამ ის ქალი არ გარდაიცვალა, აჩიკოსთან ველარ მივიდიოდი (იცინის). კარგი დრო იყო. მაშინ ბევრი გენიალური ანსამბ-

ლი არსებობდა. ძალიან ბევრი კონცერტი იმართებოდა. The Generales-ი მხოლოდ საკუთარ სიმღერებს ასრულებდა... ისეთივეს კი არა, უფრო მეტ პოპულარობას მივალწვეთ!

— ამისთვის საჭირო რა არის?

— მასმედია ბლუზმენებს და როკმენებს მეტი ყურადღება მოგვაცემს. ყველას თანაბარი საშუალება მოგვცვენ, რათა მსმენელს ვაჩვენოთ, როგორ ვუკრავთ. იქნებ, ჩვენი შემოქმედება უფრო მოსწონთ? დაე, თავად განსაჯონ!

— რეგიონებში თუ მართავთ კონცერტებს?

— ერთხელ სიღნაღში გამოვედი, ოღონდ — ძველი შემადგენლობით. კარგი დრო კი გავატარეთ (იცინის)...

მამუკა:

— ამჟამად ახალ პროგრამაზე ვმუშაობთ. საზაფხულო სეზონისთვის რალაც-რალაცები იგეგმება. გინდა, სექტემბრისთვის მსმენელებს საკუთარი სიმღერებიც შევთავაზოთ. თუკი საჭირო ფინანსები მოვიძიეთ, კლიპსაც გადავიღებთ. ჩვენი „სახე“ უნდა ჩამოვაყალიბოთ. Blues Factory იმას არ ნიშ-

ნავს, რომ მხოლოდ ბლუზი დაუკრათ. შეიძლება, მსმენელს პანკ-როკი, ბალადა, „მძიმე“ მუსიკა შევთავაზოთ, მაგრამ ეს ყველაფერი ბლუზის „საფეხურებზე“ იქნება აგებული.

— დაბოლოს, რამის თქმა ხო არ გასურთ?

დავითი:

— ჩვენგან სასიამოვნო, ლამაზ მუსიკას ელოდეთ.

ირაპალი:

— ჭემმარიტ, ცოცხალ მუსიკას უსმინეთ და არა — „მაიმუნობას“!

ალექსანდრე:

— დღევანდელი იყოს როკ-ენ-როლი!

მამუკა:

— მადლობა თქვენს ჟურნალს! გვინდა, საქართველოში ბევრი ისეთი ჟურნალისტი იყოს, რომელსაც ნებისმიერი სტილის მუსიკაში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების გაშუქების საშუალება ექნება.



ახალგაზრდა ილუზიონისტი, როგორსაც პოპულარობა არ სურს...



ღალი ფასია

— ნკა, როგორც მასოვს, წლების წინ „თითების თეატრის“ მსახიობი იყავი.

— ძალიან მიყვარს თეატრი და ხელოვნება. „თეატრალურ სარდაფში“ ბატონ ლევან წულაძის რეპეტიციებს ხშირად ვესწრებოდი. ასევე დავდიოდი ბატონ ავთო ვარსიმაშვილთან... ერთხელაც, ბატონმა ლევანმა მითხრა, ბათუმიდან თბილისში სამუშაოდ „თითების თეატრი“ ჩამოდის და ძალებს ხომ არ მოსინჯავდიო? დავინტერესდი და ამ თეატრში მუშაობის სურვილი გამიჩნდა... კასტინგი გავიარე. მოეწონათ ჩემი თითები და დასში ამიყვანეს (თეატრის ხელმძღვანელი ბესო კუპრეიშვილი გახლდათ). იდგმებოდა სპექტაკლები, დავდიოდი გასტროლებზე... წარმატებებიც გვქონდა. წარმოიდგინეთ, რომ თითებით „ქართულს“ ვცეკვავდი...

— იმის წყალობით, რომ ილუზიონისტის შვილი ხარ და ბავშვობიდან თითები ფოკუსების კოფებით განაწული გაქვს, არ გაგჭირვებია ალბათ „თითების თეატრში“ მუშაობა...

— 4 წლის ასაკიდან დიდ სცენაზე ვიდექი და მამაჩემთან ერთად, ფოკუსებს ვაკეთებდი... 10 წლის გახლდით, როცა მარჯანიშვილის თეატრში რეჟისორმა, დათო საყვარელიძემ საახალწლო სპექტაკლი დადგა, სადაც როლი მეც მომცა — პატარა ილუზიონისტი ვიყავი, ფოკუსებს ვაკეთებდი...

„გუშინდელივით გათენდა ისევ, / ისევ დაიწყო ეს დღე მიზნებით, / არ მიყვარს, როცა დრო გადის სწრაფად, / შიში მაქვს იმის, რომ ჩვენ ვიზრდებით“, — ეს სტროფი 21 წლის ნიკა ვადაჭკორიას ეკუთვნის, რომელიც პოეტი არ გახლავთ, მაგრამ ძალიან უყვარს ლექსების წერა და საერთოდ, ხელოვნების დიდი მოტრფიალეა. სინამდვილეში ის საილუზიო ხელოვნების წარმომადგენელი გახლავთ, მაგრამ იმ პროფესიით (ტურიზმის მენეჯერი), რომლის შესწავლასაც უმაღლეს სასწავლებელში წლები მოანდომა, არასდროს უშუშავია... უყვარს ფიქრი, გადაწყვეტილებას უეცრად არასდროს იღებს. მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი ილუზიონისტის — ზურა ვადაჭკორიას შვილია, თვითონ სულაც არ სურს, რომ პოპულარული გახდეს.

— „თითების თეატრს“ თავი რატომ დაანებე?

— არ მიყვარს ერთფეროვნება. სულ სიახლეებს ვეძებ. ამასთან, მაშინ ისეთი პერიოდიც დამემთხვა, რომ აბიტურიენტი გახლდით და უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩასაბარებლად ვემზადებოდი. სამეცადინოდ დრო მჭირდებოდა. ავდექი და თეატრიდან წამოვედი. ჩავაბარე უმაღლეს სასწავლებელში და რომ დავამთავრე, მუშაობა მოხილური ტელეფონების ერთ-ერთი ბრენდის სერვისცენტრში დავიწყე — მენეჯერი გახლავართ. უკვე მეოთხე წელია, რაც იქ ვმუშაობ.

— თეატრის მოყვარულ კაცს მობილურების სერვისცენტრში მუშაობა არ გიჭირს?

— მიმაჩნია, რომ ხელოვნება ჩემთვის პოზად უნდა დარჩეს, რადგანაც ცხოვრებაში ადამიანს სტაბილური სამსახური სჭირდება. თუ სტაბილური სამსახური არ გაქვს, წინსვლა არ გექნება. თან, აქ იმიტომ ვმუშაობ, რომ სხვისი ხელში შემყურე არ ვიყო... თუმცა ხელოვნების მიმართულებით ამბიციები მაინც მაქვს...

— რას გულისხმობ?

— დიდი ტრიუკის მოწყობა მინდა... ოღონდ, ჯერ რალაც-რალაცები კიდევ გასარკვევია...

— ეი. მაინც მამის კვალს მიჰყვები... 4 წლის ასაკიდან სცენაზე ვდგავარო, მითხარო. კონკრეტულად, რას აკეთებდი სცენაზე?

— ისეთ პატარ-პატარა ფოკუსებს, როგორსაც 4 წლის ბავშვი აძლევდა. თავიდანვე მომწონდა საილუზიო ხელოვნება და გულმოდგინედ ვსწავლობდი.

— არადა, მამაშენისგან ვიცოდი, რომ ილუზიონისტობა მაინცდამაინც არ გიზოდავდა...

— მამაჩემს რომ ეთქვა, ჩემი შვილიც ილუზიონისტიო, მაშინ ყველას გაუჩნდებოდა კითხვა, — ვინ არის,

სად არის და რატომ არაფერს აკეთებსო? მე კი არ მინდა, რომ პოპულარული გახდე.

— ისე, 21 წლის, ახალგაზრდა, პერსპექტიული ადამიანისგან ამის მოსმენა ცოტა უცნაურად მიჩვენება.


— ჰო, მაგრამ რა ვქნა, თუ მართლაც არ მსიბლავს პოპულარობა?! ახლა ისეთი დროა, რომ ნებისმიერ ადამიანს წამიერად შეუძლია, გახდეს პოპულარული. მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნებისმიერი ადამიანი ინდივიდუალურია. თან, პოპულარობას შენარჩუნება უნდა...

— მაგრამ თუ მაინც აპირებ სცენაზე გამოსვლას და დიდი ტრიუკის მოწყობას გეგმავ, ვერ ასცდები იმას, რომ ხალხმა გაგიცნოს...

— (იცინის) ტელევიზიით არაერთხელ გამოვჩენილვარ, მაგრამ ამაზე ბევრჯერ უარიც მითქვამს. ვიმეორებ, ზოგს პოპულარობა სიამოვნებს; მე — არა...

— უფრო კონკრეტულად მითხარო, რა ტრიუკის მოსაწყობად ემზადები და მამაშენი თუ არის თანახმა?

— რა თქმა უნდა, თანახმაა. რაც შეეხება იმას, თუ როგორ ვემზადები



მოგს პოპულარობა სიამოვნებს; მე — არა...



და რა ტრიუქს ვაპირებ, ამაზე საუბარს ჯერჯერობით მოვერიდები...

— მამას გარეგნულად რომ ჰგავხარ, ვხედავ. ხასიათითა და თვისებებითაც არის თქვენ შორის მსგავსება?

— გარეგნობით მართლა ყველა გვამსგავსებს, ხასიათით კი — არა. ერთადერთი, რაშიც ვგავარ, მასავით აქტიური ტიპი ვარ. ზურას დიდი შემართება აქვს, რაც მისგან მეც გადმომეცა.

— ინგლისში ცოტა ხნის წინ გამოიცა წიგნი, სახელწოდებით — „ჯადოსნური ფოკუსების დიდი წიგნი“, რომელშიც მსოფლიოს ცნობილი ილუზიონისტებს შორის, ქართველიც შევიდა და ეს ქართველი ზურა ვადაჭკორიაა. რას ნიშნავს შენთვის ცნობილი ილუზიონისტის შვილობა?

— ეს ძალიან მემამყება! ახლახან იტალიაში გახლდით, სადაც ერთ-ერთ-

თაც უშუალო კონტაქტი გაქვს ადამიანებთან. ამასთან, ბევრ მეგობარს იძენ. მოკლედ, ჩვენი საქმე გამჭვირვალეა.

— ეგ როგორ? მე რომ ვერასდროს ვშიფრავ თქვენს ტრიუქებს?

— (იღიმება) ასე აშკარად რომ დაინახოთ ყველაფერი, მერე ვეღარ გაცდებოდათ. მთელი ხიბლიც მაგაშია!.. ძალიან საინტერესო პროფესია გვაქვს.

— რაკი შენი პედაგოგი ამ საქმეში მამაა, მას ხომ არ ჰბაძავ?

— არა, მე ჩემი სტილი და მანერა მაქვს. მინდა ვიყო ჩემი საქმის „სპეცი“!..

— როდესაც შვილები მამების პროფესიას ირჩევენ და შემდგომ თავის დამკვიდრებას ცდილობენ, ცოტა შიში უჩნდებათ ხოლმე. შენ არ გეკონია ეს გარძნობა?

— შიში რომ მქონდეს, მაშინ ჩემს ძალებში დარწმუნებული არ უნდა ვიყო. ჩემს შესაძლებლობებში დარწმუნებული რომ ვარ, ამიტომაც არ მეშინია. მოკლედ, მე ჩემი ხედვა მაქვს.

— ისე, ბოლო დროს თქვენი სფერო ძალიან გამოცხადდა...

— კი და ეს ძალიან მახარებს. ჩვენი დარგი პოპულარული რომ გახდეს, ბევრმა ადამიანმა უნდა აითვისოს, შეისწავლოს. ბოლო დროს ილუზიონისტების წინ წამოწევის საქმეში დიდი წვლილი ჩვენს ტელეკომპანიებსა და ზოგადად, მედიას მიუძღვის. მისარია, რომ ზურა ვადაჭკორიას საქმეს ახალგაზრდები აგრძელებენ... ზურასგან ვიცი, რომ ამ საქმეს პატიოსნად უნდა ვემსახურო და ბოროტად არ უნდა გამოვიყენო. ჰოდა, მას, ვისაც მოსწონს, უყვარს და აპირებს, ამ პროფესიას გაჰყვეს, იმავეს ვურჩევ.

— შენ და ზურას როგორი მამაშვილობა გაქვთ, ხშირად კამათობთ?

— ერთმანეთთან ძმაცუური ურთიერთობა გვაქვს...

— მკაცრი მამა არ არის?

— მკაცრია და ეს თვისება მასში ძალიან მომწონს.

— თითონ დაოჯახებას როდის აპირებ?

— მალე. მყავს საცოლე...

— ზურამ იცის ამის შესახებ?

— კი, რა თქმა უნდა. რომ გაიგო, ძალიან გაუხარდა.

— საუბრისას რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი ახსენე...



გარეგნობით მართლა ყველა გვამსგავსებს

— კი, ბატონ ავთოსთან „თავისუფალ თეტრშიც“ დავდიოდი, მისი ყველა სპექტაკლი ნაწახი მაქვს, თან — არაერთხელ. საერთოდ, ყოველთვის ყველა თეატრის ხშირი სტუმარი ვიყავი და ვარ კიდევაც. ბატონი ავთო არაჩვეულებრივი პიროვნებაა, ეს მისი სპექტაკლებიდანაც კარგად ჩანს... ის ბევრ რამეს მასწავლიდა, ჭკუას მარიგებდა, რაღაცებს მისწინიდა. მინდა, დიდი პატივისცემითა და მოწინებით ნიკო გომელაურიც გავისხენო, ის ჩემი მეგობარი იყო. მისი დაღუპვით გული ჩანყვეტილი მაქვს... სანამ ახლოს გავიცნობდი, მანამდე მის სპექტაკლებს ვესწრებოდი, ერთგული მაყურებელი ვიყავი. ბოლოს დაფუშვებულ კიდევც, პირველი ლექსების კრებული რომ გამოსცა, მაშინვე შევიძინე. რომ წავიკითხე, გავგიჟდი! ჩემზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. ნიკო ნამდვილი ხელოვანი იყო, რადგანაც გულწრფელი გახლდათ. გულით უყვარდა საქმე, რომელსაც აკეთებდა. ნიკოსნაირი ხელოვანები ბევრნი არ არიან. გული მწყდება, რომ ასეთი ადამიანები უდროოდ ტოვებენ ქვეყანას... ის ჭეშმარიტი შემოქმედი გახლდათ. ცხოვრებაში როგორიც იყო, სპექტაკლებშიც დაახლოებით ისეთივე პერსონაჟებს თამაშობდა. უდიდეს პატივს ვცემდი...

— ნიკა, მომავალში რა გინდა, რომ გააკეთო?

— მინდა, რომ საკუთარი თეატრი მქონდეს.

— როგორ?

— საქართველოში ჯერ ისეთი თეატრი არ არსებობს, სადაც საილუზიო შოუებით გაიმართება... ჰოდა, იქ ჩემივე მონაწილეობით შოუებს დავდგამდი. ვისაც სურვილი ექნებოდა და გამოდგებოდა, ისიც დაკავდებოდა იმ თეატრში...

— საინტერესო ნატურა გქონია... აბა, შენ იცი, წარმატებებს გისურვებ...



ვადაჭკორიების ოჯახი (ნიკა მშობლებთან და დასთან ერთად)

მა პიროვნებამ მამაჩემის ფოკუსების ვიდეო მაჩვენა. მან არც იცოდა, რომ ზურას შვილი ვარ და მითხრა, — ეს კაცი ქართველი ილუზიონისტია, თბილისში ცხოვრობს და მომწონს მისი ფოკუსებიო. როდესაც ვუთხარი, მისი შვილი ვარ-მეთქი, გაგიჟდა. ძლივს დავაჯერე. მერე რამდენიმე ფოკუსიც ჩავუტარე და ვასწავლე კიდევც. ენით აღუწერელი გრძნობა განვიცადე, როდესაც სრულიად უცნობმა უცხოელმა მამაჩემის ვიდეო მაჩვენა. ის ფაქტიც ძალიან გამიხარდა, რომ ინგლისელებმა თავის წიგნში ზურა შეიყვანეს. ეს ჩვენთვის ნამდვილი სიურპრიზი იყო.

— როგორც ილუზიონისტს, ყველაზე მეტად, ამ სფეროში რა მოგწონს?

— ის, რომ თავდაჯერებულები ვართ. ეს ისეთი პროფესიაა, რომლი-

გზაში საკითხავი კოლაქი

ჭკდერეწლი თქუი ივანიძე

1. დაახლოებით 7500 წლის წინ, შავი ზღვა მტკნარი ტბა იყო.
2. ისრაელის ტანკის — „მერკალა“ — ჯავშნის სისქე გასაიდუმლოებულია.
3. ბურგუნდიელებმა ჟანა დარკი 10.000 ლივრად მიჰყიდეს ინგლისელებს.
4. მსოფლიო მოსახლეობის ერთ მესამედს არასდროს უსარგებლია ტელეფონით.
5. იტალიაში, მუსოლინის მმართველობის დროს, ვესტერნის ჟანრის ფილმები აკრძალული იყო.
6. „მუშჩინა კაკ ბანნი ლისტ, სნაჩალა პრისტიანოტ, პატომ სმივაეტსა“, — ამბობს კლარა ნოვიკოვა.
7. „ღმერთს დაუბერტყავს უხვი კალთა ამ ქვეყანაში“, — ამბობდა საქართველოს შესახებ ენათმეცნიერი, არტურ ლაისტი.
8. „პატრიოტიზმი პროფესიონალიზმი და თუ კარგი პროფესიონალი ხარ, ესე იგი, პატრიოტი ხარ შენი ქვეყნისა“, — ამბობდა რეზო თაბუკაშვილი.
9. იოჰან სებასტიან ბახის ძეგლს



ლაიფციგში ამოტრიალებული ჯიბეები აქვს, რაც კომპოზიტორის სილბატავეზე მიანიშნებს.

10. სქაიდაივიგნი ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო სპორტია მსოფლიოში. ყოველწლიურად 30-მდე სპორტსმენს არ ესხნება პარაშუტი და ტრაგიკულად იღუპება.

11. ბირკენაუს საკონცერტაციო ბანაკიდან ფაშისტებს ებრაელების დამწვარი გვამების ფერფლი გამოჰქონდათ და მოყინულ გზებზე ყრიდნენ, მანქანები რომ არ მოცურებულყო.

12. ამერიკელი ასტრონავტების სკაფანდრი 20 მილიონ დოლარამდე ღირს; 40 ათასი დოლარი მარტო ხელთაშამნები ჯდება. ეს ხელთაშამნები ყველა კოსმონავტისთვის ინდივიდუალურად იკრება და მხოლოდ 25-ჯერ შეიძლება მისი გამოყენება.

13. 98 წლის პორტუგალიელი მანუელ დე ოლივეირა ყველაზე ხანდაზმული კინორეჟისორია, რომელიც დღემდე აგრძელებს ფილმების გადაღებას.

14. მინდვრის თავგებში წრუნუნების სოცვა ჩვეულებრივი ამბავია. მდებარები შეილებს უსოცავენ მეზობლებს, რათა გააფართონ საკუთარი ტერიტორია; მამრები კი მდებარეთან შეწყვილებს დაჩქარების მიზნით კლავენ პატარებს.

15. პანამის არხის გახსნისას გაჩნდა ლოზუნგი: „მსოფლიოს ერთიანობისათვის გაყოფილი მინა!“ გახსნისას, ვუდრო ვილსონმა ლილავს თითი დააჭირა, წყლის შემაკავებელი უკანასკნელი ბარიერი აფეთქდა და არხიც გაიხსნა.

„ფორდის“ მომავალი არასაგზაო

ორიოდე დღის წინ კომპანია „ფორდმა“ მომავალი თაობის არასაგზაოს — Explorer — შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა. უახლოეს მომავალში ავტომობილის წარმოება ჩიკაგოში მდებარე ქარხანაში დაიწყება, ხოლო აშშ-ის დილერების სალონებში ავტომობილი მიმდინარე წლის ბოლოდან გამოჩნდება.

ლიტრიანი, 237 ცხ. ძალის სიმძლავრის მქონე ტურბოაგრეგატითა და 3,5-ლიტრიანი, 290 ცხ. ძალიანი ატმოსფერული „ექსიანი“; რომელიც ძველ „ექსპლორერზე“ გამოყენებულ, V6-ზე 20%-ით ეკონომიურია. ორივე მოტორი სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი ავტომატური კოლოფით მუშაობს. გარდა ამისა, ახალი თაობის არასაგზაო



„ფორდ ექსპლორერს“ სრული აძვრის ტრანსმისიის მართვის „გონიერი“ სისტემა ექნება, რომელიც მას სხვადასხვა საგზაო პირობებში მუშაობის ადაპტაციის შესაძლებლობას მისცემს. სპეციალური გადამრთველის საშუალებებით მძღოლს სვლის ხუთი რეჟიმიდან ერთ-ერთის

არასაგზაო, D4-ის პლატფორმაზე აგებული, რომელიც Ford Flex-სა და Lincoln MKT-ის ავტომობილებზე გამოყენებული. ამერიკული ავტომწარმოებლის წარმომადგენელთა თქმით, წინამორბედთან შედარებით, ახალი თაობის „ექსპლორერის“ მასა, კონსტრუქციაში გაცილებით უფრო მსუბუქი მასალების გამოყენების შედეგად, 45 კგ-ით შემცირდა. მაგალითად, ესაა კაპოტი, რომელიც ალუმინით დაამზადეს. გარდა ამისა, „ფორდში“ ამტკიცებენ, რომ „ექსპლორერის“ საერთო ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. აგრეთვე გაიზრდება აეროდინამიკური მაჩვენებლები (აეროდინამიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტი 0,35-ია, რაც „ფორდის“ მესვეურთა თქმით, კლასში საუკეთესო მაჩვენებელია) და გაუმჯობესდება ხმის იზოლაცია. სიახლეს კლიენტებს ბენზინის ორი ძრავათი შესთავაზებენ: EcoBoost-ის 4-ცილინდრიანი, 2-

ამორჩევა შეეძლება — ქალაქში, თოვლში, ქვიშასა და ტალახში მოძრაობის პირობებით ან მთიდან დაშვების შემთხვევაში, სიჩქარის შემზღუდავი საშუალების გააქტიურებით. აგრეთვე მანქანა Curve Control-ის ფუნქციით აღჭურვილი სტაბილიზაციის ახალი სისტემითაც დაკომპლექტდება, რომელიც მძღოლს არჩეულ ტრაექტორიაზე შეკავების შესაძლებლობას მისცემს. ამ მოდელისთვის კიდევ ერთ სიახლედ სავარძლების მესამე რიგი და უკანა სავარძლებზე უსაფრთხოების გასაბერი ქამრები იქცევა, რომელიც ავტოსაგზაო შემთხვევისას მგზავრთათვის გულმკერდის დაზიანების ალბათობას მინიმუმამდე დაიყვანს. ჯერჯერობით უცნობია ავტომობილის ფასი. „ფორდში“ მხოლოდ ის დაადასტურეს, რომ EcoBoots-ის 4-ცილინდრიანძრავიანი „ექსპლორერი“ V6 მოტორიანი ავტომობილზე ძვირი ეღირება.

„მაზდას“ კომპაქტური კროსოვერი

მომავალი წლის ბოლოს კომპანია „მაზდა“ ბაზარზე კომპაქტურ კროსოვერს გაიყვანს, რომელსაც CX-5 ეწოდება. სიახლის დიზაინი კონცეპტ-ავტოს, — Kazamai, — სტილში იქნება შესრულებული, რომელიც მოსკოვის ავტოსალონზე 2 წლის წინ წარადგინეს. წინასწარი მონაცემებით, კომპაქტური კროსოვერი 3 და 5-კარიანი მოდიფიკაციად გამოვა, აგრეთვე „მაზდას“ მთელ სამოდელო რიგში ერთ-ერთი პირველი მიიღებს Sky-ს ახალი ოჯახის ძრავებსა და ტრანსმისიას. გარდა ამისა, Mazda CX-5 თავის კონკურენტებზე დაახლოებით 100 კგ-ით მსუბუქია. ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბენზინის მოტორების ცილინდრების ბლოკები ისეა დამზადებული, რომ მოძრაობისას მაქსიმალურად იყოს შემცირებული მექანიკური დანაკარგები და ჰაერისა და სანავის ნაზავის წარმოქმნა გაუმჯობესდეს. მოსალოდნელია, რომ ასეთი ძრავები მიახლოებით 30%-ით ეკონომიური იქნება თავის ანალოგებთან შედარებით. ასევე ეს აგრეგატები „სტოპ-სტარტისა“ და დამუხრუჭების დროს ენერჯის რეკუპერაციის სისტემებით აღიჭურვებიან.

მომავალი წლის ბოლოს კომპანია „მაზდა“ ბაზარზე კომპაქტურ კროსოვერს გაიყვანს, რომელსაც CX-5 ეწოდება. სიახლის დიზაინი კონცეპტ-ავტოს, — Kazamai, — სტილში იქნება შესრულებული, რომელიც მოსკოვის ავტოსალონზე 2 წლის წინ წარადგინეს. წინასწარი მონაცემებით, კომპაქტური კროსოვერი 3 და 5-კარიანი მოდიფიკაციად გამოვა, აგრეთვე „მაზდას“ მთელ სამოდელო რიგში ერთ-ერთი პირველი მიიღებს Sky-ს ახალი ოჯახის ძრავებსა და ტრანსმისიას. გარდა ამისა, Mazda CX-5 თავის კონკურენტებზე დაახლოებით 100 კგ-ით მსუბუქია. ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბენზინის მოტორების ცილინდრების ბლოკები ისეა დამზადებული, რომ მოძრაობისას მაქსიმალურად იყოს შემცირებული მექანიკური დანაკარგები და ჰაერისა და სანავის ნაზავის წარმოქმნა გაუმჯობესდეს. მოსალოდნელია, რომ ასეთი ძრავები მიახლოებით 30%-ით ეკონომიური იქნება თავის ანალოგებთან შედარებით. ასევე ეს აგრეგატები „სტოპ-სტარტისა“ და დამუხრუჭების დროს ენერჯის რეკუპერაციის სისტემებით აღიჭურვებიან.



მოავალი თაობის Dodge Durango

ინტერნეტით მომავალი თაობის არასაგზაო Dodge Durango-ს არაოფიციალური ფოტოები გავრცელდა, რომელიც ამერიკული კონცერნის, „კრაისლერის“ ქარხანაში აიწყო. წინასწარი ინფორმაციით, ავტომობილის მსოფლიო პრემიერა მხოლოდ 2011 წლის იანვარში, დეტროიტის საერთაშორისო მოტორ-შოუზე შედგება. ფოტოების მიხედვით, არასაგზაოს ძარას პრაქტიკულად ყველა პანელი შეუცვალეს. გარდა ამისა, ავტომობილს რადიატორის ახალი ცხაური, განსხვავებული წინა ბამპერი და კაპოტი, ასევე შუქფარები და მოხვევის ინტეგრირებული მანიშნებლის მქონე უკანა ხედვის სარკეების კორპუსები ექნება. სავარაუდოდ, ახალი „დოჯი დურანგო“ მომავალი თაობის არასაგზაო „ჯიპ გრანდ ჩეროკის“ პლატფორმაზე აიგება, რომლის შექმნის დროსაც თავის მხრივ Mercedes-Benz-ის მოდერნიზებული შასი გამოიყენეს. ავტომობილისთვის Pentastar-ის ოჯახის, 6-ცილინდრიანი, 3,6-ლიტრიანი, 280 ცხ. ძალის სიმძლავრის მქონე ბენზინის ძრავა, აგრეთვე HEMI-ს 5,7-ლიტრიანი, 360 ცხ. ძალის მქონე „რვიანია“ გათვალისწინებული.



გზაში საკითხავი კოლაჟი

ქეპლერელი თქუპ ივანიძე

16. ათი ათასი წლის წინ, დედამიწის მოსახლეობა 5 მილიონს შეადგენდა, ეგვიპტის აღზევების ეპოქაში — 40 მილიონს, ჰომეროსის პერიოდში, ელინურ ხანაში — 100 მილიონს. ნაპოლეონის ეპოქაში — უკვე 1 მილიარდს, „ბიტლზის“ ხანაში — 3 მილიარდს. დღესდღეობით დედამიწაზე 6 მილიარდ 670 მილიონი ადამიანი ცხოვრობს.

17. ამ ქართულ მხატვრულ ფილმს თავდაპირველად, „შენწყვეტილი სიძმერა“ ერქვა, მაგრამ შემდეგ სათაური შეცვალეს და მაყურებელმა იგი „რაჭა, ჩემი სიყვარულის“ სახელწოდებით გაიცნო. „რაჩა, ლასკა მიაა“ — ასე უღერს ფილმის სახელწოდება სლოვაკურად.

18. მაკათმა განდის მშობლები უშაღლეს კასტას ეკუთვნოდნენ. განდომ განათლება ინგლისში მიიღო, ადვოკატი გახდა და ორი წლით სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრა სამუშაოდ. ამ ქვეყანაში კანის ფერის გამო არაერთხელ შეექმნა პრობლემა. ერთხელ მატარებელიდანაც კი ჩამოაგდეს და მთელი ღამე ბაქანზე გაატარა იმაზე ფიქრში, თუ სად ეპოვა სამართალი.

19. გერმანული ქალაქის, შტრალბუზენდის მცხოვრებნი დატყვევებულ მეკობრეებს ქაშაყისთვის განკუთვნილ კასრებში ჩაძრომას აიძულებდნენ. დატყვევებული ყაჩაღები გულმოდგინედ ცდილობდნენ ამ პატარა და ვინრო კასრებში ჩატუთლიყვნენ, რადგან სხეულის ნაწილს, რომელიც კასრს გარეთ რჩებოდა, ჯალათი კვებდა.

20. ნიკო ბერძენიშვილი იგონებდა, სტალინის ქართველი მეცნიერებისათვის უკითხავს: საქართველოს ისტორიაში ვინ უფრო დიდ ადამიანად მიგანჩიათ, მე თუ ილია ჭავჭავაძეო. რა თქმა უნდა, თქვენო, უთქვამთ მისთვის (სხვანაირი პასუხის ვინ გაბუდავდა?!..). „ჯი თქვენს პატრონს!..“ — ხელი ჩაუქნევია სტალინს.

21. ქართული დასის მიერ პირველად დადგმული „ჰამლეტი“ ჩავარდა. მაყურებელი სიცილით იგუდებოდა. შექსპირის ტრაგედია ანტონ ფურცელაძის მიერ იყო ნათარგმნი და სცენიდან ამდაგვარი ფრაზები ისმოდა: „ქოროლლო მერზავეცო, რა უყავი ჩემი ბაშაკები“.

22. მიქელანჯელოს ქმნილებებში ჯვარცმული ქრისტეს სახე ისეთი მხატვრული სიძლიერითა და დამაჯერებლობით არის გადმოცემული, რომ მოქანდაკეს ხმები დაუყარეს, საკუთარ სახელოსნოში მათხოვრებსა და მანანალს იტყუებს, აწამებს და მენატურებდა იყენებსო. მოქანდაკის შთამბეჭდავ ნამუშევართა შემხედვარეს, ბევრს მართლაც სჯეროდა ეს ამბავი, რის გამოც მიქელანჯელო იძულებული იყო, ემტკიცებინა, რომ მსგავსი სისასტიკე ფიქრადაც არასდროს გაუვლია.



Daihatsu - ინგლისელი მძღოლებს საყვარელი ავტო

ბრიტანელმა მძღოლებმა ყველაზე სანდო ავტომობილებად Daihatsu-ს მოდლები დაასახელეს. სხვადასხვა სფეროზე სპეციალიზებულ პორტალ „Which?“-ის მიერ ჩატარებულ ინტერნეტგამოკითხვაში 64 ათასი ადამიანი მონაწილეობდა.

„დაიჰაცუს“ მანქანებმა მაქსიმალური 100-დან, 96,8 ბალი მიიღეს. ყველაზე სანდო მანქანების ათეულში ასევე მოხვდნენ „ჰონდა“ (85,3 ბალი), „ტოიოტა“ (84,6), „მაზდა“ (83,7), „სუპუკი“ (82), „სუბარუ“ (81,7), „ჰიუნდაი“ (81,6), „მიცუბიში“ (81,2) და „კია“ (81).



ჩამონათვალის ბოლოში აღმოჩნდნენ „რენო“ (71,4), „ჯიპი“ (70,5), „ალფა რომეო“ (69,1), „კრაისლერი“ (67,7) და „ლენდ როვერი“ (67,5). გარდა ამისა, ავტომობილისტებს საუკეთესო ავტომწარმოებლების დასახელებაც სთხოვეს. პირველი ადგილი კომპანია „შკოდამ“ დაიკავა, რომელმაც თავისი ავტომობილების ხარისხისა და ფასების გათვალისწინებით, ასევე მოსახერხებელი და ხელმისაწვდომი მომსახურების შედეგად მიიღო კარგი გამოხმაურება. ლიდერს ცოტათი ჩამორჩნენ „ლექსუსი“ და „მაზდა“.

ადრე მსგავსი გამოკითხვა აშშ-ის მოსახლეობაშიც ჩატარდა. ამერიკელმა მძღოლებმა ყველაზე სანდო მანქანებად „ჰორუე“, „აკურა“ და „მერსედეს ბენცი“ დაასახელეს. გარდა ამისა, მათ ყველაზე პრობლემურ ავტოდ „ლენდ როვერი“ ჩათვალეს.



1922-1924 წლების „წითელი ტერორი“

მიხეილ ლაბაქა

1921 წლის 25 თებერვალს რუსული არმიის თბილისში შემოსვლამ და ნაქართველარი სერგო ორჯონიკიძის მიერ კრემლში ცნობილი დეპეშის გაგზავნამ, რასაც წინ მენშევიკური მთავრობის სამარცხვინო გაქცევა უძღოდა, საქართველოს მშვიდობიან მოსახლეობას დიდი იმედგაცრუება მოჰგვარა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი რესპუბლიკის არმია საომარ მოქმედებებს წითელი რუსებთან და ქემალისტ ოსმალებთან 1921 წლის მარტის ბოლომდე აწარმოებდა, ერთი რამ მაინც ყველასათვის ცხადი იყო — ქართველები დამარცხებისთვის იყვნენ განწირულნი.

აღსანიშნავია, რომ ნოე ჟორდანიას მთავრობის მიერ თბილისის დატოვების შესახებ მოსახლეობამ 25 თებერვალს, დილით შეიტყო. ქალაქში მენშევიკებმა საგანგებოდ დატოვეს ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც ხალხს სიმშვიდისკენ მოუწოდებდნენ და განუმარტავდნენ, რომ თუ რუსულ ჯარს შეიარაღებულ წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ, თბილისში ხელს არავის და არაფერს ახლებდნენ. რასაკვირველია, ასეთი მონოდეტები უბრალო ხალხზე დამთრგუნველად მოქმედებდა. მართლაც, წითელი არმია დედაქალაქში ზედმეტი გართულებების გარეშე შემოვიდა და სტრატეგიული ობიექტები დაიკავა. უნდა ითქვას ისიც, რომ ოკუპანტები ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტისას სიფრთხილეს იჩენდნენ — ზედმეტად არავის აღიზიანებდნენ. ეს, სხვათა შორის, მასაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ერთ-ერთი ხერხი იყო — მომხდური ცდილობდა, ყველასათვის ეჩვენებინა, რომ საკუთარი უპირატესობა გათვითცნობიერებული ჰქონდა და სუსტების დაჩაგვრას კი ერიდებოდა.

ამავდროულად, ოკუპანტებმა საქართველოს რესპუბლიკას სუვერენული სტატუსიც შეუნარჩუნეს, რითაც მენშევიკებისადმი ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების გულის მოგებას ცდილობდნენ. ამ ფონზე, 1921 წლის 21 მაისს, საქართველოს რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის დაიდო ე.წ. „სამოკავშირეო მუშურ-გლეხური ხელშეკრულება“ და ფაქტობრივად, ოკუპაცია დაკანონდა. რაღა თქმა უნდა, ეს ხელშეკრულება არსებითად ფარატინა ქაღალდს წარმოადგენდა, მაგრამ წითლებისათვის ის მნიშვნელოვანი იყო იმის გამოც, რომ პარტიზანული მოძრაობისათვის, გარკვეულწილად, საფუძველი გამოეცლია. რამდენადაც დე იურე, ქვეყანა ისევ დამოუკიდებელი იყო, ხოლო მარქსისტულ იდეებს კი იზიანად ჩვენში ბევრი იზიარებდა, რუსების გაანგარიშებით, ამბოხების დასაწყებად სერიოზული საბაზის გამოხატვა გაჭირდებოდა. ასეთი პოლიტიკა წითელმა ხელისუფლებამ 1922 წლის დასაწყისამდე განაგრძო, თუმცა დასახული ამოცანის აღსრულება მაინც ვერ შეძლო — ქართველი ხალხი ოკუპაციას არ ურიგდებოდა.

1921 წლის ზაფხულში, საქართველოს გასაბჭოებიდან სამიოდე თვის შემდეგ სვანეთში ანტისაბჭოთა აჯანყებამ იფეთქა, რომელსაც სათავეში ბიძინა პირველი, მოსოსტრ დადემქელიანი და ნესტორ გარდაფხაძე ედგნენ. სხვათა შორის, თავიდან „ჩეკამ“ ამას ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია, რადგან ფიქრობდნენ, რომ გამოსვლებს ორგანიზება აკლდა. თუმცა, მალე ყველა დარწმუნდა, რომ სვანები შესაშური ორგანიზებულობით გამოირჩეოდნენ — აჯანყებულებმა სვანეთში ასავლელი ყველა გზა ჩაკეტეს და შემდეგ ქუთაისსაც დაემუქრნენ. სწორედ ამ დროს, „ჩეკამ“ მიიღო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ აჯანყება მზადდებოდა ხევსურეთსა და კახეთშიც, სადაც ქართული არმიის პოლკოვნიკი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი მრავალრიცხოვან შეიარაღებულ რაზმთან ერთად ტყეში გასულიყო და მშვიდობიან მოსახლეობას აჯანყებისაკენ მოუწოდებდა.

აქედან გამომდინარე, საქართველოს გასაბჭოების წლისთავზე — 1922 წლის მარტის თვიდან წითელი ხელისუფლება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას უკიდურესად რადიკალური ფორმით დაუპირისპირდა: „ჩეკაში“ შეიქმნა საგანგებო რაზმები, რომელთაც „არასაიმედო ელემენტთა“ განადგურება ევალებოდა. ასევე, ქვეყანაში კრიმინოგენური სიტუაციის გასამწვავებლად აგენტურა ამუშავდა. საინტერესოა, რომ ამ მიზნით, წითლებმა საქართველოს ყველა კუთხეში ნააქვებს კრიმინალური დაჯგუფებები, რომ მათ უბრალო მოსახლეობა „უორდანიას მთავრობის“ სახელით ეძარცვათ. ცხადია, ეს ყველაფერი ხელს შეუწყობდა დამოუკიდებლობის მომხრეთა დისკრედიტირებას და ხალხი მათ მონოდებას აღარ გამოეხმაურებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებული აქცენტი აღმოსავლეთ საქართველოზე კეთდებოდა, რადგან ქაქუცა ჩოლოყაშვილის



ქაქუცა ჩოლოყაშვილი (ცენტრში) და მისი „შეფიცულები“

„შეფიცულები“ სწორედ იქ მოქმედებდნენ და ხელისუფლებას მათთან გამკლავება ძლიერ უჭირდა.

საოკუპაციო ხელისუფლების მიერ გამოცხადებული „წითელი ტერორი“ საქართველოში კრიმინოგენური ვითარების მკვეთრი გამწვავებით აღინიშნა. ბუნებრივია, ამან დიდად შეაფერხა დამოუკიდებლობის აღდგენის მოსურნენი, რომლებიც ბოლშევიკთა განდევნას შეიარაღებული ბრძოლით აპირებდნენ. საქმე ის იყო, რომ წითლების მიერ ნაქმეზებული ყაჩაღური დაჯგუფებები პოლიტიკური ვითარებით კარგად სარგებლობდნენ. ისინი კავშირს ამყარებდნენ იატაკქვეშეთში მყოფ პოლიტიკურ ელიტასთან და ამავე დროს, უბრალო ხალხს ძარცვავდნენ. რასაკვირველია, კრიმინალების „შეფიცულებთან“ ან სხვადასხვა პარტიასთან დაკავშირების თაობაზე ინფორმაციები მალევე ვრცელდებოდა. ამ ყველაფერში „ჩეკას“ აგენტურის ხელი ერია. აქედან გამომდინარე, როცა ეს ყაჩაღები მშვიდობიან ოჯახებს დაარბევდნენ, ცალკე — „ჩეკა“ და ცალკე — დაზარალებულები, სწორედ დამოუკიდებლობის მომხრეებს სთხოვდნენ პასუხს.

სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის მომხრე პარტიები და პარტიზანული რაზმები საოკუპაციო ხელისუფლების დაგეგმილი პროვოკაციული ქმედებების ჩაშლას იშვიათად ახერხებდნენ, რადგანაც ქვეყანაში არსებული ვითარება ამის საშუალებას არ იძლეოდა — „ჩეკას“ აგენტურა ცხოვრების ყველა სფეროს აკონტროლებდა და მოვლენებს თავის სასარგებლოდ წარმართავდა. სხვათა შორის, კრიმინალურ დაჯგუფებებს ხელისუფლება კი აქეზებდა, მაგრამ შემდგომში, რასაკვირველია, თა-



ვადე ანადგურებდა მათ. მაგალითად, კახეთში დღესაც ახსოვთ ცნობილი ყაჩაღი, შაქრო მოსულიშვილი („გიჟო“), რომელიც 1921-1923 წლებში შიშის ზარს სცემდა მთელ მხარეს და თავს ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლად ასაღებდა. საინტერესოა, რომ „გიჟო“ მენშევიკურმა ხელისუფლებამ 1921 წლის დასაწყისში დააპატიმრა, როგორც გამოუსწორებელი რეციდივისტი, თუმცა იმავე წლის ბოლოს, ის ამნისტიით გათავისუფლდა. არადა, „გიჟოს“, როგორც მრავალგზის ნასამართლევს, ამნისტია არ უნდა შეეხებოდა. გათავისუფლების შემდგომ, „ჩეკამ“ მას „შეფიცულთა“ სახელით ქმედება და ამავდროულად, ჩოლოყაშვილის მოკვლაც დაავალა. „გიჟომ“ დავალების აღსრულება ვერ შეძლო. ამის გამო, ის „ჩეკისტებმა“ 1923 წელს თავად გაანადგურეს.

1921 წლის შემდეგ, როცა მენშევიკებმა საქართველო მიატოვეს, იმედგაცრუებულმა ხალხმა იმედის თვალი, როგორც მოსალოდნელი იყო, ეკლესიას მიაპყრო. ამიტომაც, ცხადია, წითლებმა საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესიის განადგურებაც უპირველეს მიზნად დაისახეს.

რამდენადაც სასულიერო პირები ბოლშევიკ ათეისტებს, უპირველეს ყოვლისა, სიტყვიით უპირისპირდებოდნენ, საწყის ეტაპზე მათ წინააღმდეგ ბრძოლა წითელი პრესის საშუალებით დაიწყო. 1922 წლიდან ჟურნალ-გაზეთებში მტად გახშირდა პუბლიკაციები, რომელთა ავტორებიც აშკარად გამოდიოდნენ ეკლესიის წინააღმდეგ და ხელისუფლებას „მღვდლების დამლუპველი გავლენისაგან“ ხალხის გამოსნას სთხოვდნენ: „გაუმარჯოს რელიგიის, სამღვდლოების, ეკლესიების მოსპობას! გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას, რომელიც ებრძვის ყოველგვარ ცრუმორწმუნეობასა და

ბოროტმოქმედებას! ძირს რელიგია! გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!“ — ასეთი იყო მათი საყვარელი ლოზუნგები. ამასთან ერთად, „ჩეკას“ აგენტურა ეკლესიაში განხეთქილების ჩამოგდებაზეც მუშაობდა, მაგრამ ქართული პოლიტიკური ელიტისაგან განსხვავებით, იქ ამის გაკეთება წარმოდგენილი აღმოჩნდა — სამღვდლოება ერთსულოვანი იყო და ვერ გატყდებოდა.

ამიტომ, ბოლშევიკებმა მალე ჩვეულ ხერხს — ძალის დემონსტრირებას — მიმართეს: საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში პარტიულთა ჯგუფები თუ „ჩეკისტები“, თავიანთი ნებასურვილით ხურავდნენ ეკლესიებს, მღვდლებს კი ღვთისმსახურებას უკრძალავდნენ და „წვერის გაკრეჭას“ სთხოვდნენ. ამაში ისინი არა მარტო მღვდლობის დატოვებას, არამედ ათეიზმის ქადაგებასაც გულისხმობდნენ. „შეფიცულებისა“ და სხვა პარტიზანული დაჯგუფებების გააქტიურების შემდეგ კი სასულიერო პირების მასობრივი დაპატიმრება დაიწყო. ოფიციალურად, მათ „ანტისაბჭოთა ელემენტებთან კავშირის“ ბრალდებას უყენებდნენ და უმეტესად, აყვანიდან რამდენიმე საათში ხვრეტდნენ. საინტერესოა, რომ ქართული ემიგრანტული გამოცემები, რომლებიც საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას აშუქებდნენ, ბოლშევიკური საოკუპაციო რეჟიმის მიერ ეკლესიის არნახულ შევიწროებას თითქმის არც კი აქცევდნენ ყურადღებას. არადა, საქართველოში იმხანად დაპატიმრებულთა და დახვრეტილთა შორის სასულიერო პირების ხვედრითი წილი ძალზე მაღალი იყო.



დამოუკიდებლობის კომიტეტის ერთ-ერთი მეთაური, გენერალი კოჯე აფხაზი

მიერ გენუაში გასაგზავნ მამართვანე უბრალო ხელის მოწერაც კი, უდიდესი გმირობის ტოლფასი იყო. ბოლშევიკებს მიაჩნდათ, რომ უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი მათ ასე აშკარად ვერ დაუპირისპირდებოდა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, კათოლიკოს-პატრიარქს არავითარი „წითელი ტერორი“ არ აშინებდა. თავის მიმართვაში იგი ბოლშევიკების მხეცობას დეტალურად აღწერდა და როგორც მოგვიანებით „ჩეკას“ ერთ-ერთმა ყოფილმა აგენტმა გაიხსენა, მის სიმამაცეს ლავრენტი ბერიაც კი აღუფრთოვანებია: „უყურე, როგორ თამამად გვლანძღავსო!“ — უთქვამს მას. უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი 1922 წელსვე, „ჩეკამ“ დააპატიმრა და მეტეხის ციხეში გამოკეტა. აღსანიშნავია, რომ მის დაკითხვას პირადად ბერია აწარმოებდა. კათოლიკოს-პატრიარქს ბოლშევიკური ხელისუფლებისადმი „მეტეხის ლოიალობის“ გამოჩენას სთხოვდნენ, მაგრამ იგი მტკიცედ იდგა თავისაზე — „ჩემი სული ეკუთვნის ღმერთს, გული — სამშობლოს, ხორცს კი რაც გინდათ, ის უყავით!“ — ასეთი იყო მისი პასუხი ბოლშევიკთა მოთხოვნებზე.

ბუნებრივია, ასეთი უღმობელი ტერორი უბრალო მოსახლეობის დასაშინებლად იყო გამიზნული, მაგრამ ცხადია, წითლებმა ისიც იცოდნენ, რომ ადამიანს მუდმივ პრესში ყოფნა წინააღმდეგობის სურვილს უმძაფრებს, ამიტომ



მეტეხის ციხის პატიმრები, 1922 წ.



ბანიტპირთით და ბალამაგდით

თუ გრძნობთ, რომ გადაიღალეთ, შინაგან დისკომფორტს განიცდით, თვალები ძველებურად აღარ გიბრწყინავთ, და გსურთ, უწინდებურად ლამაზი, ჯანმრთელი და ენერგიული იყოთ, აუცილებლად მოინწყვეთ განტვირთვის დღე...



ნეულის შემდეგნაირად მომზადებული სალათა მიირთვით: ვაშლი, გახეხილი სტაფილო, კომბოსტო, ფორთოხალი ან ბანანი შეანელებთ ლიმონის წვენითა

და ერთი ს/კ მცენარეული ზეთით. სალათას უხვად მოაყარეთ მწვანელი.

5 საათისთვის კვლავ მიირთვით პიტნის ნაყენი თაფლით ან ლიმონის წვენი; ვახშმად კი იმ ხილ-ბოსტნეულისგან მოამზადეთ სალათა, რომელიც უფრო მეტად მოგწონთ.

ძილის წინ მიიღეთ ბალახეული ჩაი თაფლით.

ამ პროცედურის შემდეგ, თქვენი სხეული ინტენსიურად გაინმინდება ათასგვარი ტოქსინისა და წიღებისაგან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარეგნული ეფექტი თვალში საცემი გახდება. ნუ დაიზარებთ და გაიკეთეთ სახის კანის ნიღაბიც, საღამოს კი თბილი აბაზანა მიიღეთ, რომელშიც ჭინჭრის ან გვირილის ნახარშს ჩაუმატებთ.

თუ ამ რჩევებს გაითვალისწინებთ, ქუჩაში მიმავალს ბევრი აღფრთოვანებულ მხერას გააგაყოლებთ, თვალბეჭ უწინდებურად აგიციმციმდებათ და დაღლილობის გრძნობა სადღაც გაქრება.

დასაწყისისთვის ვაშლი, ფორთოხალი, ლიმონი, ბანანი, ნებისმიერი კენკრა, სტაფილო, კომბოსტო, კამა, ნიახური და პიტნა მოიმარაგეთ. უარი თქვით ყავასა და სიგარეტზე, რა თქმა უნდა, ალკოჰოლურ სასმელებზეც.

საუზმედ მიირთვით ერთი ჭიქა ფორთოხლის, ვაშლის ან გრეიპფრუტის წვენი. თუ ცხელი სასმელი გირჩევნიათ, მაშინ პიტნის ნაყენი თაფლით ან ნახევარი ლიმონის წვენი გაზავებული 1 ჭიქა ცხელი წყალი დალიეთ. შუადღემდე, შიმშილის დასათრგუნავად, იმყოფინეთ ერთი-ორი ვაშლი, ბანანი ან ფორთოხალი; სადილად კი — ახალი ხილისა და ბოსტ-

რატომ არ წყალობენ მამაკაცები ჭკვიან ქალებს

სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა ბევრჯერ დაამტკიცა, რომ მამაკაცთა უმრავლესობა ჭკვიან ქალებს ერიდება, სულელებს კი უკეთ ეგუება.



მანც რა განსხვავებაა ჭკვიან და სულელ ქალს შორის?

სულელი, უმეტესწილად, ბუნებრივად მიმზიდველია და შეუძლია, ცხოვრების დინებას მიჰყვეს. ჭკვიანი ქალი კი გარეგნობით ნაკლებად მანიპულირებს და წინა პლანზე პიროვნულ ღირსებებს წამოსწევს.

სულელს უღირს საქციელსაც კი მიუტყვებენ, ამბობენ, — უნებლიეთ, სისულელით მოუფიდაო. ჭკვიანს შეცდომებს არასოდეს აპატიებენ.

სულელი უსიამოვნო სიტუაციებს ოსტატურად არიდებს თავს და რამდენად უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ერთადერთ სწორ გზას პოულობს. ჭკვიანი კი იმის შიშით, რომ შეცდომა არ დაუშვას, ყველა ნაბიჯს ასჯერ ანონ-დანონის, ამასობაში კი ხშირ შემთხვევაში გაუგებარ სიტუაციებსა და ინტრიგებში ეხვევა, თანაც სერიოზულად და ხანგრძლივად.

სულელი იღბლიანია — წარმატებით თხოვდება და ბედნიერადაც ცხოვრობს — რადგან მზად არის, ყველაფერი მოითმინოს. ჭკვიანი ცხოვრებაში

თვითდამკვიდრებას ცდილობს და ქორწინებაში მთავარ კრიტერიუმად ქმრის პატივისცემას მიიჩნევს.

სულელს ყველა კითხვაზე მზად აქვს პასუხი, მას არ ღრღნის ეჭვები და მუდამ დარწმუნებულია თავის განუყოფლობაში. ჭკვიანს კი ხშირ შემთხვევაში, თავდაჯერებულობა აკლია და საკუთარ შესაძლებლობებშიც ეჭვი ეპარება.

სულელი პრობლემების გაჩენისას იბნევა, ბედზე ჩივილს იწყებს და ცრემლებს აღვარღვარებს. მის მიმართ გარშემო მყოფები სიბრაღულულით ივსებიან და შეძლებისდაგვარად ეხმარებიან. ჭკვიანი არასდროს ტირის, ცდილობს, სირთულეებს

დამოუკიდებლად გაუმკლავდეს.

სულელი, როგორც წესი, მშვენივრად გამოიყურება, სილამაზის სალონში ბევრ დროს ატარებს და საყვარელს თუ მეუღლეს სიამოვნებით ყვლეფს. ჭკვიანი პრაქტიკულია, იცის ფულის ყადრი, არასდროს ფლანგავს მას და ხშირად, საკუთარ თავს სიამოვნებაზე უარს ეუბნება.

როგორც ჩანს, სულელს მართლაც უმართლებს და ცხოვრებაც ეიოლებს. მაგრამ ჭკვიან ქალს ერთი დიდი უპირატესობა აქვს: მას ყოველთვის ეყოფა ჭკუა საიმისოდ, რომ სულელის ნიღაბფარებულმა მთელი ცხოვრება ბედნიერად გაატაროს, სულელს კი ეს არასდროს გამოუვა.



ნუხის ნაბრალური რძე

25 გ გარჩეული, ტკბილი ნუში დანაყეთ ან დაფქვით. დაასხით 1/2 ჩ/ჭ თბილი, ანადუღარი წყალი. კარგად შეანჯღრით. დაუმატეთ ცოტა მარილი, განურეთ დოლბანდში. შეინახეთ ცივ ადგილას. გამოყენებამდე — დილას და საღამოს

ბუნის მკვებები სპეციალური საშუალებები

კვლავ შეანჯღრით. დაისხით ხელისგულზე 1-2 ჩ/კ სითხე და კარგად შეიზილეთ სახესა და ყელზე. თუ გაფართოებული კაპილარები გაქვთ, გირჩევთ, მარილის ნაცვლად დაუმატოთ ტანინი, რომელიც წინასწარ იქნება გახსნილი 1 ჩ/კ თბილ წყალში.

მხანარაული ნაყინის კომპონენტები

თუ მშრალი კანი გაქვთ ან — რაიმე გამონაყარი, სასურველია დღეგამოშვებით თბილი კომპრესების დადება ან სახის განმენდა შემდეგი შემადგენლობის ნაყენით: 1 ს/კ ცაცხვის ყვავილები მოხარშეთ 1/2 ჩ/ჭ რძეში და მიღებული ნაყენი 20-25 წუთი მოათავსეთ ცხელ წყლით სავსე თასში.

თუ კანი მგრძობიარე, ნაზი და

ფორებიანია, მაშინ ცაცხვის ყვავილის მაგივრად აიღეთ ვარდის ან სალბის მშრალი ფურცლები. 1 ს/კ მცენარე მოხარშეთ 1/2 ჩ/ჭ წყალში და დაუმატეთ იმავე რაოდენობის რძე.

სახე უნდა გაინმინდოთ ნაყენი დასველებული ბამბის ტამპონით.

მარილიანი აბაზანები

მარილიანი წყლით დაბანა კარგად მოქმედებს სახის კუნთებზე. დილით, კრემის წასმიდან 20-25 წთის შემდეგ, სახე დაიბანეთ გრილი, მარილიანი ხსნარით (1 ჩ/ჭ წყალზე 1 ჩ/კ მარილი). პროცედურა შეასრულეთ 15-20 დღის განმავლობაში, ყოველდღე. 2-3 კვირის შემდეგ კურსი გაიმეორეთ.

ბერჯიშები სხის ბუნის ბასამკვრივებლად

პირველი ნაოჭების გაჩენისთანავე კოსმეტიკურ საშუალებებთან ერთად კანის გასამკვრივებლად სპეციალურ მარტივ ვარჯიშებს თუ მიმართავთ, შედეგი გაცილებით ეფექტიანი და ხანგრძლივი იქნება. ეს ვარჯიშები განსაკუთრებით შედეგიანია, როცა კანი კოსმეტიკური საშუალებებით გადაღლილი და მოდუნებულია. თანაც ამ ვარჯიშების უპირატესობა ისიც არის, რომ მათი შესრულება ნებისმიერ დროსა და ადგილას შესაძლებელია.

ბუჩხის ვარჯიში

დადექით სწორად, იყურეთ პირდაპირ, პირი დამუნეთ. გაიღიმეთ, რაც შეიძლება ფართოდ, ოღონდ ისე, რომ ბაგეები ერთმანეთს არ დააცილოთ. გაჩერდით ასე 5 წამი, შემდეგ დაუბრუნდით სანყის მდგომარეობას. ტუჩები მოკუმეთ და წინ წამოსწიეთ, თითქოს ვინმეს კოცნით. ამ მდგომარეობაში 5 წამი გაჩერდით და სანყის მდგომარეობას დაუბრუნდით. გაიმეორეთ 10-ჯერ.

ყელისა და ლაბებისთვის

დაჯექით სწორად, თავი უკან გადასწიეთ და ჭერს ახედეთ. პირი დამუნეთ და ყბა ისე ამოძრავეთ, თითქოს კეკს ლეჭავთ. მაშინვე იგრძნობთ, რა ინტენსიურად მუშაობს ყელისა და ნიკაპის კუნთები. ვარჯიში შეასრულეთ 20-ჯერ.

ლოყებისთვის

პირი მოკუმეთ, ლოყები ჯერ შესწიეთ, შემდეგ კი გამოხერეთ. ორივე მდგომარეობაში, 10-10 წამი დაყოვნდით. ვარჯიში 10-ჯერ გაიმეორეთ.

ქათათოებისთვის

დაჯექით გამართულად და ისე, რომ თავი არ ამოძრაოთ, გაიხედეთ პირდაპირ, შემდეგ მალლა, დაბლა, მარჯვნივ და მარცხნივ. გაიმეორეთ 10-ჯერ.

შუბლისთვის

რაც შეიძლება ძლიერად შეყარეთ წარბები, შემდეგ მალლა აზიდეთ და თვალები ფართოდ გაახილეთ. გაიმეორეთ 5-ჯერ.

კვერცხის სალათა



მასალად საჭიროა:

- 10 კვერცხი;
- 1 ჩ/კ უცხო სუნელი;
- 2 ცალი სტაფილო;
- 2 ცალი ბოლოკი;
- 1 კონა მწვანე სალათა;
- 1 კონა კამა;
- 1 კონა ოხრახუში;
- 200 გ მაიონეზი;
- შავი პილპილი, მარილი — გემოვნებით.

მომზადების წესი:

მოხარშული კვერცხი დაჭერით 4 ნაწილად. შეურიეთ გახეხილი სტაფილო, ბოლოკი, წვრილად დაჭრილი ხახვი, კამა, ოხრახუში, უცხო სუნელი, მარილი, მაიონეზი და კარგად აურიეთ. თევზზე დააწყვეთ სალათის ფოთლები, დადეთ გამზადებული სალათა და ზემოდან ბადისებურად მოასხით მაიონეზი.





რომელსაც ფაქტობრივად დაპყრობილი ჰქონდა რუმინეთის მიწები. XVIII საუკუნეში თურქეთმა დაპყრობილი ტერიტორია სამართავად გამუსლიმანებულ ბერძნებს — ფანარიოტებს გადასცა და შესაბამისად, საეკლესიო მმართველობაც მათ ხელში გადავიდა, რასაც რუმინეთის ეკლესიაში ელჩური კულტურის შესვლა მოჰყვა. სწორედ ამ პერიოდში რუმინეთის მიტროპოლიტად წარმოშობით ქართველი მოღვაწე, ანთიმოზ ივერიელი ინიშნება, რომელიც აქტიურად იბრძოდა თურქეთის ბატონობის, ასევე რუმინეთის ეკლესიის დამოუკიდებლობისთვის და ამ საქმეში დიდ წარმატებებსაც მიაღწია. ის ამ ბრძოლას შეეწირა კიდევ — გამუსლიმანებულმა თავადაზნაურობამ მისი სამიტროპოლიტო ტახტიდან ჩამოგდება მოახერხა და სინას მთაზე გაუშვა, თუმცა ანთიმოზ ივერიელს იქამდე არ ჩაუღწევია — გზაში ვერაგულად მოკლეს და მდინარეში გადააგდეს. ანთიმოზ ივერიელის კანონიზაცია — წმინდანად შერაცხვა — 1995 წელს მოხდა.

1859 წელს, ვლახეთისა და მოლდოვას სამთავროები რუმინეთის ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანდნენ, 1865 წელს კი რუმინეთის ეკლესიამ ავტოკეფალია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს თანხმობის გარეშე გამოაცხადა, რასაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მხრიდან წინააღმდეგობა მოჰყვა. ამ ორ ეკლესიას შორის ურთიერთობა რუსეთ-თურქეთის 1877-79 წლების ომის დროს გამოსწორდა, როდესაც რუსეთის ჩარევით კონსტან-

ტინოპოლის პატრიარქმა, იოაკიმ III-მ თანხმობა განაცხადა, რუმინეთის ეკლესიის ავტოკეფალია იმ პირობით ელიარებინა, თუ იგი მირონს კვლავ კონსტანტინოპოლიდან წაიღებდა, მაგრამ რუმინეთის ეკლესია აბსოლუტურ დამოუკიდებლობას მოითხოვდა, რასაც 1885 წელს მიაღწია კიდევ. ამ დროს რუმინეთის ეკლესია ჯერ კიდევ არ გამხდარა საპატრიარქო საყდრის მქონე ეკლესია. მისი უმაღლესი მღვდელმთავარი იყო მიტროპოლიტი. XIX საუკუნეში რუმინეთის უმაღლესი მღვდელმთავრები რომანის ეპისკოპოსი მელქისედეკი და პუშის ეპისკოპოსი, სილვესტერი იყვნენ. XX საუკუნის დასაწყისში, 1925 წლის 4 თებერვალს, წმინდა სინოდის განჩინებით, რუმინეთის ეკლესია საპატრიარქო რანგში იქნა აყვანილი. ეს განჩინება სხვა ადგილობრივმა ეკლესიე-

ბმაც კანონიერად ცნეს და 1925 წლის 1-ელ ნოემბერს რუმინეთის ეკლესიის მიტროპოლიტის — მირონის (კრისტია) საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრება მოხდა.

1948 წელს რუმინეთის შემადგენლობაში ტრანსილვანიის ოლქი შევიდა და რუმინეთის ეკლესიის მრევლი მილიონ-ნახევრით გაიზარდა.

მას შემდეგ, რაც რუმინეთის ეკლესიამ ავტოკეფალია გამოაცხადა და მის დამოუკიდებლობას კონსტანტინოპოლის საპატრიარქოც აღიარებდა, ეკლესია დასავლეთის — ლათინური ეკლესიისკენ გადაიხარა. პროტესტანტები აქტიურ ქადაგებას ეწეოდნენ, რათა პროტესტანტიზმზე მოექციათ რუმინელი ქრისტიანები, მაგრამ შემდეგ რუმინეთი მტკიცედ დადგა მართლმადიდებლობის გზაზე, რაც დღემდე გრძელდება.

ამჟამად რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესია ხუთ მიტროპოლიას მოიცავს, რომელშიც 6 სამთავარეპისკოპოსო და 5 საეპისკოპოსო გაერთიანებულია. ამას გარდა, მისი ეპარქიები ამერიკასა და უნგრეთშიც ფუნქციონირებს; თავისი წარმომადგენლობები და სამრევლოები კი მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტზე აქვს.

რუმინეთის ტერიტორიაზე 13 ათასამდე მოქმედი ტაძარია. ჰყავთ 40-მდე მღვდელმთავარი, 9 ათასამდე სასულიერო პირი, აქვთ 200-ზე მეტი მამათა და 150-მდე დედათა მონასტერი, სადაც 2500 ბერი და 4000 მონაზონი მოღვაწეობს. არის მრავალწილიანი ოჯახები, საიდანაც ყველა

დედამიშვილი ბერმონაზვნობის გზას დაადგა.

მიუხედავად იმისა, რომ რუმინეთი კომუნისტური ქვეყანა იყო და ჩაუშვს დროს დიქტატორული რეჟიმიც კი არსებობდა, რუმინეთის ეკლესიას არასოდეს განუცდია ზენოლა საერო ხელისუფლების მხრიდან, როგორც ეს მოხდა საბჭოთა კავშირსა და სერბეთში. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ქვეყანაში სარწმუნოების მტკიცედ შენარჩუნება რიცხოვრივად და სულიერების თვალსაზრისითაც. ამჟამად რუმინეთის ეკლესიას 20 მილიონზე მეტი მრევლი ჰყავს.

რუმინეთის საპატრიარქო აქტიურ საღვთისმეტყველო მოღვაწეობას ეწევა; აქვს 7 სემინარია და სასულიერო აკადემია, გამოიცემა 9 საღვთისმეტყველო ჟურნალი. ეკლესიის მართვის ცენტრალურ ორგანოდ წმინდა სინოდი მიიჩნევა, რომელშიც ყველა ეპისკოპოსი-მღვდელმთავარი შედის. სინოდის კომპეტენციას ყველა დოგმატური, კანონიკური და საღვთისმსახურო საკითხი წარმოადგენს. ამას გარდა, აქვთ მუდმივმოქმედი სინოდი, რომლის წევრებიც მხოლოდ მიტროპოლიტები არიან. მისი თავმჯდომარე პატრიარქია. მუდმივმოქმედი სინოდის სხდომის მოწვევა საჭიროების და მიხედვით ხდება. ცენტრალური მართვის ორგანოა ეროვნული საეკლესიო კრება, რომელიც წელწინადაა ერთხელ იწვევა. მასში მღვდელმთავრებთან ერთად თითო ეპარქიიდან 4-4 სასულიერო და საერო პირი შედის. კრებაზე საეკლესიო-ადმინისტრაციულ და სამეურნეო საკითხებს წყვეტენ.

აქვთ ასევე ეროვნული საეკლესიო საბჭო, რომელიც 3 სასულიერო პირისა და 6 ერისკაცისგან შედგება და მას ოთხი წლის ვადით ირჩევენ. ეს არის იმ დადგენილებების აღმასრულებელი ორგანო, რასაც წმინდა სინოდი და ეროვნული საეკლესიო კრება გამოიტანს. ამდენად, რუმინეთის საპატრიარქოს ეკლესიის მართვის სისტემა უმაღლეს დონეზე აქვს მონესტრიგებული.

რუმინეთისა და საქართველოს ეკლესიებს შორის ძალიან ახლო ურთიერთობაა, რაც უპირველესად ანთიმოზ ივერიელის სახელს უკავშირდება. მათ შორის სიახლოვე იმანაც განაპირობა, რომ ორივე ეკლესიამ ერთი ბედი გაიზიარა, განსაკუთრებით, ბოლო საუკუნეებში, როდესაც საქართველოც და რუმინეთიც მუსლიმანური ქვეყნების ზენოლას განიცდიდა.

ამჟამად რუმინეთის ეკლესიის პატრიარქი უნეტარესი დანიელი გახლავთ.



ბანიტპირთით და ბალამაზდით

თუ გრძნობთ, რომ გადაიღა-
ლეთ, შინაგან დისკომფორტს გან-
იცდით, თვალები ძველებურად აღარ
გიბრწყინავთ, და გასურთ, უწინდ-
ებურად ლამაზი, ჯანმრთელი და
ენერგიული იყოთ, აუცილებლად
მოინწყვეთ განტვირთვის დღე...



ნეულის შემდეგნაირად მომზადებული
სალათა მიირთვით: ვაშლი, გახეხილი
სტაფილო, კომბოსტო, ფორთოხალი ან
ბანანი შეანელებთ ლიმონის წვენითა

დასაწყისისთვის ვაშლი, ფორთოხა-
ლი, ლიმონი, ბანანი, ნებისმიერი კენ-
კრა, სტაფილო, კომბოსტო, კამა, ნიახ-
ური და პიტნა მოიმარაგეთ. უარი
თქვით ყავასა და სიგარეტზე, რა თქმა
უნდა, ალკოჰოლურ სასმელებზეც.

საუზმედ მიირთვით ერთი ჭიქა
ფორთოხლის, ვაშლის ან გრეიპფრუ-
ტის წვენი. თუ ცხელი სასმელი
გიჩქვნიათ, მაშინ პიტნის ნაყენი
თაფლით ან ნახევარი ლიმონის წვენ-
ით გაზავებული 1 ჭიქა ცხელი წყალი
დალიეთ. შუადღემდე, შიმშილის და-
სათრგუნავად, იმყოფინეთ ერთი-ორი
ვაშლი, ბანანი ან ფორთოხალი; სადი-
ლად კი — ახალი ხილისა და ბოსტ-

და ერთი ს/კ მცენარეული ზეთით. სალ-
ათას უხვად მოაყარეთ მწვანელი.

5 საათისთვის კვლავ მიირთვით
პიტნის ნაყენი თაფლით ან ლიმონის
წვენი; ვახშმად კი იმ ხილ-ბოსტ-
ნეულისგან მომზადეთ სალათა, რომელ-
იც უფრო მეტად მოგწონთ.

ძილის წინ მიიღეთ ბალახეული ჩაი
თაფლით.

ამ პროცედურის შემდეგ, თქვენი
სხეული ინტენსიურად გაიწმინდება
ათასგვარი ტოქსინისა და წიდებისა-
გან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარეგნუ-
ლი ეფექტი თვალში საცემი გახდება.
ნუ დაიზარებთ და გაიკეთეთ სახის
კანის ნილაბიც, საღამოს კი თბილი
აბაზანა მიიღეთ, რომელშიც ჭინჭრის
ან გვირილის ნახარშს ჩაუმატებთ.

თუ ამ რჩევებს გაითვალისწინებთ,
ქუჩაში მიმავალს ბევრი აღფრთოვ-
ანებულ მზერას გაგაყოლებთ, თვა-
ლებიც უწინდებურად აგიციმციმდე-
ბათ და დაღლილობის გრძნობა
სადღაც გაქრება.

რბომ არ წყალობენ მამაკაცები ჭკვიან ქალებს

სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა
ბევრჯერ დაამტკიცა, რომ მა-
მაკაცთა უმრავლესობა ჭკვიან
ქალებს ერიდება, სულელებს კი
უკეთ ეგუება.



მაინც რა განსხვავებაა ჭკვიან და
სულელ ქალს შორის?

სულელი, უმეტესწილად, ბუნებრი-
ვად მიმზიდველია და შეუძლია, ცხოვ-
რების დინებას მიჰყვეს. ჭკვიანი ქალი
კი გარეგნობით ნაკლებად მანიპუ-
ლირებს და წინა პლანზე პიროვნულ
ღირსებებს წამოსწევს.

სულელს უღირს საქციელსაც კი
მიუტევენ, ამბობენ, — უნებლიეთ,
სისულელით მოუვიდაო. ჭკვიანს შეც-
დომებს არასოდეს აპატიებენ.

სულელი უსიამოვნო სიტუაციებს
ოსტატურად არიდებს თავს და რამ-
დენად უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ,
ერთადერთ სწორ გზას პოულობს.
ჭკვიანი კი იმის შიშით, რომ შეცდო-
მა არ დაუშვას, ყველა ნაბიჯს ასჯერ
ანონ-დანონის, ამასობაში კი ხშირ
შემთხვევაში გაუგებარ სიტუაციებსა
და ინტრიგებში ეხვევა, თანაც სერი-
ოზულად და ხანგრძლივად.

სულელი ილბლიანია — წარმატე-
ბით თხოვდება და ბედნიერადაც ცხოვ-
რობს — რადგან მზად არის, ყველა-
ფერი მოითმინოს. ჭკვიანი ცხოვრებაში

თვითდამკვიდრებას ცდილობს და
ქორწინებაში მთავარ კრიტერიუმად
ქმრის პატივისცემას მიიჩნევს.

სულელს ყველა კითხვაზე მზად
აქვს პასუხი, მას არ ღრღნის ეჭვები
და მუდამ დარწმუნებულია თავის
განუმეორებლობაში. ჭკვიანს კი ხშირ
შემთხვევაში, თავდაჯერებულობა აკ-
ლია და საკუთარ შესაძლებლობებ-
შიც ეჭვი ეპარება.

სულელი პრობლემების გაჩენისას
იბნევა, ბედზე ჩივილს იწყებს და
ცრემლებს აღვარღვარებს. მის მიმა-
რთ გარშემო მყოფები სიბრაღულუ-
ლით ივსებიან და შეძლებისდაგვარ-
ად ეხმარებიან. ჭკვიანი არასდროს
ტირის, ცდილობს, სირთულეებს და-

მოუკიდებლად გაუმკლავდეს.

სულელი, როგორც წესი, მშვე-
ნივრად გამოიყურება, სილამაზის
სალონში ბევრ დროს ატარებს და
საყვარელს თუ მეუღლეს სიამოვნებით
ყვლევს. ჭკვიანი პრაქტიკულია, იცის
ფულის ყადრი, არასდროს ფლანგავს
მას და ხშირად, საკუთარ თავს სიამ-
ოვნებაზე უარს ეუბნება.

როგორც ჩანს, სულელს მართლაც
უმართლებს და ცხოვრებაც ეიოლე-
ბა. მაგრამ ჭკვიან ქალს ერთი დიდი
უპირატესობა აქვს: მას ყოველთვის
ეყოფა ჭკუა საიმისოდ, რომ სულელ-
ის ნილაბაფარებულმა მთელი ცხოვრე-
ბა ბედნიერად გაატაროს, სულელს
კი ეს არასდროს გამოუვა.



ნების ნებრალური რქა

25 გ გარჩეული, ტუბილი ნუში დანაყეთ ან დაფქვით. დაასხით 1/2 ჩ/ჭ თბილი, ანადუღარი წყალი. კარგად შეანჯღრიეთ. დაუმატეთ ცოტა მარილი, განურეთ დოღბანდში. შეინახეთ ცივ ადგილას. გამოყენებამდე — დილას და საღამოს

ბუნის მკვებავი სვეტილური საშუალებები

კვლავ შეანჯღრიეთ. დაისხით ხელისგულზე 1-2 ჩ/კ სითხე და კარგად შეიზილეთ სახესა და ყელზე. თუ გაფართოებული კაპილარები გაქვთ, გირჩევთ, მარილის ნაცვლად დაუმატოთ ტანინი, რომელიც წინასწარ იქნება გახსნილი 1 ჩ/კ თბილ წყალში.

მეანარაული ნაყინის კომპონენტები

თუ მშრალი კანი გაქვთ ან — რაიმე გამონაყარი, სასურველია დღეგამოშვებით თბილი კომპრესების დადება ან სახის განმეხრედა შემდეგი შემადგენლობის ნაყინით: 1 ს/კ ცაცხვის ყვავილები მოხარშეთ 1/2 ჩ/ჭ რძეში და მიღებული ნაყინი 20-25 წუთი მოათავსეთ ცხელ წყლით სავსე თასში.

თუ კანი მგრძობიარე, ნაზი და

ფორებიანია, მაშინ ცაცხვის ყვავილის მაგივრად აიღეთ ვარდის ან სალბის მშრალი ფურცლები. 1 ს/კ მცენარე მოხარშეთ 1/2 ჩ/ჭ წყალში და დაუმატეთ იმავე რაოდენობის რძე.

სახე უნდა გაიწმინდოთ ნაყენში დასველებული ბამბის ტამპონით.

მარილიანი აბაზანები

მარილიანი წყლით დაბანა კარგად მოქმედებს სახის კუნთებზე. დილით, კრემის წასმიდან 20-25 წთის შემდეგ, სახე დაიბანეთ გრილი, მარილიანი ხსნარით (1 ჩ/ჭ წყალზე 1 ჩ/კ მარილი). პროცედურა შეასრულეთ 15-20 დღის განმავლობაში, ყოველდღე. 2-3 კვირის შემდეგ კურსი გაიმეორეთ.

ბრჯიშები სხის ბუნის ბოსამკვრივებლად

პირველი ნაოჭების გაჩენისთანავე კოსმეტიკურ საშუალებებთან ერთად კანის გასამკვრივებლად სპეციალურ მარტივ ვარჯიშებს თუ მიმართავთ, შედეგი გაცილებით ეფექტური და ხანგრძლივი იქნება. ეს ვარჯიშები განსაკუთრებით შედეგიანია, როცა კანი კოსმეტიკური საშუალებებით გადაღლილი და მოდუნებულია. თანაც ამ ვარჯიშების უპირატესობა ისიც არის, რომ მათი შესრულება ნებისმიერ დროსა და ადგილას შესაძლებელია.

ბაჩის ვარჯიში

დადექით სწორად, იყურეთ პირდაპირ, პირი დამუწეთ. გაილიმეთ, რაც შეიძლება ფართოდ, ოღონდ ისე, რომ ბაგეები ერთმანეთს არ დააცილოთ. გაჩერდით ასე 5 წამი, შემდეგ დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. ტუჩები მოკუმეთ და წინ წამოსწიეთ, თითქოს ვინმეს კოცნით. ამ მდგომარეობაში 5 წამი გაჩერდით და საწყის მდგომარეობას დაუბრუნდით. გაიმეორეთ 10-ჯერ.

ყალისა და ლაბაისთვის

დაჯექით სწორად, თავი უკან გადასწიეთ და ჭერს ახედეთ. პირი დამუწეთ და ყბა ისე ამოძრავეთ, თითქოს კეფს ღეჭავთ. მაშინვე იგრძნობთ, რა ინტენსიურად მუშაობს ყელისა და ნიკაპის კუნთები. ვარჯიში შეასრულეთ 20-ჯერ.

ლოყებისთვის

პირი მოკუმეთ, ლოყები ჯერ შესწიეთ, შემდეგ კი გამოხრეთ. ორივე მდგომარეობაში, 10-10 წამი დაყოვნდით. ვარჯიში 10-ჯერ გაიმეორეთ.

ქათათობისათვის

დაჯექით გამართულად და ისე, რომ თავი არ ამოძრავთ, გაიხედეთ პირდაპირ, შემდეგ მალა, დაბლა, მარჯვნივ და მარცხნივ. გაიმეორეთ 10-ჯერ.

ზუბლისთვის

რაც შეიძლება ძლიერად შეყარეთ ნარბები, შემდეგ მალა აზიდეთ და თვლები ფართოდ გაახილეთ. გაიმეორეთ 5-ჯერ.



კვერცხის სალათა



მასალად საჭიროა:

- 10 კვერცხი;
- 1 ჩ/კ უცხო სუნელი;
- 2 ცალი სტაფილო;
- 2 ცალი ბოლოკი;
- 1 კონა მწვანე სალათა;
- 1 კონა კამა;
- 1 კონა ოხრახუში;
- 200 გ მაიონეზი;
- შავი პილპილი, მარილი — გემოვნებით.

მომზადების წესი:

მოხარშული კვერცხი დაჭერით 4 ნაწილად. შეურიეთ გახეხილი სტაფილო, ბოლოკი, წვრილად დაჭრილი ხახვი, კამა, ოხრახუში, უცხო სუნელი, მარილი, მაიონეზი და კარგად აურიეთ. თევზზე დაანყვეთ სალათის ფოთლები, დადეთ გამზადებული სალათა და ზემოდან ბადისებურად მოასხით მაიონეზი.



მზის დარტყმა და სითბური დარტყმა ერთმანეთისგან განსხვავებული სნებებია

მზის დარტყმა არის პათოლოგიური მდგომარეობა, რომელსაც იწვევს მზის სხივების უშუალო ზემოქმედების შედეგად თავის გადახურება. ამ დროს თავის სისხლძარღვები ფართოვდება და ტვინში სისხლის მიწოდება ძლიერდება. ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია თავის წვრილი კაპილარების გასკდომა.

მზის დარტყმის ძირითადი მიზეზი მზეა, რომელიც „დაუნდობლად“ აცხენებს ადამიანის თავს ან შიშველ სხეულს. მზის დარტყმას ასევე ჩახუთულობა იწვევს — ამინდი, როცა ნიავიც კი არ იძვრის; პლაჟზე ალკოჰოლური სასმელების მიღება.

მზის დარტყმის პირველი ნიშნებია სახის სინითლე, თავის საშინელი ტკივილი, თავბრუსხვევა. შემდეგ დაზარალებულს აღინიშნება თვალბრუნვა, გულისრევის შეგრძნება, ზოგჯერ — ლებინებაც. არის ცხვირიდან სისხლდენისა და მხედველობის მოშლის შემთხვევებიც. თუ დაზარალებულს დროულ დახმარებას არ აღმოუჩნებ, იგი გონებას დაკარგავს, ქოშინი (ჰაერის უკმარისობა) დაეწყება, პულსი გაუხშირდება, გულის მუშაობა დაირღვევა. მზის დარტყმა, არცთუ იშვიათად, შერწყმულია კანის დამწვრობასთან, რაც გამოიხატება კანის სინითლით, ბუშტუკების გაჩენით და სხვა.

სითბური დარტყმა მწვავედ განვითარებადი პათოლოგიური მდგომარეობაა, რომელსაც სხეულის გადახურება იწვევს. გადახურების შედეგად ადამიანის ორგანიზმში სითბოს წარმოქმნის პროცესი ძლიერდება. ამასთან ერთად, მცირდება ან ძნელდება ოფლის გამოყოფა, რაც სასიცოცხლო ფუნქციის დარღვევას იწვევს.

სხეულის გადახურებას განაპირობებს ყველაფერი, რაც არღვევს ოფლის გამოყოფას და მისი აორთქლების პროცესს, მაგალითად, ჰაერის მაღალი ტემპერატურა და ტენიანობა; ტყავის, რეზინის ან სინთეტიკურ ტანსაცმელში მძიმე ფიზიკური სამუშაოს შესრულება; გადაღლა; ორგანიზმის გამოფიტვა; დიდი რაოდენობით მსუყე საკვების მიღება; ცხელ ამინდში უფრო ადვილია, რადგან სითბური დარტყმის განვითარებისთვის მზე არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას — სრულიად საკმარისია ფიზიკური სამუშაოს პერგაუმტარი, თბილი ტანსაცმლით შესრულება ან რამდენიმე საათით ჩახუთულ, ცუდად განიავებულ შენობაში ყოფნა.

სითბური დარტყმის პირველი ნიშნებია საერთო სისუსტე, ძლიანობა, თავის ტკივილი და თავბრუსხვევა. ოდნავ მოგვიანებით აღინიშნება სახის სინითლე, სხეულის ტემპერატურის მატება, ზოგჯერ 40 გრადუსამდეც კი, ხშირად აქვს ადგილი დისპეპსიურ მოშლილობებს — ფაღარათსა და ლებინებას. თუ ამ დროისთვის სხეულის გადახურების გამომწვევი მიზეზი არ აღმოიფხვრა, ავადმყოფს ჰალუცინაციები, ბოლდი დაეწყება, შემდეგ გონებას დაკარგავს, სახე გაუფითრდება, კანი გაუცივდება და შეიძლება მოლურჯო ელფერი მიიღოს. აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის ოფლის გამოყოფა ძლიერდება, გულის მუშაობა ირღვევა, პულსი ხშირდება და სუსტდება. ასეთ მდგომარეობაში ადამიანს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას თუ არ აღმოუჩენენ, იგი შეიძლება დაიღუპოს.

მზის დარტყმისა და სითბური დარტყმის შემთხვევაში პირველადი დახმარება ერთნაირია.

1. დაზარალებული დაუყოვნებლივ უნდა იქნას გაყვანილი სუფთა ჰაერზე, ჩრდილში

ან გრილ, კარგად განიავებულ შენობაში. მას უნდა გაუხსნათ საყელი, უკეთესია, თუ წელამდე გააშინებლებთ, უნდა დაანვიროთ ზურგზე და თავი ოდნავ წამოუწიოთ.

2. აუცილებელია ტანზე ცივი საფენების დადება ან სველი ზენრის შემოხვევა, თავზე და მსხვილი არტერიის ადგილებში კი ცივ წყალში დასველებული ნაჭრის დადება, რომელიც პერიოდულად უნდა შეიცვალოს;

3. დაზარალებულს უნდა მიეცეს დიდი რაოდენობით (2-3 ლ) ცივი წყალი (უკეთესია — მინერალური), რომელსაც დამატებული ექნება შაქარი და ჩაის კოვზის წვერით — მარილი. ეფექტურია ვალერიანის ნაყენი: 20 წვეთი 1/3 ჭიქა წყალზე.

სუნთქვის მოშლის შემთხვევაში დაზარალებულს უნდა ასუნთქოთ ნიშადურის სპირტით. დასველეთ მცირე ზომის ბამბა 1-2 წვეთი ნიშადურის სპირტით და რამდენიმე ხანი (მაქსიმუმ 1-1,5 წუთი) გააჩერეთ დაზარალებულის ცხვირიდან 5-10 სმ-ის მოშორებით.

4. ექსტრემალურ სიტუაციაში, როცა ადამიანი გულწასულია, მას სუნთქვა უჩერდება, პულსი კი არ ესინჯება, ექიმს ნუ დაუნყებთ ლოდინს, თავადვე შეუდექით რენაიმაციულ ლონისძიებებს. სუნთქვის გაჩერების შემთხვევაში აუცილებელია ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის დაუყოვნებლივი განხორციელება ანუ უნდა გაკეთდეს ხელოვნური სუნთქვა „პირით-პირში“. თუ სუნთქვაც გაჩერებულია და გულისცემაც, მაშინ ხელოვნურ სუნთქვასთან ერთად გულის ხელოვნური მასაჟი უნდა ჩატარდეს.

5. დაზარალებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად, აუცილებლად საჭიროებს ექიმთან ვიზიტს, რადგან მხოლოდ მას შეუძლია ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ დაზიანებების აღმოჩენა და საჭიროების შემთხვევაში, შემდგომი მკურნალობის დანიშვნა.

პროფილაქსია

მზისა და სითბური დარტყმა ადვილად უვითარდებათ ბავშვებს, მოზარდებსა და მოხუცებს, რადგან ასაკის გამო მათ ორგანიზმს გარკვეული ფიზიოლოგიური თავისებურება ახასიათებს. კერძოდ, მათ ორგანიზმში თერმორეგულაციის სისტემა არ არის სრულყოფილი. ასევე რისკჯგუფში შედიან ადამიანები, რომლებიც არ არიან სიცხეს მიჩვეულნი, ანუხებთ სიმსუქნე, გულ-სისხლძარღვთა და ენდოკრინული სისტემის დაავადებები ან ალკოჰოლის ჭარბად მოხმარებულები არიან.

თუ თქვენ რომელიმე ამ ჯგუფს მიეკუთვნებით, ნუ დაიღამებთ, მზე და სითბო როდის დაარტყამს (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) თქვენს ჯანმრთელობას. პროფილაქტიკური ღონისძიებების მიღება წინასწარაც არის შესაძლებელი: მოერიდეთ შიშველი თავით სიარულსა და სხეულზე მზის სხივების პირდაპირ მოქმედებას. თავზე დაიფარეთ ქუდი ან თავსაფარი; ქვიშიან პლაჟზე დასვენებას შეუწავსებთ ბანაობა; არ დაიძინოთ მზეზე; არ ნახვიდეთ ცხელ ამინდში ხანგრძლივ ექსკურსიაზე; სვით დიდი რაოდენობით წყალი და სხვა.

სითბური დარტყმის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია სახლშიც და სამსახურშიც შრომისა და დასვენების ნორმალური პირობების შექმნა: შენობაში, სადაც იმყოფებით, უნდა იყოს ნორმალური ტემპერატურა, ტენიანობა და განიავება. ტანსაცმელი უნდა შეარჩიოთ სეზონურად. ეს დაეხმარებათ სითბური დარტყმის რისკის შემცირებაში.



საკვები პროდუქტებით მოწაგვლა

ზაფხულში საკვებით მონამვლის პრობლემა აქტუალური ხდება და ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ წელიწადის ცხელ პერიოდში სწირად ირღვევა მთელი რიგი პროდუქტების (როგორც მზა, ისე ნახევარფაბრიკატები და თუნდაც უმი) შენახვის პირობები. სიცხე საუკეთესო საშუალებაა კვებითი ტოქსიკონფექციების გამომწვევი მიკრობების გასააქტიურებლად. კვებითი ტოქსიკონფექცია 70%-ზე მეტ შემთხვევაში დაავადებული ხორცის, თევზის, რძის პროდუქტების, ზოგიერთი კერძის (სალათის, პაშტეტის, ვინეგრეტის, კარტოფილის პიურეს და სხვა) გამოყენებისას ვლინდება.



ზოგჯერ სხეულის ტემპერატურის მომატება 38-39-მდე, იშვიათად — მცირე სისუსტე, მსუბუქი შემცივნება, თავბრუსხვევა. გამოჯანმრთელება დაგება 1-3 დღეში. ზოგჯერ მდგომარეობა უფრო რთულია.

მონამვლის მიზეზები ასევე შეიძლება გახდეს ქიმიური ნივთიერებები (პესტიციდები), მძიმე მეტალის მარილები (თუთია, სპილენძი, ტყვია), რომელიც ხდება საკვებში ან შხამიანი პროდუქტები (შხამიანი სოკო, ზოგიერთი სახის თევზი და სხვა). თუმცა ასეთ შემთხვევაში კვებით ინტოქსიკაციაზე ვერ ვილაპარაკებთ; კვებით ინტოქსიკაციაზე ვერ ვილაპარაკებთ მაშინაც, თუ საკვებად გამოყენებულ იქნა უმნიშვარი ნაყოფი ან დაირღვა რაციონალური კვების წესები (მოხმარებულ იქნა დიდი რაოდენობით ცხიმოვანი პროდუქტი, მჟავე რძე, მოხარშული კვერცხი და სხვა; ან ერთდროულად მირთმეულია შეუთავსებადი პროდუქტები — ცხიმოვანი ღორის ხორცი და რძე, რძე და უმი ბოსტნეული, კვასი და ა.შ.). აღსანიშნავია ისიც, რომ მარწყვით, კვერცხით და ა.შ. პროდუქტებით გამოწვეული „მონამვლა“ შემთხვევათა უმრავლესობაში ალერგიული რეაქციითაა განპირობებული.

განსაკუთრებით საშიშია ფარმისაგან დამზადებული კერძები, პაშტეტი, სანებელი (მაიონეზი) და სხვა. მათში მიკროორგანიზმები სწრაფად მრავლდება. ამიტომ ასეთი და სხვა მალფუნქციონირებადი პროდუქტი მხოლოდ მცირე დროით და დაბალ ტემპერატურაზე უნდა იქნას შენახული. ასეთი კერძების ხანმოკლე შეთბობა (შემწვარი კატლეტის, პელმენის) უსაფრთხოებისთვის საკმარისი არ არის, რადგან პროდუქტის სიღრმეში არსებული ბაქტერიები შეიძლება სიცოცხლისუნარიანი დარჩეს. შესაბამისად, საჭიროა ინტენსიური სითბური დამუშავება.

სტაფილოკოკური ინფექციის

კვებით ინტოქსიკაციას მიეკუთვნება სტაფილოკოკური ინტოქსიკაცია. ის ვითარდება სტაფილოკოკური ენტეროტოქსინის შემცველი საკვების (კრემიანი საკონდიტრო ნაწარმი, ტკბილი ხაჭო, რძე, კარაქი და სხვა) მოხმარებისას, თუმცა შესაძლებელია პროდუქტი გამოწვევს არ შეიცავდეს. ენტეროტოქსინი სითბოგამძლეა. მისი გაუვნებლებისათვის საჭიროა 1-2 საათის მანძილზე დუღილი.

აღსანიშნავი და ყურადსაღებია, რომ საკვების სტაფილოკოკური დაბინძურების წყაროს წარმოადგენს ფურუუნკულოზით, პიოდერმიით და სხვა ჩირქოვანი დაავადებით დაავადებული ადამიანი (მზარეული, კონდიტერი). ასევე საშიშია ანგინით, სურდოთი, ლარინგიტით, ბრონქიტით დაავადებული პირები. გარდა ამისა, თუ ძროხას აქვს სარძევე ჯირკვლის ანთება (მასტიტი), მაშინ რძის დაბინძურება ხდება.

კვებითი ბოქსიკოინფექციის სააქვო ნიშნები

უხარისხო პროდუქტის მიღებიდან მინიმუმ საათ-ნახევარი-ორი საათის შემდეგ იწყება გულისრევა, ლებინება, მუცლის ტკივილი, კუჭის აშლა (3-5-დან 10-ჯერ დღეში),

როგორ უნდა მოქმედოთ პრობლემას

ჩაიტარეთ კუჭის ამორცხვა ბაცი (ლია) ვარდისფერი „მარგანცოვკის“ ხსნარით ან საჭმელი მარილით ან სოლით (1 სუფრის კოვზი 1 ლიტრ წყალზე). შესაძლებელია უბრალო ანადუღარი წყლის გამოყენებაც; ჩვეულებრივ, სასურველია 2 ლიტრამდე სითხის მიღება და თუ ლებინება არ განვითარდა, გამოინვიეთ მექანიკურად, დაანექით ენის ძირს ორი (სუფთა) თითით ან კოვზით. პროცედურა გაიმეორეთ 3-4-ჯერ.

24-36 საათის განმავლობაში თავი შეიკავეთ საკვების მიღებისაგან, როგორც უნდა შეგანუხოთ შიმშილმა. გალიზიანებულ კუჭ-ნაწლავის ყველაზე კარგი ნაშალი სიმშვიდეა.

სითხის მიღება განუსაზღვრელი რაოდენობით შეგიძლიათ. მინიმალური დოზა დაახლოებით 1 ჭიქაა (250 გრ.). უმჯობესია თბილი ჩაი, შაქრის გარეშე ან უბრალოდ, ანადუღარი წყალი, ყოველ საათში. სვით არა ერთბაშად (ზალპით), არამედ მცირე ულუფებით.

ლებინებისა და კუჭის აშლილობის დროს ორგანიზმი კარგავს არა მარტო სითხეს, არამედ ნატრიუმს და ქლორს. ამ დანაკარგის შევსება შეიძლება ანადუღარ წყალში 1 ჩ.კ. მარილის გახსნით. კალიუმის დანაკარგის შევსება კარტოფილისა და სტაფილოს ნახარშით შეიძლება: 2-3 ცალი საშუალო ზომის ბოსტნეული გახეხეთ მსხვილ სახეხზე, დაასხით 2 ჭიქა ცივი წყალი, ხარშეთ 20 წუთი, გააცივეთ და განურეთ. დალევის წინ დაუმატეთ ცოტა მარილი. შეიძლება უშაქრო კომპოტი გარგარის ჩირით, ქიშმიშითა და ბანანით მოამზადოთ. ყველა ეს პროდუქტი მდიდარია კალიუმით. არავითარ შემთხვევაში არ ჭამოთ თვითონ ხილი.

მონამვლიდან 24-36 საათის შემდეგ გადადით მცირე ულუფებით კვებაზე, ყოველ 3-4 საათში.

პირველ დღეს შემოიფარგლეთ მანვნით, თეთრი, გამომშრალი პური, წყალზე დამზადებული ბრინჯის ან შვრიის თხელი ფაფით.

მეორე დღეს მიირთვით რძიანი ფაფა, თოხლო კვერცხი. მესამე დღეს მოხარშული ხორცი, თევზი კარტოფილის ან სტაფილოს ფაფით.

სრული გამოჯანმრთელების შემდეგ კვლავ შეიძლება მიიღოთ უმი ბოსტნეული, ხილი, წვენი (განსაკუთრებით, მჟავე: ფორთოხლის, გრეიპფრუტის, პომიდვრის).

თუ ლებინება მაინც გრძელდება...

თუ კუჭი შიგთავსისგან დაცლილია და ლებინება მაინც გრძელ-



დება, მაშინ დაწვეით, მოდუნდით, გააკეთეთ ღრმა ჩასუნთქვების სერია და წუნნეთ ყინულის ნატეხი. უმჯობესია, გაყინული პიტნის ჩაი (2 ჩაის კოვზ მშრალ ბალახს დაასხით 1 ჭიქა მდულარე წყალი, გააჩერეთ თერმოსში 5 წუთი, განურეთ და გაყინეთ). სასურველია, პიტნის ნახარშის თბილი ოყნის გაკეთება.

გულისრევის შეგრძნებას ყოველ საათში პიტნის ჩაის ყლუპყლუპით მიღება გაგიქრობთ. თუ გრძნობთ, რომ გონებას კარგავთ, თავბრუ გეხვევათ, ვალერიანის წვეთებით დაასველეთ მარლის ნაჭერი და ისუნთქეთ მორიგეობით თითო ნესტოთი, მეორეზე ხელის მიჭერით.

გალიზიანებული კუჭ-ნაწლავის დასაწყნარებლად კარგია ბარამბოს (მელისა), გვირილისა და თავშავას ნაყენი. ეს მცენარეები თანაბარი რაოდენობით შეურიეთ, 1 ჩაის კოვზ ნარევს დაასხით მდულარე, გააჩერეთ თერმოსში 30-40 წუთი. დალიეთ თითო ჭიქა, 3-4-ჯერ დღეში.

აქიხს უნდა მივართოთ, თუ:

1. მუცლის ტკივილი ბრმა ნაწლავის შეტევას ან სხვა მწვავე დაავადებას მოგაგონებთ. ამ დროს აუცილებლად სასწრაფო დახმარება დაგჭირდებათ. ამ შემთხვევაში წუთებს გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და ნუ დაკარგავთ დროს;

2. დაავადება არ დასრულდა 2-3 დღეში ან გრძელდება მუცლის ძლიერი ტკივილით, მაღალი ტემპერატურით (38,5 და მეტი).

3. თვალის სკლერა და კანი გაყვითლდა, შარდი გამუქდა;

4. ლებინება განმეორდა შემდეგ დღეებშიც ან პირნალები არის ყავის ნალექის მაგვარი, ან ამონალებში შეინიშნეთ სისხლი;

5. კუჭის მოქმედება ხშირია (10-ჯერ და მეტი დღეში) და ბევრია ნაწლავებიდან გამოსული მასა, ან მასში შეინიშნება სისხლის მინარევი, ლორწო და ჩირქი;

6. თვალეები „ჩაცვენილია“, აღინიშნება პირის სიმშრალე, ნერწყვი სქელი და წებოვანია, მიღებული სითხე არ ჩერდება ორგანიზმში ან ავადმყოფს არ შეუძლია წყლის მოსმა და ეს მდგომარეობა რამდენიმე საათის განმავლობაში გრძელდება.

რჩევები:

- ხორცისა და რძის პროდუქტები, კრემიანი ნამცხვრები, ხილი და ბოსტნეული აუცილებლად მოათავსეთ თავდახურულ ჭურჭელში და შეინახეთ მაცივარში.

- არ მიუშვათ საკვებთან ბუზი.
- არ დალიოთ ტბისა და მდინარის წყალი, თუ დარწმუნებული არ ხართ მათ სისუფთავეში ანდა მათ ახლოს ფერმა ან ნაგავსაყრელია.

- ხილი და ბოსტნეული ჭამამდე კარგად უნდა გაირეცხოს გამდინარე წყლის ჭავლით, ბოლოს რეკომენდებულია ანადუღარი წყლის გადავლება.

- თუ აგარაკზე ხართ, მხოლოდ ანადუღარი წყალი სვით.

- საკვების მომზადებისა და ჭამის წინ კარგად დაიბანეთ ხელები.

- ნუ შეიძინებთ გაჭრილ ან გახეთქილ საზამთროსა და ნესვს — მათი

ტკბილი რბილობი მიკრობების გამრავლებისთვის საუკეთესო ადგილია.

- რძის პროდუქტები მხოლოდ სპეციალურ მალაზიებში, სათანადოდ დაფასოებული შეიძინეთ.

- რძე აუცილებლად აადუღეთ.

- განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ბავშვის სანოვარას, ჭურჭლის, სათამაშოების სისუფთავეს.

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ყურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

ბიბლუსი Books
წიგნის ბალახიანთა ქსალი
მთელ საქართველოში

დიდი ფასდაკლება წიგნებზე!

15 ივლისიდან ბიბლუსის ყველა მაღაზიაში

გამომცემლობები: პალიტრა L, ბაკურ სულაკაური, გაი ქარჩხაძე, ინტელექტი, არტანუჯი, სიესტა, შემეცნება, დილა, გორგა, სეზანი, დოგოს პრესი, კავკასიური სახლი, დიოგენე, ანბანი...

ქალაქიდან გარეხარ? გაიყოლო წიგნები! წაიკითხე, გაუწოთ, ყველგან იქნები!

თბილისი: რუსთაველის 40/1 ალმაშინაძის №121 იოსებაძის №49 რობაქიძის №7 ბახტრიონის №12

სანაპი: რუსთაველი №239

ფოთი: ფარნავაზ მეთის №15

ბათუმი: გეგედი აბაშიძის №62 ზ.ბაშაშვილის №18

ქუთაისი: ლ.ნუსუბიძის №1

რუსთავი: მებოზროვის №12

სამბრავია: სააკაძის №6

ოზურგაბეთი: 9 აპრილის პარკი

ხაზური: რუსთაველის №69

ზუგდიდი: რუსთაველის №92

ღუშეთი: რუსთაველის №11

☎ 307 402
www.biblushi.ge



ადამიანი

მარია ლორთქიფანიძის „კნიაჟესკი ზამაზკაზი“ და საქართველოს დედის საპატიო ტიტული

ამ ქალბატონზე უთქვამთ, — დრო ვერაფერს აკლებს, დროს თავადვე აბერებსო. მას თითქოს, ხელისგულზე უდევს საქართველოს ისტორია, თავისი წარსულითა და აწმყოთი, ბედითა თუ უბედობით; ის ყველაზე უკეთ გრძნობს ქვეყნის მაჯისცემას... მას დიდება და პატივი არ დაჰკლებია და აქვს გამორჩეული ტიტული გამორჩეული ღვანლისთვის — „საქართველოს დედის“ წოდება ერის სულიერმა მამამ მიანიჭა. მისი სახელი ისტორიასთან და უნივერსიტეტთან, ღირსებასა და ღრმად განსწავლულობასთან ასოცირდება. ღვანლმოსილი მეცნიერი თანამემამულეებში დიდი სიყვარულით სარგებლობს, მაგრამ არ გეგონოთ, რომ მისი ცხოვრების გზა ია-ვარდით მოფენილი იყო... 88 წლის საპატიო ქართველ ქალბატონს, აკადემიკოსსა და პროფესორ მარიამ ლორთქიფანიძეს, როგორც თავად ამბობს, სრული ბედნიერებისთვის ერთი რამ აკლია; თუ რას გულისხმობს, ამას მისი მონოლოგიდან შეიტყობთ.



ნანა ფიხსელაური

მე – მარიამი

— დავიბადე ბათუმში, 1922 წლის 28 აგვისტოს, მარიამობა დღეს და ალბათ, ამან განსაზღვრა ჩემი სახელი. თუმცა მამაჩემის დედას, მართა თავდგირიძესაც მარიამი ერქვა. მთელი ცხოვრება მშობლების მადლობელი ვიყავი, ეს სახელი რომ დამარქვეს... სამ წელიწადში ჩვენი ოჯახი თბილისში გადმოსახლდა. მე და გიგა დედასთან ერთად, ვერაზე, ოროთახიან ბინაში და არცთუ სახარბიელო პირობებში ვცხოვრობდით. გიგა ჩემზე ხუთი წლით უმცროსია. ჩვენ დღემდე შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს, ჩემთვის ძმა უძვირფასესია... დედას გამთენიიდან შუალამემდე სამსახურში უწევდა ყოფნა და ფაქტობრივად, გიგას პატრონი მე ვიყავი. ბავშვობაში ძალიან ცუდი იყო, მაგრამ როცა წამოიზარდა, ერთმანეთის უსიტყვოდაც გვესმოდა. 53-ე სკოლა დავამთავრე. მყავდა შესანიშნავი პედაგოგები და ის, რომ არა მართო ქართულად, არამედ რუსულადაც გამართულად ვწერ, ჩემი სკოლის მასწავლებლების დამსახურებაა. კითხვა დედამ შემეყვარა — ის ისე გარდაიცვალა, წიგნი არ გაუგდია ხელიდან. მქონდა სწავლის სურვილიც, ნიჭიც, მონდომებაც, მაგრამ ჩემს მეცნიერად

ჩამოყალიბებას ჯერ სკოლის, შემდეგ კი უნივერსიტეტის მასწავლებლების დამსახურებად მივიჩნევ.

პროფესორი – ისტორიკოსი

— სკოლას ისე ვამთავრებდი, გადაწყვეტილი არ მქონდა, სად უნდა ჩამებარებინა. გაზეთში გამოქვეყნდა განცხადება, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიის სპეციალობაზე მიღება იწყებოდა და სწორედ ამ განცხადებამ განაპირობა ჩემი პროფესიული არჩევანი. ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც საოპერო და სიმფონიური მუსიკის კულტი იყო — ევეგნი მიქელაძე დედას ბიძაშვილი გახლდათ, დედასაც ჰქონდა მუსიკალური განათლება, თუმცა სასწავლებელი არ დაუსრულებია; მამამ რუსეთში ტექნიკური განათლება მიიღო. მასსოვს, დედ-მამა ყოველთვის დადიოდა თეატრში, ოპერა-

ში — პრემიერებზე და ჩვენც თან დაგყავდით... კლასის რამდენიმე მეგობარმა: მე, ოთარ ჯაფარიძემ, გივი კილურაძემ და ნუგეშა მაცაშვილმა გადავწყვიტეთ, ხელოვნების ისტორიის სპეციალობაზე ჩაგვებარებინა. ერთ დღეს, ოთარ ჯაფარიძესთან ვიყავით სტუმრად. დედამისმა, დედა როტამ გვკითხა, — რას აპირებთო და როცა ხელოვნება ვუხსენეთ, გადაირია, — აქ ვის რად უნდა თქვენი ხელოვნება? სამედიცინოზე ჩააბარეთო. ჩვენ ისეთ დროში გავიზარდეთ, შეიძლებოდა ციხესა და გადასახლებაში ადვილად მოხვედრილიყავი, ოღონდ, კაცმა არ იცის, რატომ. ბევრი ვიმსჯელებ, მაგრამ არჩევანი აღარ შეგვიცვლია.

პროფესორი – ივანე ჯავახიშვილის მისაზარტით

— როდესაც უნივერსიტეტში მივედი, ცხრილში ივანე ჯავახიშვილის გვარს ვეძებდით, რათა გაგვეგო, სად კითხულობდა ლექციებს. იმ დროს ივანე უნივერსიტეტში უკვე აღდგენილი და დაბრუნებული იყო, სპეციალურ კურსებს ატარებდა. ჩვენც ცოტა მეტიჩარა ბავშვები ვიყავით, ვეძებთ და მას იურიდიულ ფაკულტეტზე მივაგენით, სადაც ქართული სამართლის ისტორიას კითხულობდა. იურისტებს ვთხოვეთ, არ გაემხილათ, რომ მათი სტუდენტები არ ვიყავით და ასე, მა-



დედას გამთენიიდან შუალამემდე სამსახურში უწევდა ყოფნა და ფაქტობრივად, გიგას პატრონი მე ვიყავი



ლულად დავიარებოდით დიდებული მეცნიერის ლექციებზე. ბატონი ივანე აუდიტორიაში დიდი შავი პორტფელით შემობრძანდებოდა ხოლმე, იქიდან ბარათებს ამოიღებდა, რომლებზეც ამონერილი ჰქონდა წყაროები. ჯერ ჩამოაყალიბებდა დებულებას და შემდეგ ციტატებს კითხულობდა ან ჯერ წყაროებიდან წაიკითხავდა ციტატას და შემდეგ განაზოგადებდა. ბევრი რამ ძნელად გვესმოდა, მაგრამ მას მაინც გამტერებულვით და მონუსხულვით ვუსმენდით. ერთხელაც, საკმაოდ მძიმე ინციდენტი მოხდა: ბატონი ივანეს ყურთასმენა დაკლებული ჰქონდა და ლექციის ბოლოს დროს იტოვებდა, რათა ვისაც შეკითხვა ჰქონდა, წერილობით მიეცა, ის კი მათ ხმაბალა კითხულობდა. ერთ მშვენიერ დღეს მას გადასცეს რვეულის ფურცელზე დაწერილი კითხვა: სტალინური მოძღვრების თანახმად, ქართველები ერაღე XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა, თქვენ კი საიდან იწყებთ ქართველი ერის ისტორიას? — სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ბატონმა ივანემ ფურცელი წვრილწვრილად დახია და მაგიდაზე, სამელის ჩასადებ ადგილას ჩაყარა, შემდეგ აკრიფა თავისი ბარათები, პორტფელში ჩააწყო და ხმაბალვით გავიდა. ამ თემაზე სტუდენტებმა დიდი პოლემიკა გაგვართეთ. ჩემი მეგობარი ბიჭები მას საქციელს უწონებდნენ, მე კი ვჩხუბობდი, — რას ჰქვია, პასუხი არ გასცა-მეთქი?! დრო რომ გავიდა, დავრწმუნდი, ამ პროვოკაციაზე დუმილი საუკეთესო პასუხი იყო. შემდეგ წავიდა სჯა-ბაასი, რას უზამენ ივანე ჯავახიშვილს? შეიძლება დაუძახეს და რაქ უთხრეს, მაგრამ ის არავის გაუგვია, უნივერსიტეტში ბოლომდე დარჩა.

ნენ და მე ბათუმის ერთ-ერთ სკოლაში, დირექტორის მოადგილედ გამანანილეს, რადგანაც ფრიადოსანი სტუდენტი და ჯავახიშვილის სტიპენდიანტი გახლდით. სიმონ ჯანაშიამ მკითხა, — საქართველოს ისტორიაში ჩემთან მუშაობა არ გინდაო? როგორ არ მინდოდა, მაგრამ ისე დავიბენი, თავიდან ხმაც ვერ ამოვიღე, მერე კი სიხარულით დავთანხმდი, ასპირანტურაში ჩავაბარე და ბატონი სიმონის ასპირანტი გავხდი. „შეგიძლია, არ იყო კარგი მეცნიერი, მაგრამ უფლება არა გაქვს, არ იყო კარგი მოქალაქე“, — ის ამ პრინციპით გვზრდიდა. ლექციებზე ვრასოდეს შეამჩნევდით, რომ სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი პატრიოტულ აგიტაციას ატარებდნენ (მაშინ ეს აკრძალული იყო), მაგრამ მათ ყველა ლექციაში ეს მუდმივად იგრძნობოდა — ქვეტექსტებით, მინიშნებებით, პაუზებით. სტუდენტები შესანიშნავად ვგრძნობდით, რომ ორივენი უაღრესად პატრიოტული სულისკვეთებით იყვნენ განმსჭვალულნი და ჩვენც ამავეს გვინერგავდნენ. თუ ცხოვრებაში რაიმე გამოკეთებია, ეს ჩემი ოჯახის შემდეგ, ჩემი მასწავლებლების დამსახურება იყო. ასპირანტურაში სამი წელი ვისწავლე და 1948 წელს, დავამთავრე თუ არა, სიმონ ჯანაშიამ ისტორიის ინსტიტუტში, უმცროს მეცნიერთანამშრომლად წამიყვანა. დისერტაცია ზაფხულში დავიცავი, შემოდგომიდან კი უნივერსიტეტში ლექციების კითხვა დავიწყე. მაშინ ბატონი სიმონი ცოცხალი აღარ იყო და კათედრის გამგედ ნიკო ბერძენიშვილი დაინიშნა. ფილოლოგიის ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის საათები მომცეს. გამიჭირდა, საკმაოდ რთული იყო, მაგრამ თავდაუზოგავად ვმუშაობდი.

კაბას გულსაბნევით ვახალისებ-მეთქი. — ეს იმიტომ, რომ სახლში არაფერს აკეთებო, — მომიგო. მართლაც, არასოდეს გამირეცხავს დიდი სარეცხი და არც იტაკები მომიხეხავს. მერჩივნა, ჩემი ნაშრომი ფული



უწმინდესმა გადმომცა მათი უმაღლესი ჯილდო — წმინდა გიორგის ორდენი

მოსამსახურისთვის მიმეცა, რათა მას ბავშვებისთვის კარგად მოეველო. ერთდროულად ორ ადგილას ვმუშაობდი, მთელ დღეებს ლექციებზე ან ისტორიის ინსტიტუტში ვატარებდი. ბავშვებთან ყოფნის საშუალება საღამოობით და ზაფხულობით, შვეტულების დროს მქონდა. ყოველ შემთხვევაში, ნორმალური შვილები გავზარდე, ამაშიც გამიმართლა... ჩემი ორი შვილი ჩემს გზას გაჰყვა: გიორგი პროფესორია, თამარი — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი. თამარი შემცირებაში მოჰყვა და აშუამად შვილიშვილებს ზრდის; მესამე შვილი — დავითი ექიმი, ჟორდანიას სახელობის კვლევით ინსტიტუტში ანდროლოგად მუშაობს. არ მინდა მათ მამაზე ლაპარაკი, ვინაიდან ერთმანეთს ძალიან დიდი ხნის წინ დავმორდით...

ზხო-უაჯლოდ დაარბული ბაბა

— ჩვენი ოჯახიდან პირველად ევგენი მიქელაძე აიყვანეს, მერე დედას ბიძაშვილ-მამიდაშვილები, ერთ მშვენიერ დღეს კი მამასაც მოაკითხეს. იმ დროს მამა მოსკოვში გახლდა. დედამ ოფიცერი უთხრა, — დავითი მოსკოვშია, მას იქ ოჯახი ჰყავს, აქ ხანდახან ჩამოდის და მისი მისამართი არ ვიციო. მაშინ გამიკვირდა, ეს რატომ თქვა-მეთქი?! ერთ ღამეს ჩხრეკაზეც მოვიდნენ. სიმართლე გითხრა, არ ვიცი, რას ექებდნენ, მაგრამ სულ გადმოყარეს ლოგინები, წიგნები. მამას ჩამოტანილი უცხო სიტყვათა ლექსიკონები რომ ნახეს, მე მეკითხებოდნენ, — ეს რა არისო? გამომძიებელმა იარაღი მოიძია — კარადაში მამაჩემის სანადირო თოფი ნახა, მოენონა, მხარზე გადაიკიდა და წაიღო. მერე გავიგეთ, რომ სანადირო თოფის ქონა დანაშაულად არ მიიჩნეოდა. მამამ დედას შემოუთვალა: მე მაგათ ციხეში არ ჩავჯდე-

ოხარი „აღაზიანი“ და პატრიოტიზმი — „აღაზარულად“

— ომის დაწყებამდე დაკავშირებით, ისტორიული ფაკულტეტი ხუთწლიანიდან ოთხწლიანად გადაკეთდა. ჩვენ ფილოსოფიის კურსთან გაგვკვეთიანეს და უნივერსიტეტი მსოფლიო ისტორიკოსის სპეციალობით დავამთავრე. ბიჭებს სამხედრო სწავლება ჰქონდათ, გოგონებს — მედიცინის კურსები, მაგრამ მასსოფს, ბიჭებთან ერთად „სამხედროს“ ჩვენც გავდიოდით. ვერა და ვერ ვანყობდი იმ ოხერ „კალამნიკოვის“ ავტომატს — დაშლით ვშლიდი, მაგრამ აწყობის დროს ნაწილი რომ არ დამრჩენოდა, არ არსებობდა. ახლომხედველი ვარ და ბავშვობიდან სათვალეს ვატარებდი. მასწავლებელი მუდმივად მეჩხუბებოდა: მოიხსენი, სათვალით სროლა არ შეიძლებაო, მე კი ვუსხნიდი, — უსათვალოდ ვერ ვხედავ-მეთქი და ასე გრძელდებოდა...

ოცნება „ჩრდნაბურაბა“

— როცა ლექციების კითხვა დავიწყე, ოჯახი უკვე შექმნილი მქონდა, ერთი შვილიც მყავდა; მას მეორე და მესამეც მოჰყვა... ძნელი იყო დეგობისა და სამეცნიერო საქმიანობის შეთავსება, მაგრამ ყოველთვის მყავდა დამხმარე, შინამოსამსახურე. ვიდრე გიგა მოსკოვში სწავლობდა, დედა ძირითადად, ჩემთან ცხოვრობდა და შვილების აღზრდაში მესხმარებოდა, მაგრამ როცა გიგა ჩამოვიდა, დედა მასთან გადავიდა, რადგან ვაჟს თავისებური მოვლა-მზრუნველობა სჭირდებოდა, მას ხომ ფეხი აწუხებდა. ჩემი ვაჟები რომ წამოიზარდნენ, მოსამსახურესთან ერთად, მეორე დამხმარე ქალიც ავიყვანე, რომელსაც კონსერვატორია ჰქონდა დამთავრებული. იგი ბავშვებს სკოლაში ატარებდა და მეცადინეობაშიც ეხმარებოდა. ერთხელ ჩემი კოლეგის ცოლმა მითხრა, — შენზე ამბობენ, „კნიაჟესკი შამაშკებს“ არ ეშვები, თურმე ორი მოსამსახურე გყავსო. ვუპასუხე: მე და შენს ქმარს ერთნაირი ხელფასი გვაქვს, მაგრამ შენ „ჩერნაბურკაც“ გაქვს და ნაირ-ნაირი პალტოც, ჩემთვის კი „ჩერნაბურკა“ ოცნებაა, ზაფხულის კაბაც ერთი მაქვს და ზამთრისაც; ოპერაში თუ მივდივარ, იმ ერთადერთ



ბიო და იმალეობდა, ხანდახან ჩუმად ჩამო- დიოდა... რამდენჯერმე დედაც დაიბარეს დასაკითხად. მას მეც თან მივყვებოდი და კიბეზე ჩამომჯდარი ველოდი. ერთმა რუსის

და, იმის ნიშანია, რომ ის, რასაც სტალინ- მა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეესწირა, კაცობრიობის პროგრესული გან- ვითარების იდეას არ პასუხობდა. მის მიმართ ობიექტური ვერას- დროს ვიქნები იმიტომ, რომ ჩემ ირგვლივ ყველა ოჯახი სტალინის მიერ იყო დარ- ბეული და გაუბედურებული, მაგრამ ობიექტურადაც რომ გითხრათ, სისტემა, რომელ- იც მან შექმნა, არ იყო კაცო- ბრიობის პროგრესული გან- ვითარების ეტაპი, ამიტომაც მოხდა, რაც მოხდა.

გიორგის ორდენი (შემკული ოქროთი, ზურმუხტით, ბრილიანტითა და მინაქრით), თან მითხრა: ერის, ქვეყნისა და ქართული ეკლესიის წინაშე დამსახურებისთვის გა- ჯილდოვებო. ისიც თქვა: მისი ღვაწლის გამო, ქალბატონ მარიამს „საქართველოს დედის“ ტიტულს ვანიჭებო. მაშინ კი ვე- ლარ შევიკავე თავი, გული ამიჩუყდა და ცრემლები წამომივიდა. არ ვიცი, ამას რამ- დენად ვიმსახურებ, მაგრამ რადგან პა- ტრიარქმა ასე ბრძანა, ეს ჩემთვის უდიდესი პატივია.

ბაგრატიონების ლაგენდა


— ლეგენდა ვუნოდე ბაგრატიონებს, რის გამოც ერთი ამბავი დამანეც. ნიკო ბერძენიშვილმა დამიბარა და ამის ასსნა მომთხოვა. ვუთხარი, — თუკი არსე- ბობს ლეგენდა არგონავტების ან ნიბე- ლუნგების შესახებ, რატომ არ შეიძლე- ბა იყოს ლეგენდა ბაგრატიონთა ღვთი- ური წარმომავლობის შესახებ-მეთქი? აღარაფერი უთქვამს. დიდი ხნის წინ შეიქმნა მონარქისტთა კავშირი, თემურ ყორყოლიანის ხელმძღვანელობით. ის დროა, როდესაც ჩვენი მონარქისტების ერთი ნაწილი იტალიაში დარბის, მე- ორე — ესპანეთში, მარიამ ბაგრა- ტიონთან. დამიბარეს, ბევრი ვილაპარა- კეთ და ვუთხარი: რა გინდათ ან ესპა- ნეთში, ან იტალიაში? აგერ, საქართველო- ში გყავთ მუხრან ბაგრატიონის შტო, ქართლ-კახეთის სამეფოს უშუალო წარ- მომადგენელი, ერეკლეს პირდაპირი ჩამომავალი ნუგზარ ბაგრატიონი; ასევე იმერეთის სამეფოს პირდაპირი ჩამო- მავალი — ნინო ბაგრატიონი, თქვენ იმაზე უნდა იზრუნოთ, რომ მათი მემკვი- დრე მეფედ გაიზარდოს, მომზადდეს- მეთქი. ერთი ამბავი ატყდა, — ეს რო- დის იქნებაო?! ყველაფერი ერთ დღეში უნდოდათ. ოპონენტებს ვუთხარი, — სხვათა შორის, ჩემი წინაპრები მეფის სამსახურში იდგნენ და პატიოსნად მსახ- ურობდნენ. როდესაც სოლომონ II თურქეთში გაიქცა, მას ჩემი წინაპარი, ბერი ლორთქიფანიძე გაჰყვა თან. ბუბი- აჩემის, მართას დედა ბაგრატიონი იყო. მთელი ჩემი ცხოვრება ამ გვარის ისტო-

ყვალა აქირფასი იუბილა

— ამჟამად ლექციებს სახ- ელმწიფო უნივერსიტეტსა და სასულეიერო აკადემიაში ვკითხულობ. ბევრი კარგი სტუდენტი მყავს. ხანდახან, ბავშვს რამდენჯერმე ვცდი ხოლმე. სახლში მეუბნებოდ- ნენ, — რა ამბავია, გამოცდებს ამდენ ხანს რომ არ ამთავრებ, დაანებე თავიო. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ მინდა, კარგად ისწავლონ. სხვათა შორის, შემდეგ ამისთვის ბევრ სტუდენტს მად- ლობაც გადაუხდია. მოსწავლეებმა უნი- ვერსიტეტში 80 წლის იუბილე გადამიხა- დეს, რაც ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იყო და უხერხულობისგან აღარ ვიცოდი, სად წავსულიყავი. ჩემი კრებულები ამიკინ- ძეს, სხდომაც მათ მოიწვიეს ისე, რომ არაფერი ვიცოდი; ბოლოს სიტყვით გამ- ოვედი და თვალები სიხარულის ცრემ- ლით მქონდა სავეს. ყველანაირი იუბილე სასიამოვნოა, მაგრამ ეს ყველაზე ძვირფა- სი იყო ჩემთვის. მთელი ცხოვრება კათე- დრაზე, სტუდენტებთან გავატარე და როდესაც მათ ეს ბედნიერი წუთები მაჩუ- ქეს, ენით აუნერული განცდა დამეუფლა.

„საქართველოს დედის“ ბიბლია პატიარქისგან

— საბჭოთა ხელისუფლების დროს არავითარი ჯილდო, ორდენი და მედალი არ მიმიღია, შევარდნაძისგან ღირსების ორდენი მოგვიანებით მივიღე. ჰო, მივიღე და რა ვქნა?! ამერიკის ბიოგრაფიის ინ- სტიტუტმა წლის საუკეთესო მეცნიერად, შემდეგ — მოღვაწედ გამოაცხადა და მე- ალიც გამომიგზავნეს. ყველაზე ძვირფასი ჯილდო პატრიარქის ნაჩუქარი წმინდა გიორგის ოქროს ორდენია. გასულ წელს, ოჯახის წევრებთან ერთად საპატრიარქოში დამიბარეს. ვიფიქრე, — უწმინდესს ალ- ბათ, ჩემი ოჯახის დალოცვა უნდა-მეთქი. ადგილზე უამრავი ხალხი დამხვდა. კათო- ლიკოს-პატრიარქმა დიდ დარბაზში შემი- ყვანა, სავარძელზე დამსვა და ბრძანა: დღეს ჩვენ შევიკრიბეთ ქალბატონი მარიკას პა- ტივსაცემადო. თავი უხერხულად ვიგრძე- ნი... შემოიტანეს და უწმინდესმა გადმომ- ცა მათი უმაღლესი ჯილდო — წმინდა



ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მყავს შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები

ოფიცერმა ისიც მითხრა: რას ელოდები? იქ ვინც შედის, უკან აღარ გამოდისო, მაგრამ მაშინ მე ამის ნაკლებად მჯეროდა. ის გამოძიებელი მალევე დააპატიმრეს და დედა დაჭერას გადაურჩა. მამა მინც დაა- პატიმრეს, მოსკოვში. 1945 წელს მის სან- ახავად წავედი. მომცეს ქალაღი, რომელზეც ეწერა: „10 ლეტ ბუზ პრავა პერეპისკი ვ დალნიე ლაგერია“. თურმე უკვე ცოცხალი აღარ იყო. ვერ აგიწერთ, ეს რა საშინელება გახლდათ. მეგრე, როცა რეაბილიტაციის ამბები დანიწყო, ორი ქალაღი მომცეს: ერთზე წერია, რომ დავით ლორთქიფანიძე ანტისაბჭოური საქმიანობისთვის დააპატიმრეს და გადა- ასახლეს; მეორეზე — მისი დანაშაული არ არის დადგენილი და რეაბილიტირებუ- ლიაო. ასეთი ორი დოკუმენტი მილიონო- ბით ადამიანს უდევს სახლში. ისიც არ ვიცი, როდის და რა ვითარებაში დაილუბა მამა — ბანაკში გარდაიცვალა თუ დახ- ვრიტეს...

ისტორიული გმირები და სტალინი

ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენე- ბელი, სიმონ მეფე ჩემი საყვარელი ისტო- რიული გმირები არიან. მიყვარს მაკედონე- ლი — ძალიან დიდი პიროვნება იყო და კაცობრიობის ისტორიაში მთელი ეპოქა შექმნა... საერთოდ, ისტორიული პიროვნება მისი დანატოვრითაც ფასდება. ახლა სტალინზეც ბევრს ლაპარაკობენ. მან მილი- ონობით ადამიანს შესწირა სისტემის ჩამოყალიბებას, გარდაიცვალა და რა დარჩა მისგან? კი, ნამდვილად გენიოსი იყო და უზარმაზარი იმპერია შექმნა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ხშირად მედავებიან, სტალინის შემდეგ ჭკვიანი კაცი არ აღ- მოჩნდა, ხრუსჩოვმა ეს ქნა, ის ქნაო. ისიც, რომ მის შემდეგ ჭკვიანი არავინ აღმოჩნ-



რიას ვსწავლობდი, ამ გვარს პატივს ვცემ, მაგრამ რეალისტები უნდა ვიყოთ, ყველაფერს თავისი დრო აქვს-მეთქი. გაგება არავის უნდოდა და რა გამოვიდა, ხომ ნახეთ?!

ჩემი დიდი ოჯახი

— ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მყავს შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები. 7 შვილიშვილი მყავდა და 6 დამრჩა — ეს ჩემთვის მოუშუშებელი ტკივილია. დათუნა, გიორგის ვაჟი 14 წლის იყო, როცა მომიკლეს. ახლაც არ ვიცი, რის გამო, მკვლელები დღესაც დაუსჯელია, სადაღაც გააპარეს. უაღრესად მორწმუნე და კეთილშობილი ბავშვი იყო... მყავს 8 შვილთაშვილი, მათგან ერთი ჩემი მოსახელეა, პატარა მარიამ ლორთქიფანიძე. სიდედრიც და დედამთილიც კარგი ვარ — რაც მართალია, მართალია. თუ სადმე სიდედრებზე ქილიკობენ, ჩემი სიძე მათ ყოველთვის აწვევს: არ გავიგონო სიდედრების დაცინვაო (იცინის)! ჩემს საქმეში თავი დაჩაგრულად არასდროს მიგრძნია. რასაკვირველია, შეცდომებიც მქონია და დანაშაულიც ჩამიდენია, ვგულისხმობ, ჩემი პირველი ქორწინების დანგრევას, თუმცა ეს მარტო ჩემ გამო არ მომხდარა... სამივე შვილი მისგან მყავს, ჯვარიც გვაქვს დანერგილი და სამივე კანონიერია (იცინის).

„ისა ნუ წავალ...“

— მე უკვე იმ ასაკში ვარ, დიდხანს ვეღარ ვიცოცხლებ და იცით, რაზე ვოცნებობ? — ისე ნუ წავალ, რომ ჩემი ქვეყანა არ გამოთლიანდეს. ჩემთვის ხშირად უთქვამთ, ადენი შვილი და შვილიშვილი გყავს, სხვა რაღა გინდაო? მთავარი, რაც მინდა, აი, ეს არის! როცა ვუყურებ, როგორ ვითარდება მოვლენები, ძალზე კრიტიკული ვხდები, მაგრამ არ მინდა, თავიდან და გულიდან ამოვიგდო ის აზრი, რომ ოდესღაც საქართველო გამოთლიანდება; არ მინდა, ამ ქვეყნიდან ისე წავიდე, რომ ეს დარდი თან წამყვებს. დღეს პოლიტიკური თვალსაზრისით საფაღვლო მდგომარეობაა. ის, რაც რუსებმა გაგვიკეთეს, — კარგიც და ცუდიც, თუ ვინმემ იცის, მე ვიცი, მაგრამ მის იქით გზა რომ არა გვაქვს? — საზღვარი მასთან გვაქვს და რაც უნდა დაიშალოს, დასუსტდეს, რუსეთი ყოველთვის, ჩვენზე ძლიერი იქნება, ამიტომ რაღაცნაირად უნდა გამოვწახოთ საერთო ენა. იმას კი არ ვგულისხმობ, რომ ავდგეთ და შევუერთდეთ — ღმერთმა დაგვიფაროს! ჩვენი ნატოში შესვლაც ძალიან მეუჭევა. ასეც რომ მოხდეს, რა გგონიათ, ჩვენ რომ რუსეთი თავს დაგვესხას, ნატო ჯარს გამოგზავნის? — არც ჩაერევა და ეს არც ევალება. რუსეთმა ტანკებით სვალვე რომ გადაგვიაროს, არც გამიკვირდება, ამიტომ ცოტა სიფრთხილეა საჭირო და რაღაც გზების ძიება. ურთიერთობა თანასწორუფლებიან საწყისებზე უნდა დარეგულირდეს. XXI საუკუნეა და ცივილიზებული ურთიერთობებია აუცილებელი.

ქართული ბოგონას წარმატება და იმერული აქსენტით მოსაუბრე ამერიკელი

17 წლის ნინო ბორდუჩიანი 1 წლის განმავლობაში, მისურის შტატში ამერიკული სკოლის „გაცვლითი“ პროგრამით იმყოფებოდა. სწავლის პარალელურად, რეგიონულ მუსიკალურ ფესტივალში მონაწილეობდა, სადაც „პირველი ხარისხი“ მიანიჭეს, საშტატო კონკურსზე კი შოპენის პრელუდიების შესრულებისათვის საუკეთესო შეფასება დაიმსახურა და მედლები მიიღო.

— ეთო ყორღანაშვილი

— ამერიკაში ჩვეულებრივ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, სადაც ჩამოყალიბებული იყო ჯაზ-ბენდი და ბენდი, რომელიც ფეხბურთის თამაშებზე უკრავდა. მეორე სემესტრში მასწავლებელმა მუსიკალური ფესტივალის შესახებ გავიხსენა, რომელშიც თუ პირველ ადგილს დაიკავებდი, საშტატო კონკურსში მონაწილეობაც შეგეძლო.

— კონკურსში რომელი კლასის მოსწავლენი მონაწილეობდნენ?

— უფროსკლასელები: მე-9-დან მე-12 კლასამდე.

— შენ რომელ ინსტრუმენტზე უკრავდი?

— პიანინოზე. იქ პიანინო პოპულარული არ არის, ყველა საყვირზე, საქსოფონზე უკრავს. იმავდროულად, მასწავლებლის თხოვნას — სხვა ბავშვებისთვის (რომლებიც სოლოს უკრავდნენ) აკომპანემენტი გამეკეთებინა, დავთანხმდი. არ ვიცოდი, რაში ვყოფდი თავს (იცინის).

— მუშაობა გაგიჭირდა?

— აკომპანემენტს 12 ბავშვს ვუკეთებდი. საქართველოში ორკესტრთან კი დამიკრავს, მაგრამ მაშინ ორკესტრი მე „მომეყვებოდა“ და არა — პირიქით... გაკვეთილების შემდეგ, სკოლაში 3-4 საათის განმავლობაში რეპეტიციებზე ვრჩებოდი. ძალიან დამძლეული იყო, მაგრამ მომწონდა. მასწავლებელი მაძლობას მიხდებოდა. როგორც შევითქვე, ჩემი დონის პიანისტი არ ჰყოლიათ (იცინის).


— რა მუსიკალური განათლება გაქვს მიღებული?

— მუსიკალურ სკოლაში 9 წელი დავდიოდი. სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად 6-ჯერ დამიკრავს. აქტიური მასწავლებლები მყავდა:

ლუდა ვირიბაძე და კონსერვატორიის პროფესორი — ნუნუ ქელიძე.

— ამერიკაში რეგიონულ კონკურსს იოლად გაართვი თავი?

— კონკურსზე ოთახიდან ოთახში დავბრბოდი! გაირკვა, რომ პიანინოს



გარდა, ნებისმიერ სხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვირვებას შეეძლოთ, ნოტებით ეხელმძღვანელათ. სულ რაღაც, 5 წუთი მქონდა, რომ ნოტებისთვის გადამეხედა. საბოლოო ჯამში, შესრულებისას ხარვეზები მქონდა, მაგრამ როგორც ჩანს, მთელი გრძნობით დაუუკარი, რადგან პირველი ხარისხი მომიანიჭეს.

— საშტატო ფესტივალისთვის როგორ ემზადებოდი?

— ტაქტიკა შევცვალე: აკომპანემენტის გაკეთებისას თავს აღარ ვიკლავდი (იცინის). სამაგიეროდ, ჩვენს მასწავლებელს უნიკალური იდეა გაუჩნდა: გადამწყვიტა, მუსიკალური ფესტივალი უმცროსკლასელებსთვისაც ჩაეთარებინა. რა თქმა უნდა, ბავშვებს აკომპანემენტს მე ვუნწევდი. ვიფიქრე, სამუშაოს ნახევარს ავიღებ-მეთქი, მაგრამ თავი უხერხულად მაგრძნობინეს — შენ რომ არ დაუკრა, დავილუპებო!

— ეს ყველაფერი სწავლაში ხელს არ გიშლიდა? როგორც ვიცი, ამერიკაში ცოდნის გასაღრმავებლად



გაემგზავრე, ოლონდ მუსიკალური კუთხით — არა.

— უძილობის ხარჯზე ყველაფერს ვასწრებდი. სამაგიეროდ, მორე დღეს „დადებილებული“ დავდიოდი (იცი-



ნის). თან, პატარები უფრო არაპროფესიონალი შემსრულებლები არიან: როცა შეეშლებოდათ, ჩერდებოდნენ — თავიდან დავინწყებთო. უმცროსკლასელთა მუსიკალური ფესტივალის დღე ჩემი ლიბანელი მეგობრის სკოლის ბანკეტის დღეს დაემთხვა. გიჟივით დავრბოდი: 8-დან 12 სთ-მდე ფესტივალზე ვიყავი, მერე ბანკეტზე წავედი. ამასობაში, საშტატო კონკურსის დროც მოახლოვდა.

— აკომპანემენტს ვინმეს საშტატო კონკურსზეც უწევდი?

— კი, გარდა იმისა, რომ სოლოს ვასრულებდი, აკომპანემენტს 3 ბავშვს ვუწევდი. ძალიან ვნერვიულობდი. რეგიონულ ფესტივალზე ჟიურის წევრებმა გამიღიმეს, საშტატოზე კი ერთმა ჩინელმა ქალბატონმა მკაცრად გამომხედა (იციანის). სხვათა შორის, ჩემ მიერ შესრულებული მუსიკალური ნაწარმოები არასოდეს მომწონს, მაგრამ იმ დღეს მომეწონა (ილიმის). საშტატოზეც რომ გავიმარჯვე, ჭკუაზე არ ვიყავი!

— პიზუები თუ გადმოგცეს?

— მედლები და კათხა გადმომცეს (იციანის), ასევე — პლასტიკური ბარათი, გარკვეული თანხით. იქ ყოფინასა ამბიციებიც გამიჩნდა — ვიფიქრე, „ჯულიარდის“ მუსიკალურ სასწავლებელში ჩავაბარებ-მეთქი, მაგრამ დედაჩემმა „მინაზე დამსვა“. თავდაპირველად, ვერ გავანალიზე, რომ წარმატების მიღწევა ამერიკაში უფრო იოლია, ვიდრე — საქართველოში: მუსიკალური ფესტივალი საქართველოში რომ ყოფილიყო, უფრო მაღალი კონკურენცია იქნებოდა...

— ამერიკაში ვისთან ერთად ცხოვრობდი?

— ლეკომების ოჯახთან — დედა,

მამა და 2 ბავშვი არიან.

— შენს მუსიკალურ წარმატებას როგორ შეხვდნენ?

— პირველ კონცერტზე ჩემთან ერთად იყვნენ, მეორეზე — ვერა, რადგან საკმაოდ შორს ჩატარდა. „მამობილი“ მთელი 2 თვე გზაზე „გავაკაღი“ — სკოლაში მივყავდი, მოვყავდი... „დედობილის“ ძმა პროფესიონალი მუსიკოსი გახლავთ. კონკურსზე აკომპანემენტს გუნდებს უწევდა და რჩევას მაძლევდა: არ ინერვიულო. მთავარია, რიტმიდან არ ამოვარდყო. კონკურსში მონაწილეობა ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობა იყო!

— თავდაპირველად ამერიკელებთან ურთიერთობა არ გაგიჭირდა?

— მე ბრიტანული ინგლისური ვიცოდი და ბუნებრივია, თავდაპირველად, გარკვეული სიტყვების მნიშვნელობას ვერ ვიგებდი. ბევრი მეგობარიც არ მყავდა. ბენდში რომ გავწევრდი, დამაფასეს (იციანის). ყველას ჯორჯიის შტატიდან ვეგონე, სადაც ადამიანები ფერმერულ ცხოვრებას მისდევენ — „სვეტსკები“ არ არიან. მათზე ბევრს ხუმრობენ. უაზრო ხუმრობები ჩემზეც დაიწყეს. მივხვდი, რომ ყველას ჯორჯიის შტატიდან ვეგონე, მაგრამ სიხარულს ხომ არ ჩავუკლავდი (იციანის)?! ბოლოს ერთმა გოგონამ „დამამშვიდა“: ნუ გეწყინება, ხომ იცი, ჯორჯიელეებზე როგორი გართულება აქვთო? — რატომ უნდა მეწყინოს? ჯორჯიის შტატიდან კი არა, საქართველოდან ვარ-მეთქი! — ვუპასუხე. ძალიან დაინტერესდნენ. ჩვენი ქვეყნის შესახებ უამრავ კითხვას მისვამდნენ, თავიანთი სახელები ქართულად დამანერინეს... ერთხელ ერთ-ერთმა ბავშვმა იმერული აქცენტით (როგორ „მოახერხა“, არ ვიცი), ქართულად მკითხა: როგორ ხარო? ბევრი ვიციენ. მერე ცდილობდა, იმერული აქცენტის გარეშე მომსალმებოდა (იციანის).

— ამერიკაში ქართველებს თუ ხვდებოდი?

— ჩემი ბენდის ხელმძღვანელს დიაბეტი ჰქონდა. ყოველთვის მეუბნებოდა, — საქართველოში „დიაბეტის ბანაკია“ და რომ გაემგზავრები, მომიკითხეო. ვერ გავიგე, რას გულისხმობდა. ერთ დღეს გაკვეთილზე შევედი და ოთახში ჩოხა-ახალუხი, ფაფახი, ხანჯლები, ხელნაკეთი ქართული ნივთები, სამაჯურები, ქალის ნაციონალური სამოსი დავინახე. მეჩვენება თუ ქართულ დროშასაც ვხედავ-მეთქი? — გავოგნდი. როგორც შევ-

იტყვე, დოქტორი თრიში (ეს ქალბატონი მისურში, კოლუმბიის უნივერსიტეტი მუშაობს) 1999-დან 2003 წლამდე საქართველოში იმყოფებოდა და ალმოაჩინა, რომ ბევრი პატარა ბავშვი იღუპებოდა იმის გამო, რომ უფროსებმა არ იცოდნენ, დიაბეტისათვის როგორ მიეხედათ. ამიტომ ბაკურიანში დიაბეტით დაავადებული ბავშვებისთვის ბანაკი დააარსა, სადაც პატარებსა და მათ მშობლებს ამ დაავადების მეკურნალობას ასწავლიან. დოქტორი თრიში ბავშვების დასახმარებლად საქველმოქმედო მართონს ხშირად აწყობს. ჩვენს სკოლაშიც გაიმართა, მაგრამ თავად ვერ დაესწრო (მგონი, საქართველოში გამოემგზავრა). სამაგიეროდ, კოლუმბიის უნივერსიტეტიდან 5 ქართველი გვესტუმრა, საქართველოს დროებით! საქველმოქმედო აქციას „სიარული და ძუნძული“ ერქვა. მართონში მონაწილის მთავარი მოვალეობა ისეთი ადამიანის პოვნაა, ვინც მონაწილეს 1 წრის შემორბენისას გარკვეულ თანხას გადაუხდის, დააფინანსებს. რაც უფრო მეტ წრეს დაარტყამ, მით მეტ თანხას აიღებ. 1.000 დოლარამდე აგროვებენ ხოლმე, პირადად მე კი 40 დოლარამდე „ავჯაჩე“. თავდაპირველად მონაწილეობას არ ვაპირებდი, მაგრამ ხალხმა ქართველი ბავშვების დასახმარებლად ოფლის ღვრა რომ დაიწყო, შემრცხვა (ილიმის). იმ დღეს პირველი ვიყავი — 13 მილი გავიზბინე, მომდევნო 2 დღის განმავლობაში კი ვერ დავდიოდი, მოძრაობა მიჭირდა — ყველაფერი მტკიოდა (იციანის).

— 1 წლის განმავლობაში ამერიკაში ცხოვრობდი. საქართველოში დაბრუნებული თავს როგორ გრძნობ?

— იქ თავისუფალი დრო რომ გაქვს, არ ფიქრობ — ვაიმე, რა გავაკეთოო! სხვა თუ არაფერი, ტელევიზორს უყურებ — ბევრი საინტერესო გადაცემა აქვთ. შეგიძლია, ბოულინგის სათამაშოდ ან კინოში წახვიდე. კინოს ბილეთი იაფი ამერიკაშიც არაა, მაგრამ იქ ხალხს კარგი შემოსავალი აქვს. ბევრი თინეიჯერი ფულს საკუთარი შრომით შოულობს: გაკვეთილების მერე მიდიან და საღამომდე მუშაობენ. ჩემი მეგობარი მუშაობდა — მსოლოდ ბავშვის დაძინება ვევალებოდა...

— ნიო, პროფესია უკვე არჩეული გაქვს?

— საოცნებო პროფესია არ მაქვს, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, ვინ არ მინდოდა, რომ გამოვსულიყავი: ექიმი, მასწავლებელი, კოსმონავტი (იციანის)... ისეთი პროფესია მინდა, რომელიც ცხოვრებაში გამოამადგება. და კიდევ, უცხოეთში გადახვეწა ნამდვილად არ მსურს...



„ნაშობა“ ქალები და „დასაბა“ ბიჭები

ანუ სად შეიძლება გამოიჭირო დროებითი „ლოკე“

საკურორტო რომანის ხსენებას ბევრი ერიდება, რადგან იციან, რომ ასეთი ურთიერთობა თითქმის ყოველთვის, ზაფხულს მიჰყვება თან, მაგრამ თინეიჯერები ხომ ის ადამიანები არიან, რომლებსაც მავანთა თქმით, არანაირი კომპლექსი არა აქვთ. ჰოდა, ჩვენც სწორედ ასეთ „თავაშვებულ“ მოზარდთა სამეგობროს, როგორც იტყვიან, ყნოსვით მივაგენით.

ლია ქავია

ანამარია, 17 წლის:

— პირველი საკურორტო რომანი 2 წლის წინ მქონდა, როცა ქობულეთში მეგობრებთან ერთად „გავინითე“. იმ ზაფხულს ძალიან გამომართლა — მამაჩემს ეგვიპტის საგზური უბოძეს და დასასვენებლად ცხადია, დედასთან ერთად გაემგზავრა. ჰოდა, მე და ჩემმა ძმამ ამით ვისარგებლეთ: მე ჩემს მეგობრებთან ერთად, ქობულეთისკენ ავიღე გეზი, ჩემი ძმა კი სვანეთში გაემგზავრა, სადაც შეყვარებული ეგულეობდა. მართალია, იქიდან კარგად ნაცემნაბეგვი, მაგრამ მაინც კმაყოფილი დაბრუნდა.

ნინო, 17 წლის:

— ისე, ანამარიამ მართლა „დაცემა“ ბიჭი „გაჩითა“. ოხერი გოგოა, რა და მაგრადაც უმართლებს. აბა, ჩემი გიჟუა ერთი ტანმორჩილი „მამიკოს ბიჭი“ იყო, მაგრამ იმ ზაფხულს მაინც ვეღლაბუცე.

— თუ არ მოგწონდა, თავს მასთან ღლაბუცის უფლებას რატომ აძლევდი?

— მასზე უკეთესი ჰორიზონტზე არავინ ჩანდა და დებილივით მართლ ხომ არ ვივლიდი?

ანამარია:

— თან ყველას ვილაც გვყავდა „დათრეული“ და ნინო მარტო რომ ყოფილიყო, „გაგვიტეხავდა“... დათუნა ზღვის სანაპიროზე გავიცანი. იცი, რა ფერის თვალები ჰქონდა? — ზღვასავით ლურჯი და ამინდის შესაბამისად, თვალის ფერი ეცვლებოდა ხოლმე. თურმე, მამამისი ოდესღაც „გაიში“ მუშაობდა, მერე კი სამსახურიდან დაუთხოვით, კაცს ეს ვერ აუ-



ტანია და როგორც დათუნამ მითხრა, საცოდავს გული გაუსკდა. ქმარი რომ გამოიგლოვა, დედამისი სამუშაოდ საბერძნეთში წასულა და შვილს იქიდან ეხმარებოდა. დათუნაც აპირებდა საბერძნეთში წასვლას, მაგრამ არ ვიცო, რა ბედი ეწია.

— თუ ასეთი მაგარი ბიჭი იყო და ერთმანეთიც მოგწონდათ, ხელ-იდან რატომ გაუშვი?

— როგორც გაცნობა, ისე დაშორებაც მისი ინიციატივით მოხდა და შარვლის ტოტზე ხომ ვერ ჩამოვევიდებოდი? ისე, სიმართლე გითხრა, წინასწარვე ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან, ჩვენი ურთიერთობა დასრულდებოდა, რომ ის არ იყო ჩემთვის დაბადებულ-გაზრდილი. ისე, რა აუცილებელია, მხოლოდ მასთან გაბა ურთიერთობა, ვინც უსიკვდილოდ, ცოლად მოგიყვანს? თან, გათხოვება სულაც არ მეჩქარება — ჯერ თვალზე არ გამიხელია ნორმალურად და რომ გავთხოვდე, ეს იგივე იქნება, რომ გავგიჟდე და თვალში ნაცარი შევიყარო.

ნანა, 18 წლის:

— დათუნას სურათები მაქვს ნანახი და ანამარიას ისიც კი ვუთხარი, სულელი ხარ, ასეთი ბიჭი ხელიდან როგორ გაუშვი-მეთქი?!

— თუ ბიჭს არ უნდოდა ურთიერთობის გაგრძელება, ხომ ვერ დააბამდა?

ანამარია:

— ჰო, მეც სწორედ ამას ვამბობ. თანაც, დათუნა თავიდანვე გამომოტყდა, რომ შეყვარებული ჰყავდა, მაგრამ იმ დროისთვის მასთან რაღაც პრობლემები ჰქონდა და ჩემთან ყოფნით სევდის გაქარავება სურდა. მეც მსიამოვნებდა მის გვერდით ყოფნა და იმ ზაფხულს ჩემი „გავისწორე“. მოკლედ, სად არ ვიყავით — გონიო, ურეკი, ბათუმი, ფოთი, — თითქმის ყველა ზღვისპირა ქალაქი შემოვიარეთ და მაგრად გავერთეთ. ღამეები არ გვეძინა, დისკოთეკებზე დავეხეტებოდით, ცეკვაში ვათენ-ვალამბდით... სამწუხაროდ, ზაფხული მალე ამოინურა, ჰოდა, ჩემი და დათუნას გზებიც გაიყარა — ის ზუგდიდში წავიდა, მე თბილისში ჩამოვედი.

— და მას მერე ერთმანეთს აღარ დაკონტაქტებინართ?

— ერთი-ორჯერ კი დამირეკა, მაგრამ მერე ჩემი ნომერი მივივიწყა და ახლა აღარც კი ვახსენებდი, ალბათ.

ნინო:

— ისე, რა მაგარი იქნება, ახლა რომ მოვიდეს და გითხრას: გულში ჩამივარდი. 2 წელია ვცდილობ, და გივიწყო, მაგრამ ეს ვერ მოვახერხე...

ანამარია:

— აუ, ასე რომ მოხდეს, მაგრად „გამისწორდება“, მაგრამ არა მგონია, ეს ამბავი გიგის ესიამოვნოს.

ნანა:

— ცნობისათვის, გიგი ანამარიას შეყვარებულია...

ანამარია:

— (ანწყვთინებს) საკუთარ თავზე თავადვე ვილაპარაკებ! შენ ჯობია, შენი თავგადასავლები გაისხენო... გიგი 6 თვის წინ გავიცანი. ეს საკურორტო რომანი ნამდვილად არ არის, ჩვენ სერიოზული ურთიერთობა გვაქვს და ამ ძლიერ სიყვარულს დათუნაც კი ვერ დაანგრევს, მი-





უხედავად იმისა, რომ ვიცი, მისი თვალეები „დამბრიდავს“... მაგრამ მაინც, მე ძლიერი ნებისყოფა მაქვს და დათუნას მზერას ადვილად გავუმკლავდები, გიგის მასში ნამდვილად ვერ გავცვლი.

— ეი, სერიოზულად ხარ შეყვარებული, რაც იმას ნიშნავს, რომ წელს საკურორტო რომანი არ გექნებოდა და არც გექნება...

— რა სისულელეა?! ჩვენ ჯერ ცოლ-ქმარი კი არ ვართ, სხვა ბიჭებთან ფლირტობაზე უარი რომ ვთქვა. მიუხედავად იმისა, რომ შეყვარებული მყავს, წელს გონიოში ყოფნისას თავს უფლება მივეცი, ახალი „პაკლოსთვის“ დროებით, გული გამეხარებინა და მას კოცნის უფლებაც მივეცი.

— და შენი საქციელით ახლა კმაყოფილი ხარ?

— რატომაც არა?! დარწმუნებული ვარ, რაჭაში გიგიც წაეფლირტავებოდა ვილაცას და მე რატომ უნდა ვმჯდარიყავი ზღვის სანაპიროზე მკაცრი დედაკაცივით?..

ნანა:

— საკურორტო რომანი მხოლოდ ერთხელ მქონდა და ისიც კრახით დასრულდა — სანდრიკას თავისმა შეყვარებულმა სწორედ მაშინ მოჰკრა თვალი, როცა ხელიხელჩაკიდებულები მივსერირობდით და ლამის გადაირია: ჩვენთან მოვარდა, ისტერიკაში ჩავარდა, ყვირილი დაიწყო. სანდრიკამ თავი იმართლა (ცხადია, ეს არაკაცური საქციელი იყო) — ეს გოგო ჩემი ნათესავიაო, მე კი ტყუილის თქმისთვის დავსაჯე და იმ დედაკაცს პირში მივახალე: გატყუებს, ახლახან გავიცანი და უკვე სიყვარულს მეფიცებოდა; მეც, სულელმა დაფუჯერე ამ მატყუარას-მეთქი და მეტი დამაჯერებლობისთვის, სილაც კი გავანანი. ვიცი, მაშინ ცოტა ზედმეტი მომივიდა, მაგრამ ისეთ სულელურ სიტუაციაში აღმოვჩნდი, რომ მათზე მეტად საკუთარი თავი შემეცოდა და ასე ამიტომაც მოვიქეცი.

— გამოდის, შეყვარებულები ერთმანეთს დააშორე...

— ნუ გეშინია, ამ ამბიდან რამდენიმე დღის შემდეგ ერთად დასერირობდნენ სანაპიროზე და აჭარული ხაჭაპურითაც „სკდებოდნენ“. ხომ იცით ქალების ამბავი — მაგათ მორჯულებას რა უნდა?!

— ნინო, იქნებ შენს გიუმზაზეც მიაბზო რამე...

— აბა, რა გითხრა? ფული კი ჰქონდა და იცოცხლე, კარგად მომასუქა, საჩუქრებსაც არ მაკლებდა. ისე, სანდრიკასა და დათოსგან განსხვავებით, მეგონი, იმ საცოდავს სერიოზული გეგმები ჰქონდა და საჩუქრებით ამიტომაც მანებიერებდა, მაგრამ ვერ

მიართვეს... თბილისში რომ ვბრუნდებოდი, მთხოვა, — დამირევე ხოლმე, რა. იმედია, არ დამკარგავო. ამას რომ მეუბნებოდა, ისეთი საცოდავი გამომეტყველება ჰქონდა, რომ გამეცინა. გაბრაზდა, — რატომ დამცინიო? ვუთხარი: საყვარელო, ყველაფრისთვის დიდი მადლობა, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა აქ დასრულდა-მეთქი. საცოდავი, ლამის იტირა, თუმცა მე მაინც ვერ მომიღბო გული (იციინის). სხვათა შორის, შარშანაც ვნახე — მაგარი ნაშა მოუყვანია ცოლად.

ნანა:

— შენზე კარგი გოგო?

ნინო:

— ჰო, რა იყო, მართლა კარგი გოგო „დაუთრევი“. ეტყობა, ის ნაშა ფულებით მოიხიბლა, თორემ იმ დონდლოს როგორ გაჰყვებოდა?! სამწუხაროდ, წელს ვერავინ „დავითრიე“, რადგან დასასვენებლად არსად წავსულვარ — თბილისში ვაგდივარ. ალბათ, აგვისტოს ბოლოს მოვახერხებ სადმე გავარდნას და იქნებ, „გზისთვის“ საინტერესო ამბებიც „გაჭიოთ“. წარმატებები მისურვე...

— წარმატებებს გისურვებთ, სამივეს! დაბოლოს, როგორ ფიქრობთ, ნუთუ არ შეიძლება, რომ საკურორტო რომანი ოჯახის შემწილი დავაგირგინდეს?

ანანაშკია:

— ასეთი რამ ძალიან იშვიათად, ათასში ერთხელ თუ მოხდება და ისიც მაშინ, თუ წყვილს ერთმანეთი უზომოდ მოეწონება.

ნანა:

— რატომ, ჩემი მამიდაშვილი გათხოვდა ბათუმში გაცნობილ ბიჭზე და ახლა არაჩვეულებრივი ოჯახი აქვთ.

ნინო:

— ისე, რა მნიშვნელობა აქვს იმას, სად გაიცნობ ადამიანს? უბრალოდ, დასასვენებლად რომ მიდიხარ, წინასწარვე იცი, რომ იქ უნდა გაერთო და მერე, ცხოვრების ძველ რიტმს დაუბრუნდე — ეს ძალიან „ტეხავს“, მაგრამ რას იზამ, ასეთია ცხოვრება... შესაძლოა, ოდესმე მეც ასე, ვითომ გართობის მიზნით „შებმულ“ „დაცემას“ გავყვე ცოლად (იციინიან). რა გაცინებთ? ოცნებას ვინ მოუკლავს, მე რომ გამომასალმოს წუთისოფელს?!

გოგონებმა ინტერვიუს ჩანერისთანავე თავიანთ ძმაკაცებს, გიოსა და ზუკას დამაკავშირეს, რომლებიც თურმე, საკურორტო რომანებით ხშირად ინონებენ თავს.

გიო, 19 წლის:

— თითქმის ყოველ ზაფხულს ზღვიდან ახალ-ახალი თავგადასავლით ვბრუნდები. არდადეგებს ყოველთვის ისე ვატარებ, რომ შთაბეჭდილება მთელი წლის განმავლობაში გამყვეს და ვცდილობ, არა

მარტო ზღვისპირა ქალაქში დავისვენო, არამედ მთებიც მოვიარო. ზღვაზე გოგონებთან ერთად ვერთობი, ვლაბაუცობ, მთაში კი სულიერად ვისვენებ.

— რატომ, მთაში გოგონების „შებმა“ რთულია?

— (იციინის) არა, უბრალოდ, ზღვიდან მთაში იმდენად დაღლილი ავდივარ (რა თქმა უნდა, გოგონებთან ურთიერთობით დაღლილი), რომ სუსტ სქესთან ლაზლანდარობის თავი აღარ მაქვს, იქ სულ სხვა რაღაცებზე ვფიქრობ. მაგალითად, ხშირად დავდივარ სანადიროდ, სათევზაოდ, მეგობრები (მხოლოდ ბიჭები) ვანყობთ ლაშქრობებს და ღამეს კარავში ვათენებთ. მოკლედ, სულ თავგადასავლების ძიებაში ვართ.

— წელს სად დაისვენე?

ზუპა, 18 წლის:

— წელს გონიოში ვიყავით, ახლა კი სვანეთში ვაპირებთ წასვლას.

გიო:

— სხვათა შორის, წელს სვანეთში პირველად მივდივარ. იქ წასვლა და საქართველოს ამ კუთხის დათვალიერება ჩემი ოცნება იყო და მეგობარმა ეს ოცნება ამისრულა — მას ბიძა სვანი ჰყავს და ნათესავებთან ჩვენც დაგვაპტივა. იმედია, კარგ დროს გავატარებთ.

— და სვან გოგონებსაც „ააგდებთ“, არა?

— გაგიჟდი? სვან გოგონებთან ხუმრობა ვის გაუგონია?!

ზუპა:

— ჰო, ალბათ, იქ ვინმე ძალიანაც რომ მოგვეწონოს, ხმასაც ვერ გავცემთ, შიშით.

— დავიჯერო, ასეთი მხდალები ხართ?

გიო:

— მგლისა და დათვის არ გეშინია, მაგრამ სვანებს ზედმეტს როგორ შევებდავთ (იციინის)?!

— რას ნიშნავს თქვენთვის საკურორტო რომანი?

ზუპა:

— დროებითი გასართობია, რა, რომელიც ადრე თუ გვიან, აუცილებლად დასრულდება.

გიო:

— შეუძლებელია, ზღვაზე გოგოს სერიოზულად შეხედო და მის ცოლად მოყვანაზე იფიქრო. ცხადია, გამოინაკლისი შემთხვევებიც არსებობს, მაგრამ მსგავსი რამ იშვიათად ხდება.

— გოგონები თქვენს მახეში იოლად ებმებიან?

— არა, კერკეტი კაკალიც შეგვხვედრია, მაგრამ იქ დასასვენებლად ჩასულები ძირითადად, გართობაზე უარს არასდროს ამბობენ. იშვიათად, რომ ვინმემ სერიოზული წინააღმდეგობა გავგინიოს. თუ ვხვდებით, რომ გოგოსთან ლაპარაკი



არ ღირს, რომ მისგან ვერაფერს მივიღებთ, მაშინ თავს ვანებებთ.

ზუპა:

— ამას წინათ მაგარი ნაშა „გაქძრო“. გიოს ვუთხარი, — ეს გოგო რომ ვერ „დავკერო“, შეიძლება ცუდად გავხდეთ. მთელი თვე ვეჩაღიჩე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მისმა გადაქვიდემ, მთელი ზაფხული ჩავიშხამე და ამის გამო, მეგობრების დაცინვის ობიექტიც გავხდი. თუმცა, ეს ამაღ ღირდა — მართლა მაგარი გოგო იყო და მისი დევნაც კი სიამოვნებას მანიჭებდა (იციინის).

— რატომღაც, საკუთარ თავში დარწმუნებული ბიჭების შთაბეჭდილებას ტოვებთ...

გიო:

— რატომ, ასე გახსნილად რომ ვლაპარაკობთ? იცი, ახლა გოგონებიც არ მალავენ, რომ ზღვაზე საფლირტაოდ მიდიან ხოლმე და ბიჭებს მით უმეტეს, დასამალი რა გვაქვს?!

რომელიმეს და გყავთ?

— კი, მე ერთი და მყავს, ზუკას — ორი.

— და არდადეგების დროს თქვენ დებიც ასე ერთობიან?

ზუპა:

— არ ვიცი, ისინი როგორ ერთობიან, მაგრამ ჩემი აზრით, „კერკეტი კაკლები“ არიან და მადლობა ღმერთს ამისათვის.

გიო:

— მე მსუბუქ ფლირტობაში პრობლემას ვერ ვხედავ. მთავარია, ზღვარს არ გადავიდნენ. ისე, ცოდვა გამხელილი ჯობს და ალბათ, მაგრად „გამიტყდება“, ზღვის სანაპიროზე ჩემი და რომ დავინახო, ვილაც ბიჭთან ერთად, ხელიხელგადახვეული და „მოზასავსე“.

ზუპა:

— აბა, ბიჭო, ეგ მართლა მაგრად „გატყხავს“!

— იმის გამო, რომ გოგონებს „აბამთ“ და მერე ისინი აღარც გახსენდებთ, პრობლემა არასდროს შეგქმნიათ?

— ერთხელ რაჭველი გოგო „შევაბი“. იმ სულელს თურმე, მართლა შევეყვარდი და როცა თბილისში წამოვედი, ლამის უკან გამომყვა, მთელი წელი მირეკავდა და მთხოვდა, მასთან ჩავსულიყავი. რადგანაც არ ჩავაკითხე, გაბრაზებულმა დაპკრა ფეხი და გათხოვდა — ვითომ ამით სამაგიერო გადამიხდა (იციინის)... მაგრამ ყველაზე სასაცილო იცი, რა არის? — სანამ გათხოვდებოდა, ძმა გამოგზავნა, ჩემს საცემრად. როცა იმ ბიჭს შევხვდი და ვუთხარი, ჩემსა და შენს დას შორის სერიოზული არაფერი ყოფილა, მე მას არაფერს შევპირებოვარ-მეთქი, მას რაიმეს კითხვა „გაუტყდა“, ბო-

დიში მომიხადა და თავის რაჭაში გაბრუნდა. ალბათ, ჩემს ერთი თვის გატაცებას ძმისგან მაგრად მოხედებოდა და ამიტომ უფრო გათხოვდა...

გიო:

— მე კიდევ, გოგოსთან ერთად ვიყავი და „ვზასაობდი“, როცა მოულოდნელად, თავს მამამისი წამოგვადგა და იქ ამბავი დატრიალდა... იმ საცოდავ გოგოს მგონი, მას შემდეგ ზღვა თვალითაც აღარ უნახავს. თბილისელი იყო და ეგონა, თავი ქუდში ჰქონდა, ახლობლები დედაქალაქში ეგულეობდა, მამამ კი სიურპრიზი მოუწყო და მოულოდნელად დაადგა თავს.

თინეიჯერები გვჩაჩენ

„გზის“ №29-ში დაიბეჭდა თებუნას მესიჯი, რომლის გამოქვეყნების შემდეგ ვილაც ბიჭმა დამირეკა და გამომივითხა, თუ როდის გამომიგზავნა ავტორმა ეს წერილი, შემდეგ კი გამომიტყდა, რომ თებუნა მასზე გვწერდა... რამდენიმე დღის შემდეგ მივიღე 19 წლის გიორგის „ეკემესი“, რომელიც თავის შეყვარებულს — თეოს მიმართავს. გამიჩნდა ეჭვი, რომ თეო იგივე თებუნაა და ამ წერილს ამიტომაც გთავაზობთ:

„ამ მესიჯს იმ იმედით გწერთ, რომ გამოაქვეყნებთ და შენც წაიკითხავ, თეო. არც კი ვიცი, როგორ დავინწყო... თითქმის ნახევარი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ერთად აღარ ვართ, თუმცა ჯერაც ვერ გამიცნობიერებია, რა მოხდა. დამშორდი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. მხოლოდ ეს საშინელი სიტყვები — „არ შეიძლება უდიდესი სიყვარული საპირისპირო გრძობამ შეცვალოს?“ — მოვისმინე შენგან. არ შეიძლება, თეო, რადგან ჩვენ ერთმანეთისთვის მხოლოდ შეყვარებულები არ ვყოფილვართ. ყოველთვის მჯეროდა, რომ გიყვარდი, შენმა მესიჯმა კი განამტკიცა ჩემი იმედი... მაგრამ შენ კიდევ ერთხელ მატკინე გული, როდესაც შენთან დაკავშირების მცდელობა მქონდა. მე მაინც მჯერა, რომ ეს უხეში პასუხი არა შენ, არამედ შენმა მშობლებმა გამცეს, შენი პირით. ხომ იცი, შემოძლია ცხოვრება უფრო დაგიმძიმო, მაგრამ ამას არ გავაკეთებ, რადგან მიყვარხარ და დარწმუნებული ვარ, მალე დამიკავშირდები. გელოდები, თეო. მიყვარხარ ისე, როგორც არასდროს“.

სალი, 21 წლის:

„მე მინდა, ზოგიერთი ყრუ ბიჭის გასაგონად ვთქვა, რომ ამ ფრაზის — „მე შენ მიყვარხარ“ — თქმა არ „ტყხავს“. ჰოდა, ამიტომ

მაც, ახლა სიყვარულის ასეთ ახსნას რამდენიმე ენაზე შემოგთავაზებთ და კარგად დაიმახსოვრეთ: ინგლისურად — აი ლავ იუ; ესპანურად — იო ტე ამო; სომხურად — ეს ქეს სირუმემ; აზერბაიჯანულად — მენ სენი სევირემ; ფრანგულად — ჟე ტემ; ბერძნულად — ეგაპო სუ; იტალიურად — იო ტი ამო; ბულგარულად — აზ ტი ობიჩამ; იაპონურად — ანატა ვა დაი სკუ დეს; ჩინურად — ვო აი ნი; უკრაინულად — ია ტებე კოხაიუ; არაბულად — ანა ახებეკ, ანა ახებეკი; შვედურად — იად ელსკირ დეი; გერმანულად — იხ ლიბე დის; ფინურად — რაკასტან სინუა; უნგრულად — სერეტლექე; თურქულად — ბენ სანა სევიორუმ; ესპერანტოზე — მი ამას სინ; ივრითზე — ანი ოხევეტ ოხტა; პოლონურად — კოსხამ ჩებე.





„მიუხატელისტი“ გოგონას გაბედული განსხადებები

„7 თვეში უკვე 1200 ფოტო მოვაბრძოვე“

მიხეილ სააკაშვილი 25 წლის თბილისელ გოგონას შეუყვარდა. სამოქალაქო მედიის ექსპერტი, სოციალური ქსელის „ფეისბუქის“ აქტიური წევრი ნინო ჭყელიძე, რომელსაც პრეზიდენტის 1000-ზე მეტი ფოტო აქვს, ამბობს, რომ ყველაზე სშირად სიზმარში პრეზიდენტს ხედავს — ადამიანს, რომელმაც მისი ცხოვრება სრულიად შეცვალა. ნინოს ქვეყნის პირველი პირის სურათები საკუთარი საძინებელი ოთახის კედლებზე აქვს გაკრული. მისი მობილური ტელეფონის ეკრანიდან და ნოუტბუქის მონიტორიდანაც მიხეილ სააკაშვილი იმზირება...

ცალმხრივ სიყვარულზე სასაუბროდ, შინ მიმინვია. ვიდრე საუბარს დავიწყებდით, უცებ ჩარკვიანის სიმღერიდან პატარა ნანყვეტი — „ყველაფერს ვეტყვი პრეზიდენტს...“ — გაისმა. თურმე ნინოს ტელეფონზე ურეკავდნენ... პრეზიდენტზე შეყვარებული გოგონა ძალიან მხიარული, გულახდილი რესპონდენტი და გულითადი მასპინძელი აღმოჩნდა...

სათუნა გახტორიძე

— ნინო, როგორ შეცვალა შენი ცხოვრება პრეზიდენტმა და რამ განაპირობა შენი მისდამი ასეთი დიდი სიყვარული?

— კარგად მახსოვს, 90-იანი წლები: შიმშილი, სიცივე, უშუქობა, ქურდობა, ყაჩაღობა, შეიარაღებული ბანდების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის დანთავება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. დღემდე გულში მაქვს ჩარჩენილი, სახალწლო ზეიმზე სკოლა რომ დამიცხრილეს და გოზინაყზე ნასწავლი ლექსი ვერ ვთქვი. ჩემს უბანში განსაკუთრებით მძიმე სიტუაცია იყო. ნაძალადევი ვცხოვრობ, აქ პოლიციელებიც კი ქურდული ტრადიციების მიხედვით ცხოვრობდნენ. ხუდადოვის ქუჩის ბოლოს მათი ბლოკოსტი იდგა და ყველა სამარშრუტო ტაქსის ავლა-ჩამოვლავზე ფულს ართმევდნენ, გასდიოდათ და იმიტომ... 16 წლის ვიყავი, პირველად კორუმპირებულ ადამიანებთან რომ მომიწია შეჯახებამ. პოლიციის სამმართველოში, პირადობის მოწმობის ასაღებად მისული, საშინლად გამანამეს, წინ და უკან მარბენინეს,

მხოლოდ იმიტომ, რომ ვილაცას ჯიბეში 15 ლარი არ ჩაუფდე. ახლახან კი პასპორტი ყოველგვარი პრობლემის გარეშე ავიღე. სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან დაიწყო რეფორმების განხორციელება, მენტალურადაც კი შეცვალა ხალხი. ადრე გოგონებს ქურდული მენტალობის, ნარკომანი ბიჭები მოსწონდათ, ახლა მათკენ აღარავინ იხედება. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ „ნახალოკველი“ ბიჭი ხმამაღლა იტყოდა, — ქურდობა არ მინდა, პოლიციელი ან სამხედრო უნდა გავხდეო.

— სააკაშვილი იმიტომ გიყვარს, რომ ქვეყანაში რეფორმები გაატარა თუ როგორც მამაკაცი, ისე გხვალავს?

— როგორც მამაკაცი, ისედაც მხიბლავს. მაგრამ ჩემი ყურადღება თავისი რეფორმებით მიიპყრო. გახსოვთ, იუსტიციის მინისტრი რომ გახდა და ამ უწყების შესასვლელში ფორმიანი გუმბაგები დააყენა?.. თავი ევროპაში მეგონა... სხვათა შორის, მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ, ვინც რეფორმებს შეენირა. ეკონომიკის სამინისტროში, კახა ბენდუქიძესთან ვმუშაობდი. მართალია, შემცირებამი მომპყლოეს, მაგრამ მაშინაც ვამბობდი და დღესაც ამ აზრზე ვარ, — ეკონომიკის სამინისტროში ძალიან კარგი, დროული და საჭირო რეფორმა გატარდა. ზოგიერთივით, არ დავბოლოდილვარ, სწავლა გავაგრძელე, მარკეტინგი შევისწავლე მერე საბაჟოზე დავინყე მუშაობა, მაგრამ იქაც შემამცირეს და თითქმის 2 წელი უმუშევარი ვიყავი.

— მიხეილ სააკაშვილმა, როგორც მამაკაცმა, რითი მოგხიბლავს?

— მისი ყველაფერი მომწონს — სიმაღლე, გარეგნობა, მანერები, სპორ-



ტული სტილი.

— სპორტული სტილი?

— დიას, სპორტული სტილი. ტელეკომპანია „კავკასიამ“ ხომ გაავრცელა შემთხვევით გადაღებული კადრები, სადაც ის ტრენინგებზე გარჯიშობს. გარდა ამისა, მე ისიც ვიცი, რომ კარგად ცურავს, ფრენბურთს თამაშობს, ციგურებზე სრიალებს, თხილამურებზეც კარგად დგას. მისი ფიზიკური აქტიურობა ჩვენი ახალგაზრდებისთვის კარგი მაგალითია. სააკაშვილი სიგარეტით ხელში რომ დავინახო, ალბათ გავგიჟდები.

— მისი ჩაცმის სტილიც მოგწონს?

— ძალიან კარგი სტილი აქვს. ქართველი მამაკაცები, ქურდული ტრადიციის გავლენით, ძირითადად, შავი პერანგით, შავი შარვლით, შავი ლაქის ტუფლებით დადიოდნენ, ცხვირსახოციც კი შავი ჰქონდათ. მათ ფონზე, ვარდისფერ მაისურსა და მწვანე შარვალში გამოწყობილი სააკაშვილი არაორდინარული გამოჩნდა.

— ე.ი. თუ შავი ფერის სამოსი უფრო მომწონს, ვიდრე მწვანე ან ვარდისფერი, ეს ქურდული ტრადიციის გავლენაა?..

— (იცინის) არა, მე მამაკაცები მყავს მხედველობაში. არც იმას ვამბობ, რომ ვისაც შავი ფერის სამოსი აცვია, ყველა ქურდული ტრადიციის მატარებელია, უბრალოდ, ეს სტილი ადრე იყო მოდაში. ქართველები კი ბუნებით კონსერვატორები ვართ და სიხალეს ძნელად ვეგუებით.

— ევროპელ ლიდერებზე რას იტყვი? მწვანე შარვლებით და ყვითელი ან ვარდისფერი პერანგებით არც ისინი დადიან.

— სხვათა შორის, მაგაზეც მიფიქრია... ოფიციალური შეხვედრების ამსახველ ფოტოებზე ჩვენი პრეზიდენტი სხვებისგან ყოველთვის გამოირჩევა, როგორც სიმაღლით, ისე ჩაცმის სტილით. თავისი გარეგნობითა და მანერებით ის ყოველთვის



ჩვენი პრეზიდენტი სხვებისგან ყოველთვის გამოირჩევა, როგორც სიმაღლით, ისე ჩაცმის სტილით



ყურადღების ცენტრშია. მგონია, რომ ჩვენს ქვეყანას ასე სჭირდება. იცით, ის რუსებს რატომ სძულთ?.. არაფრისგან სახელმწიფო შექმნა. ისე, ქართველები რა უცნაური ხალხი ვართ: რამდენიმე დღის წინ ჩემთვის ვფიქრობდი, — ხომ შეიძლება, როგორც სხვა ქვეყნებში, ჩვენთანაც იყიდებოდეს სუვენირები პრეზიდენტის გამოსახულებით-მეთქი?.. ეჰ, ვინ გაბედავს აქ ამის გაკეთებას, ოპოზიცია ერთ ამბავს ატეხს!..

— მარტო ოპოზიცია? — არა მარტო ოპოზიცია; ხალხიც. იტყვიან, — ესეც სააკაშვილის ბიზნესიაო...

— სააკაშვილის სურათების შეგროვება რამ გადაგანყვეტინა? სუვენირების არ იყოს, ისიც ერთ მშვენიერ დღეს მოიფიქრე?

— დაახლოებით ასე იყო: ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინე, რომ სააკაშვილის სიყვარულით, 50 სურათი დამიგროვებია. ვიფიქრე, რადგან ამდენი სურათი მაქვს, მოდი, კოლექციას შევაგროვებ-მეთქი და 7 თვეში უკვე 1200 ფოტო მოვაგროვე. მისი პოლიტიკური მოღვაწეობის ყველა პერიოდის ამსახველი ფოტო მაქვს, — დანეყბული „კმარას“ აქციებიდან, დამთავრებული ამ ბოლო კვირამი სამინისტროებში ვიზიტით.

— ის ფოტოებიც გაქვს, გორში მინაზე დათხლილი რომ არის ან პალატუსს რომ ლეჭავს?

— შენ წარმოიდგინე, მაქვს. ჩემი პრეზიდენტი ისეთი მიყვარს, როგორც არის. მე თუ მკითხავთ, მისი საქციელი ორივე შემთხვევაში ადეკვატური იყო. როდესაც ქვეყანას გიბომბავენ, უნდა ინერვიულო, აბა, რა უნდა ქნა?! ასეთ დროს შეიძლება, პალატუსიც დალეჭო... რაც შეეხება გორში გადაღებულ კადრებს, — მე ისიც კი გამოვიკვირდა, იქ რომ ჩავიდა... ამ ხალხს მთავარსარდალი ცხენზე ამხედრებულ, ხმალამოლებულ დევგმირად წარმოუდგენია, ახლა სხვა დროა...

— გორში სააკაშვილთან ერთად კუშნერიც იყო, მაგრამ ის არ გაქცეულა...

— კიდევ კარგი, რომ სააკაშვილი გაიქცა: როგორც გავიგე, საფრთხე მართლაც რეალური იყო. დაცვაზეც სწრაფი და სწორი რეაგირება მოახდინა. ძალიან მაინტერესებს, მსგავს სიტუაციაში ის ხალხი როგორ მოიქცეოდა, ვინც სააკაშვილს მშობარად მიიჩნევს?! მე ერთი რამ ვიცი: ქვეყანა ოკუპირებულია, მაგრამ მაინც ვითარდება. ეს კი სააკაშვილის დამსახურებაა. ადამიანი, რომელმაც ამდენი კარგი საქმე გააკეთა, სულაც არ არის საკუთარი თავით კმაყოფილი, ძალიან თავმდაბალი, უბრალო ადამიანია. მისი რეზიდენციის გახსნაზე შემთხვევით აღმოვჩნდი. იქ კიდევ ერთხელ დაფრწმუნდი, რომ ძალიან უშუალოა.

— რეზიდენციის პრეზენტაციაზე შემთხვევით როგორ აღმოჩნდი?

— „ფეისბუქის“ მეშვეობით დაპატიჟეს ხალხი, პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან „იმიელით“ მომივიდა მინწევა. თავიდან ხუმრობა მეგონა, მაგრამ მაინც წავედი. ძალიან გამიხარდა, როდესაც დავრწმუნდი, რომ მართლაც დაპატიჟებული ვიყავი.

— შენი აზრით, სააკაშვილს რაიმე ნაკლი თუ აქვს?

— მიჭირს ამის თქმა (ფიქრობს). რა არ მომწონს, იცით?.. რეფორმები რომ შეაჩერა. იმედი მაქვს, ეს პაუზა დროებითია. როგორც პიროვნებასა და მამაკაცს, ნაკლს ვერ ვუძებნი. ძალიან მომწონს, რომ იუმორის გრძნობა აქვს. ვაფასებ იმასაც, რომ ტირილი შეუძლია. ერთხელ, ნოდარ ქუმარიაშვილის გამო იტირა, ერთხელ — მოხუცი პენსიონერი შეეცოდა...

— მის ტირილზე შენ რა რეაქცია გაქვს — დამშვიდების სურვილი სომ არ გიჩნდება?..

— სიამოვნებით დავამშვიდებდი. — როდესაც მის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები იმართებოდა, შენ სულიერი მდგომარეობა როგორ იყო?

— ძალიან მშვიდად ვიყავი, ვიცოდი, რომ ოპოზიცია, თუნდაც გარე ძალებიდან მართული, ვერაფერს მიაღწევდა. ეს თავად ხელისუფლებამაც იცოდა და ამიტომაც „აიგნორებდა“.

— ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებს რომ „აიგნორებდა“, ეს მოგწონდა?

— სხვათა შორის, ვფიქრობდი, რომ აქციის ორგანიზატორები უნდა დაეჭირათ. საშინელება იყო... გახსოვს, რას დაამსგავსეს განახლებული თავისუფლების მოედანი?! პუშკინის სკვერი სანაგვედ აქცეს, ახალგაზრდობის მიწისქვეშა გასასვლელი სულ მიანგრ-მოანგრის.

— 7 ნოემბერს ხალხი რომ დაარბიეს, მაშინ რას ფიქრობდი?

— ვფიქრობდი, რომ ხელისუფლება საქებით სწორად იქცეოდა. ახლაც ამ აზრზე ვარ. როდესაც ქვეყანაში გადატრიალება მზადდება, ხელისუფლებამ გადამჭერი ზომები უნდა მიიღოს.

— როგორ ფიქრობ — პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით რატომ გამოვიდნენ ქუჩაში ის ადამიანები, რომელთა მხარდაჭერის შედეგადაც, სააკაშვილი თავის დროზე ხელისუფლებაში მოვიდა?

— იმიტომ, რომ რეფორმების შედეგად, ბევრი მათგანი უმუშევარი დარჩა და დაიბოღმა. მეც შემადიკირეს, თანაც — ორჯერ, მაგრამ ამის გამო, რეფორმატორი ხელისუფლების კრიტიკის სურვილი არ გამჩენია.

— ახლა თუ მუშაობ?

— კი, ვმუშაობ, კონტროლის პალატაში, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ, რომ სხვალ ან ზევ ისევ ვიმუშავე.

— შენი ოჯახი თუ თანაგირძნობს პრეზიდენტის სიყვარულში?

— არ თანამიგრძნობენ, მაგრამ არც აღფრთოვანებულნი არიან ამის გამო.

— სააკაშვილის ექსკლუზიური ფოტოები თუ გაქვს?

— ერთი მაქვს და იმასაც თქვენ გაძღვეთ.

— ეს ფოტო როგორ მოიპოვე?

— ვინც გადაიღო, იმის მეგობარმა მომიცა. სულ ახალია, ამ ზაფხულს გადაუღეს.


— პრეზიდენტის ფოტოების გარდა, რაიმე სხვა კოლექციაც სომ არ გაქვს?

— მიხეილ სააკაშვილის სურათებამდე


არასდროს არაფერი შემეგროვებია. „ფეისბუქში“ ერთ-ერთმა ჩემმა მეგობარმა „მისატელისტი“ დამარქვა.

— პრეზიდენტზე მოგონილი ჭორების შეგროვებაზეც სომ არ გიფიქრია?

— არა, მისი ოპონენტების მიერ გავრცელებული ჭორების ნამდვილად არ მჯერა.



ვინც გადაიღო, იმის მეგობარმა მომიცა. სულ ახალია, ამ ზაფხულს გადაუღეს



მე თუ მკითხავთ, მისი საქციელი ორივე შემთხვევაში ადეკვატური იყო

— მექალთანე არისო, რომ ამბობენ, არც ეს გჯერა?

— ისე, კაცს ქალები რატომ არ უნდა იზიდავდეს?! ბერლუსკონი, სარკოზი და პუტინი ამის გამო არავის შეუჩვენებია, მით უმეტეს, პუტინის თითქმის შვილის ტოლ გოგონაზე, 19 წლის ტანმოვარჯიშეზე იყო შეყვარებული.

— ისე, პუტინი რომ სააკაშვილს დაემუქრა, არ შეგეშინდა?

— არა. დარწმუნებული ვარ, სააკაშვილს ვერც პუტინი დააკლეს რამეს და ვერც სხვა ვინმე, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები დიდია. სხვათა შორის, პუტინის მუქარას ჩვენმა პრეზიდენტმა ძალიან მოსწრებული პასუხი გასცა და კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ იუმორის დიდი გრძნობაც აქვს და საკმაოდ გაბედული ადამიანიცაა. დარწმუნებული ვარ, სხვა რომელიმე ერს სააკაშვილივით სიმპათიური, ახალგაზრდა, გონიერი, გამბედავი და რეფორმატორი პრეზიდენტი რომ ჰყავდეს, უსაზღვროდ იამაყებდა. ეს ჩვენ, ქართველები ვართ ზედმეტად კრიტიკულები და ზოგჯერ, უმადურებიც.



გიგლუსი

გიგლუსი — იკივია, რას პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია



ხვარამზე

ვერცხლის თასადამც მაქცია,
რო ღვინით აგვესებოდი,
დაფერილი მქნა წითლად,
შამსვემდი, შაგერგებოდი;
ანა მქნა ვერცხლის სათითო,
რო ხელზე ჩაგედებოდი,
ანა მქნა ოქროს ბურთვაი,
ქალთაში ჩაგეშლებოდი;
ან ვერცხლის ფულად მაქცია,
ჯიბეში ჩაგეყრებოდი.
ან შენი ნამგლის ყანა მქნა,

რო ფეხზე შაგეჭრებოდი,
ანა მქნა ვარდი, ყოილი,
რო პირზე დაგეყრებოდი,
ანა მქნა მოის პერანგი,
რო გულზე დაგადნებოდი.
ან შენი ნანდაური მქნა,
გულს ჯავრად ჩაგეჭრებოდი,
ძალიან დანუხებული
გზაზედამც შაგეყრებოდი,
ან შენი ძმა მქნა მოწილე,
აროდის გაგეყრებოდი.

ხალხური

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოსცემული
ქართული ენის
ბანგარტაბითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით
შემდგენილი თეგურ ივანიაძე

დ

დასაწყისი ის. „გზა“, №2-30

დილაბინდი — გათენების დრო (როდესაც ჯერ კიდევ ბნელა).

დილიუანსი — (ფრ.) მრავალადგილიანი დახურული ეტლი მგზავრების გადასაყვანად.

დინდელი — სკის შავი ცვილი.

დიპლიბიტი — საკრავი; შედგება ერთმანეთზე გადაბმული ორი სხვადასხვა ზომის თიხის ქილისგან, რომელსაც პირზე ტყავი აქვს გადაკრული; უკრავენ ორი მომსხო ჩხირით.

დიფთონგი ბერძნ. (ლინგ.) — ორი ხმოვნის შეერთებით წარმოქმნილი ერთი მარცვალი.

დისაშხო — უნაყოფო მწირი მიწა.
დო — შედღვებილი მანწინისაგან კარაქის მოხდის შემდეგ დარჩენილი მომჟავო სითხე (დოს შეჭამანდი).

დოზანა (საუბ.) — ჯანდაბა, ჯოჯოხეთი (იხმარება წყევლაში სიტყვა ჯანდაბასთან).

დოი-დოი! — მტრედების მოსახმოვი ძახილი.

დოლი — ბატკნების მოგების დრო (მოდის თებერვალში), ბატკნის მოგება.

დოლი — ძირითადი ხორბლეული ჩვენში; თავთავი იცის ფხიანი, მარცვალი მსხვილი, მისგან კარგი პური გამოდის; თესავენ შემოდგომობით.

დოლა — ურქო (ან რქამოკლე) ძროხა, ხარი, თხა და მისთ.

დოლაბი — ნისქვილის ქვა.

დოლაბი — 1. ბანიანი სახლის სათვალე-სანათური. 2. ქვიტკირის კედელში დატანებული უკარო განჯინა (ქვეშაგების შესანახავად).

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ჭაბუა (მზეჭაბუკ) ამირაჯიბი



ქართველი მწერალი, დაიბადა 1921 წლის 18 ნოემბერს, თბილისში.

დედა — მარიამ ნაკაშიძე, პროფესიონათ პედაგოგი პირდაპირი შთამომავალი იყო აფხაზეთის, სამეგრელოსა და გურიის მთავრებისა (შერვაშიძეები, დადიანები, გურიელები და მიქელაძე-ნაკაშიძეები). მამა — ირაკლი ამირაჯიბი — ცნობილი ადვოკატი ჩამომავალი იყო ამირაჯიბების, მალალაშვილების, ქარუმიძეების, ფავლენიშვილებისა და ჯოხთაბერიძეებისა. თავად მწერალი თბილისის 46-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის ტექნიკუმში შევიდა, რომელიც წარჩინებით 1938 წელს დაამთავრა. მომდევნო წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, შემდგომ წელს კი ფილოლოგიის ფაკულტეტზე გადავიდა. 1941 წლის 23 ივნისს, ომის დაწყებიდან მეორე დღეს, პირდაპირ კა-

ლათურთის მოედნიდან, ჯარში წაიყვანეს, საიდანაც მოკლე ხანში დაითხოვეს, რადგანაც დაუმალავს, რომ რეპრესირებული მშობლები და პოლიტემიგრანტი ნათესავები ჰყავდა (მამა დაუხვრიათ იყო ბიძამისი — შალვა ამირაჯიბი, 1924 წლის აჯანყების პარტიტული კომიტეტის წევრი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოადგილე პოლიტიკურ დარგში. დახვრეტილი და გადასახლებულნი არიან სხვა უახლოესი ნათესავებიც)... მეტი რა გზა ჰქონდა, თბილისში დაბრუნდა და თავი უნივერსიტეტში აღიდგინა. მაგრამ სწავლისას ახალ ფათერაკში გაეხვია — 1943 წელს იმ ჯგუფთან ერთად აიყვანეს, რომელსაც ბრალად საქართველოში, საბჭოთა წყობილების დასამხობად, შეიარაღებული აჯანყების მომზადება ედებოდა. ორგანიზაციას „თეთრი გიორგი“ ერქვა. 1944 წლის აპრილში 25 წლის პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ ეს არ იქმარეს და განაჩენი უმადლესი ზომით — დახვრეტი შეიცვალა. სამი თვე სიკვდილმისჯილთა საკანში იჯდა. მოგვიანებით სასჯელი კვლავაც 25 წლის პატიმრობით შეუცვალეს. მან სტალინური „გულაგის“ სხვადასხვა პუნქტი — ყარაგანდა, კოლიმა, მორდოვეთი, ტაიმირის ნახევარკუნძული, აღმოსავლეთ ციმბირის და შორეული აღმოსავლეთის ბანაკები მოიარა. საპრობილიდან სულ ექვსჯერ გაიქცა... ერთ-ერთი გაქცევის გამო, დახვრეტა მეორედ მიუსაჯეს, თუმცა მხოლოდ თექვსმეტწლიანი სასჯელი აქვს მოხდელი. მონაწილეობდა ყარაგანდისა და ტაიმირის პოლიტპატიმართა აჯანყებებში (საორგანიზაციო კომიტეტის წევრიც იყო)... ჭაბუა ამირაჯიბს ჰყავს ექვსი შვილი (სხვა-

დასხვა ცოლისგან). მიაჩნია, რომ ეს ბანაკებსა და თავისუფლებას შორის მიმოქცევის შედეგია, მაგრამ ღმერთმა იმით დააჯილდოვა, რომ, უკვე რამდენიმე ათეული წელია, როგორც თავად ამბობს, ნამდვილ მუღლესთან, პოეტ თამარ ჯავახიშვილთან ერთად სრულ თანხმობაში ცხოვრობს. ჰყავს შვილიშვილები და შვილთაშვილები... პატარაობისას წერდა ლექსებს და მოთხრობებს. პატიმრობისას არაფერი დაუწერია. პირველი მოთხრობა — „რატომ არ დამაცადე“ 1960 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოაქვეყნა. მის კალამს ეკუთვნის მოთხრობათა კრებულები: „გზა“, „ძია შოთას ბადია“, არაკების კრებული — „თაფლის წვეთი“, ასევე კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები, სტენარები, სტატიები კინემატოგრაფიის საკითხებზე. მოგვიანებით კი შექმნა რომანები — „დათა თუთაშხია“ „გორა მბორგალი“, „გიორგი ბრწყინვალე“. მწერალს არნახული პოპულარობა რომანმა — „დათა თუთაშხია“ მოუტანა. რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ მწერლის ამ რომანის მიხედვით გადაიღო მრავალსერიანი ფილმი... ამირაჯიბი არის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1979), შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1994), საქართველოს სახელმწიფო პრემიის მფლობელი (1998), ღირსების ორდენის კავალერი (2001); მწერლის ნაწარმოებები დაბეჭდილია მსოფლიოს ხალხთა ოცდაათ ენაზე.



„...ჩვენს გვარში ყველა ღირსეულ განათლებას იღებდა როგორც საქართველოში, ასევე ბიზანტიაში... ბოლო ასი წლის მანძილზე, ერთადერთი „სებრე“ გვარში — თქვენი მონა-მორჩილი გახლავართ: ლიტერატურული ფაკულტეტის სამი კურსი მაქვს დამთავრებული. მესამე კურსზე უკვე მწერალთა კავშირის წევრი ვიყავი, ვიბეჭდებოდი და სწავლა მივატოვე“...
ნანწყვეტი „ავტობიოგრაფიიდან“



ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №24

რუსუდან ბერიძე

სარკესთან მდგარ ანა ჩიქოვანს ცხოვრებაში პირველად სურდა, რომ რაც შეიძლება, მახინჯი გამოჩენილიყო და ამის მიღწევას კოსმეტიკის მეშვეობით გულმოდგინედაც ცდილობდა. ერთი საათის შემდეგ გოგონა შეხვედრავს მიდიოდა, რომლის უბრალო გახსენებაც კი ტანში სცრიდა.

— ღმერთო, რას ვაკეთებ მე სულელი? — გაუთავებლად ჩურჩულებდა იგი, თუმცა რაღაც უხილავი ძალა მაინც მოახლოებული შეხვედრისთვის სამზადისს აიძულებდა.

ანამ სარკეში საკუთარი თავი კიდევ ერთხელ შეათვალიერა და ვინ იცის, უკვე მერამდენედ, შუბლი უქმყოფილოდ შეიჭმუნა: რომელი პომადაც უნდა წავსვა, მის ტუჩებს მაინც ყველა უხდებოდა. ამიტომაც საგულდაგულოდ შეღებლი ტუჩები კიდევ ერთხელ გულმოდგინედაც მოიწმინდა. „მგონი, ასე უკეთესია“, — დაასკვნა მან, რადგან შეუღებავი ტუჩები, ისევე როგორც მთელი სახეც, ასე ბევრად უფრო მიმქრალი და გაფითრებული მოუჩანდა. აი, ბუნებრივად მბზინავ თმას კი მაინც ვერაფერი მოუხერხა. საითაც უნდა გადაეყარცხნა, ამით მის სახეს მხოლოდ სინაზე და სილამაზე ემატებოდა. ბოლოს მხრებზე ლამაზად დაფენილი თმა კეფაზე სარჭით დაიმარგა და ყველაზე დიდ „მოლალატებს“ — თვალებს მიადგა. ანას ულამაზესი მწვანე თვალები ჰქონდა.

„ამათ რაღა მოვუხერხო? — ნუხდა იგი. — დრო რომ მქონდეს, თმას რამე საშინელ ფრად მაინც შევიღებავდი, თვალებს კი სომ ვერ დავითხრი? ასე რომ, იმ კაცთან საუბრისას თვალები სულ დახრილი უნდა მქონდეს“. თუმცა იყო კიდევ ერთი გამოსავალი — გარდაცვლილი დედის გამადიდებელმინებინანი ძველმოდური სათვალე, რომლის გაკეთების შემდეგაც ყველაფერი უბრალოდ

გადიდებული კი არა, გადღაბნილიც მოეჩვენა. მაგრამ, სამაგიეროდ, მისი ნყალობით კინაღამ საფრთხობელასაც დაემსგავსა. ეს კი ამ საღამოს ყველაზე მნიშვნელოვანი იყო...

ანა სარკის წინ ერთხელ კიდევ შეტრიალ-შემოტრიალდა და ოდნავ შვეებით ამოისუნთქა, თუმცა მუხლები მაინც უწინდებურად უკანკალებდა და გულიც საგულედან ამოხტომას ლამობდა. „დროა, შინიდან გავეტოო, თორემ ცოტაც და საერთოდ გადავიფიქრებ“, — დაასკვნა მან და მეგობრისგან ნათხოვარი ზომავი მეთად გულამოდებული და გამომწვევი კაბა სწრაფად გადაიცვა: გარეთ წვიმდა და გრძელი შავი ლაბადამ ამ საშინელებას დაუმალავდა. კაბა მეგობარმა, ლანდა ჩახვამე ათხოვა. ანა და ლანდა ჯერ კიდევ სკოლაში დამეგობრდნენ, თუმცა მოგვიანებით მათი გზები კარგა ხნით გაიყო. ლანდა, ბედისა და ფულის საძებნელ-საშოვნელად უცხოეთში გადაიხვეწა და მხოლოდ წლების შემდეგლა შეხვედნენ ერთმანეთს. ლანდასგანვე ნათხოვარი შავი ნატის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ანას საკუთარივით მოერგო, თუმცა ასეთ მაღალ ქუსლებს იმდენად მიუჩვეველი იყო, რომ ფეხსაცმელი შინიდან გასვლამდე კარგა ხნით ადრე ჩაიცვა და ოთახში გადი-გამოდიოდა. ქუჩაში გასვლისთანავე ხელჩანთიდან გვარიანად გაქუცული ქოლგაც ამოიღო, მაგრამ ვერაფრით გახსნა და ისევ უკან ჩააბრუნა. შეხვედრამდე ოცი წუთიდა რჩებოდა და ანამაც მეტროსკენ აჩქარებული ნაბიჯით გასწია.

საკუთარ ოფისში, სავარძელში მოხერხებულად მოკალაბებული ტიტე კეკუა წუთის წინ მოტანილ ვიდეოკასეტას უყურებდა.

— მდაა, — უცნაურად განელა მან და კონიაკი სიამოვნებით მოწრუჭა, — ეს მართლაც ძალიან საინტერესო „კინო“ უნდა იყოს.

კეკუა თავს ილბლიან ბიზნესმენად მიიჩნევდა და როგორც შეძლებულ ქართველებს, ისე კრიმინალებს შორისაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. თანაც, ერთიც და მეორეც ცოტა კიდევ უფროსოდნენ და ყველანაირად ცდილობდნენ, მისთვის გზაზე არ გადაერბინათ. დადიოდა ხმები, თითქოს კეკუას ხელისუფლების უმაღლეს ემელონებთან ჰქონდა მჭიდრო კავშირი. თუმცა, სინამდვილეში, მას მსგავსი რამ არც კი დასიზმრებია. უბრალოდ, ავტორიტეტულ წრეებში საკუთარი წონის გაზრდის მიზნით, ამ ხმებს თვითონვე ავრცელებდა. ტიტე კეკუას თავის რამდენიმე საექვო რეპუტაციის მქონე სასტუმროსა და ღამის კლუბის ლამის ყველა კუთხე-კუნჭულშიც კი ფარული კამერები ჰქონდა დაყენებული და ზღვარს გადასული გართობის მოყვარული სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკების „ცელქობებს“ უთვალთვალებდა. ამავე „დანესებულებაში“ მას მაღალკვალიფიციურ მეძავთა მთელი შტატიც ჰყავდა, რომლის მეშვეობითაც ვიდეოკომპრომატებს ამზადებდა.

ოდესღაც, კარიერის დასაწყისში, კეკუამ ერთი ასეთი კამერა მაშინ ერთადერთ საკუთარ საუნაში უბრალოდ გასართობად დააყენა. ერთ დღეს კი, სტუმრად მისულ ძმაცაცებს საუნის მუდმივი კლიენტების სასიყვარულო თამაშების ნახვით გართობა შესთავაზა. გართობა — გართობად და ერთ-ერთმა ძმაცაცმა მიანიშნა, რომ მსგავსი „საინტერესო კინოთი“ კარგი ფულის შოვნაც შეიძლებოდა. ტიტე კარგა ხანს ფიქრობდა, ღირდა თუ არა ასეთ სარისკო და საშიშ ბიზნესში ცხვირის შეყოფა. მაგრამ გამოხდა ხანი და გარემოებამ ამ ნაბიჯის გადადგმისკენ მაინც უბიძგა. ისე მოხდა, რომ კეკუას „ანკეს“ დედაქალაქის ერთ-ერთი მსხვილი რაიონის გამგებელი ნაშოვეგო. ის კეკუას საუნაში, არასრულწლოვანი გოგონების გარემოცვაში ერთობოდა და ეს სოლიდური სახელმწიფო ჩინოვნიკი მათ დახუჭობანას როდი ეთამაშებოდა.

კეკუამ ჩანაწერი კარგა ხანს წინ და უკან ატრიალა და ბოლოს გამგებელთან ოფიციალურ მიღებაზე ჩანერა მაინც გაბედა. გამგებლის კაბინეტში შესვლისთანავე ტიტემ მას კასეტის ასლი გაუწოდა: ვილაცებმა მომიგდეს, მერე კი ტელეფონზე დამირეკეს და მითხრეს, რომ ორიგინალს უშუალოდ გამგებელი, ოღონდ მცირეოდენი სამსახურის განწვეის შემდეგ მიიღებოს.

იმხანად თბილისის ცენტრში ძველი შენობებისგან გათავისუფლებული მიწის ნაკვეთის დაგეგმვა უნდა დაწყებულიყო. „მცირეოდენი სამსახური“, რომელიც გამგებელს ვითომ მისი დამზნატაფებელი უცნობებისთვის, სინამდვილეში კი ტიტე კეკუასთვის უნდა გაენია, ამ გეგმაში რამდენიმე დამატებითი შენობის შეტანა იყო, რაც მან უსიტყვოდ შეასრულა. მეტიც, ამ შემთხვევის შემდეგ ჩინოვნიკი



იმდენად თვინიერიც გახდა, რომ კეკუას კიდევ არაერთი სურვილი დააკმაყოფილა. ამის წყალობით კი თავად ტიტემ საკუთარი ბიზნესის გაფართოება და ქალაქის პრესტიჟულ უბნებში სასტუმროსა და რამდენიმე ლამის კვლების გახსნაც სულ თავისუფლად შეძლო. ეს ამ, რბილად რომ ვთქვათ, საჩოთირო ბიზნესში მისი პირველი დიდი გამარჯვება იყო, რასაც ბევრი სხვაც მოჰყვა. დემოკრატიის პირველი ტალღის ახალ-გამომცხვარი ჩინოვნიკები, სილატაკიდან პირდაპირ ფუფუნებაში რომ ამოყვეს თავი, სულ სხვადასხვა საეჭვო დანებს-ბულებას ისე შეესივნენ, როგორც ბუზები — თავლს. ჰოდა, ტიტესაც მეტი რაღა უნდოდა: აცხოვდა და აცხოვდა კომპრომატებს. ჩინოვნიკების უმეტესობა, კეკუას ბადემი მხვედრისთანავე დამყოლი ხდებოდა და ყველა მის თხოვნასაც უპირობოდ ასრულებდა.

ხოლო როგორც კი მათ შორის ვინმე ჯიუტი და შეუვალი გამოერეოდა, ტიტე მათ მაკომპრომეტირებელ კასტებს პირდაპირ მათ ცოლებს, ანდა, ცოლების ახლო ნათესავებს მიუგდებდა ხოლმე, რამდენიმე დუბლიკატს კი მათ უშუალო სამსახურებსა და ტელევიზიებშიც გზავნიდა.

— არა, ეს უკვე მართლა მწვერვალია! — აღფრთოვანებას ველარ მალავდა კეკუა. თუმცა ამის მიზეზი არა იმდენად ჩანანერი, რამდენადაც მასში ფრიად მნიშვნელოვანი პერსონის მონაწილეობა იყო. — ვნახოთ, ვნახოთ, სადამდე მივა ეს ვაჟბატონი? — კონიაკი კიდევ ერთხელ სიამოვნებით მოწრუბა რაღაც განსაკუთრებულის მომლოდინე კეკუამ, მაგრამ სწორედ ამ დროს კარზე ვილაცამ ფრთხილად დააკაკუნა.

კეკუამ ვიდეომაგნიტოფონი მაშინვე გამორთო, კასეტა კი იქვე, მაგიდაზე დადო და ზემოდან გაზეთი დააფარა. კაკუნის ისევე განმეორდა.

— მოხვედი, ლამაზო?.. კეკუა მიხვდა, ვინც ესტუმრა. ეს ლანდა ჩახვადის მიერ შერჩეული ახალი გოგონა იყო. კეკუა თავის „დანსებულებაში“ მომუშავე გოგონების სერიოზულ გადახალისებას აპირებდა, რაშიც მას, როგორც ყოველთვის, ლანდა ეხმარებოდა. თავიდან ლანდაც ერთ-ერთი ასეთი „გოგონათაგანი“ იყო, მაგრამ შემდეგ, კარგად რომ გამოიწრო, ტიტემ დაანინაურა და ახლა ის ასე ვთქვათ, „კადრების განყოფილების“ უფროსის როლს უსრულებდა და სულ ახალ-ახალი გოგონებით ამარაგებდა.

კეკუას ბიზნესში გამოჩენილ ყოველ ახალ გოგონას ჯერ მის ხელში უნდა გაევილო, რასაც თავად „კადრების გადანაწილებას“ ეძახდა. ამის შემდეგ გოგონა ან პირველივე კლიენტის ხელში ხვდებოდა, ანდა მხოლოდ რჩეულებს ატკბობდა, რასაც ცხადია, ისევე

და ისევე კეკუა წყვეტდა. თუმცა ტიტე უკვე წინასწარ იყო ლანდასგან ინფორმირებული, რომ ამჯერად მის ხელში მართლაც „უმაღლესი ხარისხის საქონელი“ უნდა მოხვედრილიყო.

ანამ სათვალის მორგება ძლივს მოასწრო, რომ კარი გაიღო. ხოლო იმან, ვინც ამ კარს იქით გამოჩნდა, მისი ყველაზე საშინელი მოლოდინიც კი გაამართლა. ანას წინ დაბალი, მსუქანი და აბსოლუტურად მელოტი მამაკაცი იდგა. მას თევზითი გადმოკარკული თვალები და სქელი ქონიანი ტუჩები ჰქონდა. მის შემხედვარე ანას კინაღამ წამოაზიდა, თუმცა შემდეგ თავს ძალა დაატანა და გაღიმებაც კი მოახერხა:

— გამარჯობა... თქვენ ალბათ, ბატონი ტიტე ბრძანდებით...

— შენ კი ანა, ხომ?

— დიახ... ჩემმა მეგობარმა ლანდა ჩახვადემ მითხრა, რომ სამუშაოს შოვნაში დამეხმარებით...

— აბა, რას ვიზამ?! მე ხომ მხოლოდ იმით ვარ დაკავებული, რომ შენნაირ მშვენიერ გოგონებს სამუშაოს ვთავაზობ. — მუშტრის თვლით ათვალიერ-ჩათვალიერა ტიტემ ანა და კაბინეტში მხოლოდ ამის შემდეგლა შეუშვა.

„საქონელი მართლაც უმაღლესი ხარისხისაა, — ტუჩები კმაყოფილებით მოილოკა მამაკაცი, — მაგრამ ნეტავ, ეს უაზრო მასკარადი რაღაში დასჭირდა ამ შტერს?“ — გარეგნობის შეცვლის ანას გულუბრყვილო მცდელობაზე კვეშ-კვეშ ჩაელიმა მას — ჩემი გაცურება რომ ასე ადვილი იყოს...

— ძალიან დამავალბთ, — მეორედ გაღიმება კიდევ უფრო გაუჭირდა ანას.

— ოღონდ, ერთი პირობით, — უშნოდ გაიკრიჭა ტიტემ, — შენი დახმარება რომ შეეძლოს, ახლოს უნდა გაგიცნო.

ამ სიტყვების შემდეგ ტიტე გოგონას ლამის ზედ მიეკრა და ნელზე ხელი უცერემონიოდ მოხვია.

— მიგრამ მე... — ანამ მამაკაცისგან თავის დაღწევა სცადა.

— მესმის... — გოგონას ხელი თავად უშვა კეკუამ. — ძალიან ავჩქარდი. — მოდი, ჯერ რამე დავლიოთ. შენ რა გირჩევნია: ვისკი, ბრენდი, კონიაკი, არაყი, შამპანური თუ მამაპაპური ქართული ღვინო?

— რაიმე წვენს ან მინერალურ წყალს

დავლევდი თუ შეიძლება, — ხმა აუკანკალდა ანას.

კეკუამ ბარიდან კონიაკი და ფორთოხლის წვენი გამოიღო და მსრებანურულ გოგონას გვერდულად გახედა. ის, რომ ანა მაშინვე კისერზე არ ჩამოეციდა, ცოტა კიდევ მოეწონა, რადგან უკვე ყელში ჰქონდა ამოსული მასთან სამუშაოს სათხოვნელად მისული ლამაზმანების აქტიურობა და ყალბი ალერსი. ტიტე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ლანდამ ამჯერად მართლაც იშვიათი და თანაც ჯერჯერობით სრულიად დაუმუშავებელი ალმასიც მოუძებნა. „მაგრამ არა უშავს, — კმაყოფილებით გაიფიქრა მან, — ასეთ მასალაზე მუშაობაზე უფრო სასიამოვნო რაღა უნდა იყოს. საჭიროზე სულ ოდნავ მეტი ძალისხმევა და ჩემს ხელში ისე უცბად აეღვარება და ისეთ სრულყოფილ ბრილიანტადაც იქცევა, რომ ალბათ, ვიპ-კლიენტების რიგიც კი დაუდგება. თუმცა შეიძლება, სულაც ჩემთვის დავიტოვო. ოღონდ, მხოლოდ პირველ ეტაპზე, რა თქმა უნდა...“

კეკუამ ჭიქა წვენი პირთანად აავსო და ანას გაუწოდა. ამ უკანასკნელს თავი ხელში ჯერაც ვერ აეყვანა და ხელები ციებიანივით უკანკალბდა, სათვალე კი საგნების ნორმალური აღქმის საშუალებას არაფრით აძლევდა. ამიტომაც მასპინძელს ჭიქა ისე უხერხულად გამოართვა, რომ წვენის თითქმის ნახევარი ძვირფას პიჯაკზე გადაასხა.

— ვაიმე! — შეიცხადა ანამ. — ძალიან გთხოვთ, მაპატიოთ, ნამდვილად არ მინდოდა...

— არა უშავს, ხდება ხოლმე, — ტიტემ პიჯაკი სწრაფად გაიძრო და სავარძელში დაუდევრად მიიგდო. შემდეგ ისევე გოგონას მიუახლოვდა და სწრაფი მოძრაობით სათვალე მოხსნა.

— ასე არ სჯობია? — ისევე უშნოდ გაიკრიჭა მან.

ანას კი კინაღამ გული შეუღონდა, რადგან უსათვლოდ კეკუა ბევრად უფრო მახინჯი მოეჩვენა.

— დდიახ... — მმე... — ენაც საბოლოოდ დაება კიდევ უფრო აკანკალბულ ანას.

— შეევი მაგ წვენს! — ჭიქა სწრაფად გამოართვა გოგონას კეკუამ და ახლა კონიაკინი ბუთონის ფუფერი გაუწოდა. — ეს გირჩევნია. ცოტა შეთბები და მოშინაურდები კიდევ.

ანამ ფუფერი პირთან რის ვაი-ვაგლახით მიიტანა და ერთი ყლუპი მოსვა. თავიდან ერთი წამოახველა, შემდეგ კი სასმელმა სხეულში თბილ ტალღად დაუარა. ანამ ნელ-ნელა სითბო იგრძნო და სიმშვიდეც დაეუფლა.

ამასობაში კეკუასაც მოსწყინდა თავაზიანი მასპინძლის როლის თამაში და „ახლოს გაცნობის“ პროცესის დაჩქარება გადაწყვიტა. მან გოგონას ფუფერი შეუფსო და კონ-





ნაკის ბოლომდე დაღევა აიძულა. ამის შემდეგ ანა აღარ გაჯიუტებულა, რადგან, სიტბოსა და სიმშვიდესთან ერთად, უკვე სრულმა აპათიამაც შეიპყრო. ტიტე მისვდა, რომ აქტიური მოქმედების დრო დადგა, ამიტომაც გოგონას მხრებზე ხელელები მოხვია და მთელი ძალით მიიზიდა. ანამ ინსტიქტურად ერთი კიდევი გაიბრძოლა და შემდეგ უცნაურად მოემკა.

„მოხდეს, რაც მოსახდენია“, — გაუელვა მას თავში და უშალ მამაკაცის ხელების უშნო ფათურიც იგრძნო.

ბედს დამორჩილებული ანა თითქმის ველარ აზროვნებდა. მას მხოლოდ კეკუას უსიამოვნო ქმენა ესმოდა და იმაზელა ფიქრობდა, რომ ყველაფერი რაც შეიძლება, მალე დასრულებულიყო. უცბად კარზე ვილაცამ ფრთხილად დააკაკუნა.

— უხ შენი, — კინალამ ბოლომდე შეიგინა გაღიზიანებულმა კეკუამ, — ასე უდროო დროს ნეტავ, ვის გავახსენდი?

— ბანდეროლი მაქვს ბატონ კეკუას სახელზე, — მოისმა გარედან მამაკაცის თავაზიანი ხმა.

— კართან დატოვეთ.

— თქვენი ხელმოწერაა საჭირო, რომ ბანდეროლი ნამდვილად ჩაგაბარეთ.

— აუ, ჩემი... — წონასწორობიდან საბოლოოდ გამოვიდა კეკუა.

— საბაზანოში დაიძალე, — როგორც იქნა, ხელი უშვა ანას და თვალთ დერეფნის ბოლოში, კარისკენ ანიშნა, — ყოველი შემთხვევისთვის ესენიც თან გაიყოლე, — ბოლოს მან კასეტა და ხელჩანთაც მიაჩეჩა.

სანახევროდ გონმისდილი ანა კეკუას ბრძანებას უსიტყვოდ დამორჩილდა და საბაზანოსკენ წალასალადა.

— მოიტა ეგ შენი ბან...

კეკუამ სათქმელის დასრულება ველარ მოასწრო, რადგან როგორც კი კარი გააღო, სახეში მუშტი მოხვდა და იატაკზე გადინა ბრაგვანი. ოთახში რამდენიმე ნიღბიანი მამაკაცი შევიდა.

საბაზანოში შეყუყულ ანას ჯერ ყვირილი და გინება, შემდეგ კი კვნესის ხმაც შემოესმა. მან კარი ოდნავ გამოაღო და დაინახა, ნიღბიანები კეკუას გამეტებით როგორ ურტყამდნენ, ერთ-ერთი მათგანი კი ყოველ დარტყმაზე ერთსა და იმავესაც უმეორებდა:

— თქვი, შე ახვარო, სად გადამალე?

ანამ რატომღაც იფიქრა, რომ უცნობები მას ეძებდნენ და კარი გულგახეთქილად შეიკეტა.

— არ მესმის, რას მეკითხებით... — სულს ძლივსლა ითქვამდა კეკუა.

— კასეტა-მეთქი, შენი!..

ამ სიტყვებს ისევ დარტყმის ხმა მოჰყვა. ანა მიხვდა, რომ საქმე მას კი არა, რაღაც კასეტას ეხებოდა და უცბად გაშემოქცა: კასეტა ხომ მას ჰქონდა.

— ყველგან ეძებთ! — ბრძანება გასცა ისევ იმ ხმამ. — აქ სადმე უნდა იყოს.

საბოლოოდ დაზაფრულმა ანამ მომხდარის გააზრება მინც სცადა. „კასეტა, რომლის გამოც კეკუას ასე გამეტებით

სცემენ, მე მაქვს, — ფიქრობდა იგი, — და ეს კეკუამაც შესანიშნავად იცის, მაგრამ ჯიუტად არ ტყდება. გამოდის, რომ კასეტაზე რაღაც ისეთია, რაც ცემაზე უფრო ძირი დაუჯდება“. ანა მიხვდა, რომ სერიოზულ შარში გახვია და იმის მოლოდინში, რომ ადრე თუ გვიან, ნიღბიანები საბაზანოსაც მიადგებოდნენ, კუთხეში მიიკუნჭა და თავი აკანკალებულ ხელელებში ჩარგო. გარეთ კი ფეხის ხმა და ხმაური არა და არ წყდებოდა. უცნობები ოფისში ყველაფერს თავდაყირა აყენებდნენ. ხმაურს უკვე კეკუას გაბმული ყმუილიც ერთვოდა. უცბად კარს იქით ჯერ ერთი, შემდეგ კი მეორე გასროლის ხმაც გაისმა და იატაკზე რაღაც მიძიმედ დაეცა.

— ვინ ისროლა, იდიოტებო? — იყვირა ვილაცამ.

— ანა, რა მექნა?.. ამ დამპალს მაგადის ქვეშ იარაღი ჰქონია დამალული და ხომ უნდა დამესწრო, — თავი იმართლა მეორემ.

— მაგის დედაც... — შეიგინა პირველმა. — შეედი ნაღდად თავებს წაგვაძრობს, თუ კასეტას არ მივუტანთ.

— ამ ახვრის ბინაც უნდა გაეჭრიკოთ და ახლობლებიც შევაჭანჭყაროთ. შეიძლება, რომელიმე მათგანთან გადამალა.

— უცბად ფანჯრიდან პოლიციის სირენის ხმა მოისმა.

— ჩქარა, ბიჭებო, ძალები გამოჩნდნენ! ეტყობა, ვილაცამ სროლის ხმაზე დაურევა. აიღეთ რაც მაგიადაზე ჩანანერებია და სანამ დროა, აქედან აფუსვით.

საბაზანოში ცივი კაფელს მიყრდნობილი ანა ღმერთს ევედრებოდა, რომ წასვლამდე ვილაცას საბაზანოში შეხედვაც არ მოსვლოდა თავში აზრად, მაგრამ მალე ფეხის ხმა საერთოდ მიწყდა. ანამ ცოტა კიდევი შეიცადა, შემდეგ საბაზანოდან გიჟივით გავარდა და ოფისიდან უკანმოუხედავად მოკურცხლა.

— რას ჰგავხარ, გოგო? სახეზე ფერი აღარ გადევს. — გაკვირვებული ათვალიერებდა აქომინებულ ანას ლანდა ჩახვაძე, — არ მითხრა ახლა, კეკუას გამოექეციო!

— გამოვექეციო... — სულს ძლივსლა ითქვამდა ანა. — ოღონდ კეკუას კი არა, მის მკვლელებს. მეც შემთხვევით ვარ გადარჩენილი...

— რაო? — თვალები გაუფართოვდა ლანდას. — კეკუა მოკლეს?

— კი, და მეც კინალამ ზედ მიმაცოლეს, — სავარძელში ჩაესვენა ანა და აქვითინდა.

— აი, ამბავი თუ გინდა... — ანას პირდაპირ, მეორე სავარძელში ჩაჯდა გაოგნებული ლანდა. — ვინ იყვნენ? რა უნდოდათ? რისთვის მოკლეს? — კითხვები დააყარა მან სავარძელში ჩაკარგულ აკანკალებულ ანას.

— აი, ამისთვის, — ხელჩანთიდან კასეტა ამოიღო ანამ.

— და ამ ოხერზე ასეთი რა არის? — შიშით დააცქერდა ლანდა კასეტას.

— წარმოდგენა არ მაქვს. კეკუამ ზუსტად იმ ბანდიტების შემოვარდნამდე

რამდენიმე წამით ადრე მომაჩეჩა, — დამალეო.

— აი, ხათბაბა... — ამოიხრა ლანდამ და სიგარეტს მოუკიდა.

— ახლა რაღა ვქნა? — ვედრებით შეხედა მას ანამ.

— რა ვიცი, რა უნდა ქნა? — ღრმა ნაფაზი დაარტყა ლანდამ. — ახლა მე საკუთარი თავი მყავს სატირალი, ამისთანა სამუშაო დავკარგე.

— რა თქვი? — ვერ მიუხვდა მისი ბედისადმი მეგობრის სრული გულგრილობით გაოცებული ანა.

— რა და ნამდვილი თარსი ყოფილხარ. ნეტავ, კეკუასთან სულ არ გამეშვი. მისი სიკვდილით ხომ სამუშაოც დავკარგე და ერთადერთი შემოსავალიც. ახლა რაღა მეშველება, ამდენ ფულს ვინლა მომცემს?

— კაცი მოკლეს და შენ კი ფულზე დარდობ?.. მოიცა-მოიცა... — როგორც იქნა, რაღაცას მიხვდა ანა. — რომელ ფულზე ლაპარაკობ, ჩემს საფასურზე ხომ არა?

— ჰო, მეგრე რა იყო? — წარბიც კი არ შეუხრია ლანდას. — ახლა ტყუილად მამლებიც კი აღარ ყივიან. და საერთოდაც, მე ხომ შენგან კი არა, კეკუასგან ავიღე ფული და თბილი ადგილიც გაგიჩალიჩე, მაგრამ...

— ესე იგი, გამოდის, რომ იმ ცხოველს მიმიყიდე? — აღშოკებულმა ველარ დამალა ანამ. — მეც არ გამიკვირდა...

— მოიცა, რა, — გაანწყვეტინა ლანდამ, — შენი სცენებილა მაკლია. სხვა შენს ადგილზე მადლობასაც კი მეტყუოდა...

— რისთვის უნდა გითხრა მადლობა? იმაში ხომ არა, ის ყაჩაღები რომ არ შემოცვენილიყვნენ, ახლა შენი დამპალი შეფის ლოგინში რომ ვინწებოდი ნამუსახდელი?..

— კარგი რა, რის ნამუსი რა ნამუსი, გაიხედე გარეთ, — რომელი საუკუნეა?

— ახლა როგორღა გამოვიხსნა თავი ამ ხათბაბიდან?

— აი, ეს კი მხოლოდ შენი პრობლემაა, ძვირფასო, — უშალ ხელები დაიბანა ლანდამ, — მაგრამ ისე, მინც გირჩევი, კასეტა რაც შეიძლება, სწრაფად მოიშორე. და კიდევი: თუ პოლიცია მოგადგება, ჩემი სახელის სხენებაც კი არ გაბედო!

ცოტა ხანში ანა ქუჩაში ისევ მარტო მილასლასებდა და თავსხმა წვიმასაც კი ველარ ამჩნევდა. მას უკვე ცხადად ჰქონდა წარმოდგენილი ყველა ის საშინელება, უახლოეს მომავალში რომ ელოდა: პოლიციელები, დაკითხვები, მონშეები, გამოძიებულები, მოსამართლეები... ანას ესმოდა, რომ თავად არაფერში იყო დამნაშავე. „მაგრამ განა ცოტა უდანაშაულო ადამიანი ზის დღეს ციხეში? — ეკითხებოდა ის საკუთარ თავს. — ერთით მეტი იქნება თუ ერთით ნაკლები, ეს ვინმეს შეაწუხებს?“

ამასობაში ანა საკუთარ სახლს მიუახლოვდა, მაგრამ იმის შიშით, რომ შეიძლება, პოლიცია უკვე ელოდა, სადარბაზოშიც კი ვერ გაბედა შესვლა. უცბად



სადარბაზოდან მეზობლის ქალი გამოვიდა და ანას დანახვაზე ბრაზიანად ჩაიბურტყუნა:

— მაინც რა ახალგაზრდობა წამოვიდა. დედამისი ჯერ საფლავშიც კი არ გაცივებულა და ამას კარზე უკვე კაცების ჯოგი უდგას. სირცხვილი და თავის მოჭრა!..

ანამ ავყია მეზობლის ნასროლი სიტყვები საკუთარ თავზე უცბად როდი მიიღო. „მოიცა-მოიცა, — გაიფიქრა მან შემდეგ, — ახლახან დედა ხომ მე დავასაფლავებ. ამ სახლში ბოლო ხანებში მეტი არც არავინ გარდაცვლილა. გამოდის, რომ... მაგრამ კაცების ჯოგში რაღას გულისხმობდა?“

ანას მთელ სხეულში შიშის მორიგმა ტალღამ დაურბინა და მეზობელს გამოუდგა:

— მამატიეთ, დეიდა თამარ, მაგრამ ამ წუთში ვისზე ლაპარაკობდით?

— ვისზე და შენზე, — ჯიქურ მიუგო ქალმა, — არ გრცხვენია, გოგო? ჯერ დედის ორმოციც კი არ გადაგიხდია და კარზე უკვე კაცების რიგს იყენებ?

— კაცების?... რომელი კაცების? — გაკვირვებით მიაშტერდა ანა ქალს.

— ვითომ არ იცი, არა? — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია თამარმა. — კიბზე ზუსტად იმ დროს ჩამოვიარე, შენს ბინაში ხუთი-ექვსი სული მაინც რომ ერთმანეთის მიყოლებით შელაგდა.

— რა? — შიშისგან თვლები გაუფართოვდა ანას. — და სანამ მეზობლის ქალი კიდევ რამის თქმას მოასწრებდა, ეზოდან კისრისტეხით გავარდა. ქუჩაში წამით შეჩერდა. „სად გავრბივარ, ვისთან? — დაფიქრდა იგი. — მე ხომ უკვე წასასვლელიც კი აღარსად მაქვს. ერთი ლანდალა მყავდა და იმანაც კარი მომიხურა. მაგრამ რატომ? მე ხომ არაფერი დამიშავებია? პირიქით, თვითონ გავხედი ტრაგიკული გარემოების მსხვერპლი. ამიტომ ლანდას ხელახლა უნდა დაველაპარაკო. ის უბრალოდ ვალდებულია, მომიხმინოს და თუ საჭირო გახდა, მონმუდაც კი დამიდგეს“.

ანამ ვერც კი შენიშნა, მეგობრის ბნის კართან როგორ აღმოჩნდა. ზარისკენაც შექანიკურად გაექცა ხელი. კარს იქით სიჩუმე იდგა. „აღბათ უკვე სძინავს“, — გაიფიქრა ანამ და კიდევ ერთხელ დარეკა, მაგრამ ამჯერადაც უშედეგოდ.

ანა კარს ოდნავ მიანვა და ისიც მამინვე შეიღო.

— ლანდა, — ხმადაბლა შეესხიანა ის მეგობარს, თუმცა პასუხი არ მოუღია. მამინ შესასვლელში შუქის ანთება სცადა, მაგრამ სიბნელეში ჩამრთველს ვერაფრით მიაგნო. ერთადერთ ოთახში კედელ-კედელ შეაღწია, იქ უკვე ჩამრთველიც უფრო ადვილად იპოვა, სინათლე აანთო და ადგილზე გაშუშდა. ოთახში ყველაფერი თავდაყირა იდგა, კედლები სისხლით იყო მორწყული, ოთახის ერთ-ერთ კუთხეში კი უცნაურად მოკუნტული ლანდა ეგდო...

ლაფაურმა ყურმილი აიღო და სავარ-

ძელში მოხერხებულად მოეწყო. ტატა ურეკავდა.

— ლაშკო, საყვარელო, ოპერაციამ შესანიშნავად ჩაიარა და ექიმებმა დამარწმუნეს, რომ მომავალშიც ყველაფერი კარგად იქნება.

— ძალიან მიხარია.

— ახლა ჩემს სისხარულს არ იკითხავ? დათუნა თავს უკვე ნორმალურად გრძნობს. მოკლედ, უკვე ყველა საშინელება უკან ჩამოვიტოვეთ. რომ იცოდე, შენი როგორი მადლობელი ვარ. ამ ქვეყანაშიც შესანიშნავი ადამიანები ცხოვრობენ. იცი, როგორ ყურადღებით გექცევიან? ექიმები კი ნამდვილი ჯადოქრები არიან, — დაუსრულებლად კაკანებდა ტატა, — იცი, აქ საკმაოდ ბევრი ქართველიცაა...

— უკან როდის ბრუნდებით? — კითხვა ძლივს ჩაუგდო ლაშამ.

— მე თუნდაც დღესვე წამოვიდოდი, მაგრამ...

— რამე გაუთვალისწინებელი ხომ არ მოხდა?

— არა. უბრალოდ, ექიმები ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციის კურსის გავლასაც დაბეჯითებით მირჩევენ, რასაც კიდევ ერთი თვე მაინც დასჭირდება.

— გასაგებია.

— ჰო, მაგრამ...

— რა იყო?

— დარჩენას დამატებითი ფული სჭირდება... აქ ყველაფერი ისეთი ძვირია, რომ... ლაშკო, საყვარელო, კიდევ სამ-ოთხ ათასს ხომ ვერ მოგვანვდიდი?

— ...

— მესმის, რომ ძალიან განუხებ, მაგრამ ხომ იცი, რომ შენს იქით გზა არ მაქვს...

— კარგი, რამეს მოვიფიქრებ...

— ნამდვილი ანგელოზი ხარ. მართლა არ ვიცი, უშენოდ რა გვეშველოვოდა, — ისევ ნაზად აჟღერებდა ტატა, — ბარემ ბანკის ანგარიშის ნომერიც ჩაინერე...

ტატასთან ლაპარაკის შემდეგ ლაშამ ისიდორეს დაურეკა:

— მოგესალმებით, ბატონო ისიდორე! ლაფაური განუხებთ. იქნებ, როგორმე შევხვედეთ და დარჩენილი ფული და ბინის საბუთებიც დამიბრუნოთ.

ლაშმა ფიქრობდა, რომ „ომეგას“ წარმომადგენელი გაჯიუტდებოდა ან ვაჭრობას დაუნყებდა, მაგრამ მისდა გასაკვირად, ისიდორე მამინვე დაეთანხმა. შეხვედრა ნახევარი საათის შემდეგ, ისევ ძველ ადგილზე დათქვეს.

უკვე საღამოვდებოდა და, თავსხმა ნვიმის გამო, მანქანები სულ უფრო და უფრო ნელა მოძრაობდა. ერთ-ერთ გზაჯვარედინზე ლაშმა კარგა ხნით საცობშიც მოხვდა, ასე რომ, ცოტაც და ისიდორესთან შეხვედრაზე დაიგვიანებდა. დაგვიანება კი ძალიან არ უყვარდა. ამიტომ, როგორც კი მანქანების ნაკადი ადგილიდან დაიძრა, პირველივე შესახვევში შეუხვია და ეზო-

ბზე გავლით გზის მოჭრა გადაწყვიტა. საბედნიეროდ, ეს შედარებით მოკლე გზა სრულიად თავისუფალი აღმოჩნდა და ლაშამაც სიჩქარეს მოუმატა. შეხვედრის ადგილამდე ასი მეტრიც აღარ რჩებოდა, რომ უცბად გზაზე ვილაც გრძელაბადიანი ქალი გამოვარდა. ლაშამ მანქანის დამუხრუჭება კი მოასწრო, მაგრამ დაჯახების ბოლომდე თავიდან აცილება ვეღარ შეძლო. ქალმა კაპოტს გადაუფ-



რინა და ასფალტზე დაცემისთანავე კვილიც შეწყვიტა.

თავზარდაცემული ლაშა მანქანიდან გიჟივით გადახტა, დაცემულთან მიიბრინა და პირველ რიგში პულსი მოუსინჯა. ქალს გული ძალიან სუსტად, მაგრამ მაინც უცემდა. უცბად გვერდით უზარმაზარმა შავმა ჯიშმა დამუხრუჭა, საიდანაც პირქუში გარეგნობის ახმახი ახალგაზრდა გადმოვიდა:

— ცოცხალია? — ჰკითხა მან ლაშას.

— ცოცხალია, მაგრამ უგონოდა, — უპასუხა ლაშამ. — შემთხვევით პირველი დახმარების აღმოჩენა ხომ არ იცით?

— რისი აღმოჩენა? — გაუკვირდა ახმახს. — აა, პირველი დახმარების? არა, მე უკანასკნელის აღმოჩენა უფრო მესერხება.

ლაშა ვერ მიხვდა, უცნობს ამით რის თქმა უნდოდა. ამასობაში გვერდით კიდევ ერთი მანქანა გაჩერდა.

— როგორაა, საქმე? — ლაშას გვერდით ჩამოხუტა ტყავისქურთუკიანმა დაბალმა მამაკაცმა და პირქვე დამსობილი ქალი ნელ-ნელა გადმოაბრუნა. — სულ პატარა გოგო ყოფილა, სანყალი... ახლავე „სასწრაფო“ უნდა გამოვიძახოთ, თავი აქვს დაზიანებული.

ლაშამ გოგონას თავი ფრთხილად მოუსინჯა და ხელები მამინვე სისხლში მოესვარა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



რომანტიკა

თუ

დანაშაული?

სვება კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი

სარკვეში უკმაყოფილოდ ვიყურები და ჩემთვის ვამბობ.

— რა ვერაგია ეს ცხოვრება!

რატომ ვამბობ ამას? იმიტომ, რომ ხვალისა და კიდევ ერთი ახალი ერა იწყება ჩემს ცხოვრებაში — მტანჯველი, საპასუხისმგებლო და სხვაზე დამოკიდებული! მუშაობა უნდა დავინყო! მე კი მუშარება. ჯერ ახალგაზრდა ვარ, რატომ უნდა ვარჩინო ოჯახი? აქეთ მარჩინონ, თუ კარგია!

რა ვერაგია ეს ცხოვრება! — ვიმეორებ. ნეტავ, ვინ თქვა პირველად ეს სიტყვები? ვის უჭირდა ჩემნაირად? და საერთოდ, რამდენ ადამიანს ექნება გამეორებული ეს ფრაზა ჩემამდე? კაცმა არ იცის! არც მე ვიცი. რა მნიშვნელობა აქვს!

კვლავ სარკვეში ვიხედები.

— რა შეუმჩნეველი ხარ, აღარ უნდა გაიზარდო, ბოლოს და ბოლოს?

ამას რატომ ვამბობ? იმიტომ, რომ მინდა, დიდი ქალი ვიყო. აი, ისეთი, ნინიკოს დედა რომ არის! ორმოცი წლის ზემოთ! როგორ მომწონს ამ ასაკის ქალები. ასე მგონია, მამაკაცებს სწორედ ამ ასაკის ქალებზე ეკვებებათ ჭკუა. ისინი მოვლილები არიან, გამოცდილებაშეძენილები, ცხოვრებაგამოცდილები... სიყვარულის ფასიც იციან და ურთიერთობისაც... ამიტომაც მინდა, ჩქარა გავიზარდო. თორმეტი წლიდან ასე ვარ! ყოველდღე ვიყურები სარკვეში და ვნატობ, როდის გავიზრდები დიდი, დიდი! მინდა, მალე დავქალებდე, რომ სასურველი ვიყო. ყველა კაცი მე შემომნატროდეს! მე კი მიუწვდომელი დავრჩე

მათთვის მანამ, სანამ თვითონ არ ავირჩიე ჩემთვის სასურველს!

აი, ხვალისა და კიდევ ერთი ცხოვრება მარტო, ჩემთვის, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი მე თვითონ ვიქნები და არა — მამაჩემი. პირიქით, მე ვიქნები მისი ბატონ-პატრონი. დამირეკავს ხოლმე და მორიდებით მეტყვის — „ლოლიტა, შვილო, ერთ ორმოცდაათ ლარს არ გამოიმგზავნი? ვალეში დამიგროვდა მალაზიაში!“ არა, ასე არა... აი, ასე — „ლოლა, შვილო, იქნებ ერთი ასი ლარი გამოიმგზავნი? მერიდება, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს, იქნებ მიშველო!“ აი, ეს კარგია! მეც ცოტას გავწვავ პაუზას და ვეტყვი, რომ გავუგზავნი! მაგარია! ეს ერთადერთია, რის გამოც მიხარია მუშაობის დაწყება.

მკითხავთ, ალბათ, რატომ არ გიხარია... განა არ გამიხარდებოდა, ჩემი სპეციალობით რომ მეშოვა სამსახური? ამ ზაფხულს ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი დავამთავრე, მაგრამ ვინ მიგიღებს მენეჯერად? ბიზნესმენად — მით უმეტეს. ბიზნესმენი უნდა გახდეს! ამისთვის კი უნდა იშრომო, მერე იომო, მერე... ერთი სიტყვით, ოფლის და სისხლის ღვრა ერთდროულად მოგიწევს. მე კი ამისთვის ასაკი არ მიწყოებს ხელს. სამსახური კი... მდივანად მოეწეობი ჯერ-ჯერობითო, მამაჩემმა გამომიცხადა. ამისთვის უნდა გავქანდე ხვალ თბილისში, ჩავაკითხო მამაჩემის ბიძაშვილის უფროს შვილს და იქნებ მომიხერხოს რამე. თურმე ჯერ არც უშოვია ჩემთვის სამუშაო, ისე მიბარებენ! ხომ კარგია? ჩემთან ვაკანსია არ არისო! გესმით? კაცი „სტაჟიანი“ ბიზნესმენია, მანქანების ყიდვა-გაყიდვის იმხელა ფირმა აქვს და მდივნის ვაკანსია არა აქვს, მენეჯერობაზე აღარაფერს ვამბობ! არა აქვს, არა! ვიცი, რაც ხდება. არ უნდა, მასთან რომ ვიმუშაო. შორეული ნათესავი თავისთან დაასაქმოს, მისთვის მიუღებელია. თან ცოლი ჰყავს ისეთი

აშარი, რომ... ყველა სიკეთესთან ერთად, ძალიან მედიდური და ამპარტავანი! მასზე უკეთესი თუ ქვეყანაზე დადის, არ ჰგონია! ახლა მე მკითხოს! ვინ მიგდია, ერთი გაუთლელი და ტეტია ქალია, რომელმაც მდიდარი ქმარი ჩაიგდო ხელში და რა ქნას, არ იცის. უნახავმა რა ნახაო, — მასზეა ნათქვამი. ისე, ლამაზი კი არის, ვერაფერს იტყვი! კიდევ იმის ეშინიათ ცოლსაც და ქმარსაც, რომ მათთან მომიწევს ცხოვრება. ღმერთმა დამიფაროს! ერთი კვირაც არ დავრჩები მათ სახლში! გავყრი ჩემს მდგმურებს და საკუთარ ბინაში ვიცხოვრებ. სხვისი დასამადლებელი რა მჭირს? მამა კი მამალებს, ჩვენთან დარჩი, ეგ ქირის ფული სახარჯოდ გამოიყენეო, მაგრამ ჩემსას მაინც გავიტან. არადა, სულ ერთი თვის წინ გავაქირავე... მას მეერე, რაც მამა ჩამოვიდა თბილისიდან.

ეჰ, დედა რომ მყავდეს... ჩემი ლამაზი დედაა! ჩემი იტალიელი დედიკონა... უღამაზესი სოფია... უდედობას ახლა უფრო განვიცდი, ამ ასაკში. თორმეტი წლის ვიყავი, რომ დავობლდი. მამამ დედა ბოლონის უნივერსიტეტში, ერთ-ერთ საღამოზე გაიცნო. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა სიმპოზიუმზე. მამა დოცენტი იყო მაშინ, დედა — პიანისტი და მათთვის გამართულ კონცერტზე უკრავდა. მოეწონათ ერთმანეთი, მერე დაახლოვდნენ და... იყო აკრძალვები, რადგან მაშინ საბჭოთა კავშირი არსებობდა, მაგრამ მაინც მოახერხეს და შეუღლდნენ. როგორ? გრძელი ამბავია, ნუ მომყოლებთ. სხვა დროს გიამბობთ! მამამ დედა საქართველოში ჩამოიყვანა და ერთი წლის შემდეგ მეც გავეჩნდი. ეს მოხდა ოცდასამი წლის წინ! აი, ახლა ხომ გაიგეთ, რამდენი წლის ვარ! ოცდა-სამის! მაგრამ მინდა, ორმოცდასამის ვიყო — „დამა“ ქალი, ლამაზი, გამოცდილი, გრაციოზული, არისტოკრატიული მანერებით, მაცდური ღიმილით... ეჰ, როდის გავა კიდევ ოცი წელი!

არადა, ცუდი გოგო არ ვარ! როგორი ვარ? ლამაზიც ვარ და მახინჯიც. უცერემონიოც და მორცხვიც. ჭკვიანიც და სულელიც. ჩემი საყვარელი ფრაზაა — „კარგია ეს თუ ცუდი?“ და ყოველთვის, როცა ამ კითხვას ვსვამ, არასდროს ვიცი, როგორ „გამოიყურება“ სწორი პასუხი.

საწყალი ჩემი მამიკო. ერთხელ ვერ გაიხარა ცხოვრებაში. ჯერ იყო და, საყვარელი ცოლი გარდაეცვალა, თანაც უღამაზესი... თანაც უცხოელი... ყველა კაცი მას შენატროდა, დედას გვერდით რომ ხედავდნენ. ალბათ გულში მურით სკდებოდნენ და ნერწყვებსაც ყლაპავდნენ. ყველას კი არ უმართლებს, სოფი ლორენცივით ლამაზი სოფია ჰყავდეს ცოლად! მას მერე მოტყდა, თითქოს შეცრად დაბერდა. ცხოვრების ხალისი დავკარგა.

მამა ახლა უკვე პროფესორია, სტუდენტებს უნივერსიტეტში საზღვარგა-



რეთის ისტორიას ასწავლის. უფრო სწორად, ასწავლიდა! ეს სასწავლო წელი რომ დამთავრდა, გამოუცხადეს, ეკონომიკური კრიზისისა და შტატები უნდა შეემცირებინათ... და შემცირებაში პირველი სწორედ მამა მოაყოლეს. ზუსტი მიზეზი არ იცის თვითონ, რატომ მოხდა ასე, მაგრამ მე მინც ვხვდები. უფრო იმიტომ გამოუშვეს სამსახურიდან, რომ ცოტათი ოპოზიციონერია. სიმართლე ეს არის. ისედაც, პროფესორები აღარავის სჭირდება. ახლა მთავარია, უცხოეთში გქონდეს განათლება მიღებული და ახალგაზრდა კადრი იყო.

ეჰ, მეც მინდოდა, იტალიაში მესწავლა, „ალმა მატერის“ უნივერსიტეტში, მაგრამ არ დამცალდა! დედა აღარ მყავს, მამას კი საშუალება არ ჰქონდა. ჩემმა იტალიელმა ბებია და ბაბუამ, სკოლა რომ დაამთავრე, ერთი წლით თავისთან წამიყვანეს, თან არჩევანის წინაშე დამაყენეს: თუ აქ გინდა სწავლა, დარჩი და ქირას ჩვენ გადაგიხდით, თუ არა და, გვითხარი, რა გინდა და იმას გაგიკეთებთო. მეც ავდექი და... თბილისში ბინა მიყიდეთ, სხვა არაფერი მინდა. სწავლით კი საქართველოშიც კარგად ვისწავლი, უფრო იაფიც დამიჯდება და ბინაც შემჩრება-მეთქი. შენი ნებააო, დამთანხმდნენ და იმისთანა სამოთხიანი „ჩამახუტეს“, თქვენი მოწონებული. მაღლიერების ნიშნად, თავდაუზოგავად ვისწავლე და უნივერსიტეტი წარჩინებით დავამთავრე. გგონიათ, ამით დამთავრდა? არა-ა! უნივერსიტეტის დამთავრებაც აღნიშნეს და... მანქანით მომილოცეს. დავგრაილე ახლა ჩემი „პოუნდაით“. ლამაზი მანქანაა, პატარა და კოხტა.

სხვათა შორის, ორი უცხო ენა ვიცი — იტალიური და ინგლისური. მენეჯმენტიც ვიცი და ბიზნესის მართვაც! ოღონდ თეორიულად! პრაქტიკა მაკვლია. მოვა დრო და იმასაც გავიცი! მაინც მივალწევ ჩემსას!

მეც ვუკრავ... მართალია, დედასავით პროფესიონალი პიანისტი არ ვარ, მაგრამ მაინც კარგად გამომდის. დედას უნდოდა, კონსერვატორიაში ჩამეზარებინა, მაგრამ არ დასცალდა. მეც გავუცრუე იმედი. მიხვდი, ჩემგან ნიჭიერი პიანისტი არ დადგებოდა და შევეშვი. ჯობია, ის ვაკეთო, რაც გამომდის. თუმცა, ჯერ არაფერიც არ გამომდის.

რა ვქნა, სულაც არ მიზიდავს ვიღაცის მდივნობა, მაგრამ რაღაცით ხომ უნდა დავინყო? პირდაპირ ბენეჯერად არაფერს დამსვამს. თუმცა პერსპექტივა მაქვს. ბოლოს და ბოლოს, ორი უცხო ენა ვიცი! დასაწყისისთვის ამასაც არა უშავს. დანარჩენი მერე ვნახოთ. მეტს ველი ცხოვრებისგან, ბევრს მინდა, რომ მივალწიო. მდივნობისთვის კი არ ვისწავლე ამდენი! ან ვის ვუთხრა, უნივერსიტეტდამთავრებული მდივნად ვმუშაობ-მეთქი? გამიგიჟდებიან ჩემი თავყანისმცემლები! მაგათ მილიონერი ვგონივარ — თბილისში ბინა, ავტომობილი, მამა

პროფესორი, ბებია-ბაბუა იტალიელი... რა იცინა, ამ დროს, როგორ გვიჭირს...

მამას ხათრით დავთანხმდი, თორემ... მამა რომ გაათავისუფლეს და შინ დაბრუნდა, იმ დღესვე ინფარქტი დაემართა. მართალია, გადარჩა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ არის ჯანზე, მკურნალობს. ხომ უნდა დავაყენო ფეხზე? ოჯახში ფულია საჭირო. წამლები, გამოკვლევები... ძვირი სიამოვნება! ყველა ხელეშში გიყურებს ან სადაზღვევო პოლისი უნდა გქონდეს. საიდან ექნება, როცა არ მუშაობს? ეს რომ მახსენდება, მგონია, მთელი ქვეყნიერების სიმძიმე მე დამაწვა მხრებზე. შევძლებ კი, გავუმკლავდე სიტყვებს? ცოტა არ იყოს, მეშინია! მჭირდება სამსახური, მჭირდება ფული — და ეს ყველაფერი ახლავე, სასწრაფოდ! ცოლი მაინც შეერთო მამას, ასე აღარ ვიდარდებდი. მე რომ წავალ, მომვლელი ხომ სჭირდება? ლუბაჩკას იმედი მაქვს, ჩემი რუსი მარტოხელა მეზობლის. ძალიან უყვარს მამა... არა მხოლოდ როგორც კარგი მეზობელი... ხანდახან ეკურკურება კიდევ. მის დანახვაზე თვალები სიხარულით აუყუყუნდება. ჰოდა, მიხედოს, სანამ არ ვიქნები. მაინც მარტო ცხოვრობს. წარმომიდგენია, როგორ გაუხარდება. ვინ იცის, იქნებ მამამაც სხვა თვალით შეხედოს? შეჩვევა ბევრს ნიშნავს. „ია ვსიო სდე-იაიუ დლია მირიანა, მილაჩკა“, — თვალბავცისკროვნებული მეტყვის ლუბა და გულშიც ჩამიკრავს, ხომ ვიცი.

მორჩა, ხვალ მივემგზავრები, დილით, ადრე, უთენია, რომ ბატონ ფილიპეს პირდაპირ სამსახურში მივუსწრო. დამაკვალანებს, ალბათ. მეგობართან დავანყებინებ მუშაობას... ვნახოთ...

დრო გაიწვია. საათზე მეტია, მოსაცდელში ვზივარ და პატივცემულ ფილიპეს ველოდები, მამაჩემის ბიძაშვილის უფროს ვაჟს, რომ იტყვიან — ყვავი-ჩივივის მამიდას. დედას გასვენების შემდეგ თვალითაც არ მინახავს, არც კი ვიცი, როგორ გამოიყურება. მაშინ ზემოდან მიყურებდა, თითქოს უცხოპლანეტელი ვყოფილიყავი. ერთადერთი, ვისაც ის და მისნაირი ნათესავები აღიარებდნენ ჩვენს ოჯახში, დედა იყო... რადგან ის უცხოელი არისტოკრატი გახლდათ... თანაც, იტალიელი... ამასთან, ზღაპრულად ლამაზი...

ახლა მე ვარ დედანაირი. მთლად სოფი ლორენი ვერ ვარ, მაგრამ სოფი მარსოს კი ძალიან მამსგავსებენ. ის კი არა, შენ უკეთესი ტან-ფეხი გაქვს, ვიდრე მარსოსო, — მეუბნებიან. საქართველოში სილამაზე, თუ დამიჯერებთ, მთლად დიდი ხეირი არ არის, მაგრამ გარეგნობასთან ერთად თუ იღბალსაც გინილადებს ღმერთი, შეიძლება, ხელი რაღაცას გამო-

ჰკრა. ნიჭიერიც ვარ. ესეც ხომ სიმდიდრეა? ჰოდა, ასე... ცოტას ცოტა წაემატება და... ერთ მშვენიერ დღეს მეც შემამჩნევს ვიღაცა — ლამაზს, ნიჭიერსა და ნახევრად იტალიელს, რომელიც ორ უცხო ენას ფლობს! რას გადავვიდე ამ ენებს? დღეს ვიღას უკვირს საქართველოში უცხო ენების ცოდნა? არც არავის, ტყუილად ვტრაბახობ.

ფიქრი ტელეფონის ზარმა გამაწყვეტინა. ფილიპეს მდივანმა ყურმილი აიღო... — ბატონო ფილიპე ახლავე მიგლები, გოგონი! — თავბრუსხვევად მომმართა ზედმეტად „დამაკვირებულმა“ შუახნის ქალმა.

„ალბათ გაუთხოვარია და იმიტომაც გათხუნილა ასე. თან, ალბათ, ჰგონია, რომ უხდება“, — გაგჭორე გულში სავარაუდო შინაბეჭად და წამოვდექი.

მდივანმა მუხის წითელ კარამდე მიმაცილა, გამიღო და წინ გამატარა.

გარეგნულად კი გამოვიყურებოდი მშვიდად, მაგრამ შინაგანად ისე ველავდი, მეგონა, წამნამებიც კი მიკანკალებდა. როგორც კი კაბინეტში ამოყვავი თავი, ჩემი შორეული ნათესავი თავის მაგიდას მოშორდა და ჩემკენ გამოემართა. ისევე ისეთი იყო, საერთოდ არ მეჩვენა შეცვლილი, ცოტა ჭაღარა მომატებოდა.

— თქვენ ალბათ აღარ გახსოვართ, ბატონო ფილიპე... — უხერხულად ავლაპარაკდი, თან ხელი გავუნოდე. — მე ლოლიტა ვარ, მირიან...

— ვიცი, ვიცი, ჩემო კარგო, რას ჰქვია, არ მახსოვხარ! რა დამავინყებს იმ პატარა გოგონას, კიკინებით რომ დარბოდა ეზოში! — მის ხმაში მხიარული ნოტები გაისმა.

ცოტა არ იყოს, შვებით ამოვისუნთქე. ასეთ არაოფიციალურ შეხვედრას არ ველოდი. მეგონა, მედიდურად დამხვდებოდა, თავის სოციალურ მდგომარე-



ობას ხაზს უსტებით გაუსვამდა და მაგრძობინებდა, როგორც გაჭირვებულ ნათესავს, სხვა რა გზა მაქვს, დაგეხმარებიო.

— მაპატიე, რომ ლოდინით დაგლალე, ჩემო კარგო, მაგრამ ძალიან სერიოზული სატელეფონო საუბარი მქონდა ამერიკიდან და... ხომ გესმის...



— როგორ გეკადრებათ... არა უშავს, სულაც არ დავლილვარ, — მისი მიღებით კმაყოფილი, გავთამამდი.

ფილიპემ ტყავის სავარძლისკენ მიმოითათა.

— აგერ დაბრძანდი...

— ჩემი საბუთები მოგიტანეთ... ყველაფერი აქ მაქვს, ასლებიც გავაკეთე და „სივიც“ შევადგინე. ყველაფერი ნამოვიღე, არ ვიცოდი, რა დამჭირდებოდა, და...

— აბა, მაჩვენე! — ფაილი მივანოდე. მამაკაცი მაგიდას მიუჯდა და ჩემი „მიღწევების“ დათვლიერებას შეუდგა. მერე თავი ასწია და თითქოს გაოგნებული მომაჩერდა.

— გასაოცრად ჰგავხარ დედაშენს, — რამდენიმეწუთიანი პაუზის შემდეგ თქვა, — იტალიელი იყო, არა?

— დიახ, — მრავლისმეტყველი ღიმილი ვესროლე. ვითომ არ ახსოვდა... ან ბუნდოვნად ახსოვდა... ან სხვა ნათესავში ავერიე... მაინც ვერ დამალა თავისი ამბიციურობა.

— მას ოდნავ მუქი თმა ჰქონდა. რომ არა ეს ნიუანსი, მისი სრული ასლი ხარ! — აღნიშნა და კვლავ ქალღმერთი ჩარგო თავი. — ის უჩვეულოდ ლამაზი ქალი იყო, — დამამატა თავჩარგულმა.

წარბი შევარხე. არათუ ახსოვდა დედაჩემი, მისი სილამაზეც არ დავიწყებია და ყველაფერ ამასთან ერთად, მისი გარეგნობის დახასიათებით მე მეუბნებოდა ქათინაურს.

სანამ ის ჩემს საბუთებს ეცნობოდა, მე კაბინეტი მოვათვალე. იქაურობა საკმაოდ მდიდრულად გამოიყურებოდა — სწორედ ისე, როგორც მსხვილი კომპანიის ვიცე-პრეზიდენტს შეეფერებოდა. მერე მზერა მასზე გადავიტანე.

ორმოცდაათი წლის კვალობაზე, ძვირფასად გამოიყურება, სიმპათიური მამაკაცია. მოჭარბებული ჭალარაც უხდება. ნეტავ, ცოლი როგორ ჰყავს? ისევ ისეთი კეკლეცია? დაეტყო წლები და ნაოჭები, თუ ჯერ კიდევ ინარჩუნებს ახალგაზრდულ იერს? ქმარი კი ჰყავს მოვლილი! ბიზნესმენების უმრავლესობას ჩემსეულა ღიბი ადევს ხოლმე და ხარივით სქელი კისერი აქვს, ამას კი ოცი წლის ბიჭივით აღნაგობა აქვს! ალბათ ცოტას სვამს, — დასვკი დიაგნოზი და უეცრად საკუთარ თავზე გავბრაზდი.

რატომ შემეცვალა ასე მოულოდნელად მასზე აზრი? იმიტომ, რომ მედიდურად არ დამხვდა და თბილად შემხვდა? ან კი რატომ უნდა შემხვედროდა სხვანაირად? მის წინ ხომ ლამაზი და საინტერესო ახალგაზრდა ქალი ზის, რომელიც მამაკაცებს მოსწონთ. მერე რა, რომ მასსავით მდიდარი არ ვარ? სამაგიეროდ, ჭკვიანი ვარ, თანაც... ოხხხხ! რა მუშველებოდა, ეს ორი უცხო ენა რომ არ მცოდნოდა. რით დავიტრაბახებდი?

— მდაა... — დაიწყო ფილიპემ. — არ მეგონა, უმაღლესი თუ გქონდა დამთავრებული. ყოჩაღი გოგო ყოფილხარ. აი, ეს მესმის. შენი „სივიც“ ნამდ-

ვილად იმსახურებს პატივისცემას, მაგრამ გამოცდილება საერთოდ არა გაქვს. პრაქტიკა გაცლია, ჩემო კარგო.

— ვიცი.

— მამაშენს არ უთქვამს, ასეთი წარმატებული ქალიშვილი თუ ჰყავდა. ის კი არა, ამდენი წელი, თბილისში მუშაობდა და ერთხელ არ შემეხმინა. ბოლოს და ბოლოს, ნათესავები ვართ, სხვა თუ არაფერი...

მივხვდი, საითაც უმიზნებდა პატივცემული ბიზნესმენი. აქამდე ჩემი არსებობაც არ გახსოვდათ მამა-შვილს და ახლა, როცა გაგიჭირდათ, მაშინ მომადექითო.

— კომპიუტერიც უნივერსიტეტში ისწავლე?

— დიახ.

— ყოჩაღ. დღეს სტუდენტებს სწავლა საერთოდ არ აინტერესებთ. შენ კი ისეთი რამეები გინერია აქ, თუ ეს ყველაფერი მართალია, სერიოზული კარიერა გელის. ინგლისური — ბრწყინვალედ, იტალიური — ბრწყინვალედ. ეს პატარა საქმე არ არის...

— ალბათ.

— ერთი პრობლემაა მხოლოდ, ლოლიტა. ჩვენთან, სამწუხაროდ, ვაკანსია არ გვაქვს, ჯერჯერობით, რა თქმა უნდა. როგორც კი რამე გამოჩნდება, მაშინვე გადმოგიყვან, მანამდე კი... რამე უნდა ვეძებოთ... მე და შენ... ერთად, — რატომღაც, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა ფილიპე, თუ ხაზგასმით, ვერ მივუხვდი.

— ერთი წუთით, ახლავ გავარკვევ რალაცას, — თითქოს რალაც მოაგონდაო, ყურმილი მოიმარჯვა, — ლენა, რომელ ფირმას აქვს ვაკანსიები გამოცხადებული?.. აჰა... გასაგებია... კარგი... კარგი... — მამაკაცმა ხელები მოიფშვინტა და ღიმილით გადმოიხედა. — „აიპისის“ მდივან-მემანქანეები სჭირდება, თანაც უბრალო კი არა, დიპლომიანი. ხომ არ შევადგოთ მათ საიტზე შენი „სივიც“?

ისე ვიუჟადრისე, სახეზე აღმურმა გადაძკრა.

— მაგრამ მე არ მინდა მდივანმემანქანეობა!

აქამდე იმას ვინუნებდი, რომელიღაც მმართველის თქრად მდივანად რა მამუშავებს-მეთქი და ახლა ესეც სახვეწარი გამიხდა.

— გგონია, ეს დასაძრახი პროფესიაა? კარიერული წინსვლა სწორედ ასეთი ნაბიჯებით იწყება, ჩემო კარგო. გასაგებია, რომ არ გინდა, მაგრამ ჯერ ისიც არ ვიცი, თქვენი მონაცემები მათთვის იქნება თუ არა მისაღები. იქ გაგესაუბრებინა, შეიძლება, ტესტების ჩაბარებამაც მოგიწიოს, ასე ადვილად კი არ არის საქმე, მიხვიდე და იმ დღესვე მიგიღონ! დღეს ყველგან ჭირს სამსახურის შოვნა, ეკონომიკური კრიზისია მთელ მსოფლიოში. აბა, როგორ გინდა! ფული ადვილად არ მოდის! — ნელი ცეცხლი შემინთო შორეულმა ნათესავმა.

მწარედ ამოვიოხრე. მივხვდი, კამათს აზრი არ ჰქონდა, მაინც ვერაფერს მივალწვედი.

— ყურებს ნუ ჩამოყრი, ძალიან გთხოვ. დამიჯერე და ნახავ, რამდენს მიაღწევ. თუ იქ არაფერი გამოვიდა, მერე სხვა რამეს ვეცდები, მეგობრებს შევეხმინებ... ვნახოთ.

მივხვდი... მე მისთვის იმდენად არაღირებული ვიყავი, სულაც არ სურდა, რომელიმე მეგობარი შეენუხებინა ჩემი სამსახურის გამო. გულის რევის შეგრძნება დამეუფლა. ისეთი იმედგაცრუებული ვიყავი, სულერთი იყო ჩემთვის, რამე გამოვიდოდა თუ არა. მხრები ავიჩქე, სხვა რა გზა მაქვს-მეთქი. ფილიპეს გაუხარდა, ასე უცებ რომ დავყარე ფარ-ხმალი და მდივანს ჩემი „სივიც“ გადასცა, „აიპისის“ მისამართზე გადაგზავნეო.

— გამადლობ, ბატონო ფილიპე, — ზრდილობა თავისას მოითხოვდა.

— ჯერ გამოვიდეს რამე, მადლობა მერე იყოს... და თუ შეიძლება, ფილიპე დამიძახე, ჩვენ ხომ ნათესავები ვართ. რა საჭიროა ჩვენ შორის ასეთი ოფიციალურობა?

ნაძალადევადა გავუღიმიე.

— ახლა კი, ჩემს მძღოლს ვთხოვ და ნაგიყვანს. ხომ ჩვენთან რჩები? — ფილიპემ მოჩვენებითი თავზაიანობა გამოიჩინა.

— არა, რას ამბობთ! მე მაქვს ღამის გასათევია... — არ დაუჟოკონკრეტე.

— ვისთან, დაქალებთან? — იღუმალი ღიმილი მესროლა.

— არა, რატომ?... საკუთარი ბინა მაქვს საბურთალოსე.

— ვა! მართლა? უშოვია მამაშენს ფული! — აშკრად გაუხარდა, რომ მას არ შეევეკვდებოდი.

— დედაჩემის შშობლებმა მიყიდეს, — ეს უკვე ხაზგასმით წარმოვთქვი.

— ძალიან კარგი, ჩემო ღამაზო და მშვენიერი. მაშინ დროებით დაგემშვიდობები და გამაგებინე მერე, რას იზამ, ხომ? — ფილიპე ფეხზე წამოდგა, რაც იმას ნიშნავდა, რომ აუდიენცია დამთავრდა.

— აუცილებლად. კარგად ბრძანდებოდეთ.

— ნახვამდის, ლოლიტა. შენს ზარს დაველოდები, იცოდე! ისედაც, გამოგვიარე სახლში, ქრისტინეს გაუხარდება.

— ვეცდები.

იმ ღამეს ჩემს ჯგუფელ მაიკოსთან დავრჩი, რომელიც ორი თვის წინ გათხოვდა. კი მერიდებოდა, მაგრამ იძულებული ვიყავი: სანამ მდგმურს დავითხოვდი, მასთან მომინევდა დარჩენა. სამ დღეში უნდა დამიცალოთ ბინა-მეთქი, მოვუბოდიშე ახალგაზრდა და-ძმას, მამას ავადმყოფობა მოვიმიზიზე. ისედაც ვაპირებდით გადასვლას, ძალიან გვიჭირს ქირის გადასვლა, უკვე ვეძებთ იაფფასიან ბინასო, — მითხრა დამ. ძმა მოუხსნიათ სამსახურიდან და...



გამიმართლა... მდგმურებმა ბინა ორ დღეში გამითავისუფლეს და იმავე დღეს სამსახურის თაობაზეც დამირეკეს მობილურზე, ხვალ, საღამოს ექვს საათზე, ოფისში გელოდებით გასაუბრებზეო. პირველი გამიხარდა, მეორე — ისე, რა ჩემთვის მდივანმემანქანეობა დიდი ბედენა სულაც არ იყო.

მეორე დღეს სახლი დავალაგე, ფარდები და თეთრეული მივრეცხ-მოვრეცხე, სადილი მოვამზადე და წასვლის დროს რომ მოახლოვდა, მაინც გამოვიპრანჭე. ექვსი ხდებოდა, „აიბისის“ შენობას რომ მივადექი. მთელი დღე დახუთული ამინდი იყო, ახლა კი პირქუში ცა ღრუბლებით დაფარულიყო. მივხვდი, რომ აუცილებლად იწვიებდა, თანაც ძალიან მალე და საშინლად. ასეც მოხდა. როგორც კი ვესტიბიულში ფეხი შევადგი, ერთი გაიელვა, მერე დაიგრგვინა და დაუშვა, მაგრამ რა დაუშვა! კიდეც კარგი, შევასწარი!

ვიცოდი, ეს კომპანია თანამედროვე ელექტროტექნიკით ვაჭრობდა — კომპიუტერები, ვიდეომაგნიტოფონები, ავტომობილის რადიოები, ტელევიზორები, ფოტოაპარატები, მაგნიტოფონები, პლასტიკური ტელევიზორები და ა.შ.

ჯერ ზეპირად გამესაუბრნენ, მერე უაზრო ტესტები გადმომილაგეს, სწორი პასუხები შემოსახეო. ძალიან მარტივი დაავალბა იყო, მაგრამ მაინც შეცდომით შემოვსახე პასუხები, იქნებ არ ამიყვანონ-მეთქი. იმდენად დაუცველად და უცხოვ ვიგრძენი თავი, მერჩივნა, უარი ეთქვათ სამსახურზე. გარდა ამისა, ანკეტაში იმდენი რამ ჩავწერე, ალბათ გასულელდებოდნენ! ერთ-ერთი კითხვა იყო, რა თანამდებობაზე ისურვებდით მუშაობას თქვენი კვალიფიკაციის მიხედვით? სამი სავარაუდო თანამდებობა უნდა დამესახებინა. მეც ვიმატრაბაზე და ჩავწერე: „ვიცე-პრეზიდენტი“, „მარკეტინგის მენეჯერი“ და მხოლოდ მესამე ადგილზე აღვნიშნე — „მდივანი“. თან მაგრამ ვისალისე. სულ რომ სწორად შემევსო ტესტები თავიდან ბოლომდე, ამის შემდეგ მაინც მეტყუოდნენ უარს. თავხედობასაც ხომ აქვს საზღვარი!

ცოტა ხანს მალოდინეს და შემდეგ პასუხის სათქმელად მარკეტინგის მენეჯერის კაბინეტში შემიყვანეს. უნდა გენახათ, რა სახე ჰქონდა სანყალ კაცს! როცა ანკეტას ჩაჰკრა თვალი, სახეზე შემფოთება დაეტყო. ალბათ მისი თანამდებობა რომ მქონდა ჩამონათვალში, ამან თუ შეაშინა. მისი შემხედვარე სიცილს ძლივს ვიკავებდი. ბოლოს მამაკაცი წამოდგა და მედიდურად გამომიცხადა, სამწუხაროდ, აქ ჩამოთვლილი თანამდებობებიდან თქვენი მონაცემები არც ერთს არ აკმაყოფილებსო. ესეც ასე! გამომივიდა! ხვალ ისევ ფილიპეს ვივადგები.

რა ჩემი ბრალია, ასე რომ ვიქცევი. საერთოდ, ძნელად ვგვებოდი ახალ გარემოს. ამდენ უცხო ხალხში როდის მოვახერხებ გაშინაურებას, თანაც, ჩემი სა-

ცოდავი თანამდებობით! არანაირი პრივილეგია არ მექნება!

იქნებ როგორმე ფილიპე დავიყოლიო და თავისთან გამომიჩხრიკოს რამე. რაც მთავარია, მოვეწონე, ამიტომაც ვიმედოვნებ, რაღაცას მომიხერხებს. ერთი ნაცნობი მაინც მეყოლება იქ, თანაც ნათესავი. უფრო ადამიანურად მომეპყრობიან. ჩემი შორეული ნათესავი ახლა ჩემი ერთადერთი ნათელი წერტილი იყო შავ ჰორიზონტზე.

როცა შენობიდან გამოვედი, აგვისტოს მშვენიერი საღამოს ნაცვლად, გარეთ ღრუბლებით დაბურული ღამე დამხვდა. ალბათ ისევ იწვიებდა, უკმაყოფილოდ გადავაქინე თავი. რა დროს თავსხმამ ამ გაგანია ზაფხულში! ამინდიც კი არ მწყალობს!

ქუჩა გადავჭერი და ის იყო, გეზი ჩემი მანქანისკენ ავიღე, რომელიც კარგა მოშორებით, შესახვევში მეყენა, რომ მოულოდნელად ვიგრძენი, როგორ დამეცა ხელზე წვიმის რამდენიმე წვეთი. აჰა, დაინყო! ამასობაში ქარიც ამოვარდა ღმუილით. ეს უკვე მეტისმეტი იყო! მივიხედ-მოვიხედე, სად შეიძლება თავის დროებით შეფარება. მანქანამდე მშრალი ვეღარ მივალწვედი. ჩემ უკან მალალი შენობა შევნიშნე და დაუფიქრებლად იქითკენ გავიქეცი.

სირბილით შევვარდი შენობაში და მოულოდნელად ფეხსაცმლის ქუსლი რაღაცაში გამეჭვდა. თავის შეკავება ვერ შევძელი, რომ თავქვე წავედი და ქვის იატაკზე მოვადინე ზღართანი. ეგ კიდეც არაფერი, გაკავებული ფეხი ცუდად მომყვა და ყრუ ტკივილი ვიგრძენი...

სიმწრით შევიკვილე. ამ დროს ჩემ წინ, ცოტა მოშორებით, კარი გაიღო და იქიდან ორი მამაკაცი გამოვიდა.

— იდიოტკა! — გავიგონე, როგორ ჩაილაპარაკა ერთმა ჩემი მისამართით.

— მიშველეთ! — კი არ ვიყვირე, შეშინებულმა დავიხავლე. ახალა გავაცნობიერე, რომ ერთიანად თეთრ ფხვნილში ვიყავი ამოსვრილი. მოგვიანებით გავაცნობიერე, რომ ცემენტი იყო. როგორც ჩანდა, შენობაში რემონტი მიმდინარეობდა, რადგან იქაურობა საშენი მასალებით იყო სავსე.

მეორე მამაკაცი მსწრაფლ მომვარდა და წამოდგომაში მომეხმარა.

— ღმერთო ჩემო, აქ რას აკეთებთ? შენუხებულმა ახვადე.

— ცირკში გამოსასვლელად ვემზადები, — ვუპასუხე გაღიზიანებულმა.

— რა გქვიათ? — მკითხა და პასუხს არ დალოდებია, ისე დაამატა: — სიარული შეგიძლიათ?

— კი, რა თქმა უნდა, — რის ვაივარდობით ვუპასუხე.



სადღაც თითქმის მიყრუებულ შენობაში, მაგრამ ლიფტში შევედი თუ არა, სინათლის შუქზე შიში წამსვე გამიქრა.

ის, რომელსაც ექიმის გამოძახება უნდოდა, საშუალო ასაკის იყო, პიჯაკ-ჰალსტუხში გამწკვირილი და ნამდვილ ბიზნესმენს ჰგავდა. მეორე კი, რომელსაც ნიკა ერქვა, სპორტულად იყო ჩაცმული — ჯინსსა და მაისურში. დაახლოებით ოცდაათი წლის იქნებოდა, შევხედე და გაცუბისგან პირი დავალე. ჩემ გვერდით ყველაზე სიმპათიური მამაკაცი იდგა, ვიტყვოდი, ლამაზიც, რომელიც კი ოდესმე მენახა ცხოვრებაში. რაც მთავარია, მოძალადეს არც ერთი არ ჰგავდა.

დრო იმდენად გაინელა, ასე მეგონა, მეოთხმოცე სათუღზე ავდიოდით, არა და არ გაჩერდა ლიფტი. როგორც იქნა, ეშველა ბოლოს და ბოლოს, და კარიც გაიღო.

— მამუკა, მერის უჯრაში აფთიაქის ყუთი უდევს და იქნებ კაბინეტში შემოიტანო? — მიმართა ნიკამ იმ მეორეს, როცა ლიფტიდან გამოვედი და ვესტიბიულში აღმოჩნდი.

ირგვლივ მიმოვიხედე და გავოცდი... მთელი საერთოლი მოწითალო ფერის მარმარილოთი იყო მოპირკეთებული...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზა გზანილები

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, ძვირფასო მგზავნელებო, მკითხველებო და ილია (ერთმა მგზავნელმა მთხოვა, პერსონალურად მივსალმებოდი იმის ნიშნად, რომ მართლა ვარსებობ და თქვენ მიერ გამოგზავნილ მესიჯებს ნამდვილად ვკითხულობ). ისე,



ზოგიერთი თქვენგანი უკვე რამდენიმე წელია, მგზავნელია და ასე პერსონალურად, შესავალში რომელს მოგსალმებოდათ? არავის! აი, ილიას კი მივესალმე. ნუ დაინწყებთ ახლა ბედზე წუნუნს და იმის მოყოლას, რომ ჩემთან მესიჯების გამოქვეყნება ჩანჯობით (ისე რა გაგმდიდრდებოდი, არა?), ნაცნობობითა და ქრთამის გადახდის შედეგად ხდება. ჩანჯობა ისაა, რომ კარგ მესიჯს გამოგზავნით და თემასაც ისეთს შეარჩევთ, რომელიც „გზავნილებს“ შეეფერება და სხვას ცუდ მაგალითს არ მისცემს (გაიგე, მისტერ?). ისე გამიტკებება სოლმე შესავალში თქვენთან ბაასი, ლამის დამავინწყდეს, რისთვის „მოვედი“. ისე,

„დავიწყებაზე“ გამახსენდა (მაგარი სიტყვათა წყობაა) და ამ ბოლო დროს ბევრი რამე მავინწყდება და ბევრიც — მინდა, რომ დავივიწყო (გაიგე, ლონგინო?). ბარემ თემაზე ერთ ანექდოტს მოგიყვებით:

- ასაკოვანი მამაკაცი საკონდიტროში შევიდა.
- თუ შეიძლება, 2 ცალი სკლეროზი მომეცით, — დინჯად მიმართა გამყიდველს.
- ასეთი ტკბილეული ჩვენ არ გვაქვს!
- როგორ არა, ყოველდღე შემოვდივარ და 2 ცალ სკლეროზს ვყიდულობ! ახლა აღარ გაქვთ? — ეჭვი გამოთქვა მამაკაცმა.
- არ გვაქვს, ბატონო, და არც არასოდეს გვექონია! — გაბრაზდა გამყიდველი და შემდეგ კლიენტს მიუბრუნდა.
- ვააა, „ნუჟული“ ეკლერი მაქვს? — ჩაიბურტყუნა მამაკაცმა და მალაზიიდან ნაწყენი სახით გამოვიდა.
- ჰოდა, ვისაც „ეკლერი“ არ გაქვთ და ჩემი ტელეფონის ნომერი ჯერ კიდევ გახსოვთ, მომწერეთ. ახალ თემას კი „გზავნილების“ ბოლოში იხილავთ.

პატარა რომეო

„მაშინ 19 წლის ვიყავი და თუმცა ამბობენ, სიყვარულმა ასაკი არ იცისო, 3 წლის ლუკას ნამეტანი „უცოდინარი“ სიყვარული დამართა და ჩემი ტრფობის ცეცხლი წაეკიდა. ის ერთი „პენსიონერული“ თვე ბუბიასთან, მისმა სიყვარულმა გადაამატანინა. პირველად რომ დამინახა, ისე აღფრთოვანდა, მოუთმენლად იკითხა: — ესაა ლა ალის? — და დედამისს ჩემზე მიუთითა. მეორე დღეს უკვე ერთად ვსირობდით და საღამოს მანონსაც ვაჭმევდი. 2 დღის შემდეგ გადაჭრით გამოუცხადა ჩემს „სადედათილოს“ (ჩემზე 3 წლით იყო უფროსი), ეს გოგო ჩემი ცოლიაო და კალთაში ამომიციოცდა. იმ საღამოს, როცა „ცოლობა მთხოვა“, ჩემს თმაზე ხელჩაკიდებულმა დაიძინა იმის შიშით, რომ „გუდიან ძიას ალა მოვეპალე“. ჩვენი „საკურორტო რომანი“ თითქმის ერთი თვე გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე ლუკა უჩემოდ აღარც ჭამდა, აღარც იძინებდა. ერთხელ, მამამისს ნამცხვარი მიერთმია ცოლისთვის. ჩემმა მიჯნურმა კი თავისი სათამაშო ვედრო აავსო კრემიანი ნაჭრებით და მომადგა, ელთად ვნამოთ, ლოგოლც დედიკომ და მამიკომ (რა რომანტიკოსი გაიზრდება, წარმოიდგინეთ). მისთვის ნამდვილი ნეტარების წუთები მაშინ დგებოდა, როცა ჰამაკში ვსდებოდით და „ალოთი“ მუსიკას ვუსმენდით, მაგრამ დადგა ჩვენი განშორების სასტიკი წუთები. ტირილითა და ნივილ-კვილით გაგვყარეს ერთმანეთს მე და ჩემი პანია რომეო. მთელი წელი თვალწინ მედგა მისი აცრემლებული თვალები და ფუმფულა თითუნები, დამშვიდობებისას რომ ინვდიდა ჩემკენ. მან კი შემდეგ ზაფხულს ვეღარ მიცნო. ოჰ, ეს კაცები... P.S. მარ, კი თქვი, აპლოდისმენტები არაა საჭიროო, მაგრამ... თემა სულ სხვაა! პარიჟანკა“.

შურის მაძიებელი

„მარ, პირველად გწერ და ცოტა არ

დაწუნებული სარძლოს, თავგანწირული შეყვარებულებისა და აზარტული მოთამაშის ამბები



იყოს, ვენერვიულობ. ჰოოდა, შარშან როგორი სიცხე იყო, გახსოვთ ალბათ. ერთ დღესაც მე და ჩემმა ძმაკაცებმა გადავწყვიტეთ, რომ გართობა არ გვანყენდა და წყლით სავსე ბოთლებით შევიარადით. იმ დღეს ჩვენს ქუჩაზე ჩამოვლილი ყველა გოგო გავენუნეთ... :) მეორე დღეს, საღამოს 9 საათისკენ, გარეთ ვისხედით და უცებ, უცნობი გოგო მოგვიახლოვდა. არც აცია, არც აცხელა და ჩემს ძმაკაც დათოს უთხრა, ბნელა, მარტოს მეშინია და სახლამდე მიმაცილეო. ჩემს გოგოებს საზღვარი არ ჰქონდა. მაღალი, ლამაზი, ანგელოზისსახიანი გოგო გაცილებას სთხოვდა დათოს?! ისიც, რა თქმა უნდა, დათანხმდა და გაჰყვა, მაგრამ ნახევარ საათში უკან მოვიდა, სულმთლად გალუმპული. როგორც აღმოჩნდა, ის გოგო წინადღეს დათომ განუნა და იმანაც შური იძია. თურმე გზაში დათოს იმ გოგოს დაქალები გადაუდგნენ წინ, მაგრამ განუნეს და კარგადაც დასცინეს, მაგრამ დათო მაინც კმაყოფილი იყო — იმ გოგოს (ლიკას) ნომერი იშოვა და დღეს შეყვარებულები არიან. ჩემი ნიკი იქნება NOOB“.

3 კახელის სიყვარული

„საკურორტო რომანი რამდენად არის, არ ვიცი, მაგრამ მაინც მოგიყვებით. მოკლედ, ჩემი „კურორტი“ ყოველ წელს ძირითადად, კახეთია. ბავშვობიდან სულ იქ ვისვენებ და ყველას ვიცნობ, მათ თვალწინ და მათთან ერთად ვიზრდებოდი, ყოველი წლის 1 თვე. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ქალაქელი, ნორმალური გოგო, სოფელში მიინიშნებ, 1 ბიჭს მაინც უყვარდება ხოლმე. მეც, რადგან „მრავალბიჭმაცხოვრებლიან“ (ეუპ, რა სიტყვა მოვთარგმნე?! სოფელში ჩავდივარ ხოლმე, „პაკლონიკების“ ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდი. წინა ზაფხულს 3 ძმაკაცს ერთად შევუყვარდი (ეძახე ახლა ამათ მამაკაცები). თან, ერთ-ერთს ბავშვობიდან ვუყვარვარ და დანარჩენები მერე შეეცილნენ. მთელი თვე მანებივრებდნენ სიმინდით, ხილით და ა.შ. ერთხელაც, ჩვეულებრივად ვსხედვართ ე.წ. ბირჟაზე და ერთ-ერთმა სიყვარული იმით გამოხატა, რომ წყალი შემასხა (აი, „ჯენტლმენტი“!). მეორე გაეჭიმა, აქაო და როგორ ვკადრეო და ვაიმე! იქ ჩხუბი წავიდაა?! მტრისას! ერთმა მეორეს ქვა სთხლიშა თავში, მეორემ — ფიცარი და არის ერთი კვილიწვილი. ამ დროს მესამე შუაში ჩაუხტა. თან აშველებს და თან მე მიყვირის — სოფო, დროზე ამოგვირჩიე ან ერთი, ან მეორე, ან მესამე! ხომ ხედავ, უკვე არაადეკვატურები გავხდითო (ზუსტად ასე თქვა). მე „დალაგებულმა“ კი მის ამ მაღალფარდოვან გამოთქმაზე ისეთი ისტერიკული სიცილი ავტყეხე, მოჩხუბარ-გამშველებლიანა პირღებე მიყურებდნენ და ალბათ ფიქრობდნენ, ეს გიჟი რამ შეგაყვარდა? ასე იყო თუ ისე, უთქმელად წამოვდი მეორე დღეს თბილისში. ნელსაც ერთგულად მელიან და იმედია, ცივილიზებულად გადავწ-

ყვეტთ ამ „გლობალურ პრობლემას“. მჯერა, მათი დიპლომატიური ნიჭი ჩხუბს ალარ დაუშვებს (ვიმედოვნებ მაინც). კახელებო, ძალიან მიყვარხართ, დედას გეფიცებოთ. ბამბუჩა“.

ძალიან სევდიანი ამბავი

„მოგესალმებით საბერძნეთიდან. „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ. მის შესაქმნად უთენია გავრბივარ ხოლმე. მინდა, ჩემი პატარა და მწარე ამბავი მოგიყვებო. ამ ქვეყანაში საყვარელი ადამიანის გაჭირვებამ ჩამომიყვანა. მეუბნებოდა, რომ ჭლები ჰქონდა და დიდი თანხები სჭირდებოდა (მოგვიანებით გავიგე, რომ სტაჟიანი „მზავიკი“ ყოგილა). მიჭირდა, მაგრამ იმ იმედით, რომ საქართველოში ის მელოდებოდა (ასე თვითონ მეუბნებოდა) და უფლის წყალობით, ვუძლებდი ამ ჯოჯოხეთს. მაიმედებდა, რომ წელს ზაფხულში ჩავიდოდი, დავეკორნინდებოდი და შევებულებას ზღვაზე ერთად გავატარებდით. დღეს კი ტოტალიტარორში წაგებული 900 დოლარისთვის, ჩემი მოგვარე და ჩემი გაზრდილი ჯენიფერა (ეს სახელი თვითონ დაარქვა) მოიყვანა ცოლად. დღეს ისე მძულს, საკუთარი თავის იმედი არ მაქვს, თავი მოვთოკო მისი დანახვის დროს და სიმშვიდის 20% მაინც შევინარჩუნო. მე სიცოცხლეს ვებრძვი (ლეიკემია დამიდგინდა), ბერძნები თან მყვებიან, მერი დეიდაც და ექიმებიც, მაგრამ ზაფხულს გადავიტან? დღეს ჩემი ტრანსპორტირება შეუძლებელია, ოჯახი კი ჩემზე ჯავრმა გაანადგურა. სიცოცხლე მანამდე მინდა, ვიდრე ჩემს სამშობლოს, ოჯახს და ახლობლებს ჩავეხუტები. მერე კი... ბოლოში უბრალოდ, „მსხვერპლი“ მიანერე. ბოდიში, თუ მწუხარე გამოვიდა, მაგრამ ეს არის იქნებ, ჩემი ბოლო ზაფხულიც“.

სიყვარულისთვის თავგანწირვა

„გამარჯობა, თქვენი ერთგული მკითხველი ვარ, განსაკუთრებით კი — „გზავნილების“ და გადავწყვიტე, მეც მომეწერა. დიდი იმედი მაქვს, რომ დამიბეჭდავ ზაფხულის ამ რომანტიკულ თავგადასავალს. მე და ჩემი შეყვარებული არც ისე დიდ დროს ვატარებთ ერთად. ის სხვა ქალაქში ცხოვრობს, მე — სხვაგან და ერთმანეთი ყოველთვის ძალიან გვენატრება. ჰოოდა, ამ მონატრებისგან „გარეკილმა“ ბიჭმა სანახავად თბილისიდან რაჭაში ჩამომაკითხა, სადაც ბებიასთან და ბაბუასთან ვისვენებ, მეგობრებთან ერთად. ერთმანეთი თითქმის ორი თვის უნახავი გყავდა. მე, მან, ჩემმა დაქალებმა და მისმა ძმაკაცმა ერთად მშვენიერი დრო გავატარეთ, მაგრამ როდესაც მათ თბილისში დაბრუნებამე მიდგა საქმე, მაშინდა შევიხსენეთ, რომ უკვე კარგა ხნის შეღამებული იყო. რაღას იზამდნენ? იმ ღამის გათენებამ ღია ცის ქვეშ მოუწიათ. თანაც, საკმაოდ გრილოდა, ინვიმა

კიდევ. ჩვენს გაყინულ სტუმრებს შუალამისას ავუტანეთ „ადილები“ და საკვები (მანამდე სახლიდან გასვლა ვერ მოვახერხე, საკმაოდ მკაცრი ბებიანაბა მყავს). სახლიდან ისე ფრთხილად მივიპარებოდით, თითქოს ბასტილიის ცხიდან ვცდილობდით თავის დაღწევას. როგორც იქნა, მივალწიეთ დანიშნულების ადგილს და რომ დავინახე, როგორ სციოდა ჩემს სიყვარულს, მაშინ ვიფიქრე, ამის შემდეგ, როგორ ვთქვა, რომ არ ვუყვარვარ-მეთქი? მივირბინე და მაგრად ჩავეხუტე. ვილას უნდოდა „ადილა“? დაქალებთან ერთად მალევე დავბრუნდი სახლში, მათ კი დამე რაღაც მიტოვებულ შენობაში გაათენეს და მეორე დილას დაბრუნდნენ თბილისში. აი, ასეთი იყო ჩემთვის ზაფხულის საუკეთესო დღეც და ღამეც. მას შემდეგ გაცილებით გამძობიერდა ბექას მიმართ სიყვარული, ერთმანეთი უფრო მეტად გვენატრება, ვიდრე ოდესმე. ბზიკი“.

„მე მინდა, დღეს საღამოს მგელი იყო“ ..

„უკვე მეცხრედ გწერთ მესიჯს და არ მიბეჭდავთ. ეს ერთიც უნდა ვცაოდო, იქნებ გამიმართლოს. არადა, „გზავნილებს“ თითქმის სულ ვკითხულობ. მოკლედ, შარშან 10 დღით წასული ვიყავით იტალიაში (მთლად დასასვენებლადო, ვერ იტყვის კაცი). ერთმა მაგარმა, რუმინელმა გოგომ „დამკერა“ და მეც მინდა, სასიეროდ დავპატიყყო... ინგლისური ცუდად არ ვიცი, მაგრამ ვერაფრით დავიმასსოვრე სიტყვა WALK — გასეირნება. ჰოოდა, ძმაკაცმა მასწავლა, რომ დაგჭირდება, გაისენე ფრაზა „ცხოვრებაში „ვოლკი“ უნდა იყო“ და გაგახსენდებო... მეც მივედი და შესავლის მერე ვეუბნები (ქართულად დაწერე) — მე მინდა, დღეს საღამოს მგელი იყო... ისე ამომხედა, მივხვდი, რომ მაგრად მივქარე... ჩემები კი ძირს ხოსავდნენ. ახლა მეცინება, თორემ მაშინ სირაქლემასავით ჩავრგეთ თავი კაფელში. P.S. იმ საღამოს მშვენივრად ვისეირნეთ მე და დარიამ. მუაფიტო ფრომ ბათუსი“.

დუნდრუცა და მხეცი მამა

„ერთი პუტუნა მეზობელი მყავს. ერთხელაც, ჩემთან ულვაშებდამაშული მოვიდა — ვაა, ნათიი, გაოფლილი რათა ხარ, ირბინე? ააა, ალბათ დუნდრუცა რო ხარ, იმიტომო, დაასკვნა თვითონვე. ერთხელ ჩემს დაქალს ჰკითხა რაღაცაზე, გაიგე, ნათიო? ვუთხარი, ნათია კი არა, თათია ჰქვია-მეთქი. რა მნიშვნელობა აქ, ვინ არი, ხო მისმენსო. კახეთში რადიო „პერეთი“ გვაქვს. ჰოოდა, სმს-სოფში ვრეკავდი ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი ზარის დროს წელში ვწყდები, ვცდილობ, რაც შეიძლება ბრძნული აზრები ვთქვა, ხალხს სერიოზული ვეგონო-მეთქი და ამ დროს მამამჩემის ყვირილი მესმის, მეორე ოთახიდან — ლობიოი ქვაბი არ დაინვა, გო, ჩახედო. ასეთი მხეცია. მოხეტილაუ“.



სინანული გვიანია

„ძალიან გთხოვთ, ეს წერილი დამიბეჭდეთ. პირველად გწერთ და ვწერ რვიულობ. შეიძლება ბევრმა გამკიცხოს, ჩემი საქციელის გამო, მაგრამ უკვე მომხდარს არ ეშვება. იენისში ზღვაზე მყავდნენ ბავშვები. უკვე 5 წელია, ოჯახის ტვირთს ვეზიდები, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ 20 წლის ვარ. ჩემი ღრმად პატივცემული ქმარი არ წამომყვა, თავისი, ვითომ და სამსახურის გამო. სინამდვილეში, ძმაბიჭებთან დროს ატარებდა, ჩვენ კიდევ ურეკის სილას ვთვლავდით, 1 კვირა, რადგან ბავშვების ჯანმრთელობას სჭირდება. იქ ერთი ბიჭი გავიცანი. უფრო სწორად, ძალით გამეცნო. გაცნობა-გამოცნობის თავი და ნერვები სად მქონდა? მეც, დათოზე გულნატკემა, ბაასი გაუფი და საქმე იქამდე მივიდა, მაკოცა. ტელეფონის ნომერი მივეცი. ჩუმად ვმეხიჯობთ, მიმტკიცებს, უზომოდ მიყვარხარ, უშენოდ მიჭირსო. მე მამინ ოღონდ დათო გამემწარებინა და ყველაფერზე წამსვლელი ვიყავი. ახლა ჩემს ნაბიჯს ვნანობ. ეს საქციელი არ უნდა მეკადრებინა. ახლა ვეღარ ვიწორებ. ვიცი, დამნაშავე ვარ, მაგრამ რას ვიზამ? ამ წერილით მინდა ყველა ქმარს ვუთხრა, ცოლებს მარტო ნუ გაუშვებენ. იყავით ყურადღებიანი ქმრები. გოგონებო, თქვენ კი საკურორტო რომანებს ნუ აპყვებით. გოცნით ყველას“.

სოფლური LOVE STORY

„ჩემი სოფელი რამდენად კურორტია და იმ ამბავს, რომელიც უნდა მოგიყვებოდა, რამდენად ჰქვია რომანი, არ ვიცი, მაგრამ რაღაც მაგდაგვარში რომ გადის, ფაქტია. შარშან ზაფხულს, ჩემი სახლის გასწვრივ, ახალგაზრდა ცოლქმარმა ოთახი იქირავა და თავის 2 პატარა ბავშვთან, მათ 44 წლის ძიძასთან და ძალღ ლუბასთან ერთად შეუდგნენ 3-თვიან, სოფლურ ცხოვრებას... ჩასხდებოდნენ ხოლმე მანქანაში მთელი ოჯახი და დიდიან საღამომდე ალაზანზე მიდიოდნენ, ბავშვებისთვის კი მამაც, დედაც და ბებია-ბაბუაც 44 წლის ვენერა იყო. მშობლები ჯერ ნასულელები არ იყვნენ ხოლმე, რომ ვენერა ყვირილს იწყებდა. ყველაფერზე ღიზიანდებოდა და ბავშვებსაც ბოლო ხმაზე ანივლებდა... ერთ დღესაც, ვენერას ყვირილი შემომესმა და გავიხედე, ეს არ შემდგარი ძიძა ჩემს დას ეჩხუბებოდა, ძალიან ხმაურობდა და ბაღლებს ვერ ვაძინებო. ის-ის იყო, პასუხის გასაცემად გავქანდი, რომ „ტურისტია“ ცოლქმარი მოვიდა, ბოდიში მომიხადეს, აპატიეთ, 44 წლის ქალია, ბედმა არ გაუღიმა, ვერ გათხოვდა, ყველაფერზე ნერვები ეშლება, გაღიზიანებულია, უნდა გაუფოთო... ჩემი ნერვების მოშლა არც ისეთი მარტივია, მაგრამ როცა საქმე ჩემს დას ეხება... მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, შურისძიების გეგმის სისრულეში მოყვანა გადავწყვიტე. ვინაიდან ვენერა გასათხოვარი იყო,

მისთვის სამაგიეროს გადახდა ძალიან გამიმარტივდა. მისი საცხოვრებელი ოთახის წინ მდგარ თუთას დაახლოებით ასეთი შინაარსის განცხადება გავაკარი: „გაცნობისა და დაოჯახების ცენტრი... გსურთ ოჯახის შექმნა და მეორე ნახევარს ვერ პოულობთ? 8.98..... დარეკეთ და იპოვეთ თქვენი საბედო“... ჯერ გაკრულიც არ მქონდა ფურცელი, რომ საქმროს პოვნის იმედნასახულმა, მარად ქორწინზე მოფიქრალმა ვენერამ დარეკა. ჩემს „ტელეზე“ პაპაჩემმა უპასუხა და ზოიას მალაზიასთან (სოფლის ცენტრია) პაემანი დანიშნეს. ალბათ მიხვდით, რომ დანიშნულების ადგილზე მისულ ქალს იქ მე დავხვდებოდი. დღესაც მახსოვს მისი ვარცხნილობა და წითელი კომადა. ყველაზე დასამახსოვრებელი კი მისი გოცნებულ გამომეტყველება იყო. შანტაჟი ხმაძალი ნათქვამია, მაგრამ ამ ამბის შემდეგ ვენერას ხმა აღარავის გაუგონია. ასე დამთავრდა არც დაწყებული LOVE-STORY. რუსიპირი“.

გოჭის ბრალია

„ჩემი საკურორტო რომანი ოჯახის შექმნით დაგვირგვინდა. რაჭაში ყოფნის დროს, დედამ დილით ადრე გამალავიდა, გოჭი ვერსად ვიპოვე და წადი საქებნელადო. ნავედი, ჩავუარე ჩემი რძლის დას და გავეშურეთ გოჭის საქებრად. ცოტა ვიარეთ თუ ბევრი, გოჭი ვერსად ვნახეთ და გადავწყვიტეთ, ცოტა ხანს შეგვესვენა და ძებნა მერე გავგვეგრძელებინა. შევჩერდით წყაროსთან, სადაც ჩემი მეგობარიც იყო და მკითხა, ზუმერის დაყენება ხომ არ იცი, ჩემს მეგობარს უნდაო. მე დახმარებაზე უარი არ ვუთხარი და დავუყენე. გვაინტერესებდა, ზუმერი გააქტიურდა თუ არა და საცდელად ზარი გაუშვი. ცოტა ხანში დავემშვიდობებთ მეგობრებს და წამოვედით. საღამოს გაისმა ზარი მობილურზე. ვუპასუხე და აღმოჩნდა ზვიადი — ადამიანი, რომელსაც ზუმერი დავუყენეთ. რამდენიმე დღეში ზვიადი ჩემთან სახლში მოვიდა, საჩუქრებითა და ყვავილებით ხელში და ჩემს ძმებს და დედაჩემს ჩემი ხელი სთხოვა. მათგან ცივი უარი მიიღო, რა თქმა უნდა, მაგრამ მეორე დღეს მე და ზვიადი გავიბარეთ და უკვე 3 წლის შვილი გვყავს — ნიაკო. ბედნიერად ვცხოვრობთ ჩვენს ბუდეში. ჩემმა ოჯახმა ზვიადი მიიღო და ძალიან უყვარს. HAPPY END“.

ყველაზე მთავარი

„18 წლის ვარ. 2 წლის წინ გავიცანი ბიჭი, რომელიც უზომოდ შემიყვარდა. გრძნობა ორმხრივი იყო, ძალიან ბედნიერი ვიყავი, ვტკბებოდით ერთად ყოფნით, კარგა ხანს კოცნამდეც არ მისულა საქმე. შემდეგ ურთიერთობამ თავისთავად მოიტანა ჩვენი სიახლოვე და იყო პირველი კოცნა — არაჩვეულებრივი და განუმეორებელი, მართლაც საოცარი. აქ არ იყო ბინძური ვნება, მართლაც წრფელმა და სუფთა

გრძნობამ გაგვიჩინა ამის სურვილი. შემდეგ იყო უამრავი გიჟური, სიყვარულით სავსე დღე. კოცნა და მოფერებელი თითქოს სასიცოცხლო წყაროდ იქცა. როცა აქამდე მიიღო საქმე, მერე თავის შეკავება ძალიან ძნელია. ჩვენ გარემოც გვიწყობდა ხელს და ამ ყველაფერს, დაახლოებით 1,5 წლის შემდეგ მოჰყვას ის, რომ მე მასთან ვინეცი. თუმცა, მას არასდროს არაფერი დაუძალეობია. პირიქით, ყოველთვის ჩემზე მეტად თავშეკავებული იყო. მერწმუნეთ, სექსს ჩვენს ურთიერთობაში ცუდისკენ არაფერი შეუცვლია. პირიქით, უფრო მეტად დავახლოვდით და დილით დღე იმატებს სიყვარული. ნამდვილად არ დაუკარგავს ჩემ მიმართ ინტერესი. ძალიან კარგ ოჯახში ვარ გაზრდილი, პატიოსანი, ტრადიციული მშობლები მყავს, ვერავინ იფიქრებს, რომ მე ამას გავაკეთებდი. არც არავინ იცის, ჩვენ გარდა. თუმცა, ერთი წამითაც არასდროს მინანია ჩემი საქციელი. დიდი და ნამდვილი სიყვარული არ დავიღვევია. მინდა გითხრა, რომ უბედნიერესი ვარ. დარწმუნებული ვარ, სულ ერთად ვიქნებით და არასდროს მეტყვის, რომ ცუდად მოვიქეცი. თუმცა, ჩემი მონათხრობით არ მინდა გითხრა, რომ ყველას აქვს უფლება, შეყვარებულთან დაწვეს. მთავარია, იპოვოთ „ის“. შეყვარებული“.

დაწუნებული სარძლო

„ამ კვირის თემა რომ წავიკითხე, ჩემი მეგობარი, ელენე გამახსენდა. შარშან ზაფხულს ბათუმში ისვენებდა. პლაჟზე ზესტაფონელი, ძალიან სიმპათიური ბიჭი გაიცნო. ბიჭი მთელი დღე ყურადღებას არ აკლებდა, შემდეგ აღმოჩნდა, რომ ერთსა და იმავე სასტუმროში, გვერდიგვერდ ოთახებში ცხოვრობდნენ. ელენეს სილაშავემ ბიჭს თავბრუ დაახვია და მოსვენებას აღარ აძლევდა, ექვიანი ქმარით კუდში დასდევდა. ერთ მშენიერ დილას, ელენეს ოთახის კარზე ზარის ხმა გაისმა. თმაბურთმგნილმა, თვალედასიებულიმა, წინადალით მზისგან დამწვარდა დაგულმა ელენემ კარი გააღო და რას ხედავს? თავისი „პაკლო“ დგას, „იდიოტურილიანებებული“, ვილაც 2 უცნობ ქალბატონთან ერთად და... რა ხდება? ძველად ქალს სადემამთილოეზი დილით, ახალგაღვიძებულზე ამონებდნენ. ჩვენდა გასაკვირად, კიდევ შემორჩენილა ეს ტრადიცია. ჰოოდა, ამ ჩვენს ელენეს სადემამთილო დაადგა მიკიტანივით თავზე, მაგრამ შემწვარი გოჭით სახეგანითელებული ელო დაგვიწუნეს. იმ დღესვე ელოსთვის ცნობილი გახდა, რომ მეორე დილით კიდევ უნდა დაეხედათ ქალისთვის. დანუნებისგან გულმოსული ელენე დილით ადრე ადგა, დავიარცხნა თმა, გაიკეთა მაკიაჟი და იდეალურ ფორმაში დახვდა სადემამთილოს. აი, გაისმა ზარის ხმა. იმ დილით ქალი კი მოუწონათ, მაგრამ... ელენეს შვილი ჰყავს და ამ დროს ბავშვი „დედა-დედას“ ძახილით გამოვარდა. ეს რომ გაიგო



სადედამთილომ, იქ ამბავი ატყდააა! „ჩვენი ოჯახის შემარცხველი“ ეძახეს ელოს. :) არადა, სულაც არ აპირებდა ზესტაფონების რძობას. ასე დაემარა შვილი დედას, აბეზარი მთხოვნელების მოშორებაში. ლაკვასტი“.

სენი

„გამარჯობა, უპირველეს ყოვლისა მინდა გაგაცნოთ საკუთარი თავი. მე გახლავართ 24 წლის. სახელსა და გვარს არ დავასახელებ, თუმცა შევირქმევ გაყინულს. რატომ — გაყინულს, ამას სხვა დროს განვმარტავ. ბავშვობიდან ვიყავი უზომოდ აზარტული და ამავდროულად, „მათემატიკური აზროვნება“ მაქვს. თუ ვინმე სადმე რამეს თამაშობდა, ყველა მეძახდა, მოდი, მე და შენ ვიყოთ „პარეზიო“, რადგან ყოველთვის ვიგებდი — 100-დან 90-ს. 11-12 წლის ვიყავი და 25 წლის და კიდევ მათზე დიდებიც მათამაშებდნენ. თუმცა, მაშინდელი თამაშები მხოლოდ „ბუქნებზე“ იყო და წაგებული ბუქნებს აკეთებდა. გავიდა წლები და 7-8 წლის წინ დავინყე თამაში 1 ლარით, შემდეგ მოვიმატე ტოტალიზატორებში სიარულს. რა თქმა უნდა, თანხაც იზრდებოდა. 4-5 წლის წინ, ჩემმა უახლოესმა ნათესავმა წამიყვანა სათამაშოდ, კაზინოში. პირველივე დღეს მოვიგე საკმაოდ სოლიდური თანხა, თუმცა იმის შემდეგ კარგა ხანს იქ აღარ წავსულვარ. ერთ დღეს დამჭირდა 1500 ლარი. 1000 მქონდა, 500 უნდა მესესხა სადმე და აი, ამ დროს დავიღუპე. ვიფიქრე, კაზინოში შევალ და 500 ლარზე როგორც კი ავალ, მაშინვე წამოვალ-მეთქი. სამწუხაროდ, ის ჩემი ფულიც წავაგე და ბოლო 2 წლის განმავლობაში იმდენი წავაგე კაზინოში, რომ ხანდახან რომ გავიხსენებ, გული მიხდება ცუდად. დღეს კი გამოუვალ სიტუაციაში ჩავიგდე თავი. სამსახური მაქვს, 1900 ლარი ხელფასიც, თუმცა, იმდენი მაქვს წაგებული, რომ 2 მანქანა გავყიდე და ვალი დამრჩა კიდევ ძალიან ბევრი, რომელსაც უკვე ჩემი ხელფასით ვეღარ ვიხდი. ეს იმიტომ დავწერე, რომ მინდა ყველამ გაიგოს: არ ითამაშოთ, ხალხო! არანაირი თამაში! ამბავი დიდი საშინელება დედამინაზე მართლა არ მოუგონიათ. ისეთ დღეში ჩავუგდით ვარ თამაშს, რომ შემქლო, კაციც მომეკლა, ოღონდაც კი მიზნისთვის მიმელწია. თავის მოკვლაზეც კი ვიფიქრე რამდენჯერმე... წარმატებებს გისურვებთ, კეთილო ადამიანებო. გაყინული“.

ფოტო, რომელსაც წარწერა დაკარგა



ამ ფოტოსთვის შესაბამისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ბლუაფონის ნომერზე: 8.77.45.68.61

ჩამოხული ვერსია ზი ასეთია:

„ნამდვილი მამაკაცები უკან არ იყურებიან“

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „ზაფხულის (არა მარტო) მხიარული ამბები“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com

„ოჯახის შესაქმნელად მხოლოდ სიყვარული არ კმარა“

„ნამდვილ ბრძოლას ვერანაირი სიმდიდრე ვერ გადაწონის!“

„გზის“ №29-ში დაიბეჭდა 18 წლის თებუნას მესიჯი, რომელიც გენერდა, რომ ჰყავს შეყვარებული, რომელმაც მის მშობლებს ქალ-იშვილის ხელი სთხოვა, მაგრამ სასიდედრომ დაინუნა, რადგანაც ბიჭს მატერიალური პრობლემები აქვს, არსად მუშაობს და საკუთარი ბინაც კი არ გააჩნია.

ლიკა ქავაია

ბრუზინკა:

„მშობლები ასე სასტიკად არ უნდა გეცუოდნენ. ყოფითი პრობლემების გამო მას არ დაშორდე. გირჩევ, ცოლად გაჰყვე და ყველაფერი საკუთარი შრომით შეიძინოთ. სადაც სიყვარულია, იქ ნებისმიერი დაბრკოლება გადაილახება. შენი ამბები გაგვაგებინე. წარმატებები!“

ლიკუნა 20:

„ჩემო კარგო, მსგავს სიტუაციაში მეც ვიყავი და შენი ამიტომაც მესმის. თუ თქვენი სიყვარული გულწრფელია, ყველაფერს გაუძლებს. ცხოვრებაში მთავარი ფული არაა. მეც წავედი მშობლების წინააღმდეგ, მაგრამ არაფერსაც არ ვნანობ. მიუხედავად იმისა, რომ დედა მპირდებოდა, — სამუდამოდ დაგკარგავო, ახლა მხარში მიდგას. უკვე პატარას ველოდები და დედა ჩემზე მეტად ბედნიერია. მართალია, გვიჭირს და სახლიც არა გვაქვს, მაგრამ ღმერთი გვმფარველობს, სიყვარულით გაგვაქვს თავი. ბედნიერებას გისურვებ!“

მამსი:

„თუ ერთმანეთი ასე გიყვართ, გაჰყვი და ის იქნება. ოღონდ, გაითვალისწინე, თუ ჯამ-ჭურჭლის ფულიც არა აქვს (არა მგონია, საქმე მთლად ასე იყოს), დარჩი იქ, სადაც ხარ... რაც შეეხება შენს მშობლებს, ცუდად მოქცეულან. ჯობია, იმას გაყვე, ვინც გიყვარს და ვისაც შეეფერები, ვიდრე ვილაც „ხიოსთან“ გაატარო მთელი ცხოვრება. წარმატებები! P.S. მერე იტყვიან, ბიჭები თავს რატომ იკლავენო?“

გაღარაული:

„ეს ქუთაისელი გოგო გორში წახვედი? ერთმანეთი თუ გიყვართ, მშობლებს რა უფლება აქვთ, დაგაშორონ? ეჰ, რა ყველა ფულზე ფიქრობს, რა.“

თიკო 18:

„გამარჯობა, მგზავნელებო. „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ, მაგრამ ამ რუბრიკაში პირველად ვამესიჯებ. მინდა, თებუნას რჩევა მივცე: სიყვარულისთვის იბრძოლე! ოჯახის წევრები ძალიან საყვარელი ხალხია, მაგრამ მათ გამო ცხოვრებას ნუ დაინგრევ. წარმატებებს გი-



სურვებ, ჩემო კარგო! და კიდევ, არასდროს უღალატო გულისსწორს, არასდროს გაცვალო სიყვარული ქონებაში. P.S. იმედი მაქვს, მგზავნელები მიმიღებენ.“

რუსკა:

„თუ ნამდვილად გიყვარს, მასზე უარი არაფრის გამო არ თქვა. დამიჯერე, მშობლები ამას გაპატიებენ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მას დაკარგავ, ეს სანანებელი გაგიხდება. ღმერთი გფარავდეს.“

ნატალი 37:

„მთავარია, მუშაობა მაღე დაიწყოს და ყველას დაუმტკიცოს, რომ ჭკვიანი და პერსპექტიული სასიძოა. გირჩევ, სიყვარულისთვის იბრძოლო.“

მანია:

„სიყვარულს გაუფრთხილდი. მერწმუნე, ნამდვილ სიყვარულს ვერანაირი სიმდიდრე ვერ გადაწონის!“

სანდრიკა:

„საკუთარ გულში ჩაიხედე და მიხედე, რა არის შენთვის ღირებული და რა — არა. ოჯახის შესაქმნელად მხოლოდ სიყვარული არ კმარა, ეგ აუცილებელი პირობებიდან ერთ-ერთი კომპონენტია. მთავარია, ისე არ მოიქცე, რომ მერე უკან მიხედვის შეგრცხვეს. თანაც, თუ უყვარხარ, ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ შენებმა შენს ღირსად ჩათვალონ. სამსახურს ეძებ? მომავალზე ფიქრობს?.. ადამიანის გასაცნობად მ თვე ძალიან ცოტაა. ისე მოიქციე, რომ სანანებელი არ გაგიხდეს — ბანალური ფრაზაა, მაგრამ მაინც.“

აუტანელი:

„მართლა ცუდ სიტუაციაში ხარ, მაგრამ ჯობია, კარგად დაფიქრდე: თუ გათხოვდები, სიღარიბეში იცხოვრებ და სიყვარული, ყოველდღიური პრობლემების ფონზე, თანდათანობით გაუფერულდება. თუმცა, ისიც მოსალოდნელია, რომ

ერთად ყველა პრობლემის დამარცხება შეძლოთ.“

ელენიკო:

„ფულს ბედნიერება არ მოაქვს. თუ ერთმანეთი მართლა ასე გიყვართ, სხვებს ნუ მოუშენთ, დაქორწინდით. შეიძლება რამდენიმე წლით მშობლები მართლაც გაგებუტონ, მაგრამ მერე შეგირიგდებიან. აბა, რომელ მშობელს დაუკარგავს შვილი?.. ბედნიერებას გისურვებ!“

ნ.ლ.:

„ზოგჯერ, ცხოვრებას მშობლებიც გვინგრევენ; ზოგიერთებს შვილის გულსტკივილი და გრძობა არც კი ადარდებთ. ის გააკეთე, რასაც გული გიკარნახებს. ბედნიერებას გისურვებ! P.S. მეც ბევრ ტკივილს ვატარებ გულით, მაგრამ აქ მონერას ვერ ვებედავ.“

გიუზა:

„ახლა ვკითხულობდი შენს მესიჯს და სიცილით გავიფუდე. ე.ი. შენი „ლოვე“ ისე ტიროდა, რომ ვერ დათქე, ხომ? ვაი, თქვენს პატრონს! შენ რომ ბიჭი იყო, კიდევ მესმის, მაგრამ... იდიოტი „ლოვე“ გყოლია! წესით, მან კი არ უნდა იტიროს, არამედ ცოტა გაიარ-გამოიაროს და სამსახური იშოვოს. P.S. დიდი იმედი არა მაქვს, რომ დამიბეჭდავ, მაგრამ მაინც მოგწერე, რა.“

ესუპა-15:

„ვიდრე შენს გადაწყვეტილებას სისრულეში მოიყვან, კარგად დაფიქრდი. ეს ისეთი საქმეა, როცა ყველაფერი უნდა აწონ-დაწონო. მშობლები შენს სასიკეთოდ მოქმედებენ. თუ ის ისეთი ხელმოცარულია, როგორც ამბობ, ალბათ, გარისკვა არც ღირს. მერწმუნე, თქვენს ოჯახს სიყვარული ვერ დაანაყრებს. იფიქრე. წარმატებები!“

სოფო16:

„საყვარელო, იცი, რას გეტყვი? — კარგი ცხოვრება ფულით არ მოდის. დედაშენი შენზე წერვიულობს, უნდა, რომ უზრუნველყოფილი მომავალი გქონდეს და ის კი არ ესმის, რომ შენ ის გიყვარს. ჩემი რჩევაა, იცხოვრო იმ ადამიანთან ერთად, ვისთანაც თავს უბედნიერეს ქალად იგრძნობ, მერე კი მშობლებიც გაგიგებენ და მხარში ამოგიდგებიან. მთავარი სიყვარულია, ჩემო კარგო. მასთან შენ უნდა იცხოვრო, დედაშენმა კი არა. ბედნიერებას გისურვებ!“

თამუნა:

„რასაც გული გიკარნახებს, ის უნდა გააკეთო. თუ მართლა ისე გიყვართ ერთმანეთი, როგორც ამბობ, მაშინ ყველა პრობლემას იოლად გაუმკლავდებით.“

უნუნური:

„საყვარელო, ყველა დედა ასე ამბობს,



მაგრამ ნახავს თუ არა, რომ მის გვერდით ბედნიერი ხარ, გული მოუღლებს. მთავარია, „ლოვე“ დაარწმუნო, რომ სამსახური იშოვოს. თუ მონიდომებთ, ოჯახს აანჯკობთ. წარმატებები!“

ბაიკო (ბორილი):

„დაიკო, თუ ის ბიჭი მართლა ისე გიყვარს, როგორც ამბობ, მაშინ იცოდე, თქვენი სიყვარული ყველაფერს გაუძლებს. დედაშენის ნუ გეშინია, შვილი ხარ და არ დაგკარგავს, ყველაფერს შეეგუება. პირადად მე, პატიმარი შეყვარებული მყავს და დედამ ეს ამბავი მშვიდად მიიღო. დამიჯერე, ყველაფერი გამოგივათ. იბრძოლე შენი სიყვარულისთვის და არ შეგეშინდეს. P.S. მიხდა, დედებს მივმართო: მიეცით შვილებს ბედნიერების უფლება.“

ლუზა:

„თუ მართლა გიყვარს, ძალიანაც რომ გინდოდეს და სულ არაფერიც რომ არ ებადოს, ვერ დაშორდები. მართალია, მშობლებს შენთვის კარგი უნდათ და ამიტომაც გირჩევენ, „ლოვეს“ დაშორდე (რათა სიღარიბემ არ გატანჯოს), მაგრამ არც შენ და არც შენს მშობლებს არა გაქვთ უფლება, ადამიანი სიღარიბის გამო უარყოთ. შეყვარებულს დაელაპარაკე, მას სამსახურის შოვნაში დაეხმარე და ყველაფერი კარგად იქნება. დედაჩემი მამას ცოლად რომ გაჰყვა, არაფერი ებადათ, მაგრამ დღეს ყველაფერი გვაქვს. ბედნიერებისთვის იბრძოლე. გეოცნი“.

ელენიკო:

„დედაშენის ფული არ დაგჭირდება. სჯობს, ერთი თეთრი გქონდეს და საყვარელ ადამიანთან ერთად ბედნიერი იყო, ვიდრე ის დაკარგო მხოლოდ იმიტომ, რომ ღარიბია. „ლოვე“ რომ მყავდეს, მისი ფული არ დამაინტერესებდა. მთავარია, ადამიანი ბედნიერი იყოს. თუ გინდა, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და ვიმეგობროთ“.

მარი:

„ვფიქრობ, ერთად უნდა იყოთ. შეიძლება, ახლა არც ბინა გაქვთ და არც ფული, მაგრამ თანდათანობით ყველაფერი მოგვარდება. გახსოვდეს, ადამიანი ფულით არ ფასდება“.

ლიკა:

„მეც დაახლოებით მსგავს სიტუაციაში ვიყავი, მაგრამ მაინც გავეყვი და ახლა უკვე შვილიც გყავს, ბედნიერი ოჯახი გვაქვს. შენმა შეყვარებულმა სამუშაო მოძებნოს. თავიდან გაგიჭირდებათ, მაგრამ გადაიტანთ“.

ნათი-ნათი-21:

„შენ ჯერ 18 წლის ხარ და მთელი ცხოვრება წინ გაქვს. მესმის, რომ ეგ ადამიანი ახლა ძალიან გიყვარს, მაგრამ თუ მშობლებს დაუპირისპირდები და ცოლად გაჰყვები, დაიტანჯები. ოჯახს ფული, შემოსავალი სჭირდება, შენს საქმროს კი თურმე, ბინაც არა აქვს. სად იცხოვრებთ? მალე ეგ თქვენი სიყვარული გაქრება და ოჯახიც დაინგრევა. კარგად დაფიქრდი, სანამ რაიმეს გადაწყვეტ. იცოდე, მშობელი თითქმის არასდროს ცდება“.

იკუშპაიბი:

„შეიძლება, შეყვარებული ქალი ასეთ რჩევას არ უნდა გაძლევდეს, მაგრამ ზოგჯერ, პრაქტიკულად მოცუვავა საჭირო. ჯერ ერთი, არ ხარ იმ ასაკში, როცა გათხოვება მნიშვნელოვანია. თანაც, 8 თვე ძალიან ცოტაა საიმისოდ, რომ წყვილმა ერთმანეთი კარგად გაიცნოს და დაქორწინების გადაწყვეტილება მიიღოს. მე და ჩემი საყვარელი მამაკაცი 2 წელია, ერთად ვართ და მიუხედავად იმისა, რომ არანაირი პრობლემა არა გვაქვს, მაინც დაცდას ვამჯობინებთ, რადგან გვინდა, მთელი ცხოვრება ერთად და ბედნიერად ვიყოთ, ამისათვის კი დრო და ფიქრია საჭირო... ცუდი ისაა, რომ არც ერთი არ მუშაობთ. აბა, შენი თავი წარმოიდგინე გათხოვების შემდეგ: თუ სახლი არა აქვს, სად უნდა იცხოვროთ? თუ არ მუშაობს, რითი უნდა იარსებოთ? ჰოდა, ასეთ პრობლემას რომ გადააწყდები, მერე სიყვარულიც გაქრება და ახლანდელი ეიფორიაც. რა თქმა უნდა, მთავარი ფული არაა, მაგრამ უფულობასაც დიდი უთანხმოების მოტანა შეუძლია — ყველაზე ხშირად სწორედ ამის გამო ეყრება ცოლ-ქმარი ერთმანეთს. შენს ადგილზე, გათხოვებაზე ნამდვილად დაფიქრდებოდი. ბოლოს და ბოლოს, სასწორზე ხომ მთელი შენი ცხოვრება და მომავალი დევს? არ მინდა, გული გატყინო, მაგრამ დარწმუნებული ხარ, რომ ეს სიყვარული უანგაროა? ღმერთმა მაპატიოს ჩემი ეჭვი... რა თქმა უნდა, შენი გადასაწყვეტია, მაგრამ მე მაინც გირჩევ, ამ ეტაპზე მშობლებს დაუჯერო. მეც ვიყავი შენს ასაკში და ვიცი, როგორი პროტესტის გრძობაც ჩნდება მშობლების აკრძალვების მიმართ, მაგრამ ახლა მათ ნამდვილად ვეთანხმები და მადლობელიც ვარ, რომ ყოველთვის სწორ რჩევას მაძლევდნენ. ასე რომ, მშობლებს გულს ნუ ატყენ“.

ილონა 777:

„მთავარი ისაა, რომ ერთმანეთი გიყვართ. დედა ახლა გემუქრება, თორემ როცა გათხოვდები და ბედნიერს გნახავს, გული გაუღლდება. იმედია, სწორ გადაწყვეტილებას მიიღებ. წარმატებები!“

ღუღუნა:

„საყვარელო, დაქორწინება ასე რა-

ტომ გეჩქარებათ? შენმა საქმრომ ჯერ ცხოვრება აიწყოს, მუშაობა დაიწყოს და მერე მივიდეს შენს მშობლებთან, ხელის სათხოვნელად. სიყვარული ყველა ტკივილს დაგიაშებს. მჯერა, „ლოვესთან“ ერთად გაივლი იმ ეკლით და ვარდით მოფენილ გზას, რომელიც უფალმა დაგინესათ“.

ანამარი:

„შენი შეყვარებული უნდა დაარწმუნონო, რომ მუშაობა უნდა დაიწყოს და მერე, ნელ-ნელა ფულსაც შეაგროვებს. იქნებ, ცოტა ხანი ნაქირავებშიც იცხოვროთ. დაფიქრდი და ღმერთს სთხოვე, დაგეხმაროს. წარმატებებს გისურვებ!“

ჭრიჭინა:

„სიყვარულის დასამტკიცებლად მხოლოდ ტირილი არ კმარა, მან ეს საქმით უნდა დაამტკიცოს. საინტერესოა, რატომ არ მუშაობს?... მშობლებს ნუ ამტყუნებ, მათ ჩვენი გაზრდა, ფეხზე დაყენება ევალებათ და არა მუქთახორა სიძის შენახვა. არ გეგონოს, გაკრიტიკებდე, უბრალოდ მინდა, პრობლემას რეალურად შეხედო. შვილს რომ საქმელი არ ექნება, შენი ქმარი კი უსაქმურად ისეტიანებს, ცრემლები გიმშველის? ღმერთმა ქნას, ვცდებოდე... ისე, იცოდე, დასაოჯახებლად მხოლოდ სიყვარული არ კმარა. მას გრძობასთან ერთად, პასუხისმგებლობის გრძობა უნდა ჰქონდეს, ყურადღებანი უნდა იყოს. თუ ზარმაცია, ცოლად არ გაჰყვე“.

სოფიო 13:

გუნდში ყველასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეს. ამიტომ, ფეხბურთელებს ინდივიდუალურად, სისტემატურად ესაუბრება. კუმანისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ გუნდში იდეალური მიკროკლიმატი შექმნილიყო.

— ვან გაალსა და ადვოკატს შორის მსგავსება გასაგებია. მათ შორის რა განსხვავებაა?

— ვან გაალი გამუდმებით, მეტოქის სათამაშო ტაქტიკის შესწავლითა დაკავებული, აი, დიკს კი მხოლოდ საკუთარი გუნდი ავლევებს. ადვოკატი ფეხბურთელებს სულ რაღაც ცალკეულ მომენტზე მიუთითებს და ურჩევს, მომავალში მსგავს სიტუაციაში როგორ მოიქცნენ. ოპონენტების შესახებ ის ბევრს არ საუბრობს. კიდევ რა? ვან გაალისთვის არა მხოლოდ ფეხბურთელის სათამაშო ფორმა და კლასი, არამედ მისი ხასიათიც მნიშვნელოვანია. ადვოკატი კი, გუნდის შემადგენლობის განსაზღვრისას, სწორედ ფეხბურთელების პროფესიონალურ თვისებებს ეყრდნობა.

— ადვოკატისგან რა ისწავლეთ?

— ძალიან ბევრი რამ. მუშაობის პირველსავე დღეს ყველას უნდა აგონებინო, რომ გუნდში პირველი შენ ხარ. ამასთანავე, ადვოკატი ამპარტავანი არ არის. „ალკმარში“ ერთი გუნდი ვიყავით და თითოეული ჩვენგანი სანვრთელ პროცესში მონაწილეობისას თანასწორი უფლებებით ვსარგებლობდით. ადვოკატისთვის ეს მნიშვნელოვანი იყო.

— მის გუნდში კონკრეტულად რა ფუნქციას ასრულებდით?

— დიკის მიერ ჩატარებულ ვარჯიშებზე ასისტენტების ფუნქციები მუდმივად იცვლებოდა. ადვოკატს შეეძლო, ეთქვა: „შენ ამ ჯგუფთან ერთად, „ბურთის დაჭერაზე იმუშავე“, ხოლო შენ ამ ბიჭებთან ერთად კარში დარტყმები დაამუშავე“. ზოგჯერ საერთოდ არაფრის გაკეთება არ იყო საჭირო და უბრალოდ, ორმხრივი თამაშისთვის უნდა გვედევნებინა თვალი. ამასთანავე, მე მეტოქის თამაშის ანალიზი მევალებოდა და შემეძლო, მოედანზე შექმნილი ამა თუ იმ სიტუაციის თაობაზე საკუთარი აზრი გამოეთქვა.

— როგორ ფიქრობთ — ადვოკატი მართებულად იქცევა, როდესაც ფეხბურთელებთან დისტანციას იჭერს და მათთან თბილი ურთიერთობის დამყარებას არ ცდილობს?

— რომელ ურთიერთობაზე საუბრობთ?! დიკი უკვე 60 წელზე მეტისაა, ხოლო გუნდში ფეხბურთელების უმრავლესობა 18-20 წლის იყო... ის ჩამოვიდა, თავისი სამუშაო შეასრულა, ფული აიღო და სახლში დაბრუნდა. ჩვენ ხომ პროფესიონალურ ფეხბურთზე ვსაუბრობთ, სადაც უპირველეს ყოვ-

ლისა, მიზანს უნდა მიაღწიო. ადვოკატი ხშირ შემთხვევაში, ამას აღწევს და მთავარიც ეს გახლავთ.

— ადვოკატთან ერთად, როგორც ფეხბურთელი და როგორც ასისტენტი, ისე მუშაობდით. როდის უფრო ადვილი იყო?

— რა თქმა უნდა, ასისტენტად!.. როგორც უკვე ვთქვი, ის კოლეგებზე მუდმივად ფიქრობს. მისთვის მნიშვნელოვანია, რომ სამწვრთნელო შტაბის თითოეულმა წევრმა კარგად იგრძნოს თავი. მას ჩვენთვის სამუშაოს ყოველთვის ჰქონდა. დიკს მოსემენს უნარი აქვს. მასთან 3 საათიც კი მიკამათია. არადა, მოთამაშებში მას მხოლოდ „თქვენობით“ მიმართავენ — მიდი და უთხარი რამე!.. „გამარჯობა, როგორ ხარ? მზად ხარ სათამაშოდ?“ — ფეხბურთელი რომ ვიყავი, მსგავსი ფრაზების გარდა, სხვა არაფერი გვიეთქვამს... თუმცა ყველა მოთამაშე მას დიდ

პატივს სცემდა. ყველასათვის ნათელი იყო, რომ ის წარმატებული ადამიანია.

— ადვოკატს იუმორის გრძნობა თუ აქვს?

— ერთი სახალისო ამბავი დამამახსოვრდა. ერთ-ერთ ვარჯიშზე ადვოკატი მომიხსლოვდა და მითხრა: „შოთა, ხელები ჯიბეებში რატომ გაქვს? იქნებ, სიგარეტიც შემოგთავაზოთ?“ — და გაციცნა. შემდეგ ამისხსა, რომ ვარჯიშის დროს ჯიბეებში ხელების ჩანყობა საჭირო არ არის: „ბიჭებმა ვარჯიშის პროცესში შენგან აქტიურობა უნდა დაინახონ, თორემ თითქოს არ გაინტერესებს, ირგვლივ რა ხდება. აბა, ასეთ დროს ისინი ბოლომდე დაიხრჩვებიან?!“ იუმორის გრძნობის მხრივ მას ყველაფერი წესრიგში აქვს. სერიოზულ დეტალზე მიმითითა, მაგრამ ეს ისეთი ფორმით გააკეთა, რომ დისკომფორტი არ მიგრძნია. ■

მოამზადა ლაშა თაბაგარმა

6 აპრილს

აპრილის ორის ორი წლისთვის...

უსაწყაო უაილოგოაი...

ქოქა სავლას როგორ ანდობს...

როგორი საქართველოა...

ვენეციის უკონტროლო უაილოგო...

...სრულად იხილეთ ჟურნალი

ნიქაბის სასიკვდილო არსენალი

ნიქაბის თამაშის მწველები ნინალოვა

ირლანდიის რესპუბლიკური არმიის გამაჟირებული ბერაქტები

ღვთიანი „უში“ სამხრეთ აფრიკიდან...

ყველაზე კასური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის

გერმანიის ფედარაციული ჩისპუბლიკა 1974

ფინალური ტურნირი 13 ივნისიდან 7 ივლისამდე მიმდინარეობდა.

მონაწილეები: გფრ, ჩილე, გდრ, ავსტრალია, ბრაზილია, იუგოსლავია, შოტლანდია, ზაირი, პოლანდია, ურუგვაი, ბულგარეთი, შვედეთი, იტალია, ჰაიტი, პოლონეთი, არგენტინა.

გათამაშების სისტემა: პირველ ეტაპზე, ისევე როგორც ყოველთვის, თამაშები ოთხ ქვეჯგუფში მიმდინარეობდა. მეორე ეტაპზე კი, ჯგუფებში გამარჯვებული ნაკრებები ახალ ორ ქვეჯგუფში აგრძელებდნენ ასპარეზობას სისტემით — „ყველა ყველასთან.“ მეორე ადგილებზე გასული გუნდები ერთმანეთს ბრინჯაოს მედლებისათვის დაუპირისპირდნენ, ხოლო გამარჯვებულები ფინალში გავიდნენ.

გაიმართა: 38 მატჩი. სულ დაესწრო 1 774 022 მაყურებელი (საშუალოდ 46 685 კაცი თითო შეხვედრას).

გოლები: გავიდა 97 გოლი (საშუალოდ 2,55 თითოეულ მატჩში).

საუკეთესო ბომბარდირი: ლიატო (7 გოლი, პოლონეთი).

ფინალი: გფრ — პოლანდია (2:1). 7 ივლისი. მიუნხენი, „ოლიმპიაშტადიონი,“ 75200 მაყურებელი.

გოლები: ბრაიტნერი (25, პენ.); მიულერი (43) — ნეესკენსი (2, პენ.)

მსაჯე: ტელიორი (ინგლისი).



ლიატო (პოლონეთი), ედსტრემი (შვედეთი).

„ტოტალური ფეხბურთის“ ზეიმი და გერმანელთა მეორედ გაჩემპიონება.

მსოფლიოს ჩემპიონატისადმი ინტერესი თანდათან იზრდებოდა. 1974 წელს გერმანიის სტადიონებზე გამართულ მატჩებს 1774022 მაყურებელი დაესწრო. მნიშვნელოვნად გაიზარდა ტელეაუდიტორიაც: გერმანულ მუნდიალს პლანეტის 100 ქვეყნის მილიარდზე მეტი ტელემაყურებელი ადევნებდა თვალს. გარდა ამისა, მსოფლიოს ჩემპიონატის შეხვედრებს 5 ათასი ჟურნალისტი აშუქებდა. ვილაცამ ისიც კი გამოთვალა, რომ თითოეულ ფეხბურთელზე მასმედიის 12 წარმომადგენელი მოდიოდა. რეკორდული გახლდათ ტურნირის ორგანიზატორთა შემოსავალიც — 31 მილიონი დოლარი.

როგორც ცნობილია, 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებზე საშინელი ტერაქტი მოხდა. აზიტომ, 1974 წელს გფრ-ის ხელმძღვანელობამ უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მიიღო. თითოეულ მატჩს 600-დან 1000-დე პოლიციელი ესწრებოდა.

ტრიბუნებზე არსებულ მდგომარეობას ვერტმფრენებიდან ადევნებდნენ თვალს. სასტუმროებში, სადაც ფეხბურთელები ცხოვრობდნენ, 24 საათის განმავლობაში სამართალდამცავები და დეტექტივები მორიგეობდნენ. უფრო მეტიც, საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ მოყვანილი ავტომატური იარაღით, რადიოლოკაციური სისტემითა და ჯავშანტექნიკით აღჭურვილი საჯარისო ნაწილები. საბედნიეროდ, მათი დახმარება საჭირო არ გამხდარა.

საგანგებოდ დამზადებული

„ფიფას მსოფლიოს თასისთვის“ (იგი „ოქროს ქალღმერთს“ ჩაანაცვლეს) ბრძოლაში 16 მონაწილე ჩაება. მთავარ ფავორიტებად გფრ-ისა და ბრაზილიის გუნდები მიიჩნეოდნენ. თუმცა, საწყის ეტაპზე მათ თავი არაფრით გამოუჩენიათ. ორი შეხვედრის შემდეგ, მსოფლიოს ჩემპიონები კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, რადგან მათ არც ერთი გოლი არ ჰქონდათ გატანილი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბრაზილიელთა მთავარ მწვრთნელ, ზაგალოს „ანაკუმბას“ სახელით ცნობილი სექტის წარმომადგენელმა ჯადოქრის დახმარება შესთავაზა, რომელიც სამხრეთამერიკელებს თითქოს არა მარტო შედეგიანობას ამაღლებინებდა, არამედ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულსაც შეანარჩუნებინებდა. ზაგალომ ეგზოტიკურ დახმარებაზე უარი განაცხადა, თუმცა მომდევნო მატჩში, ბრაზილიელებმა მუნდიალის აუტსაიდერი, ზაირის გუნდი „მაინც“ დაამარცხეს (3:0) და შოტლანდიელებთან შედარებით, გატანილ და გაშვებულ ბურთებს შორის სხვაობის უკეთესი მაჩვენებლის წყალობით, მეორე ადგილზე დამკვიდრდნენ.

გაცილებით შთამბეჭდავ და საინტერესო ფეხბურთის ის ნაკრებები აჩვენებდნენ, რომლებსაც ტურნირის სტარტზე ფავორიტთა შორის არავინ მოიხსენიებდა. უპირველეს ყოვლისა ესენი იყვნენ პოლანდიისა და პოლონეთის გუნდები. პოლანდიელებმა იოჰან კრუიფის ლიდერობით მსოფლიოს „ტოტალური ფეხბურთი“ წარუდგინეს. ფინალურ მატჩამდე, მათ კარში გოლის გატანა ვერც ერთმა მეტოქემ ვერ შეძლო, თავად კი, ეს 14-ჯერ მოახერხეს. მართალია, ერთხელ პოლანდიელთა კარის ხაზი მაინც გადაკვეთა ბურთმა, მაგრამ ეს გოლი ამავე გუნდის მცველის, კროლის ანგარიშზე იყო. ამის შემდეგ, ფეხბურთელებს ერთ-ერთი ამსტერდამული ბანკის წარმომადგენელთან კონფლიქტი შეექმნათ. საქმე ის გახლდათ, რომ პირველობის დაწყებამდე ბანკი პოლანდიელთა ნაკრებს, თითოეული გოლის გატანისათვის, 5 ათასი გულდენით დასაჩუქრებას ჰპირდებოდა (დაახლოებით ათასი დოლარი). როდესაც გუნდმა კროლის ავტოგოლ-



გფრ: მაიერი, ფოგთსი, ბრაიტნერი, შვარცბეკი, ბეკენბაუერი, ბონჰოფი, ჰიონესი, ჰელცენბაინი, მიულერი, ოვერატი, გრაბოვსკი.

პოლანდია: იონგბლუდი, სურბირი, რეისბერგენი (დე იონი, 68), ჰანი, კროლი, იანსენი, ნეესკენსი, ვან ჰანეგემი, რეპი, კრუიფი, რესენბრინკი (რ. ვან დე კერპოფი, 46).

სიმბოლური ნაკრები: მაიერი (გფრ), ფოგთსი (გფრ), ბეკენბაუერი (გფრ), ბრაიტნერი (გფრ), პერიერა (ბრაზილია), ნეესკენსი (პოლანდია), დენა (პოლონეთი), გადოხა (პოლონეთი), კრუიფი (პოლანდია),



ანელკა L'Equipe-ს წინააღმდეგ



ის სანაცვლოდაც მოითხოვა ანაზღაურება, ბანკის ხელმძღვანელი ცოტა არ იყოს აღშფოთდა, მაგრამ ბოლოს მაინც დათმობაზე წავიდა. ამის შემდეგ, მან ყველას გასაგებად განუცხადა, რომ შემდგომში მხოლოდ მეტოქის კარში გატანილი გოლისთვის გაიღებდა ზემოთ ხსენებულ თანხას.

ტურნირის პირველ ეტაპზე დიდი ინტერესი გამოიწვია იტალიისა და ჰაიტის გუნდებს შორის გამართულმა მატჩმა. ამ შეხვედრის წინ, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ აპენინელები დიდი უპირატესობით გაიმარჯვებდნენ. საგულისხმოა ის, რომ ჰაიტის ნაკრებთან დაპირისპირებამდე იტალიელთა გოლკეპერს, დინო ძოფს ნაკრებსა და კლუბში ჩატარებულ ოფიციალურ მატჩებში, მთელი 1097 წუთი არ გაეშვა გოლი. ჰაიტელთა თავდამსხმელმა, სანონმა კი, „უტიფრად“ განაცხადა, „სკუადრა აჟურას“ მეკარეს, გოლს სწორედ მე გაუფრთხ. ფეხბურთის ქომაგთა და სპეციალისტთა დიდი ნაწილის გასაკვირრად, მეორე ტაიმის დასაწყისში სანონმა დანაპირები მართლაც შეასრულა. მისმა გუნდმა ის პაექრობა დათმო, მაგრამ სანონი სამშობლოში ნამდვილ გმირად იქცა. თანაც, მან ჰაიტის პრეზიდენტს, ჟან-კლოდ დევილიესგან საჩუქრად ძვირფასი ავტომობილიც მიიღო.

მეორე ეტაპის ბოლო ტურის მატჩები: ბრაზილია-პოლანდია და გფრ-პოლონეთი, — ფაქტობრივად, ნახევარფინალურ შეხვედრებად იქცა. პოლანდიელებმა 2:0 გაიმარჯვეს. მასპინძლებს კი, კოკისპირული წვიმის შემდეგ პოლონელებთან ბრძოლა ჭაობად ქცეულ მოედანზე უწევდათ. მოგესხენებათ, ასეთ ვითარებაში მატჩის ბედი შეიძლება ერთ გოლს გადაუწყვიტა. ასეც მოხდა: საფინალო სასტუენამდე 15 წუთით ადრე, გერდ მიულერმა გოლი გაიტანა და თავისი გუნდი ფინალში გაიყვანა.

გადაწყვეტ დაპირისპირებაში ანგარიში უკვე მეორე წუთზევე გაიხსნა, როდესაც კრუიფის ნაქცევისათვის დანიშნული პენალტი ზუსტად შეასრულა ნეესკენსმა და პოლანდიის ნაკრები დაანინაურა. სხვათა შორის, მაშინ ინგლისელმა მსაჯმა, ტეილორმა მუნდიალის ისტორიაში, ფინალურ მატჩში პირველად დანიშნა თერთმეტმეტრიანი დარტყმა. მალე მეორე პენალტიც დაინიშნა, ოლონდ უკვე პოლანდიის ნაკრების კარში: ბრაიტნერმა ანგარიში გაათანაბრა. შესვენებამდე ორიოდ წუთით ადრე კი, გერდ მიულერმა გამარჯვების გოლი გაიტანა (2:1).

ამგვარად, შვეიცარიის მუნდიალიდან ზუსტად 20 წლისა და 3 დღის შემდეგ, გფრ-ს ნაკრებმა ისევ იზეიმა პლანეტის უძლიერესი გუნდის ტიტულის დაუფლება და იქცა პირველ გუნდად, რომელსაც ორივე ჯილდო, — „ჟიულ რიმეს თასი“ და „ფიფას მსოფლიო თასი,“ — ჰქონდა მოპოვებული.

საფრანგეთში არ ცხრება სკანდალი, რომელიც გასულ მსოფლიოს ჩემპიონატზე სამფეროვანთა ეროვნული გუნდის სამარცხვინო გამოსვლასთან დაკავშირებით აგორდა. მკითხველს შევახსენებთ, რომ მუნდიალის მსვლელობისას „მამლაყინნათა“ მთავარმა მწვრთნელმა ნაკრებიდან თავდამსხმელი — ნიკოლა ანელკა გააძევა. ამას წინ უსწრებდა ფეხბურთელის მიერ თავკაცის მისამართით ნათქვამი უცენზურო გამოხატუებები. პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მექსიკის ნაკრებთან მიმდინარე ჯგუფური ეტაპის მატჩის (0:2) შესვენებისას, ანელკამ დომენეკს „ძაღლის შვილი“ უწოდა. გუნდიდან ანელკას დათხოვნის გამო რამდენიმე ფრანგმა მოთამაშემ სანვრთნელ მინდორზე გასვლაზე უარი განაცხადა. საბოლოოდ, სამფეროვნებმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაკრებთანაც წააგეს და ჩემპიონატი ისე დატოვეს, რომ მხოლოდ ერთი ქულის მოპოვებით დასრულდა.

ბა მოახერხეს. ამას მოჰყვა თანამდებობიდან დომენეკის გადადგომა, ხოლო გუნდის წარუმატებლობის მიზეზების ძებნას თვით ქვეყნის პრეზიდენტი, ნიკოლა სარკოზი და პარლამენტიც კი შეუდგნენ. პირველი გამოცემა, რომელმაც ანელკასა და დომენეკს შორის მომხდარი ინციდენტის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა, L'Equipe-ს იყო. სწორედ მან პირველ გვერდზე გამოაქვეყნა ის უცენზურო სიტყვები, რომლებიც ლონდონის „ჩელსის“ ფორვარდმა საფრანგეთის ნაკრების უკვე ყოფილი თავკაცის მისამართით გამოიყენა. ამჟამად კი, ანელკამ აღნიშნულ გამოცემას სასამართლოში უჩივლა. ფეხბურთელის მოსაზრებით, L'Equipe-მა მისი ნათქვამი დაამახინჯა და თავისი პუბლიკაციით მკითხველი შეცდომაში შეიყვანა. ანელკა მექსიკელებთან გამართული მატჩის შესვენებაზე მწვრთნელთან კონფლიქტის ფაქტს არ უარყოფს, თუმცა ხაზს უსვამს იმას, რომ ის სულაც არ უთქვამს, რაც შემდგომში პრესაში დაიბეჭდა. თავის მხრივ, გულხელდაკრეფილი ყოფნას არც L'Equipe-ს წარმომადგენლები აპირებენ. გაზეთის საიტზე გამოქვეყნდა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ სასამართლო პროცესი შემოდგომაზე დაიწყება. საკუთარი პოზიციის დასაცავად კი, გამოცემა მოწმეების მოშველიებას აპირებს, რომლებიც აღნიშნული პუბლიკაციის ობიექტურობას დაადასტურებენ.

რონალდუ შეყვარებულს დროებით დაშორდა

პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველ კრიშტიანუ რონალდუს არდადეგები დაუსრულდა. მან მადრიდის „რეალის“ ბაზას მიაშურა, სადაც მომავალი სეზონისთვის მზადებას ახალი მწვრთნელის, ჟოზე მოურინიოს ხელმძღვანელობით უკვე შეუდგა. საინტერესოა ის, რომ იგი მადრიდში ჩაფრინდა და შემდეგ გუნდთან ერთად ისევ აშშ-ში დაბრუნდა. აშშ-ის კალიფორნიის შტატში იმყოფება ამჟამად „რეალი“, სადაც წვრთნას ლოს-ანჯელესის ცნობილი უნივერსიტეტის, UCLA-ს სპორტულ ბანაკში გადის. ამიტომ, რონალდუს შეყვარებულთან დროებით განშორება მოუხდა. რუსი ლამაზმანი — ირინა შეიხი ნიუ-იორკში დარჩა. რამდენიმე დღის წინ კი, 24 წლის მოდელი ერთ-ერთი ახალი ფილმის პრემიერას დაესწრო. ტანადი, ელასტიკური და მზეზე გარუჯული ირინას ფიგურა პაპარაცებმა ფოტოფირზეც აღბეჭდეს.





სამხრეთ აფრიკაში გამართული მუნდიალის მსვლელობისას ერთ-ერთი სპორტული საკვლევი ორგანიზაციის სპეციალისტებმა მოთამაშეთა და ნაკრებთა მოქმედებები გააანალიზეს და რამდენიმე ახალი რეკორდი აღმოაჩინეს.

ბურთების გადაცემათა შესრულების მიხედვით რეკორდსმენი, ტურნირის გამარჯვებული ესპანეთის ნაკრები გახდა, რომელმაც 3753 პასი განახორციელა და ამ მაჩვენებლით ბრაზილიის ნაკრების

ყველაზე, ყველაზე, ყველაზე...

მიღწევა გააუმჯობესა. პენტაკამპეონებმა რეკორდი 1994 წლის მსოფლიოს პირველობაზე დაამყარეს (3547 გადაცემა). საგოლე მომენტების რეალიზების მხრივ საუკეთესო იყო გერმანიის ნაკრები (20%). იოაჰიმ ლიოვის გუნდმა 16 გოლი გაიტანა, რაც 1970 წლიდან მოყოლებული, საუკეთესო მაჩვენებელია გერმანიის ნაკრებისთვის. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ბუნდეს-ნაკრების საერთო ასაკი საშუალოდ, 25,4 წელია, ამ გუნდისგან წარმატებულ გამოსვლას ევრო-2012-ზეც უნდა ველოდოთ.

გერმანიის ნაკრებისგან განსხვავებით, ინგლისელებმა საგოლე მომენტების მხოლოდ 6%-ის რეალიზება მოახერხეს. ეს გასულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო. მხოლოდ 1990 წლის მუნდიალზე მოასპარევე არგენტინის ნაკრებს აქვს უფრო მეტი ბარათი მიღებული, ვიდრე ჰოლანდიის წლევეანდელ გუნდს (23). ჰოლანდიელებმა 126-ჯერ დაარღვიეს თამაშის წესი, რაც ტურნირში მონაწილე სხვა გუნდების მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად აღემატება. როგორც ჩანს, ნარინჯისფერმა ისურიანებმა „ტოტალური“ ფეხბურთი „ბინძური“ ფეხბურთით შეცვალეს. ფინალურ მატჩში, ჰოლანდიელებმა ინიციატივას გოლი მოედინიდან ჯონი ჰეიტინგას გაქვების შემდეგ გაუშვეს, თანაც ამ მომენტისთვის

ნარინჯისფერთა მ მოთამაშეს უკვე მიღებული ჰქონდა ყველაზე ბარათი.

ბურთის ართმევის მხრივ ტოლი არავის დაუდო ურუგვაის ნაკრებმა (საშუალოდ 26,43 მატჩში). მუნდიალზე ჩატარებულ შვიდივე მატჩში ოსკარ ტაბარესის გუნდისთვის დამახასიათებელი იყო ბურთის ფლობის არცთუ ისე მაღალი კოეფიციენტი. წარმატებას ურუგვაელებმა დაცვაში დამაჯერებელი თამაშით, მეტოქისთვის ბურთის ართმევის მაღალი მაჩვენებლითა და სწრაფი კონტრშეტევებით მიაღწიეს.

იტალიის ნაკრების გოლკიპერებმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ძალიან ცუდად იასპარეზეს. ფედერიკო მარკეტომ მხოლოდ ერთი სეივი განახორციელა, რაც რეკორდულად დაბალი მაჩვენებელია 2010 წლის მუნდიალისთვის. ჯანლუიჯი ბუფონმა ტურნირში მხოლოდ 46 წუთი ითამაშა და პარაგვაელთაგან გაუშვა გოლი.

ლეო მესიმ ყველაზე მეტი დარტყმა განახორციელა კარისკენ, თუმცა გოლის გატანა ვერ მოახერხა. არგენტინის ნაკრების მიერ გამართულ 5 მატჩში, „ბარსას“ ვარსკვლავმა მეტოქის კარის მიმართულეობით 12-ჯერ, ხოლო 9-ჯერაც არაზუსტად დარტყა. ამავე დროს, 8-ჯერ მის მიერ დარტყმულ ბურთს მეტოქე მოთამაშეები გადაეღობნენ. 2-ჯერ კი ბურთი კარის ძელს მოხვდა.

მუნდიალზე ხელმოსარული დონ დიეგო კოკოიტს დაუკმაკასდა

როგორც ცნობილია, დიეგო მარადონამ უკვე დატოვა არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი. მისი ხელმძღვანელობით გუნდის მიერ ნაჩვენებ თამაშს შთამბეჭდავს ნამდვილად ვერ ვუნდობთ. მაღალი კლასის ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა არგენტინის ნაკრებმა საერთო ჯამში, საშუალო დონის თამაში აჩვენა, რაზეც არგენტინული გაზეთის, Clarin-ის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებიც მეტყველებს. ალბისელესტემ მარადონას ხელმძღვანელობით 25 მატჩი ჩაატარა, მათ შორის ოფიციალური და ამხანაგური თამაშები. სულ გუნდმა 18-ჯერ მოიგო და 7-ჯერ წააგო. ამ თვალსაზრისით ალბისელესტემ 72% მიიღო, ხოლო თუ მხოლოდ მუნდიალს მივიღებთ მხედველობაში, მან მხოლოდ 61,5 % დააგროვა. რაც შეეხებათ გუნდის ბომბარდირებს, ამ სტატუსს 6-6 ბურთით გონსალო იგუაინი და მარტინ პალერმო იყოფენ.

ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დიეგო მარადონას გადადგომის გამო, არგენტინის პრეზიდენტმა კრისტინა ფერნანდესმა უკმაყოფილება გამოხატა. მარადონას თქმით, იგი ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის (AFA) თავკაც-

მა, ხულო გრონდონამ და ეროვნული გუნდის გენერალურმა მენეჯერმა, კარლოს ბილარდომ მოატყუეს და გაყიდეს. შეგახსენებთ, რომ სწორედ კარლოს ბილარდოს მწვრთნელობით, არგენტინელებმა 1986 წელს ოქროს, ხოლო 1990 წელს ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს. მაშინ გუნდს დიეგო მარადონა კაპიტნობდა.

„დიეგოს გადადგომის გამო ძალიან შეწუხებული ვარ. ის არგენტინის ეროვნული გუნდის ღირსებას ყოველთვის იცავდა და ამას სულითა და გულით აკეთებდა. კარგი და ცუდი თითოეულ ჩვენგანს აქვს გაკეთებული, მაგრამ როდესაც ეროვნული ნაკრების ღირსების საკითხი დგას, ქვეყნის ინტერესები პირადულზე მაღლა უნდა დავაყენოთ“, — დასძენს ფერნანდესი.

მარადონა უყურადღებოდ არ დაუტოვებია არგენტინელ არბიტრ ექტორ ბალდასის, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჩატარებული მუნდიალის მატჩებს ემსახურებოდა. კერძოდ, გაზეთ Clarin-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა: „სულაც არ მალელებს ის, რომ მარადონამ ჩემი მსაჯობა „საშინელებად“ მოიხსენია. თუმცა შეურაცხყოფილი ვარ ჩემი ასის-



ტენტის გამო, რომელსაც დიეგომ ბრუცინი ანდრეა ბოჩელი უწოდა. ბოჩელიმ ხომ მხედველობა ფეხბურთის თამაშის დროს დაკარგა, როდესაც თავში დარტყმა მიიღო. მან განაცხადა, რომ წესის დარღვევა, რომლის გამოც მე ფეხბურთელი გავაქვევ მოედინიდან, არავის უნახავს. მაგრამ, ჩემი სიმართლე 35 ტელეკამერამ დაადასტურა. ჩემი კრიტიკა შეიძლება, თუმცა ამ ყველაფერს დადასტურება უნდა“.

თავად დონ დიეგო კი ამასობაში უსაქმოდ არ დარჩენილა. „ეგზოტიკური ქვეყნების“ მმართველების დიდმა მოყვარულმა მარადონამ დრო არ დაკარგა და ამჯერად ლათინურამერიკულ ქვეყნებში „მეგობრული“ ვიზიტით მყოფი სამხრეთ ოსეთის „პრეზიდენტი“, ედუარდ კოკოითი გაიცნო და ცხინვალში სტუმრობაზეც დათანხმდა.



„დარწმუნებული ვარ, ჟურნალისტიკისადმი ინტერესი არასოდეს გაიქრება“

პრესის მიმომხილველი ოთარ ძირია პროფესიით ეკონომისტი, მაგრამ სკოლის დამთავრებისთანავე ჟურნალისტიკად მუშაობს... არაერთ ბეჭდურ გამოცემასთან თანამშრომლობის შემდეგ, სამსახური ტელევიზიაში დაიწყო. მაგრამ ბეჭდურ მედიას ტელევიზიაში ვერ დააღწია თავი და დღეს „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემაში ქართულ პრესას მიმოიხილავს. ეს ოთარის საყვარელი საქმეა, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება და ისე შეეჩვია, რომ ვერც ელევა...

ელენე ბასილიძე

— სკოლა რომ დავამთავრე, სამუშაოდ, გაზეთ „7 დღეში“ მივედი. ახლა, როდესაც უკან ვიხედები, კარგად მახსენდება ჩემი კარიერის დასაწყისი... მოგვიანებით ჟურნალისტიკიდან წავედი და ჩემი პროფესიით ვიშოვე სამსახური. 2 წლის შემდეგ, მეგობარმა ერთ-ერთ საინფორმაციო სააგენტოსთან თანამშრომლობა შემომთავაზა და კიდევ ერთხელ გადავინაცვლე ჟურნალისტიკაში. მოგვიანებით კი ჟურნალ „მაკრომიკრო ეკონომიკაში“ დავინწყე მუშაობა. 4 წლის შემდეგ გაზეთ „ალიაში“ გადავედი, სადაც ჯერ საზოგადოების განყოფილების რედაქტორი, მერე კი პასუხისმგებელი რედაქტორი გახლდით. „ალიადან“ წამოსვლის შემდეგ, „24 საათში“ ვმუშაობდი, იქიდან „რუსთავი 2“-ზე გადავედი. გავიარე პრესის მიმოხილველის კასტინგი. ნინო არაზაშვილს მოვეწონე და ხელი შემიწყო, რომ ეს ადგილი დამეკავებინა.

— ალბათ დღემდე გახსოვთ თქვენ მიერ დანერგილი პირველი სტატია...

— კი, რა თქმა უნდა. ჩემი პირველი სტატია თბილისში გახსნილ და 12 დღეში დახურულ „სექსშოპზე“ გახლდათ (იცინის).

— ტელევიზიაში მუშაობის პარალელურად, სურვილი არ გაგჩენიათ, ბეჭდურ მედიასთანაც გეთანამშრომლათ?

— დღესდღეობით ჩემი პრესასთან თანამშრომლობა არაკორექტული და უხერხული იქნება, რადგანაც თავად მიწვევს გაზეთების მიმოხილვა...

— სტატიების მიმოხილვისას, ბეჭდური მედიის კრიტიკასაც არ ერიდებით ხოლმე. რამდენად კომპეტენტურა ოთარ ქრია, როგორც პრესის კრიტიკოსი?

— ეს იშვიათად ხდება, მაგრამ ამას

ჩემი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე როდი ვაკეთებ. თან, ჩემი სამიზნე არც გამოცემელია და არც ჟურნალისტი, „ნაკუნას“ რესპონდენტის ნაუბრის შესაფასებლად მივმართავ ხოლმე. კრიტიკას მაინც ვერიდები, მიუხედავად იმისა, რომ იმ მასალებში, რაც დღეს იწერება, ბევრი რამ მაღიზიანებს...

— თითო გამოცემიდან რამდენ სტატიას მიმოიხილავთ?

— უმეტესად, მხოლოდ 2-3 მასალას მიმოვიხილავ. თქვენს ჟურნალს ცოტა განსხვავებული მიმართულება აქვს არჩეული. მას ერთი ხელის მოსმით, ყვითელს ვერ უწოდებ...

— თქვენი აზრით, რა აკლია დღევანდელ ჟურნალისტიკას?

— ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, პრესას უფრო გამოცდილ ადამიანებს მივანდობდი. მეტი კვალიფიკაციის მქონე ადამიანები არიან საჭირო. დღეს ბევრ ჟურნალისტს გამობრძმედა და დაოსტატება სჭირდება. თუმცა ქართული ჟურნალისტიკა თანდათანობით ვითარდება და გარკვეული წინსვლაც შეინიშნება... ნებისმიერი გამოცემა ბიბლიოთეკის არქივში ხდება და ისტორიის კუთვნილება ხდება. ამიტომ, უნდა დავფიქრდეთ იმაზე, დღეს რას და როგორ ვწერთ...

— ის მთავარი თვისება დამისახელო, რომლითაც თავადაც გამოირჩევით და მიიჩნევთ, რომ ყველა ჟურნალისტს უნდა ახასიათებდეს.

— ჟურნალისტს უნდა შეეძლოს მოვლენებისა და ფაქტების ცივი გონებით, განსხვავებული თვალთ დასახვა და შეფასება, რაც ობიექტურობის შესანარჩუნებლად ერთ-ერთ მთავარი წინა პირობაა. თუ ეს შეეძლებოდა, მივალწევთ იმას, რომ შეფასებისას დამოუკიდებლობა და ობიექტურობა ვიყოთ.

— თავად თუ გაუკრიტიკებთ ართ ვინმეს?

— კი, ერთხელ დანერეს, რომ თურმე პრესას მერკანტილური ინტერესებიდან გამომდინარე მიმოვიხილავდი... ის წერილი არ დამიბლოკავს,

ეტერში ნავიკითხე (ილიმის), მაგრამ ვალიარებ, „მკებნარა“ კომენტარი გავუკეთე. კრიტიკა თურმე იმიტომ დავიმსახურე, რომ არ ვწყალობდი და აქტიურად ვერ მიმოვიხილავდი მათ გამოცემას. რა ვქნა, ამა თუ იმ გამოცემას ნახევარსაათიან პრესკონფერენციას ხომ ვერ მოვუწყობ?

— პრესის მიმომხილველად მუშაობას კიდევ დიდხანს აპირებთ?

— მანამდე ვემსახურები ამ საქმეს, სანამ ის საინტერესო იქნება მაყურებლისთვის, ჩემთვის და გადაცემისთვის (იცინის). პირადად ჩემთვის ინფორმაციის მიღება უკვე ნარკოტიკივითაა და დარწმუნებული ვარ, ჟურნალისტიკისადმი ინტერესი არასოდეს გამიქრება (ილიმის).

P.S. სანამ ეს ინტერვიუ დასაბეჭდად მზადდებოდა, ოთარ ქირიამ 29 ივლისს, ქართული ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლები ერთ-ერთ კაფეში, საკუთარ დაბადების დღეზე მიიწვია. ღონისძიებას კი „პრესაფართი“ უწოდა:

— ასეთი დაბადების დღე არასდროს მქონია... ისე, სულ მინდოდა, ქართული ბეჭდური მედიის წარმომადგენლები (გამომცემლები, რედაქტორები) ერთხელ მაინც შეემკრიბა... როდესაც ამის შესახებ ნინო არაზაშვილს ვუთხარი, მან ჩემი იდეის განხორციელების ასეთი ფორმა შემომთავაზა; მეც მომეწონა...

„იუბილარს“ იმ დღეს მაისურზე 36 ქართული ბეჭდური გამოცემის ლოგო ჰქონდა აღბეჭდილი; ლოგოები იმ ფუფურებსაც ამშვენებდა, რომლებშიც წითელი ღვინო ჩამოასხეს. მაგრამ იმას ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ოთართან სტუმრად, 36-ვე გამოცემის წარმომადგენელი მივიდა (ზოგიერთმა ობიექტური მიზეზით, კოლეგასთან სტუმრობა ვერ მოახერხა). ჩვენ პირადადაც მივულოცეთ დაბადების დღე და ჟურნალის ფურცლებიდანაც გვინდა მივულოცოთ და წარმატებები ვუსურვოთ...



ფილმი ჯანყის გურულ „მამეზე“

ვის მემკვიდრეობას „იბრაჰიმს“ ღათო ღარჩია

„სათავგადასავლო ჟანრის ლიტერატურის სიყვარული ზავშეგობიდან გამომყვა“, — ამბობს მსახიობი **ღათო ღარჩია**. პატარაობაში წასაკითხ ლიტერატურას მშობლები ურჩევდნენ. ისეთ ოჯახში გაიზარდა, რომლის ყველა წევრიც აქტიური მკითხველი იყო. წიგნების სიყვარული მასთან თავისთავად მოვიდა. ახლა არაერთი ავტორის შემოქმედება იზიდავს, განსაკუთრებით — ვაჟა-ფშაველასა და აკაკი წერეთლის ნაწარმოებები უყვარს... ლიტერატურული პერსონაჟებიდან შექსპირის გმირებთან მეგობრობის სურვილს გამოთქვამს. ამბობს, რომ ჰამლეტს იმაზე მეტ კითხვას დაუსვამდა, ვიდრე მას სპექტაკლში „ესაუბრება“ ხოლმე.

თამუნა კვინიკაძე

პრაკტიკული მანიერა

— დათო, ამჟამად რას კითხულობ?

— ბოლო დროს, უმეტესად ისტორიულ დოკუმენტებს ვეცნობი, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნეში მომხდარი ამბების შესწავლით ვარ დაკავებული. უფრო კონკრეტულად კი მაინტერესებს, იმ დროს რა ხდებოდა გურიაში. სულ ძიებაში ვარ, რადგანაც ამ თემაზე ფილმის გადაღებას ვაპირებ. მინდა, რომ სცენარისტი ავა მორჩილად იყოს.

— ძიებას როგორ აწარმოებთ, ადგილზე ჩადისართ, არქივებში დაცულ მასალებს ეცნობით თუ...

— ერთიც არის და მეორეც... მოკლედ, ახლა ამ საქმით ვარ დაკავებული, ფილმი სავარაუდოდ, 1905 წლის აჯანყებით დასრულდება. გურულები ხომ ჯანყის „მამები“ იყვნენ.

— ავა მორჩილადეს ამ საკითხზე უკვე ესაუბრეთ?

— რა თქმა უნდა. თავადაც საინტერესო წინადადებები შემომთავაზა.

— მსახიობებიც ხომ არ გყავთ შერჩეული, სავარაუდოდ, ვინ შეიძლება, ფილმში დაკავდეს?

— იმ პერიოდში გურიაში სისონა დარჩია ცხოვრობდა, ადამიანი, რომელსაც რუსებმა ლეგენდარული უწოდეს. სისონას როლს თავად ვითამაშებ.

— ის თქვენი წინაპარი ხომ არ იყო?

— ყველა დარჩია თავს სისონას შთამომავლად მიიჩნევს (იცინის). დაე, ასე იყოს, მეც დავიბრალე. ხალხს სისონა ძალიან უყვარდა, რადგანაც მათ ეხმარებოდა. ფილმში ჩაცმულობასაც დიდი ყურადღება მიექცევა. სისონა ფილთაქვას ისროდა, მოგვიანებით, დათიკო შევარდნაძე კი — მაუზერს. მინდა, ეს ნიუანსებიც საინტერესოდ გავაკეთოთ.

— წარმატებას გისურვებთ.

— „შენ ერთადერთი ხარ, ვის წინაშეც მუხლს ვიხრე და თავდახრილი შევდივარ შენს აკლამაში“

— ეს სიტყვები ალექსანდრე მაკედონელს ეკუთვნის. ვის მიმართავდა იგი?

— ცხენს ხომ არა?

— დიახ. მისი ცხენის სახელიც ხომ არ გახსოვს?

— ბუცეფალი, ზოგი ბუცეფალს ეძახის.



— რა ერქვა ქალაქს, რომლის ადგილზეც ახლა მკვდარი ზღვა მდებარეობს?

— არ ვიცი.

— სოლომი. მილანის ერთ-ერთი პატარა ფირმის მენეჯერმა თავისი საქმიანობის 20 წლისთავზე უბნის ყველა ბიჭს თითო-თითო ახალი „ლაგატკა“ წარწერით — „შეუცვლელი თანამშრომლობისათვის“ უსახსოვრა. რით იყო ეს ფირმა დაკავებული?

— „ლაგატკით“ ცელქი ბიჭები ფანჯრის მინებს ამსხვრევდნენ. სავარაუდოდ, ის ფირმა მინების ჩასმით იქნებოდა დაკავებული.

— გამოიცანით. ის პირველად ძველ ეგვიპტეში გვხვდება, სადაც მისი ტარება ფარაონებისა და მათთან დაახლოებული პირების პრივილეგია იყო. ძველ საბერძნეთში კი მისი ტარება ყველა ზრდასრული ადამიანისთვის გარდა მონებისა, ნებადართული იყო. რაზეა ლაპარაკი?

— არ ვიცი. ბევრ რამეზე შეიძლება, ვიფიქრო.

— ახლა მას ყველა ატარებს. მის გარეშე ქუჩაში გასვლა წარმოუდგენელია.

— ქამარი?

— ცდებით.

— მაშინ ფეხსაცმელი იქნება.

— რა თქმა უნდა. ტრადიციულ იტალიურ პიცაში აუცილებლად უნდა იყოს ახალი პომიდურის სოუსი, ყველი და მწვანილის ფოთლები. პიცის ამ სამ კომპონენტს აქვს არა მხოლოდ კულინარიული, არამედ სიმბოლური მნიშვნელობა. რა სიმბოლოზეა ლაპარაკი?

— იტალიის დროშაზე. წითელი, თეთრი და მწვანე ფერები სხვა არაფერზე მიაწინებს.

— „აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს —/ ეს



კაცია, ალბათ, თურქის თემის.../ და მე ვყვირი: — ჩემს სისხლს დაღვეს უწინამც!/ და მე ვმღერო: — აფხაზეთი ჩემი/ როსმე „არგო“ (სხვა სომალდი გუშინაც)/ მიაპობდა ზვირთებს ნიჩბის ცემით.../ და მე ვყვირი: — მკვდარსაც მნახვენ უწინამც!/ და მე ვმღერო: — აფხაზეთი ჩემი“. ვინ არის ამ ლექსის ავტორი?

— მურმან ლებანიძე.
— სომეხონის აზრით: „ამის გაკეთებას იწყებ იმისთვის, რომ დაამტკიცო, შენ ხარ მამაკაცი; შემდეგ ცდილობ, გადაეჩვიო, რომ დაამტკიცო, შენ გაქვს დიდი ნებისყოფა“. ემერსონმა კი შენიშნა: „როცა ამას აკეთებ, გგონია, რომ რაღაცას აკეთებ მაშინ, როდესაც არაფერს აკეთებ“. რაზეა ლაპარაკი?

— არ ვიცი.
— თამბაქოს მოწევის ჩვეულებაზეა ლაპარაკი... ფარნავაზი, ერეკლე II, დავით აღმაშენებელი, ვახტანგ გორგასალი — ჩამოთვლილთაგან რომელი მეფის ძეგლი არ დგას თბილისში?

— (ფიქრობს) ერეკლე II-ის.
— ამათგან რომელი იყო საკუთარი ფილმების სცენარისტი და მთავარი როლის შემსრულებელი: — ჩარლი ჩაპლინი, სტივენ სპილბერგი, ელდარ რიაზანოვი თუ ფედერიკო ფელინი?

— ჩარლი ჩაპლინი.
— მადონა, შერონ სტოუნი, იზაბელ აჯანი, შერი — ამ მსახიობებიდან რომელია სომხური წარმოშობის?

— შერი.
— რამდენი კილოგრამია ფუთში?
— 10.

— ცდებით, 16 კილოგრამია. რომელ მდინარეს უწოდებენ „ციმბირის მზეთუნახავს“?

— (ფიქრობს).
— მიგანიშნებ, მას ქალის სახელი ჰქვია.
— ვერ გიპასუხებ.

— ლენას. რომელ სამინისტროს ხელმძღვანელობდა მიხეილ სააკაშვილი?

— იუსტიციის სამინისტროს.
— სად მდებარეობს მარაკანას სტადიონი?

— რიო-დე-ჟანეიროში.
— რომელი ხის ფესვები საუბრობენ, ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში „ფესვები“?

— მგონი, მუხის.
— დიას. მათზე ფრენის ბეკონმა თქვა: „ესენი არიან აზრის სომალდები, რომლებიც დროის ტალღებში მოგზაურობენ და თავიანთ ტვირთს სათუთად გადასცემენ თაობიდან თაობას. რაზეა ლაპარაკი“?

— არ ვიცი.
— ნიგნებზე. რომელი ოკეანის აუზშია ბარენცის ზღვა?

— არც ეს ვიცი.
— ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში. ამ ქართულმა ფილმმა ბერლინის საერთაშორისო ფესტივალზე,

1993 წელს „ვერცხლის დათვი“ მოიპოვა: ფილმის რეჟისორი თემურ ბაბლუანი. დაასახელეთ ეს ფილმი.

— „უძინართა მზე“.
— ვისზე თქვა ამერიკის პრეზიდენტმა ნიქსონმა შემდეგი სიტყვები: „ის სუსტი პოლიტიკოსი, მაგრამ კარგი მძღოლია“?

— ისიც პოლიტიკოსი იყო?
— დიას, მანქანის ტარება მისი ჰობი იყო.

— ბრეჟნევეზე თქვა?
— დიას. რა ერქვა ელადაში ადამიანს, რომელსაც ერთ-ერთი სტუმარი დაუბატიყებლად მიიყვანდა?

— არ ვიცი.
— პარაზიტი. ის საბჭოთა კავშირში დაიბადა (1934 წელს) 60-იანი წლების დასაწყისში. იმ მოვლენის შემდეგ, რომელმაც მას მსოფლიო აღიარება მოუტანა, ინგლისის დედოფალთან მიღებაზე მოხვდა. სუფრაზე დანების და ჩანგლების შემხედვარე შეძრწუნდა, რადგან არ იცოდა, როგორ მოეხმარა ისინი. მდგომარეობა დედოფალმა განმუხტა: ნუ შეწუხდებით, მათი გამოყენება კარგად თავადაც არ ვიციო. დაასახელეთ ეს ადამიანი.

— იური გაგარინი.
— „ჩვენი უბედურება ეგაა: „სხვის ფანდურზე ბუქნაობა გვიყვარს,“ — რომელი ქართველი კლასიკოსის ნაწარმოებში ვკითხულობთ ამ სიტყვებს?

— კონსტანტინე გამსახურდიას.
— ჰოლანდიის რომელ ქალაქშია რემბრანდტის სახლ-მუზეუმი?

— ამსტერდამში.
— რომელია არგენტინის სახელმწიფო ენა?

— ესპანური.
— ამ ადამიანს ბანქოს სიყვარულმა გამოაგონებინა ისეთი რამ, რომლის ქამის დროსაც შეგიძლია, ბანქოც ითამაშო და ხელიც არ დაისვარო. დაასახელეთ მისი გვარი.

— ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებ.
— სენდვიჩი. ნიშნა დაფნამ არ მოინდომა ცოლად გაჰყოლოდა პოეზიის და ხელოვნების ლმერთს და მისგან გაქვეული ხედ გადაიქცა. რა ხე იყო ეს?

— ალბათ დაფნა იყო, არა?
— დიას. რამდენი წუთი აშორებს დილის 10 საათსა და 30 წუთს, იმავე დილის 9 საათისა და 15 წუთისგან?

— გამოვიანგარიშებ (პაუზის შემდეგ) 75 წუთი. სწორად ვამბობ თუ შემეშალა?

— თქვენი პასუხი სწორია. ელ გრეკო, გოია, მურილიო, ველასკესი — ამ ესპანელ მხატვართაგან წარმოშობით რომელი იყო ბერძენი?

— ელ გრეკო.
— დაბოლოს დაასრულეთ კონფუციუსის ცნობილი გამოწვევა: „ადამიანები შეცდომებს უშვებენ არა იმიტომ, რომ არ იციან, არამედ იმიტომ, რომ...“

— „...რომ არ ფიქრობენ.
— „...რომ მათ ჰგონიათ, იციან.“



სისონას როლს თავად ვითამაშებ



გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის (პითხვაბი)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვაბისქან არ გაგაქცეთ თვალი

1. რუსეთის რომელმა მეფემ მიჰყიდა ალასკა ამერიკას?
2. რამდენი თანამგზავრი ჰყავს პლანეტა ვენერას?
3. სადაური ფირმა „ნოკია“?
4. რა არის ლლოფი?
5. „ფუნუკულორი“ ლათინური სიტყვაა. რას ნიშნავს იგი ქართულად?
6. „სუვენირი“ ფრანგული სიტყვაა. რას ნიშნავს იგი ქართულად?
7. ერთ ქართველ თავადს ერთი გლეხი ხარკის სახით ნახევარ კვერცხს უხდიდა. ყოველი წლის ბოლოს ეს გლეხი ეხლებოდა ბატონს და მიჰქონდა ერთი კვერცხი. დაანთებდა ცეცხლს, შემოდგამდა ქვაბით წყალს, მოხარშავდა კვერცხს, ნაჭუჭს მოაცილიდა, ძაფით შუაზე გაყოფდა, ნახევარს ბატონისთვის ტოვებდა, მეორე ნახევარი კი უკან მიჰქონდა. ამ გლეხს იმდენად ჰქონდა მობეზრებული ეს უაზრო პროცედურა, რომ ბატონს ეზუდარებოდა, ოღონდ ეს ხარკი მომიხსენი და საჩუქრად ძროხას მოგართმევო. თავადს არაფრის გაგონება არ სურდა — წინაპრების ტრადიციას ვერ დავარღვევო. დაასახელეთ იგი.
8. ტიბეტელთა აზრით, ვინ არის ყველაზე კარგი მასწავლებელი?
9. დასახელებთ ქართველი მომღერალი ქალი, რომელიც სცენაზე პირველად ოთხი წლის ასაკში გამოვიდა.
10. დასახელებთ ანტიკური ქანდაკება, რომელზეც სუმრობით ამბობენ, ამ ქალს, როგორც ჩანს, ფრჩხილების კვლევა უყვარდაო.
11. „კასატკას“ ქართულად ცელნამგალა ფეხებს ეძახიან. ეს ცხოველი კარგად ინვრთნება და მისი მონაწილეობით მრავალი შოუ ეწყობა. ეს უზარმაზარი ცხოველი მიცემული დავალების შესრულების შემდეგ მწვრთნელთან მიცურდება და პირს უღებს. რისთვის?
12. ქართული ანდაზის თანახმად, რა უნდა იცოდეს მგლებში მცხოვრებმა?
13. ვინ და როდის შექმნა ვერცხლისწყლის პირველი თერმომეტრი?

ანექლოცენი

* * *

შვილი მამასთან მიდის და უცხადებს:

- მამა, ცოლი მომყავს?
- ვინ?
- ვალერა!
- კი, მაგრამ ვალერა ხომ ბიჭია! — ყვირის გაოგნებული მამა.
- რაღა ბიჭია, 25 წლის კაცია.



* * *

- ახლა კი უსაფრთხო სექსის დრო დადგაააააა...
- რა მოხდა, პრეზერვატივები მოიმარაგე?
- არა, ცოლი გაუშვი დასასვენებლად.

* * *

- დედლებმა დიდი კვერცხების დადება დაიწყეს, რისთვისაც მამალი მედლით დააჯილდოეს.
- კარგი, კარგი, მოიტათ ეგ მედალი, მაგრამ ინდაურს გადაეცით, სადაც ვნახავ, იქ დავმარხავ.

* * *

- სოფი თავის შეყვარებულს ეუბნება:
- ორი ამბავი მაქვს შენთვის, კარგი და ცუდი.
- კარგით დაიწყე.
- ცხრა თვის განმავლობაში კრიტიკული დღეები არ მექნება...

* * *

- კახელი ბაზარში კიტრს ყიდის. მივიდა კლიენტი და კიტრის საფანტში გადაცვლა შესთავაზა. კახელმაც გაუცვალა ორი კილო.
- ერთი კვირის შემდეგ კახელი ისევ ჩამოვიდა სავაჭროდ. როგორც კი დახლზე საქონელი გაშალა, მესაფა-

ნტე თავზე წამოადგა და უსაყვედურა: — შენ რა გითხარი, შენი მოცემული კიტრის ნახევარი მნარე აღმოჩნდა! — შენმა მზემ, იმ შენი საფანტის ყველა მარცვალი ხო მიზანში მოხვდა! — უპასუხა კახელმა.

* * *

— ექიმო, შვიდი წელია, რაც დავქორწინდით, მაგრამ შვილი არ გვიჩნდება. ექიმი გასინჯავს: — უცნაურია, ყველაფერი წესრიგში გაქვთ, იქნებ გასასინჯად ცოლიც მოგეყვანათ... — ექიმო, ცოლი მე ვარ.

* * *

სამსახურიდან დაბრუნებულ ქმარს ცოლმა ტირილით შესჩივლა: — ნამცხვარი გამოგიცხვე და სამზარეულოდან როგორც კი გამოვიდე, ჩვენმა ძაღლმა შესანსლა. — ნუ ტირი, ძვირფასო, — დაამშვიდა ქმარმა, — თუ ვერ გადარჩა, ახალ ძაღლს გიყიდი.

* * *

ქმარი შინ გვიან ბრუნდება და ცოლს ეუბნება, რომ მეგობართან შეაგვიანდა. ცოლი მაშინვე მეგობარს ურეკავს და ეკითხება: — ჩემი ქმარი შენთან იყო ამდენ ხანს? — რას ჰქვია იყო? შენი ქმარი ახლაც ჩემთანაა!

* * *

— დედა, ყველა ბავშვი ბამბის ნაყინს ჭამს და მე რატომ მაჭმევ ნამდვილს?





- ჩემს ცოლს ხო იცნობ?
- როგორ არ ვიცნობ!
- რომ დაგიტომო, რამდენს გადამიხდი?
- არც ერთ კაპიკს.
- თანახმა ვარ, წაიყვანე.

მაღაზიის გამყიდველი:
— ბიჭუნა, შენ დარწმუნებული ხარ, რომ დედამ ასი გრამი კარტოფილისა და სამი კილოგრამი კანფეტის ყიდვა დაგავალა?

მწვრთნელი თავისი გუნდის ფეხბურთელებს ეუბნება:
— სვალ დაბადების დღე მაქვს. მოდი, გამიკეთეთ კარგი საჩუქარი და სვალინდელი მატჩი მოიგეთ.
— ჩვენ გუშინ უკვე გიყიდეთ ჰალსტუხი!

რაჭველები ძროხას ყიდიან.
— რა ღირს ძროხა? — იკითხა იმერელმა.

— 500 ლარი.
— რა ამბავია 500 ლარი?! თანაც ასეთი გამხდარია!.. ნემსის ყუნწში გაეტევა!..

— რას ამბობ, ბოშო, ძროხა ნემსის ყუნწში რაფრა გაეტევა?.. — გაუკვირდათ რაჭველებს.

— რაფრა და მოვიტან ახლა ნემსს და თუ მართლა გაეტირა, მაგ ძროხას თლა მუქთად წავიყვან! — დაიმუქრა იმერელი და წავიდა.

რაჭველები შეფიქრიანდნენ, რალა გვეშველება მართლა ნემსის ყუნწში რომ გაეტიოსო და ძროხას კუდი საგულდაგულოდ გამოუკვანძეს.

პროგრამისტის ცოლს დაქალი ეკითხება:

- შენი ქმარი პირველად როგორ გაგეარშიყა?
- კომპიუტერი მაჩვენა...

იტალიაში მოგზაურობიდან დაბრუნებულმა ქმარმა ცოლს ფოტოების ალბომი აჩვენა.

— იქაც გატყვერი, შე უბედურო?! — ჩაიბუზღუნა ცოლმა, როცა პიზის კოშკთან გადაღებულ ქმრის ფოტოს მოჰკრა თვალი.

— მამა, რას ნიშნავს „სიზიფეს შრომა“?

— ეე, შვილო, მაგას მაშინ მიხვდები, ნვერის პარსვას რომ დაინყებ.

— ბაბუაჩემი მთელი ცხოვრება ჯანმრთელ საკვებს, ბოსტნეულს, მანონს, მოხარშულ თევზსა და ხილს მიირთმევდა. დილით 6 საათზე დგებოდა და საღამოს 10 საათზე წვებოდა. აკეთებდა დილის გამამხნეველ ვარჯიშს, არ სვამდა, არ ეწეოდა, ქალებს არ დასდევდა და 90 წლის ასაკში მონყენილობისგან გარდაიცვალა.



— ძვირფასო, ვგავარ იდეალურ ქალს?

- რას ამბობ, შენ უფრო მეტი ხარ!
- მაინც რამდენად მეტი?
- დაახლოებით 50 კილოგრამით.

— სახლში შუალამისას ნასვამი რომ მივდივარ, ცოლი ოხრავს და საათს უყურებს.

— დიდი რამე, მე რომ სახლში მივდივარ, ცოლი კალენდარს უყურებს.

გონების სავარჯიშო

„ზვის“ ერთჯადი მართხვალისათვის

(პასუხები)

1. ალექსანდრე მეორემ. ამერიკელებმა ამ მიწაში 7 მილიონ 200 ათასი დოლარი ანუ კვადრატულ მეტრში 0,0004 ცენტი, გადაიხადეს. ეს იყო ყველაზე იაფფასიანი და ყველაზე წამგებიანი (რუსეთისათვის) გარიგება მიწით ვაჭრობის ისტორიაში.
2. არც ერთი.
3. ფინური.
4. ასე ეძახიან დიდ, თავსხმა წვიმას.
5. ბაგირს.
6. მოგონებას.
7. როსტომ წერეთელი (აკაკი წერეთლის მამა).
8. მტერი.
9. ირმა სოხაძე.
10. ვენერა მილოსელი.
11. რათა მწრთვნელმა შექების ნიშნად ენაზე მოჰფხანოს.
12. ყმული.
13. დანიელ ფარე-ნჰაიტმა (1714 წელს). ამ თერმომეტრის სკალაზე ყინულის დნობის წერტილი 32 გრადუსით არის აღნიშნული, ხოლო წყლის დუღილის ტემპერატურა — 212-ით.

რენიფორსო მადანაა





ჰოროსკოპი

5-11 აგვისტო

ვიზიტი

თუ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გაფუჭება არ გსურთ, მეგობრებს პირად ცხოვრებაში ნუ ჩაახედებთ. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახსა და ახლობლებს. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

კუჩრე

წარმატება გელით. საყვარელი ადამიანისთვის ქართინაურები არ დაიშუროთ. უქმე დღეები მოგზაურობას დაუთმეთ.

ტყუპები

ამ პერიოდში შეგიძლიათ, ბინის რემონტი წამოიწყოთ ან ახალი ავეჯი შეიძინოთ. დრო საყვარელი ადამიანისა და მეგობრებისთვისაც გამოხატეთ.

კირჩხიბი

ოჯახის წევრებისა და საყვარელი ადამიანის მიმართ ყურადღებიანი და მომთმენი იყავით. სამსახურში სხვის გასაკეთებელ საქმეს ნუ შეასრულებთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

ლომი

თუ გრძნობების მოთოკვას ვერ შეძლებთ, სამსახურებრივი რომანი კონფლიქტით დასრულდება. კვირის მეორე ნახევარში უცხოეთიდან სასიამოვნო ინფორმაციას მიიღებთ.

ქაფი

დასაქორწინებულ ქალებს ახალი ნაცნობობა და რომანტიკული შეხვედრები ელის. სამსახურში მოსალოდნელია დანაშაურობა ან ხელფასის მომატება. უქმე დღეები ბუნებაში გაატარეთ.

სასწიწი

ახლა მოდუნებისა და განტვირთვის დრო ნამდვილად არ არის. შედარებით დაძაბული პერიოდი გელით, რადგან სამსახურებრივი და საოჯახო საქმეები გექნებათ მოსაგვარებელი.

მირიანდი

თუ მიზანი დაისახეთ, მის მისაღწევად უნდა იბრძოლოთ. პროფესიულ სფეროში წარმატებას მიაღწევთ. მთავარია, ამბიციები მოთოკოთ. სულიერ სიმშვიდეს საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა მოგიტანთ.

მშვიდობის

ამ კვირაში თანამშრომლებს თქვენი რჩევა დასჭირდებათ და მათ დახმარებაზე უარს ნუ ეტყვიან. დამატებითი სამუშაო მატერიალურ მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ. მოერიდეთ მოგზაურობას.

თევზი

საყვარელი ადამიანის ახირებას ყურადღებას ნუ მიექცევთ და კონფლიქტურ სიტუაციებსაც ერიდეთ. გონივრულად გადაანალიზეთ შემოსავალი და თავი შეიკავეთ აზარტული თამაშებისგან.

მეწყობე

კარგი პერიოდია ქალაქგარეთ დასვენებისთვის, განმარტობისა და მომავლის დასაგეგმავად. სხვის საქმეში ცხვირს ნუ ჩაყოფთ. შეეცადეთ, მოჭარბებული ემოცია მოთოკოთ.

თევზი

კოლეგებთან ურთიერთობისას დიპლომატია გამოიჩინეთ და ნებისმიერ წვრილმანზე ნუ იჩხუბებთ. თქვენს სასიყვარულო ურთიერთობას შესაძლოა, მესამე პირის გამოჩენამ საფრთხე შეუქმნას.

იცით თუ არა რომ...

- ✦ პოპულარული ჰოლივუდელი მსახიობი ბრედ პიტი სანამ კინოსამყაროში მოხვედებოდა, სხვადასხვა ადგილზე მუშაობდა. ერთი წლის განმავლობაში ის პიცერიას ალაგებდა, მოგვიანებით კი თავს მწვანელების გაყიდვით ირჩენდა.
- ✦ შექსპირის შემოქმედებაში „ჰამლეტი“ მოცულობით ყველაზე დიდი ნაწარმოებია. ის 4042 სტროფისგან შედგება და მასში 295551 სიტყვაა გამოყენებული.
- ✦ ახალგაზრდა იულიუს კეისარი ხელეებს ზურგს უკან იმაგრებდა და ცხენოსნობაში ასე ვარჯიშობდა.
- ✦ „მიცუბიში“ იაპონურად „სამ ბრილიანტს ნიშნავს“.
- ✦ სიტყვა „ნამა“ ძველბერძნულად ცოლს ნიშნავს.
- ✦ ეროტიკული ლიტერატურის ყველაზე დიდი ბიბლიოთეკა, რომელიც 25400 ტომისგან შედგება, ვატიკანში ინახება.
- ✦ მსოფლიოში ყველაზე დიდი ადმინისტრაციული შენობა პენტაგონია.
- ✦ აშშ-ში ჯორჯ ვაშინგტონის სახელს ატარებს: 7 მთა, 8 მდინარე, 120 ქალაქი და დასახლებული პუნქტი.
- ✦ მსოფლიოში ყველაზე დაბინძურებული მდინარეა რაინი.
- ✦ არნივი 22 სახელმწიფოს გერბზეა გამოსახული, ლომი კი — 29-ზე.

- ✦ ბაბილონის გოდოლის ასაგებად 85 მილიონი აგური გამოიყენეს.
- ✦ პირველი კარუსელი 1766 წლის ზაფხულში, პეტერბურგში დაამონტაჟეს.
- ✦ ამერიკა ნარკობარონების წინააღმდეგ ბრძოლაში წელიწადში 18 მილიონზე მეტს ხარჯავს.
- ✦ ალ კაპონეს 215 მკვლელობაში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული.
- ✦ ყოველ წუთს მსოფლიოში 27529124 ლიტრი ლუდი ისმება.
- ✦ ავსტრალიაში 57000000 კენგურუ ცხოვრობს.
- ✦ ბელურას კისერზე ორჯერ მეტი მალა აქვს, ვიდრე — ჟირაფს;
- ✦ სპილოს ერთი ეშვისაგან მზადდება კლავინები 15 როიალისთვის;
- ✦ ყველაზე დიდი მინისძვრა 1556 წლის 2 თებერვალს ჩინეთში, შანსის და ხენანის პროვინციაში მოხდა. მასში 830000 ადამიანი დაიღუპა.
- ✦ თმის საშრობი ფენი 115 წლის წინ

- ფრანგმა ალექსანდრე გოფროუმ გამოიგონა.
- ✦ ადამიანს თავზე თმა წლის განმავლობაში 15 სმ-ით ეზრდება.
- ✦ ბელურა საშუალოდ 30 გრამს იწონის. მისი სხეულის ტემპერატურა 44 გრადუსია. წუთში 1000 ჩასუნთქვას აკეთებს და მისი პულსი წუთში 860 დარტყმას აკეთებს.
- ✦ თეთრი დათვები ცაცები არიან.
- ✦ დედამიწაზე ყველაზე გავრცელებული მინერალი კვარცია.
- ✦ პერუს დედაქალაქი ლიმა ოკეანის ნაპირზეა გაშენებული. მიუხედავად ამისა, ქალაქში თითქმის არ წვიმს. ამიტომ ლიმელები არ ხმარობენ ქოლგას და მათ სახლებს არა აქვთ საწვიმარი მილი.
- ✦ 60 წლის ადამიანების 50% გემოს შეგრძნებას კარგავს.
- ✦ როდენის „მოზაროვნი“ იტალიელი პოეტის დანტეს პორტრეტია.
- ✦ ბალტიის ზღვას ადრე ქარვის ზღვა ერქვა, რადგანაც ეს მინერალი მრავლად მოიპოვებოდა მასში.
- ✦ რაც უფრო ცუდ პირობებში იზრდება და ხარობს ყავა, მით უფრო გემრიელია მისი ნაყოფი.
- ✦ ალასკის დროშა 13 წლის ბიჭმა შექმნა.
- ✦ ადამიანის ტვინის 89% წყალია.
- ✦ მთელი ცხოვრების განმავლობაში ადამიანი იმდენ ნერწყვს გამოყოფს, რომ ორ დიდ აუზს გაავსებდა.
- ✦ ადამიანს ცხვირი ცხოვრების მანძილზე ეზრდება.



	1. მგარი, მტკიცე, უცვლელი	2. ჩასაბერი მუს. საკრავი	3. ქალაქი გერმანიაში	4. ტურ-გენერის მოთხრობა				
	5. „ბიოლზის“ მშობლიური ქალაქი	6. მშვილდის ბაწარი						
	7. ცხენბურთი	8. გარუსე-ბული ქართველი						
	9. სასვენი ნიშანი							
	10. ციტრუსი	11. უდაბნო აფრიკაში	12. მედიცინის დარგი	13. რისაშე შეცვლა, გარდაქმნა	14. ფრანგი კომპოზიტორი			
	15. ქვეყანა აზიაში	16. ქვეყანა აფრიკაში	17. პიემალიონის სატრფო	18. მსახიობი ... შერფი	19. უბანი თბილისში			
20. თაგდის უმაღლესი ტიტული ინდოეთში	21. იოგების მოძღვრება	22. უარყოფის სიტყვა	23. სომხური ციმკვა	24. გეომეტრიული ფიგურა				
25. ერთგარი ნაყინი	26. ბიბლიური წინასწარმეტყველი	27. კომბინაცია პოკერში	28. დაბალი ბუჩქი	29. აშშ-ის სატელევიზიო პრემია				
30. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე	31. სინამდვილე	32. შემდგომი, მომდევნო						
33. დაქირავებული მკვლელი	34. რიაზანოვის ფილმი	35. მდიდრული აგარაკი	36. მუს. ნოტი					
37. გიტარის დასაკრავი პატარა ფირფიტა	38. დიდი ქვა	39. მხარზე გადასაკიდი ჩანთა						
40. პომეროსის პოემა	41. თფში							



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. კურნიკოვა; 2. ტრამალი; 3. კინეტიკა; 4. გორილა; 5. გვამი; 6. რამდენიმე; 7. მალი; 8. ერა; 9. სკალპელი; 10. ალი; 11. ბრაილი; 12. იმერეთი; 13. მოპედი; 14. აელარი; 15. სელანი; 16. თივა; 17. კარე; 18. ელი; 19. სესია; 20. რადა; 21. ვარშავა; 22. ნადალი; 23. დია; 25. რიდე; 26. ასო; 27. პი; 28. ორნამენტი 29. ნირვანა; 30. ნო; 31. მარია; 32. ბაია; 33. ვენერა; 34. გარანტია; 35. ვეზუვი; 36. მარიაში; 37. გიგლია; 38. სანიტარი; 39. სვასტიკა; 40. ვიტრინა.
სურათებზე: 1. კირსტენ დანსტი; 28. ვინსენტ პერესი.



საფიქშირო კროსვორდი

ბ	კ	კ	რ	შ	შ	რ	ა	რ	ა	შ	ს	შ	ნ	ა	მ	ზ	შ	ა	ს	შ	ა	ნ	რ	მ	ა	რ

- შპს-ების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ.
- კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამოუქვთ ბულ უფრედებში ქართულ ანდაზას ამოკითხავთ.

ბ. საჭადრაკო პარტიის ისეთი დასაწყისი, როდესაც თეთრები შეტევაზე სწრაფად გადასვლის მიზნით, წირავენ პაიკს ან რომელიმე სხვა ფიგურას; **ბ.** კრეტის მეფის მიწის ასული, რომელმაც თევზს ჯადოსნური ძაფის გორგალი მისცა და ლაბირინთიდან თავის დაღწევაში დაეხმარა; **ბ.** ლეგენდარული პორტუგალიელი ფეხბურთელი; **რ.** შერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი; **მ.** დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **მ.** ატმოსფერული მოვლენა; **მ.** ვალიკო მიზანდარის მშობლიური ქალაქი; **დ.** ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ბ.** გერმანული საავტომობილო ფირმა; **დ.** ნელზე შემოწყობილი ხელები ისე, რომ იდაყვები განზეა განუღი; **ბ.** ჯუზეპე ვერდის ოპერა; **ო.** რა დარჩა პანდორას ყუთში, მას შემდეგ, რაც იქიდან შური, ბოროტება, ავადმყოფობები და სხვა მრავალი უბედურება ამოფრინდა; **ს.** წინასწარმეტყველი ქალი ძველ რომსა და საბერძნეთში; **ბ.** ქალის პირბადე; **მ.** ჩხირზე ჩამოცმული ნაყინი, რომელიც გარედან შოკოლადით არის დაფარული; **ბ.** შიშველი სხეულის გამოსახულება ხელოვნებაში; **მ.** რა ეროვნების იყო ჩარლი ჩაპლინი; **მ.** ქართველი მომღერალი ქალი, ანამბლ „ივერიის“ ყოფილი სოლისტი, ქეთევანის როლის შემსრულებელი მიუზიკლში „ჩხიკვა ქორ-

ნილი“; **ბ.** სად „გავიდა“, არისტო სირბილადის თქმით, მასთან ერთად მოქეიფე მიზანა ბრეგვაძე (მხატვრული ფილმი „შერევილები“); **ზ.** ხასიათი, ბუნება, თვისება; **ბ.** ქვიტკირის სამარე; **ს.** სტალინის ერთ-ერთი ფსევდონიმი; **მ.** სხეულის ნაწილი, რომელიც პანიბალმა გაცივების შედეგად დაკარგა; **ბ.** ლობიოს სამშობლო; **ნ.** ღმერთის მიერ ევას შესაქმნელად გამოყენებული „ნახევარფაბრიკატი“; **მ.** ოთარ მელვინეთუხუცესის პერსონაჟის სახელი მხატვრულ ფილმში „ნატურის ხე“; **რ.** კუნძული, რომელზეც აღმართული იყო მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთი — კოლოსი (მზის ღმერთის, ჰელიოსის უზარმაზარი ქანდაკება); **მ.** თავის ქალის ზედა ნაწილი; **ბ.** ინგლისის უძველესი სახელწოდება; **დ.** ფულის ერთეული საბერძნეთში (ევროს შემოღებამდე).

- წინა ნომერი გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**
- **ნ.** ჩამიჩი; **ბ.** ვაიმარი; **მ.** ეშმაკი; **ნ.** ნეპალი; **ს.** სკალპი; **შ.** ჟირაფი; **შ.** უტა; **რ.** რევერსი; **ნ.** ნაიკი; **ბ.** ანბა; **ლ.** ლიხახვი; **მ.** თალითი; **ბ.** აკლამა; **ნ.** ნეი; **მ.** ერმაკი; **რ.** რაყიფი; **მ.** თხემი; **ბ.** ალფა; **დ.** დრაქმა; **ბ.** ავრორა; **რ.** რეზერვი; **მ.** მოემი; **ო.** ოხუნჯი; **ი.** იტალია; **ნ.** წერაქვი; **მ.** ყაენი; **მ.** ექსტაზი; **ნ.** ნეილონი; **მ.** თხა.
- გამოქვეყნებული უფრედებში იკითხავთ:**
- მიგპარაპი კალლი მფაფარზე უარასია**

იაპონური სენსაცია

სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერი გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

7	1	9	8	2	5	4	3	6
4	8	3	1	6	9	7	5	2
2	5	6	4	7	3	8	1	9
8	7	2	3	1	6	9	4	5
1	6	5	2	9	4	3	8	7
3	9	4	5	8	7	2	6	1
9	2	8	6	3	1	5	7	4
6	4	7	9	5	8	1	2	3
5	3	1	7	4	2	6	9	8

3	2	4	1	9	6	8	7	5
6	9	5	7	8	2	4	3	1
8	1	7	4	3	5	2	9	6
4	6	2	9	5	8	7	1	3
1	8	9	3	6	7	5	4	2
5	7	3	2	1	4	9	6	8
9	5	8	6	4	1	3	2	7
2	3	1	8	7	9	6	5	4
7	4	6	5	2	3	1	8	9

4	8	1	2	7	3	6	9	5
6	7	2	1	5	9	4	3	8
3	5	9	6	4	8	2	1	7
5	1	3	4	2	6	8	7	9
8	2	6	7	9	1	3	5	4
7	9	4	3	8	5	1	6	2
2	3	8	5	6	7	9	4	1
9	6	5	8	1	4	7	2	3
1	4	7	9	3	2	5	8	6

* მარტივი

			6	5	
9			5		2
3			9		4
7		2		5	
2		7	3		8
8			4		3
8		3			1
1		2			4
	7	9			



* * საშუალო

		9		6		3
	7			4		5
			3			2
7			9		1	4
		5		7		8
	3		8			2
	5				9	
3				2		5
1		7			4	

* * * რთული

		5		8	2	1		
	6				1		9	
2					9	7		
		6						4
					9			
1			6			8		
		8	1					5
	2		5				7	
		1	9	7				6

ფოტოკუჩიონები



კეტონალი®

კეტოპროფენი 2,5%, 50გრ

გელი

კლინიკური ტკივილგამაყუჩებელი, ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით



- სწრაფად ხსნის ტკივილს
- აქრობს ანთებას
- ამსიერებს შეშუპებას

ჩვენება:

ტკივილი წელის არეში, ტკივილი სახსრებში, ტკივილი კისრის არეში, ტკივილი სპორტული ტრავმების დროს, ტკივილი კუნთებში ფიზიკური დატვირთვის შემდეგ, დაუქუჩილობა, დაჭიმულობა, რევმატიზმი, რადიკულიტი

დოზირება:

გელის 3-5სმ სიგრძის მასა მსუბუქად შეიზილეთ მტკივნეულ ადგილას 1-3-ჯერ დღეში



კეტონალი გელი № 1 ტკივილგამაყუჩებელი!

პრეპარატის გამოყენების წინ გაცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

გ. ტაბიძის ქ. №18; **NOVARTIS**
ტელ.: 98 27 30; 98 27 50 ნოვარტისი, შვეიცარია